



საქართველოს
რეპუბლიკის
ხელისუფლების
სამართლებრივი
სერვისების ცენტრი

მნათობი



5-6

2000



მნათობი

წელიწადი 76-ი

№ 5-6

2000 წელი

საქართველოს მშენებელთა კავშირის ორგანო

შინაარსი

აოჯია, პროზა

მეზარ კვიტიციანი - ლექსები	3
ნოდარ შამანია - ლექსები	7
ელენე გურიელი - ლექსები	9
გიორგი ქურხული - გზა. მოთხრობა	11
კიმოთე აღიაშვილი - გუშინ შეიძინე გურჯანული. მოთხრობა	33
ოზარ შამათია - ლექსები ციკლიდან - „აფხაზეთის ტკივილი“	39
ზორა ვაშაქია - ლექსები	43
იური კახენიშვილი - ლექსები	44
ზაურ კილაძე - ხვალ, ხვალ, ხვალ... რომანი. დასასრული	45
დანელინი - დაშაკუმარაჩარიტა (ათი უფლისწულის თავგადასავალი). რომანი. თავი მეორე. სანსკრიტიდან თარგმნა მერი ასათიანი	73
დავით ტაქია - ორი მოთხრობა	77

კრიტიკა, კვლევითი

ვალერიან ითონიშვილი - საქართველო-რუსეთის საზღვარი დარიალის ხეობაში	80
დავით პაიჭიაძე - მიხაკო ნერეთლის „საქართველო და მსოფლიო ომი“	91
ლალი ცერცვაძე - „ზარი ძველის ხსენსა“	99
ლელა მელაძე - გერონტი ძიმოძის ესთეტიკური მრწამსი	102

იხ. მე-2 გვ.

შინაარსი
(გაგრძელება)



მაცნეობა

ვახტანგ გორილაძე – IV-V სს. ძველი ქრისტიანული კულტურის ფესვები	106
მარი გუგუშვილი – „ვეფხისტყაოსანი“ და სასულიერო საზოგადოება	114
მამუკა დოლიძე – ფენომენოლოგია და არატერაპიური	118
თამარ გარეკაშვილი – პოსტმოდერნიზმი დღევანდელი ლოგოს	125

რეცენზია

ნოზადი ბართია – მონოგრაფია „შავ-ნამუს“ შესახებ	134
--	-----

ბამოსათხოვარი

ბამოსრჩეული პოეტი და პიროვნება (გივი ჯავახიშვილი)	143
---	-----

მთავარი რედაქტორი
თამაზ შილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აბიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
აკაკი მინდიაშვილი
მანანა შიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორღელი (პ.მგ. შიფანი)



სიმართვე

ენოსპირა, მოხურული ფანჯრიდან შემომეფეთა -
შენი შემუბებული, დაღლილი, ჭინჭრისფერი თვალები...
ფანჯრებიანს, მხურებულ ბეჭებზე წამოგესხა
მაგრელობელი, ვახებილი, ხაოიანი ხალათი
(თითქმის ზეპირად ვიცი შენი ღარიბული გარდერობი).
მოწყენილობა დატყობია ჭერიდან დაშვებულ ფარდებსაც...
ოთახის ბუნდ, ჩახუთულ სიღრმეში გატრუნულა,
ალაგ-ალაგ, მედუნასავით თუ ჭოლგის ზურგავით ჩაზნექილი,
მყუდროების მცირე, შრიალა თალი - მუქი აბაჟური
(ჩამოწვლილ ფარფლებს აბოლოვებს შინდის ანდა ზეთისხილის
ნაყოფებივით მოგრძო, კუდაგამოსკვნილი გიშრის მარცვლები).
იქვე, შემოსასვლელთან, გელოდება ჩარჩოიანი სარკე,
ყოველ დილა-საღამოს რომ ამოვისერის
დაორთქლილი, შლამიანი ტბის უძრავი ფსკერიდან,
ძილდაყლებულს, მოთენთილს, ფერ-უშარილით მოსვრილს.
ისიც დაღალა შენმა ნაღვლიანმა, უპრო დელილმა.
ახე იწელება ენებამოწოლილი დღეები შენი -
დილით, უნდლილი წამოადგომიდან, ღამე, პირდაღმა დაწოლამდე.

სამგლოვიარო პრომენიდა

დაჯერება გაეჭირდება, ძნელად, ძლივას თუ წარმოიდგენ -
ამ ტანფუნდალული, საწყლად გადრეკილი დედაბრების წიაღში,
სულარავადაფარებულ, აბრეშუმჩაფენილ კუბოს რომ მისდევენ,
რეინით მკლავებდასაღტლელი, ფართობეჭებიანი ბიჭები იშენენ
(სად არიან ახლა ისინი, ვიღამ მოუყაროს ამაყებს თავი?).
თაქისუფლად შეიძლება შეიშალო, რა აღარ შეუძლიათ -
სათის ისარზე მოცახცახე, იქვე კისერმოტეხილ წამს
და უძირო ციდან მოწყვეტილ წვეთს!..
მათგან გროვდება მძიმე, ძვლებით გაძებგილი საუკუნე და
ვლუე, გადამწვანებულ მთებშუა ჩავუბებული კაჭკაჭა ტბა...
აღარ გეშვება გზად ადევნებული უშველებელი საწუხარი -
როგორ ვინდა, მოთქმით დაოსებულ, დაბრეცილ ბებრეცანებში
რძემოწოლილი, თქრიალა, მყერდათქვირებული ვოგოები შეიცნო...
რა არის იმისთანა - ცრემლიან, ცრუ, მოღანდებულ ქვეყნიერებაზე,
გაძქევა, დაძქევა, წრეში მოქეულმა დრომ რომ ვერ შეძლოს?

ღამსამარეპელი

სახურავებზე ცივი ქარების სტვენა. მე მკლავს ეს თვე.
როგორც იქნა, გამოძერა ყინულის ნაპრალებიდან
თეთრად აბოლებულ-აპრიალებული აპრილი.

ალარ აკუსნი, ტყვეობიდან თავდახსნილმა თვითონ გაიხსენოს რამდენჯერ ჩამივლიდა დიდად გარჯილი, გაარჯლებული, აეის მოლოდინში, კანკალისგან ვალურჯებული გული.

ზამთრის საღამოს შემძბი

მორყეულ, კიდებგადაქლებულ ტახტზე ვწევარ, თავმიბრუნებული, გვერდზე ვიყურები, ვაკვირდები (აინისიყენ გახედვაც არ მჭირდება) - თანდათან, წუთი-წუთზე ბნელდება წიწვის კარადის ალაპლაკებული შუშა, საცაა უნდა გამთლიანდეს მოპირდაპირე კედლის წიწვის თაროები, გარდიგარდმო რიყულებივით ჩალაგებული, ჯერ ამავე შუშაში არეკლილი... კუთხეს მიბჯენია უხმარი, წლობით თითდაუკარებელი, დაგმანული პიანინო, ცხენის წაბლის ფერი რომ დაჰყვება ფუტურო მყერდა და ფერდებზე. კუთხეშივეა გატრუნული თიხის მაღალი, ტლანქი კაზა, ცრუ ნაკეთობა, ყავისფრად დაყენილი, კენტაერმიხატული, გლადიოლუსების მომლოდინე. ღამის სილუეტად იქცეს ქორჩიანი, პალმასავით აჩრდილი ოთახის ვეკილი, მოწყენილი ჩანხ მისი დაბლა დაშვებული, გრძელი, მუქშუქანე ფოთლები; ჯერ თითქოს უძალიანდება სველ, ნისლივით მოძანძალე სიბნელეს, მაგრამ მოჩეარულ ფორებს, თანდათან, შავი მელნისფერი ედება. ასევე ემართება რყინის მრგვალ ბადეში დატანებულ კენტილატორს, ბინდს ნებდება პლასტმასის ღურჯა, ზაფხულამდე გაუქმებული ფარფლები. მე თვითონაც გარედან მოწოდებული, ბლანტედ გაწედილი წყვდიადი მელაპავს. თანდათან ემსგავსება ბნელში მოქცეული, კიდობანივით აყუდებული კარადა პრიალა, თითბერისსახელურებიან ოთხკუთხე კუბოს, საჭირო ტურჭელს, რომელშიაც მე უნდა ჩავესვენო და დამხუფონ, სამყოფია სიგრძეც და ვანიც, ბრტყელ, ვალაქულ მუცელზე, მუხლებმოცედილი ჯვარცმის დაკვრალა დაჭირდება. რა უნდა გაქროლებას, როდისმე ხომ უნდა დაეძლიო გაქრობის შიში... თუ მოთმინება მეცო და თავბოლომოყანყალებულ ტახტზე ასე ეიქენი წამოწოლილი, უეჭველია, გათენებასაც ამავე კარადის შუშიდან შევიტყობ. ეისაც უნდა, იმან გამამტყუნოს, ათასმა წელმაც რომ გაიაროს, ასე დავრჩები; გადლაბნას, საგანთა მოხაზულობის წაშლას, ყველაფრის ერთიანად ჩამავეებას ისევე გამიჯენა, გამოცალკეება მიჩენია. თითქოს პირველად თენდებოდეს, ისევე უნდა გამოეყოს ბნელს ნათელი, ცა - მიწას, წვალი - ხმელს, ცხადი - სიხმარს... ერთხელ კიდევ ეიხილო, როგორ ამოცურდება ცურებიდან ცვარდადენილი, ჩვილი ყველივით გასაწური, მთის წვერს მომდგარი, ათიმთიმებული დილა.

ოთახი - ზღვა

ეს უფრო დამლამობით ხდება. სუსტი ნათურის მერთალ, დაწეწილ შუქზე შექანდება დაბალი, დაკუთხული ოთახი. გაიზანზარებს ძველი, შემინული კარადა, გაწყარუნდება ჭიქები ბროლის. ფანჯრიდან ჭერზე, ჭერიდან იატაკზე გადაინაცვლებს თვალები. შეიგრძნობს დახმარული ენა ლაშებზე შერჩენილ სიმლაშეს... შეიკენება, რომ გახუნებულ-გაბოლილი, ყვაფილებიანი შპალერი თანდათანობით იფლინდება; სისველე ხლეჩს, ამუქებს... დაღალმა, საცა კედელს დამრეცი სხევი ებჯინება, ზღვაა მომდგარი. ჯვებრს კორტნიან ჯვროდ გამოშლილი, ტანმოკლე ნაფოტა თეჭები - ზანტები, პირდაღებულები; ლაყუნების ყოველ მოძრაობაზე



ჩნდება მრგვალი, მუცელში წრედ შემობანული შავი ორმო...
 შენ შიშობ - შემოეჭმებათ აგურებშუა დატანებული გავი.
 დანებტილ, აფორეჯებულ კედელს მალე ზედვე მიებატება
 ფერდებჩაზნექილი, ფონებიანი აბაყურის ცახცახა ჩრდილი -
 ლილისფერ აბრეშუმით ლიპი, ფარფლებმოფლასული მეღუზა;
 დამწერივდებიან ობობასნაირები, გაფარჩხული კიბორჩხალები,
 რვაფეხები, ზღვის ვარსკვლავები, ზღვის ციციქა ცხენები,
 მუჭითი მოცუნტული, რკინის მკენეტელი ზღვის ზღარბები;
 იქვე, ლექში დაფორვლილ ლოქოს შეერხევა ზავერდის დრუნდი...
 მახსენდება ლავაგადყრულ პომპეის გათბრებში ნაპოვნი ფრესკა.
 ვერ დაეიწებებ, მარტო მე ვიყო ამგვარი ცრუ მოქცევის მომხსრე-
 მსვავები უცნაურობანი ადრეც უამრავი მომხდარა და
 სამომავლოდაც ბევრი მოხდება; არაფერია ვასკვირი.
 ეს არც ისეთი აწვეტილი ფანტაზიის ნაყოფია.
 ამ ერთმანეთში ჩაერხილი მთების ხერხემაღს ზოლად ვასდევს
 ჩახვეული, მკედარი ნიყარები, აბორგებული ზღვის ხახსოვარი.
 ახლაც, ამ წამს, გაბმული, თანდათან მინჯლებული ქშული მესმის,
 კენჭებზე ვადასრიალებული, ამიშინებული ტალღის ფშენა.
 რა არის, ბოლოხდაბოლოს, დაუჯერებელი ან შეუძლებელი...
 თუ გადაქანკულ ტვინში შეიძლება ჩაქცეულმა სისხლმა გაფინოს,
 რატომ არ შეუძლია გადაულებელი წვიმის ან ზღვის წყალს
 ყრუ, უსწორმასწოროდ შელესილ ძველ კედელში გამოატანოს.
 ყველაფერი რომ ჩაივლის და ოთახი ჭრიალსა და რწევას შეწყვეტს,
 მობორილუ ლანდებიც თავთავიანთ ადგილებს უბრუნდებიან.
 გაბრებული თავი ნელნელა მიწყნარდება, თვალბეც მქშმინდება.
 მხოლოდ ესაა, მტკივანი ყელი მიხურს, გამშრალი მაქვს ნერწყვი.
 დახეთქილ ბაკებზე მარილის მწარე, უამური ვემო მრჩება.

განმარტოება

ველარ ვიფარავს ხალათი მუხლებს.
 შენი ქმრის ტყავით მოფენილია
 სქელი კედლები - ვიცავს, ვიცოილებს.
 დამფრთხალი გულის ისმის შუილი,
 ხმა დახშულია. თვალს ვავლებ ნიეთებს...
 კარგია, ყინვა არ თოშავს ჰერს,
 გამოთიშული, აღარ შეგკაწებებს ტელეფონი.
 დინებაე უწყვეტო, მაცალე ორიოდ საათი,
 ვიდრე გამაცილებ - ცარიელს, დაცლილს...
 ჩინურ ვაზაზე გაკლავნილა დრაკონის კლანჭი;
 ეშიშობ, ლოფა არ ჩამოშაცალოს.
 ერუნ, პირდაღებულ, დაჭორფლილ ნიყარაში
 ვუბდება ჩუმი, დასამარხად დარბეული ბგერები.
 დაუნინწყლავს აბაყურის დაწურულ შუქს -
 დიდბურჯა ტახტი, გაბარჯლული ხავარძელი.
 მატყუარაა, დროებითია სიმდიდრე შენი -
 რძისფერი ყელი, ქათქათა, სწორი მყერდი,
 თმა მოქნეული, ზურგუკან გადაყრილი.
 ქვედაწელს იხდი, იცი, ვიხდება - თრთოლვა, კანკალი;



ვრცხევირდეს თითქოს, ფარდას მოქარველს ამოფარე...
 დაფლითავს ვარდის ფურცლებს უფლება ფლიდი...
 ნაზი, სიფრიფანა პერანგი შევაშრება ტანზე,
 გაპობილ ნაპრალში მალე ჩაეფლობა
 პრიალა, ოფლიანი გორგალი ვიშრის.
 ვიცი, თითებშუა უნდა გაცურდეს, გაიწუროს -
 ძუძუების კრილი მტკვნები, დაყეცილი.
 ყველაზე მეტად შავი რგოლებით შემობურულ
 თვალთა შემშუპებულ უკეებში გეტყობა შებერება.
 ამიტომაა, რეინის ხარკეში ჩახედვა უფრო გაფეთებს,
 ვიდრე ზარის ხმა, ზრიალით რომ დაუვლის ფანჯრებს.
 ათიოდ წელში დაგინახავ - თმაგაფქვილულს,
 ხელუბნამომკვანარს და შეეწუხდები...
 მაგ თვალბივით წაბლისფერი გეცმევა ქურჭი,
 ბეწვი ბვირფასი, ქმრისგან ნაყიდი,
 რომ დაგიფაროს ყელი მაღალი და დაღარული.
 უადვილა, უხერხულია ამაზე ფიქრი ახლა,
 მოუღლედი, მუხლემოყეცილი, რძეს სითეთრეში ვეცილები.
 ვაკალოთ სიცოცხლეს - დაუმცხრალ, უცნაურ საქანელას,
 რას ვაქნევ, უგუნური, რა იქნება... ათი წლის მერე.

დედამიწა მართაღმართა

ამდენი ვარსკვლავებიდან მხოლოდ დედამიწამ იხურა -
 უშველებელი, გადამიშვლებული ციხე აგვეხედა.
 სხვა სკეთეს თუ ვერ იხსენებ, აღარაფერი დაგახსომდა,
 მარტო ამიტომ უნდა შეიყვარო ეს დამზრიალებული ბურთი...
 ამ ზნეს უნდა ვუმაღლოდეთ, ამან უცვალა გვერდი - გაათუნა.
 დაღამებაც ნიჭია დაუღლეად მჭროლავის, ზღაპრად გვაქცევს.
 რა ქვაბი დაიტევდა, რაც მის ზურგზე სამინელება ღვს...
 წელისა და ხმელეთის დანარჩენ ბინადრებზე აღარას ვიტყვი.
 უცნაური თვისება გაქვს, ადამის შთამომავალი (შეიძლება,
 ესაა, რომ ვიცავს) - არ გადარდებს უკვე ამშრალი სისხლი;
 არც დახედავ, ვითომ შენთან არც არაფერი აყავშირებდეს.
 არ არსებობს ბოროტება, შენს მღვრიე ტეინში არ გაველოს...
 სხვაგან არხად, იქ მწიფდება გესლის მწვანე, შხამიანი ნაყოფი.
 ამის გამოა, ბევრი დადგომია ამ აზრს - ხსტყეს, ამამზენს:
 ყველაზე საზარელი, რაც წარმოიშვა დედამიწაზე - ადამიანი...
 უფრთხილდი სატანას, ამოძირკვე შური, სიძულიელი; სიყვით
 ჩაინერგე გულში, დილის მაღლის შესახვედრად განემზადე...
 ვგდოს გარუჯული მთის ძირას შუბით განგმირული გველმეშაი.
 მშობელმა შენმა, ცად მორიალუმ, წყალში რომ გათვიდა,
 ერთადერთმა ჩაიხვია ნათლისგან დაფარული მუხის ფესვები,
 იწვალა, იბრუნა, ალვის კენწეროზე დასვა ბრიალა მზე...
 დასიცხულ შუბლზე, საფეთქლებზე დაიხვია ვაზის მწვანე რტო.
 რა თვალმა დაიწუნოს გვირგვინი, მის ტანზე შემოწნული,
 არ აიწონება სიმდიდრე მისი და უღვევი მწუხარება...
 გაახსოვდეს, გვიხაროდეს - ვარსკვლავებიდან დედამიწა ერთადერთია,
 მერგვინავი, ღმერთის ხელით მორგელებული ცა რომ დაგვანახა.



ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს ცნობილ ქართველ მწერალს ნოდარ გამანაძეს 70 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობასა და შემოქმედებით ნარმატებებს.

ღამაახლოვე

ღამბერე ქარო, შვეთოს,
შარბათად შხამი შემასვი,
ოღონდ გზა მომეც
ზეცამდე.

ღამაახლოვე ზეარხი.
ვაშიადვილე ბოლო დღე.
დღე მოწამლული
დღე თარხი.

ჩემი ეგვტერი

წლები მანვება,
მგონი ქე კველები,
არ შემოიღანძლოთ
ჩემი ეგვტერი.

დედამიწაზე ველარ კეტივი,
ცის საუფლოსყენ მენვევა სული,
არ შემოიღანძლოთ ჩემი ეგვტერი,
ურჯულოების არი ეგ მტერი.

უკანახმნილ ხაათოს

რომ ღამარწმუნონ:
ერთ საათში სიკედილი მელის,
გავალ, გულაღმა გავგორდები
ნუშის ნერგებთან,
სამოცივე წუთს ჩამოვწურავ

ლავეარდის მზერით,
ზეცა რომ ფიქრით ჩავიყოლო
საფლავს ეგება.
მიწა კი...
მიწა თავსაფრულად იხეც მქენება.

თუშვა თძვა

გზა ჩაღმა ჩამავალია,
ჩავალ, ჩავევები ჩეროს,
მუხლი არჩივით ჩქარი მქეცს,
ეერაიენ შემაჩეროს.
ჩავალ, ჩავივლი ჩრდილიანს,
ჩავეპარები ჩილოს,

ჩილოში ჩიტხა ჩიორას
ჩინახვა ძერა ბრიყვობს,
ჩავირბენ, ჩავეშველები,
ჩავახშიანებ ჩილოს,
ჩილონი ან მე ვიქნები,
ანდა ის ძერა იყოს.

იაღაღზე

ხამის ზღაღთი ჩაუცვამს მოებს,
აქეთ კლდე არის,
იქით ხეცია,
ეს ნაყადული რა ცოცხლად ჩქეფს,
მოვის პერანგი ჩაუხეცია.
ჩაექანება,

ჩაყეება ჩაღმართს,
ჩაიფანტება ვერცხლის მძიეებად,
ჩაიყისყისებს,
ჩაივლის,
ჩაეა
და ჩირვენარებში ჩაეძინება.

მხოლოდ მამო



ქართული

აღუესილი თოხით, ბარით,
მიწა ეთოხნე, მიწა ებარე,
ათჯერ... ოცჯერ... ოცდაათჯერ...
მოსავალი ჩაეიბარე
და დაშედო მიწის ვალი
ბარე ათჯერ... ოცჯერ ბარე...
ებარე კიდევ, კიდევ ებარე,
ებარე მთაში, ებარე ბარში,
მიწის ვალი გამიბეგრდა,
ვერ ვიყავით ბარიბარში.

მიწას ნათობს ფეხებზე
შერე მამა მიეიბარე,
შერე დედაც მიეიბარე...
და მიწასთან მაინც მაშინ
ვერ ვიყავი ბარიბარში.
მიწაც, ბარს რომ ვერ ებარებ,
სამუდამოდ მიიბიბარებ,
მამინ მხოლოდ,
მხოლოდ მამინ,
ჩვენ ეიქნებით ბარიბარში.

პირველი

მშობო, ვერ არის ჩვენი საქმე კარგად,
ღმერთმანი,
ვერ ვინაწილებთ ძველებურად
ღიმილს და სიტბოს,

როგორ დავშორდით,
კანტიკუნტად ვხედებით ერთმანეთს,
სამარადფამო განშორებას ვეწვევით
თითქოს.

ვერ დავუკვირო

ეს საწუბარი მაწუხებს,
დღე მადგას შავზე შავი, -
ჩემი სხეულის მარწუხებს
ვერ დავაღწიე თავი.

ნამაღადვედა თავს მახვევს
ათას წადილს და სურვილს,
ვერ დავუძვერი ამ ოხერს,
ვერ ვაბეიძე სული.

მესამედ

დღისა და ღამის საზღვარ-სამანზე,
როცა მესამედ ყივის მამალი,
მე მღეიძავს...
ეუბმენ მამლების ყივილს

და გულში თითქოს ტკივილი მივლის,
ბიბლიურ დროდან გაღმომავალი...
როცა მესამედ ყივის მამალი,
როცა მესამედ ყივის მამალი.





ჩემი კეთილი ღმერთო

სიკვდილის შემდეგ, თუკი, ჩემი კეთილი ღმერთო
 მიმიჩნეს ადგილს სადმე, თავის ღვთაებრივ ფერხთით,
 დაგველოდები ისე, როგორც გველოდი ცოცხალს,
 დამაყვირდება სვედით ჩემი კეთილი ღმერთო.

იცის უფალმა, იცის, რომ არ გიყვარდი სულაც,
 გვერდს ამივლიდი ისე, როგორც უფერულ სურათს
 და ამათა ზედა თამაშობაში გართულს
 გაეწყვდებოდა ხშირად ჩემი არსობის ჩრდილიც.

შენ ივლი, ივლი, ივლი ღუდამიწაზე დიდხანს
 და ათასი წლის ლოდინს მე შეეინახავ წმინდად.
 მარტოღუნ ფიქრიც კმარა, ბედნიერი ვარ იმით,
 მარადისობის ჭიშკარს როს შემოაღებ ღმერთო.

მწვანეზე მწვანე წალკოტს მოჰფენ ცეცხლოვან სუნთქვას,
 შენ სიყვარული გქვია, ნუთუ არავის უთქვამს?
 ღმერთო ხელს მიწვდის, ღმერთო! ვარსკვლავის ქიმზე ვწვეარ,
 ჰგავს ადევნებულ მწვეარს შენი თვალების ნისლი.

მაღლა ლანდების ტვერში სუნთქვის შეკვრამდე ვირბენ,
 მთელი ხამყარო, ვკონებ, მე ხელისგულზე მიღვეს.
 მოყვულ ჩიტებთან ერთად ვიფრენ მნათობთა თავზე,
 მეც სიყვარულმა მოძლა, პოდა, ვიღარდო რაზე?

მაგრამ ხედაა მაინც ყველაზე ტკბილი შხამი,
 საიქიოსაც უღვას აღფრთოვანების ფამი.
 პირქვე ემზობი კრული, გაუხამლისი ვნებით,
 მოფენილია ველი ანგელოზების ფრთებით.

გამოგაფხინლებს ჩემი მწვანე თვალების მხერა
 და შენი ვული იწვებს სიცოცხლისათვის ძვერას.
 ვარსკვლავებისგან ხელებს თუ გამოიწვედი თრთოლვით,
 პასუხს მოგიტანს სული, ქარის ოდნავი ქროლვით.

ბატონები

ჩემო ძვირფასო ბატონებო,
 წითელი ფერის ბატონებო,
 ჩემო ციურო ბატონებო,
 მეც წამიფვანეთ ცაზე.
 იქ, ზეცად, ნათლის კარავია,
 თეთრი ღრუბლების სახურავია.

ქვევით კი მარად უთიბავი
 ღურჯი ბალახი მთაზე.
 პატარა ფარანს თან წავიღებ,
 ციმციმა ფარანს თან წავიღებ,
 ციურ ბილიყებს გაგინათვით
 ქვეყნიერების თავზე.

თქვენ დუმხართ მუდამ, ბატონებო,
 ხელს ვიწვდიო, ჩემო ბატონებო,
 ღამეა, მაგრამ ნათლად ვხედავთ
 თაფლის ხანთლების აღზე.

ჩემო კეთილო ბატონებო,
 ჩემო მოწვალე ბატონებო,
 სასთუმლის იებს ვეძებთ
 ჩემი ცრემლების ნამზე.

პერცხლის ჩიტი

მოფრინავს ვერცხლის ჩიტი
 ვერცხლის ქალაქში ხვალ
 და ერთი ვერცხლის ბიჭი
 ვერცხლის ქალს ეტრფის კვლავ.
 ჩვენი ქალაქი რუხი,
 სხივიც მკრთალდება მზის.
 შავი ფორანი მუხის
 ტოტზე ეულად ზის.
 ჩვენი ქალაქი ქარვის,
 შენც ქარვის სვეტი ხარ

და ამ ქალაქში არვის
 არეინ არ ეტრფის, არ...
 ჩვენი ქალაქი ვიშრის,
 ვიშრის თვალები მკლავს
 და ვერცხლის ქალაქისკენ
 ფრთებივით ვიქნე მკლავს.
 მოფრინდი, ვერცხლის ჩიტო,
 ტოტივით გაძლე მხარს,
 რა, არ მოხდება, ვითომ
 ვერცხლის ქალაქში ხარ.

სიყვარული შემოდგომისას

სოფელი ესე სახესა ხმებით.
 აჰა, რა გრგვინავს ცაზე?
 გრძელკაბიანი, გაშლილი თმებით
 ვინ გარბის შარაფაზე?

ჩემი ჩურჩულით ამშვიდებს წვიმა
 ქუხილით შეძრულ ტყეებს,
 ძირს ჩამოცეკნილ ფოთლებში სიძინათ
 ქარით წაღებულ დღეებს.

ქარო, დაჰბერე! შენს შმაგ ქროლეაში
 ვისმენ ერთადერთ სახელს.
 წვიმავე, ხმაურით მიუკაცუნე
 ჩემი სიცოცხლის ხარკმელს.

მაგრამ... რა ისმის ასეთი მწველი?
 პატარა ჩიტი გალობს.
 თვალები შვების ცრემლით მაქვს სველი,
 მაღალი ღმერთი მწყალობს.





ბზა

მოთხრობა

იმ დღეს ცა განსაკუთრებით ღურჯი იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ევამლი და ღრუბელი აკლდა.

მზესაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა იმ დღეს...

ალვის ხეები საგულდაგულოდ გაპრი-
ალებული ვერცხლის სვეტებივით ისე
ბრწყინავდნენ, თითქოს კენწეროებზე
ცეცხლი ეკიდათ.

მუხლებზე დაემხო აემი. ერთბაშად
ამოძრავდნენ მის გარშემო საგნები... ჯერ
მარჯვნივ გადაქანდა ყოველივე, მერე
მარცხნივ; წონასწორობა ძლივს შეიკავა.
თანდათან თვალთ დაუ-ბნელდა... ძლივს
გასაგონად წაილულლულა: „მრწამს ერთი
ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი,
შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულ-
თა ყოველთა და არა ხილულთა...“ –
მწამს... მწამს კი? – თითქოს სივრცეში და-
ტრიალდა მისი სიტყვებიც; მერე... მერე
ერთიანად გაქრა ყოველივე, რაც გარს
ეხვია, მაგრამ გაქრა მხოლოდ მისი აღ-
ქმისათვის. მაგიდა, სკამი, ოთახის კედლე-
ბი, ხმაურიანი ქუჩები... ყოველივე თან-
დათან დაპატარავდა, დატრიალდა და
ჩაეხვია ერთ ნამცეცა ნერტილში; შემდეგ
აემისაკენ დაიძრა, თვალებს შორის არე
გაარღვია და შთაინთქა მის გონებაში.

ფეხის დასადგამი ადგილი აღარ დარჩა,
მით უფრო სადმე ნასვლის საშუალება.
საკუთარი უმწეობით დაბნეულმა
სივრცეში ხელისცეცება იწყო. ცარიელ
გარემოში უკუნეთ სიბზნელში დარწმუნ-
და, სხული თითქოსდა ადგილზე პქონ-
და. აზრის მოკრეფას შეეცადა, მაგრამ
შიში ამის საშუალებას არ აძლევდა.

– არაფერი მტკივა, არაფერი მანუხ-
ებს...

გაიფიქრა, თვალეში მილულა და შეეც-
ადა, რაიმე განწყენებულზე ეფიქრა.

– არც, არაფერი მომხდარა! ახლა
თვალს გავახელ და ყველაფერი თავის
ადგილზე იქნება; ისევ ჩემს სანერ მაგი-
დასთან ვიჯდები... ო, რა სიამოვნებით
მოექაჩავ ყალიონს...

აემმა თვალი გაახილა, მის ირგვლივ
ისევე ბნელი სიციარიელე იყო.

– სად ვარ? რა შემემალა?
ჩაფიქრდა,

– უნდა დავწყნარდე! აუცილებლად
უნდა დავწყნარდე...
ერთი, ორი, სამი...

დაიწყო თვლა,
– ასორმოცდაშვიდი, ასორმოცდარ-
ვა...

ახლოს ვილაცის ხშირი, ღრმა სუნთქ-
ვა მოესმა. იმდენად ახლოს, რომ ყურის
მარჯვენა ნიჭარაზე თითქოს თბილი პა-
ერის ნაკადიც მოეფინა.

– მომიწყვდე ხომ კუთხეში? – გა-
ისმა ქალის ნაძალადევად შემკრთალი
ხმა. ამ ხმამ აემი უფრო შეაკრთო, თვალე-
ბი დაკვესა და იშის დასამტკიცებლად,
რომ არავინ მოუმწყვდევია, ქალსა თუ
კუთხეს დაუნყო ძებნა. მოულოდნელად
ტუჩებზე მისი ველური კოცნა იგრძნო.
იმავე დროს, ალბათ, უფრო დაძაბულო-
ბისაგან, ვიდრე ვნებით, აემი მოდუნდა
და შეეცადა ამ მოულოდნელი განცდის-
ათვის დაეყოლიებინა თავი, მაგრამ
თითქოსდა ქალი სწორედ ამას ელოდაო,
იმავე წამს მოშორდა. გაქრა ანაზდეუ-
ლი შეგრძნებები, თუმცა მისი ტუჩების
ურჩევულო გემო შერჩა.

უცნაური იყო მის ვითარებაში ქალის
შეგრძნებაც და მერე გაუჩინარებაც.

– ვინ იყო? – გაიფიქრა,
– მოჩვენება, თუ ცხადი? ნუთუ უამ-
რავ საგნებსა თუ სახეებში როგორმე ამ
ქალის გარეგნობა უნდა გამოვარჩიო?
ყურადღება რაღაც კონკრეტულზე გადა-
ვიტანო და ამ უცნაურ გარდასახვაზე
აღარ ვიფიქრო?

– რა მშვენიერია...
ვილაცის ხმა ნამოტივტივდა. ამჯერად
არავის ძებნა არ დაუნყია; კაცის გესლიანი
ხმა კი გამოსცრიდა,
– საჭირო იყო მისი... შენ კი რა პქე-
ნი?
აემი შეცბა.

თითქოს მოიძია, რალაც გამოარჩია გონებიდან. მიძიმე თეძოები, თეთრი ქვედაბოლო; მუქ ბლუზაში პატარა მკერდი, ლამაზ სახესთან მიტანილი ცხვირსახოცი...

– რაზე ვფიქრობ!

ნამიერად გამოერკვა აემი,

– სად ვარ? ნუთუ ვერაფერს მოვახერხებ? აქ არც მეცნიერული ცოდნა გამომადგება, არც ნაქები ხელმარჯვეობა... ყველა საგანი, ვგონებ, ჩემშივეა თავმოყრილი, რალაც ერთი ელემენტის სახით...

მერე უკუნეთ სიბნელეში უფლის ბიბლიური სიტყვები გაახსენდა: „დაე იყოს ნათელი...“ ჩაფიქრდა,

– ნუთუ ჩემს გონებაში შთაინთქა კოსმიური ენერჯია, ყოველგვარი ნათელი? რამდენჯერმე გაიმეორა,

– გონებაში! გონებაში... აბა, როგორ გამოვარჩევდი ნელან თეთრ ქვედაბოლოს... ის იყო, ნამდვილად – არიანდა; მაგრამ მე არც მიცდია მისი კუთხეში მომწყვდევა, არიანდამ თვითონ მოისურვა... მერე კი თავად დამისხლტა ხელიდან, რა უნდოდა? სასაცილოა?

გაიფიქრა აემმა,

– ვფიქრობ იმაზე, თუ რა უნდოდა ოდესლაც არიანდას, და არ ვფიქრობ იმაზე, თუ რა მიინდა მე!

პო, გამახსენდა... მე მიინდა, ყოველივე, რაც ჩემს გონებაში ჩაიდგა, ისევე ძველებურად გადმოეფინოს, გამობრწყინდეს და აავსოს გარემოს კუთხე კუნჭული...

აემი ისევ შიშმა შეიპყრო.

– ეგებ გარდავიცვალე და ვერ ვხვდები?!

სიკვდილის გახსენებაზე თავისი ბავშვობის ეპიზოდი წარმოუდგა.

ესმის გაკვეთილის დამთავრების მანიშნებელი ზარის ხმა. უნდა წამოდგეს; ამ დროს ზურგიდან ვილაც ძლიერად ურტყამს თავში ნიგნს, ისე, რომ თვალთ უბნელდება და ნაპერკლეები სცივია. შავტუხა თანაკლასელი, ზედმეტ სახელად „აპაუასა“, დამცინავად დასჩხავის:

– მამ შენ მარადიული ურია ხარ, ბიჭო!
– რამ ათქმევინა მასწავლებელს ჩემი სახელის შინაარსი, რა მოსვენებულ ვიყავი, გაიფიქრა აპასფერმა.

მერე სხვა ეპიზოდი ამოუტივტივდა: ქალაქის განაპირას, ტრიალ ველზე, უფრო ზუსტად თიხის კარიერში, მიათრევენ ბიჭები. ზოგს ფეხებში ნაუვლია

ხელი, ზოგს – ხელეში, მის ჩადგდებას ლამობენ რალაც ღრმა

გამწარებული ფრთხილდები კემუდარება ხელი გაუმვან. თანატოლები ხარხარებენ, დასცინიან; აინტერესებთ, როგორ მოკვდება. განიცდის ნეალებას, ცალკე იმისათვის, რომ ცოადვილია, ცალკეც იმისათვის, რომ უკვდავი. უნდა დაუმტკიცოს, რომ იგი არც უკვდავი და არც ღვთის მგმობელი, მაგრამ პასუხად მხოლოდ დამამცირებელ გინებას იღებს. ბოლოს ზედ ჭის თავზე, არ იცის ბიჭებს შეებრალათ, თუ თვითონ მოახერხა მათი ხელიდან გასხლტომა; ნაცემი, თავდაუზოგავად გარბის. ცრემლმორეული მშობლებზე ჯავრობს,

– მაინც რამ დაარქმევინათ აპასფერი? ჩემს მეტს, ვგონებ, არც არავის შექვია იმ ცოადვილი კაცის სახელი... რამ გაახსენათ?!

აპასფერს, შესაძლოა, გულკეთილობით და, შესაძლოა, ლაჩრობითაც ცხოვრებაში არაგისთვის დაურტყამს; უკმეხადაც კი არ უპასუხია ვინმესთვის. სამაგიეროდ თვითონ იღებდა ყოველივეს უხვად სასწავლებელში და მის გარეთაც.

აპასფერი ჩაფსკენილიც იყო და ლონიერიც, ტოლს არ დაუდებდა ჩხუბში მისზე უფროსსაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პატარასაც შეეძლო სურვილისამებრ დაეცინა და აბუჩად აეგლო იგი. თუმცა სტუდენტობის პერიოდში მის მიმართ დამოკიდებულება საპირისპიროდ შეიცვალა. იქნებ იმიტომ, რომ მოზრდილები იყვნენ, ძალა ისე აღარ ერჩოდათ და, იქნებ, იმიტომაც, რომ მან თავისი სახელი ისე შეცვალა, რომ აპასფერისაგან, ორიოდ ხმოვნის გარდა, არაფერი დარჩა. ეს კი არავის ყურადღებას აღარ იპყრობდა; უფრო მეტიც, ახალ ნაცნობებს ორიგინალურიც ეჩვენებოდათ სახელი აემი. ბავშვობის მეგობრებმა და ახლობლებმაც გაუგეს და ძველი სახელი მის მწარე ბავშვობასთან ერთად წარსულს ჩაბარდა.

მხოლოდ სიკვდილის მოახლოებამ გაახსენა რატომღაც თავისი ბავშვობის სახელი.

– ეგებ გარდავიცვალე!

კვლავ გაიმეორა აემმა,

– არა! გარდაცვლილი რომ ვიყო, ხომ ვერ ვიგრძნობდი კოცნას? სუნთქვის შეგუბებას?

ჩაფიქრდა აემი,



- ეს არ იყო გასათხოვარი, შავგვრემანი დიანას კოცნა; მანაც ძალუმად მაკოცა ისე, რომ კარგა ხანს ტუჩები მტკიოდა; პო... დიანას ჩემს მეგობარზე სურდა გათხოვება... მასაც არიადნასავით შუაზე გაყოფილი, უკან შეკრული თმა ჰქონდა... მაგრამ ახლა რომ მაკოცა, დიანა ნამდვილად არ იყო... ისე კი, რატომ მაკოცა დიანამ? თუ ჩემი მეგობარი მოსწონდა? თუმცა მე კი ვიცოდა ალექსის ამბავი, სულაც არ აპირებდა მის ცოლად შერთვას, მაგრამ დიანამ ხომ არ იცოდა?

მერე აემს თავისი პირველი სიყვარული გაახსენდა,

- ის ყველაზე ლამაზი იყო...

გაიფიქრა,

- თუმცა მისთვის საერთოდ არ მიკოცნია... ეგებ იმიტომაც მიყვარდა, რომ არ მიკოცნია? მითუმეტეს, რომ მისი გათხოვების შემდეგ მალევე ვადამიანიყვდა... ესე იგი, უბრალოდ მომწონდა.

აემს თვალწინ წარმოუდგა გაცისკროვნებული არემარე, მოდის გოგონა ჭაბუზე, როგორც ზღვის ტალღა და ყოველივე ქრება გარშემო... ლურჯი სამოსი, ლურჯი ფერი მისი თვალების და ბაგე, თითქოს მომლიმარი... როგორ ანათებს, როგორ ბრწყინებს, როგორ კაშკაშებს... მერე კი მზერა იქერს მზერას და ნამიერად იბადება მარადისობა...

აემი მის თვალებში ჩაძირვას სხვა სამყაროში ყოფნას ადარებს; სახელიც მოუძებნა ამ სამყაროს - „ლურჯი სამყარო“!

„ლურჯი სამყაროს“ გარშემო ქვეყნიერება მისთვის უკვე ბნელია... და ამიტომაც ამიერიდან აქ ყოფნის ერთადერთ აზრს ამ სამყაროს კვლავ და კვლავ განცდა წარმოადგენს...

აემს სურს ყველაფერი გაიგოს „ლურჯი სამყაროს“ შესახებ; გააკეთოს ის, რაც აამაღლებს „ლურჯ სამყარომდე“, მაგრამ ამოად...

აი, ის შემთხვევითი შეხვედრები... ნამიერი ნეტარება, ისევე ნამიერი, მხოლოდ ნამიერი.

წინასწარ იყო აემი შეგუებული იმ აზრს, რომ იგი მხოლოდ ოცნების სამყარო იყო მისი და სხვა არაფერი. ამიტომაც გადაიტანა იოლად მისი გათხოვება. ერთი კი აფეთქდა ამის გაგონებაზე, ერთი ამოიგმინა თვალცრემლიანმა და ლურჯ ცას ისე ახედა, თითქოს მის წართმევასაც უპირებდა ვინმე...

- „ლურჯ სამყაროში“ სხვა აღმოჩნდა...

იმეორებდა იმ დღეს აემი თავისთვის, თითქოს გამოფიტული და ცხელი გრძნობებისაგან და მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა,

- ნეტავ, თუ გრძნობს ის სხვა, „ლურჯი სამყაროს“ სიდიადეს?

რამდენიმე დღის შემდეგ კი აემი შეეგუა იმ აზრსაც, რომ „ლურჯი სამყარო“ საერთოდ აღარ არსებობს, რადგან იგი გაიცრია, გაითელა, შეირყვნა...

ასე, ერთი ამოსუნთქვით, გაირბინა აემის ცხოვრების ოთხმა წელმა. ეს სწორედ ის წლები იყო, როდესაც ყმანვილი აპასფერისაგან აემი იბადებოდა.

ეგებ, დრო არ ეყო აემს „ლურჯი სამყარო“ გაეთავისა?

- ერთი წელიც და...

ფიქრობდა ზოგჯერ აემი, მაგრამ ის კი ცხადია ვახდა მისთვის, რომ „ლურჯი სამყარო“ მაშინაც შეირყვნებოდა, გაქრებოდა, იგი მისი რომ გამხდარიყო.

- მუშაობა, მუშაობა... ჭეშმარიტების ძიება... ამას ვერავინ დამიშლის, ვერავინ წამართმევს...

ფიქრობს აემი.

მას სურს შეიცნოს რაღაც ისეთი, რაც ვაარკვევს სამყაროს არსშიც და საკუთარ არსშიც; საერთოდ, ყოველივეს არსში.

აემს ეს გარკვევა ისე წარმოუდგენია, როგორც დაორთქლილი მინის განმენდა... გადაწმენდას მინას და ნახავს სინამდვილეს.

ახლა მის თვალწინ რაღაც სხვა ცხოვრებისეული მომენტი წამოტივტივდა:

ლაბორატორიაში ზის, ზამთრის სიცივემ აიტანა, გაუთავებული ღამეა... იქნებ არც ამ საქმიდან გამოვიდეს რამე. რამდენი სამუშაო დაუწყია და არ გამოსულა.

აემს ეძინება, მექანიზმის მონოტონური ხმა ყელში ამოუვიდა. თბილ ოთახში სურს ყოფნა, თუნდაც არ დაიძინოს და რაიმე საინტერესო წიგნი წაიკითხოს...

დანადგარიდან დატოტლი, მკვეთრი იისფერი სხივების ცქერისაგან თვალის გუგები ეწვის, გამოვიდეს მინც რაიმე... ჯერ არავის ჩაუტარებია მსგავსი ექსპერიმენტი... რაც უფრო დიდხანს იქნება ჩართული დანადგარი, მით უფრო გამოვა. თენდება...

- ყოველივე ეს წარსულია, ჩაფიქრდა აემი.

ისევ სიბნელე; ისევე შუქი...

გრძნობს აემი, როგორ ეწვის უდაბნოს ცხელ ქვიშაზე გაუთავებული სიარულით

დალღილი ფეხები. იესო ჯვარს აცვეს... ის განკაცებული ღმერთი ყოფილა! სისულელე ეგონა მისი ღვთაებრიობა. ეჭვობდა, სანამ ცოცხალს ხედავდა; სანამ ხედავდა მხიარულსა თუ მოწყენილს, ადამიანური ყოფით დამძიმებულს, რომელიც ყველა წარმავალს გააჩნია. იგი მხოლოდ წარმავალს ამჩნევდა მასში; თურმე რა მარადიულობის დამტყვევ ყოფილა.

ის ამჟამად აპასფერია, დანყველილი თავისი უგუნურებით. თუმცა ეს უგუნურება არც ადრე აკლდა მას, როცა ძველი რჯულის მოძღვრებასაც ლაღატობდა და ადონაის სასწაულებს შემთხვევითობასა და კაცთა თვალთმაქცობას მიანერდა.

აპასფერმა ჭკუა ვერ ისწავლა; მიდის მზაკრული გადანყვეტილების შესასრულებლად, თუმცა გრძნობს, რომ მისი ჩანაფიქრის აღსრულება ისევეა წინასწარ განწინარული, როგორც მისი ბედი.

შორს, პორიზონტზე, მზის ცხუნვარებაში, აღმოსავლური ქალაქი ლივილივებს, ქალაქი მექა. მაშინადი ახალ ღმერთზე ქადაგებს. ხალხი ნაკადებად გუბდება მის გარშემო.

აპასფერიც ირევა ამ ხალხში; ის ჯანმრთელია, უბერებელი, ასე იწება განგებამ; მაგრამ ცუდი როლი ერგო სათამაშოდ, უნდა იჩქაროს, ახალი ცოდვია ჩასადენი. სხვაც ჩაიდენს ცოდვას, მაგრამ მას სხვა სახელი ერქმევა; რა გამოლევს ღმრთის მგმობელს; აპასფერი კი ერთია, მას განსაკუთრებული „ეშხი“ აქვს. ის წინასწარი სინანულია, უშეტესნილად, მოსახდენის სინანული და არა მომხდარის. მისი ზვედრი ისევეა „დალოცვილი“, როგორც ცოდვილ მინახე გამჟღავნებული სამოთხე.

– საოცარია მათი რწმენა, – ფიქრობს აპასფერი, – ადამიანები ხომ ვერ ხედავენ ქვეშაარითად მარადიულს?

თავისდაუნებურად გაიმეორა აემმაც: – ქვეშაარითად მარადიულს? იგი ახლა ამ უჩვეულო ხილვამ დააფიქრა,

– ნუთუ სამყაროც ერთობა ჩემს სახელზე? მე ხომ არა ვარ ნამდვილი აპასფერი; მე ხომ მშობლებმა დამარქვეს ასე? აემი გრძნობს, რომ იგი მარტოა, მაგრამ მისი და მასთან დაკავშირებული წარსული და აწმყო ერთად არის თავმოყრილი სადღაც, მის არსში.

– არ ვიცი, სად ვარ, – ფიქრობს იგი, – მაგრამ მაშინ კი ვიყავი სად ვიყავი, როცა ვასხივოსნებულნი სამყარო გვარს მებნია? ნუთუ ყოველივე მუდმივ გამოცანად უნდა დარჩეს ჩემთვის?

მწარედ გაცინებაც ვერ მოასწრო, რომ თითქოს ვიღაცის ხელმა იმ უკუნეთში რაღაც ვინრო ხერხელში შეათრია. უფრო სწორედ, გრძნობს, თითქოს თავი აქვს სადღაც შეყოფილი.

ალაც შიშის გრძნობა დაუფლებია, აღარც გაკვირების.

– ღმერთს მივენდობი! – გაიფიქრა აემმა,

– ღმერთს მინდობილი კაცი უძლეველია, რაც არის, მისი ნებით არის და რა არის, ერთარსმა იცის მხოლოდ!

– ქალებზე რაღას იტყვი? ქალებზე?! – ვიღაცამ ჩაიქირქილა თითქოს.

– ქალი სილამაზეა... – ჩაილაპარაკა აემმა,

– თუ არა ქალი, განა იარსებებს არსი კაცისა? – ისევ სიწუმე ჩამოვარდა.

აემმა თავის განთავისუფლება სცადა, მაგრამ ამაოდ.

– თავიდან ხომ არ ვიბადები? გაიფიქრა,

– ჩემი სამყაროინადა სადღაც სხვა განზომილებაში ხომ არ უნდა გადავიდე?

უცებ აემს თვალწინ რაღაც ბუნდოვანი, მინდვრის მაგვარი სიგრცე გადაეშალა. აქა-იქ მოთეთრო საგნები ილანდებოდა. თვალეები ღამის გადმოცვენამდე დაძაბა და გაურკვეველ საგნებს მიაჩერდა.

თეთრი სხეულები თითქოსდა გადაადგილდებოდნენ, თანდათან ერთმანეთს ეკვროდნენ. მათში აემმა ერთბაშად ჩონჩხის ფორმა გაარჩია. ერთი, მეორე, მესამე... საიდანლაც მელოდისავით ჩაესმა: „ფეხმძიმედ იქმნენ ღამეები ბედისწერისგან და ათასწაირ საოცრებებს მშობიარობენ...“

– მშობიარობენ... მშობიარობენ...

აემს გაუკვირდა კიდეც, თავიდან რატომ ვერ შეამჩნია, რომ იქაურობა ჩონჩხებით იყო მოფენილი.

ერთ-ერთი ჩონჩხი მკვეთრად შეინძრა, მისკენ შემობრუნდა, კბილები გააბრქიალა და ნაშობდახა:

– მომიწყვედიე ხომ კუთხეში?

თითქოს ექაოო, ხმა აემის ყურებში მებნის გრგვინვასავით გამეორდა ისე



ძალუმად, რომ ვერ მიხვდა, რომელმა ხმამ უფრო შეაკრთო. მოეჩვენა, სხვა ჩონჩხები ახარხარდნენ.

– ჩემი კოცნა სულ არ იყო საჭირო! – ნამოძახა მეორე ჩონჩხმა,

– რა გაენწყობა, თუ გინდა კიდევ მაკოცე, მაგრამ ამჯერად უფრო გეტკინება ტურები.

ხარხარის მაგვარმა უცნაურმა ხმამ ახლა უფრო აშკარად გადაუარა ჟრუანტელივით.

იქვე მუხლებზე დამდგარი ჩონჩხი თავს მონოტონურად ახეთქებდა მინას და გაჰკოფდა:

– კიდე! კიდე! კიდე!

მის ყოველ ნამოძახილზე სხვები ტაშს სცემდნენ. ერთ-ერთმა ჩონჩხმა ხელები ზეღაპყრო და ყველა შეჩერდა;

– ო! შენ ხომ მე გიყვარდი, აღარ გიყვარვარ? ნახე, რა ლამაზი თვალები მაქვს, როგორი დაბუმტული, მიხაკისფერი ტურები.

ისევ სიცილი.

მან კი თავისქალის ცარიელი უპეები და სანახევროდ კბილებჩაცეცნილი ყბა აემს თვალწინ ისე ახლოს მიუტანა, რომ მკაფიოდ გამოჩნდა ქიებისაგან ნახევრად გამობრული ძვლები, რომლებიც მინითა თუ ქუჩყით იყო ამოვსებული.

– შენ გამხდარი ხარ! – გაისმა სხვა ჩონჩხის ხმა და ისევ შემზარავი ხარხარი...

– მას ჩემნაირი ფერხორციანი ქალი მოენონება!

აათამაშა ბარძაყის ძვლები ჩონჩხმა; ისევ ხარხარი...

ჩონჩხების სიღრმიდან ხმა გაისმა:

– მე შენ მიყვარდი, რატომ მიმატოვე? რატომ არ გინდოდი? აბა, შეხედე ამით, რომელი მჯობია მე?

– ან მე რომელი მჯობია?

გაისმა კიდევე საიდანაც;

– ან მე?

– ან მე?

თითქოს თითოეულმა ცალ-ცალკე აიტაცა ხმა, თანდათან გაძლიერდა შეძახილი.

– მომპორდით უგრძნობო სხეულებო!

– შეპყვირა აქვს, – თქვენ ასე საზარლად და ერთმანეთის მსგავსად მხოლოდ იმიტომ გამოიყურებით, რომ სული არ არის თქვენში! სული!!!

ჩონჩხებმა თავში მუშტების ცემა დაიწყეს. ამჯერად სიცილი აღარ ისმოდა. მათ შეძახილებს მონოტონურად თან სდევდა

ძვლების შეხეთქების ყრუ ხმა. ხელის მტევნები ტაკატაკუცხრ, ხმსხმსხმსხმს; შეძახილები თანდათან ვმმმმმმმმმმმმმმმ შეიცვალა. თავისქალებს კბილები ჩამოსცვივდათ, ყბები მოერღვათ, დანან-ვერდნენ და დაიშალნენ. ისინი ისევ მიმოიფანტნენ ბუნდოვან სივრცეში, როგორც თავდაპირველად და წყვდიად-ში გაუჩინარდნენ.

ამის შემდეგ უზარმაზარი სახსე მთვარე ნამოტეტივდა, ნითელი მთვარე... რომელსაც დღე მოჰყვა, უცნაური დღე, რალაც უამინდო, ცარიელი...

აემი ხის პატარა კარს მიყრდნობია, თუმცა იგი ამჯერად ისევ აპასფერია, რომელიც მინიდან სერიის საყურებლად არის გამოსული. სანახაობა კი მართლაც უჩვეულოა... დამნაშავედ მიჩნეული ჯვარს უნდა აცვან.

აპასფერი დაჟინებით შეპყურებს ალაგ-ალაგ ტყავდახეთქილ, გასისხლიანებულ, გამხდარ მამაკაცს, რომელიც ზურგით ვეება ჯვარს მოათრევს და ბარბაქოთ მოაპობს ერთიანად ალტკინებულ ბრბოს.

უჩვეულოა... ისმის ღრიანცელი, ხარხარი, შეძახილები, ყიფინა... და მაინც სიჩუმეა, ავის მომასწავებელი სიჩუმე; იმგვარი სიჩუმე, რომ აპასფერს საკუთარ მუხლზე ჩამოღვრილი ოფლის ხმაც კი ესმის. იგი თვალს ვერ აცილებს ეკლის გვირგვინს, რომელიც ნაგვემ კაცს თავზე აქვს ჩამოცმული. ის ამ ნუთებში წვეტიან ეკლებზე შერჩენილ კანის ნაფლეთებსაც კი ხედავს...

თანდათან ახლოვდება ჯვარი... ჯვარი მოქანავე... მოირწევა ისე, თითქოს მოფრინავს...

გზა გოლგოთისაკენ აპასფერის ეზოზე გადაის. ეს გარდაუვალია. ამგვარი ადგილი ერგო მას იერუსალიმში.

აპასფერი ძელის დაცემის ყრუ ხმამ გამოარკვია, ქანცგანყვეტილი კაცს მის წინ დაეცა სულის მოსატყმელად...

– და იგი თავის თავს ღმერთის ტოლად მიიჩნევს?

ნამოუნთო,

– გაჭირვებული, სუსტი და უმწეო ჩემი თავიც მეყოფა!

საკუთარი იარებისათვის ვერ მოუვლია... ეს კურნავდა სნეულებს?!

– ო, გაძევრავ!!! – შეპყვირა აპასფერმა და გამეტებით გაარტყა სილა ჩამუხლულ იესოს.

ამ გარტყმით თითქოს აპასფერის გულში დაგროვილმა ჯვარმა, ბოლმამ თუ უძმობამ ამოხეთქა...

გარტყა ისე, რომ ხელისგულზე მწვავე სიმზურვალე ივრძნო... და სიმწრისაგან კიდევ უფრო მწარედ გამოსცრა:

– „ნადი, იესო, იარე სასიკვდილოდ“
ოჰ, ეს უძირო თვალები... ცასავით უძირო და საოცრად თბილი, სიყვარულით თბილი თვალები...

ერთი შემოხედვა და აპასფერს ხელმეორედ მოქნეული ხელი პაერში გაეყინა.

– „მე წაველა, მაგრამ შენ იცოცხლებ ჩემს დაბრუნებამდე...“ – იყო პასუხი, მოკლე და მშვიდი.

მიიჩნევა ჯვარი, თანდათან პატარავდება, შორდება, შორდება...

აპასფერი გრძნობს, რომ მის არსს რალაც მნიშვნელოვანი მოსწყდა და ახლა ამ ჯვარს მიჰყვება გოლგოთისაკენ; გახვევებულ ხელს ახედა; თითქოსდა საკუთარი ხელი კი არა, ვიღაცის მიერ სასიკვდილოდ მოქნეული მახვილი იყო მის თავზე აღმართული. გაფთხრდა;

– ვიცოცხლებ იესოს დაბრუნებამდე...
– ჩაილაპარაკა,

– ეს მახვილიც ასე განუყრელად ეკიდება ჩემს თავზე... მის დაბრუნებამდე... მის დაბრუნებამდე...

ნელ-ნელა ისევ სიბნელე ჩამონვა, უკუნი სიბნელე.

აემი ახლა ამ სიბნელემ გამოაფხიზლა,

– როგორ! როგორ მივაკვლიო გონებაში საკუთარ თავს? – გაიფიქრა,

– სინათლე, სულ მცირე სინათლე მაინც დამანახა... ის მაინც გამაგებინა, რა დროა გასული, რა ხანი, რაც ამ სიცარიელეში ვარ...

აემს მოძრაობის სურვილი გაუჩნდა, მაგრამ ამაოდ.

– ნეტავ, არსებობს აქ დრო? ან კი აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა?

ისევ ჩაფიქრდა,

– ნამდვილად უნდა ჰქონდეს ბოლოს-დაბოლოს, ხომ დაეზრუნდები ჩემს ყოფაში, რომ ვერ დაეზრუნდე? მაშინ გარდაეცვლილვარ და ეს არის! რა უცნაური ყოფილა გარდაცვალება...

ფიქრობს აემი, რადგან მას ფიქრის გარდა აღარაფერი შერჩა:

– ადრე მქონდა ფიქრის და ქმედების უნარი; ახლა? ქმედების ნაცვლად ჩვენებები მაქვს. ჩვენებები იმისა, რაც

განმიცდია, გამიგია, ან ნარმომიდგენია ყოფაში, რომელსაც ვხედავ და ვეძიებ... როდემდე ვიქნები უსუსრ და უმეცრე? რაიმე არ გაირკვეს! ისე კი, რა ხან იმედ-და მაქვს, ყველაფერი არ დაკარგულა; ესე იგი, დრო ისევ მიედინება ჩემს გარშემო; რა ხან დრო მიედინება, სივრცეც უნდა იცვლებოდეს... მაშასადამე, მკედარი არ უნდა ვიყო! ეგებ ცოცხალ-მკედარი ვარ?!

აემს სხეული რომ ჰქონდეს, ალბათ, გაიცინებდა თავის ყოფაზე, მაგრამ ახლა მის ნაცვლად თითქოს სხვა იცინის.

– მარტო ვარ; მარტო, განვლილ ცხოვრებასთან დარჩენილი. დედამინაზე ხომ ამგვარ მდგომარეობაში საპატიმროში მყოფი მძიმე დაშინაშევიანი არიან ანდა ყველასაგან განდევნილი ბერები? ერთნი – სხვათა ძალით; მეორენი – საკუთარი ნებით. რაღს მე პირველს მივეკუთვნები... მაგრამ, თუ მეორე ვარ? ეგებამ მე თვითონ ავირჩიე ეს ყოფა? მაშინ მეც განდევნილივით უნდა ვილოცო... აი, ქმედება ერთადერთი, რაც შემიძლია!

აემს იმედი გაუღვივდა, გარკვეულმა შეებამ მოიკვა, მაგრამ უმაღლე შურცხვა თავისი გრძნობისა და ნამიერი სიმშვიდე სინდისის ქენჯნით შეეცვალა.

– რატომ არ დავინყე ლოცვა მაშინვე, როცა სხეულებს პირველი გარდასახვა შევამჩნიე? როცა ვნახე, რომ ნიგნი ნიგნს არ ჰგავდა, კაცი – კაცს და ქალაქი – ქალაქს? როცა შევამჩნიე, თუ როგორ აირია ერთმანეთში მახინჯი და მშვენიერი, კეთილი და ბოროტი, ჩემი და სხვისი; და ბოლოს, როცა ჩაეხვიე ერთ ნერტილში ჩემი ყოფის ნათელი და ბნელი.

ნუთუ მე, რომელიც ღმერთს მინდობოდ კაცად ვთელი თავს, მხოლოდ მაშინლა ვესხენებ ღმერთს, როცა ყველა გზა მოვსინჯე და არცერთი არ გამომადგა?

აემი შინაგანად შეივრძნობს საკუთარ ლოცვას. ის ევედრება ღმერთს მშობლების ჯანმრთელობას, როცა ისინი ავად არიან. აი, ისევ ლოცვულობს და ისევ გარკვეული გაჭირვების ფაშს. სხვა დროსაც ლოცვულობს აემი; ხან დღლით, ხან საღამოს, მაგრამ ის ლოცვები ზედაპირულია, თითქოს ვალდებულების მოსახდელი; მათ შინაგანი მზურვალეობა აკლიათ. არის ცალკეული მადლიერების სიტყვებიც ღმერთის მიმართ ამა თუ იმ ნარმატების შემთხვევაში, მაგრამ ეს ლოცვა არ არის,



მით უფრო იმგვარი, სულიერად, რომ განიცადოს.

- ასე მცოდნია ლოცვა და ახლა ამ ლოცვებს ველარ შეეცვლი.

აემი ჩაფიქრდა,

- აღბათ, ყოველივე დავიმსახურე; ამ ყოფაში ჩემი სურვილით არ უნდა ვიყო ჩაყარდნის. ახალს ვერაფერს მოვიმოქმედებ, როგორც მიცხოვრია, როგორც „გამინძრევია ხელი“, ღმერთიც ისევე მშველის.

აემს ისევ მოუსვენრობა დაეუფლა, სურს მთელი ძალით იყვიროს, შველა ითხოვოს:

- რატომ არის ასეთი წყევლიაფი?! სადა ვარ?! არის აქ ვინმე?!

აემისათვის მოულოდნელად მისი ხმა ყოველი მხრიდან გაისმა, როგორც დიდ ტაძარში.

აემს კიდეც სურს რაღაც თქვას, მაგრამ ამ დროს შეამჩნია საიდანდაც ჩქარი ნაბიჯით მისკენ მომავალი თავისი სიყრმის მეგობარი - ალექსი.

სიბნელის მოუხედავად მეგობარი ნათელში მოდის ისე, თითქოს ასფალტი მის ფეხებს მოჰყვებოდ. ალექსი სულ ახლოსაა; აემს სურს სიხარულისაგან შესძახოს მას, მაგრამ რას ხედავს? კაცს ფერხითი ასფალტი კი არა, ნისლის მაგვარი ღრუბელი უვია, ხოლო ის, ვინც მეგობრად აღიქვა, ნათელ სამოსში გახვეული, მშვენიერი ახალგაზრდა ვაჟია, რომელსაც მტრედის მაგვარი წყვილი ფრთა უფარავს ზურგს.

გაკვირებულმა აემმა ნამოძახა:

- ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში წარმომედგინა!

ყმანელი კი პასუხობს:

- სცდები, აემ! შენ მხედავ ისე, როგორც შეგიძლია ხედავდე შენს მფარველს...

აემი ისე სხაპა-სხუპით აყრის შეკითხვებს, თითქოს დიდი ხნიდან ელოდა მის გამოჩენას:

- ჩემო ანგელოზო! რატომ არის ასეთი წყევლიაფი?! რა მოხდა?! სად გაქრნენ სხეულები?! ცოცხალი ვარ, თუ მკვდარი?! მას უხარია, რომ სხეულიც გარემუც მარტოოდენ სურვილის წყალობით შეუძლია წარმოთქვას სიტყვები; და, რაც მთავარია, ის, რომ საამისო მიზეზი გაუჩნდა.

- რასაც ხედავ, თავის ადგილს დაუბრუნდა ყოველივე, როგორც ჩრდილი უბრუნდება ღამეს. დაბუჭული თვალებით

მხოლოდ ლანდთა და სიზმართა ხილვა შეიძლება; გაახილე თვალები, დატრფულად ფარული!!!

გ ი ზ ლ ი რ ი მ ა მ ა

ყმანელის სიტყვები ჯერ დამთავრებულიც არ ჰქონდა, იმგვარი სინათლე აბდღურიალდა აემის წინ, ისეთი თეთრი და სპეტაკი შუქის მთოვარი, რომ აემმა საკუთარი არსი ხელახალ დაბადებასავით განიცადა. ისე შეერთა, თითქოს სიციხისაგან გათანგულს მოულოდნელად თავით ფეხებამდე ცივი წყალი გადაავლეს.

- ნუ სნუხხარ!

თითქოს ნათელიდან გაისმა ხმა;

- ეს შორეული ანარეკლიც არ არის იმისა, რისი ხილვაც შენ ხელარგენიფება... თუ სიბნელისა არა გესმის რა, ვერც სინათლისას გაიგებ რამეს... და თუ სიკვდილი არ გიგრძენია, ვერაფერს გაუგებ სიცოცხლეს...

- საიდნე მოდის ეს ნათელი? - კითხულობს გაოცებული აემი და ფიქრობს:

- თითქოს აქევა, იმდენად ახლოს, რომ თითებით მივწვდები, და თანაც უსასრულოდ შორს.

აემს თვალწინ ის ეპიზოდი დაუდგა, ოთხიოდე წლისამ მთავარეუ ასელა რომ მოისურვა. სახლის კედელს ებლაუჭება, სახურავზე ღამობს ასელას, მაგრამ რას ავა, ჯერ მუხლები საამისოდ გამაგრებული არა აქვს...

აემს ეღიშება თავის მიამიტობაზე. ის ახლა გრძნობს რაღაც ისეთს, რაც ადრე, თითქოს ძალზე დიდი ხნის წინ, შეუგრძნია;

- წინ ნათელია! გარემუო?

ჩაფიქრდა ისევ; მერე იგრძნო, რომ სადღაც, მენამული კლდის პირზე, იდგა იგი რაღაც უსახური გარისის სახით; იქვე კი უძირო, ბნელი უფსკრული იყო.

სინათლე იმდენად გაურკვეველი, უჩვეულო სიმსუბუქისა და თაფლის გემოს მაგვარ გრძნობად ეფინება აემს, რომ ამ სინათლეში შელწევის დაუოკებელი სურვილი უჩნდება; და რაც უფრო უჩვევა ამ შუქს, მით უფრო უმძაფრდება ეს სურვილი.

აემს ისევ „ლორჯი სამყარო“ გაახსენდა... თითქოს ის გაფანტული, წამიერი განცდები აქ რაღაც ერთ, განუყოფელ თაიგულად შეკრულა...

- თავისუფლება! აი, სად არის თავისუფლება!!!

ფიქრობს ალტაცებული აემი,

- იქ ყველა სანატრულთან მე ვიქნები და ყოველი ჩემთან იქნება, წარსულიც,



ანმყოფ და მომავალიც... ნეტარება! აი, რა ყოფილა ნეტარება!!!

ო, ღმერთო! რა უბადრუკი ყოფილა ჩემი ყოფა?! სად ხარ, ანგელოზო! ჩემო ანგელოზო! გამაგებინე, რა ქმნის ამ გრძნობას?! საოცარ გრძნობას?!

აქვს ვარკვევით ესმის ზარების მელოდური ნკრიალი, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივ ლითონის ხმიანობა; აქვს ამ ხმაში პასუხს გრძნობა:

– არ არსებობს გრძნობა სუსტი ან ძლიერი, აქვს! არსებობს გრძნობა ყალბი და ნამდვილი.

დროში მიმდინარე გრძნობები დროშივე იკარგება, აქვს! მარადიული კი, თვით უმნიშვნელო ნაპერწკალიც, არასოდეს არ ქრება!

ნათელში გსურს შეღწევა, აქვს! ხიდის გარეშე ვერ შეღწევა, აქვს!

– მიჩვენე ეს ხიდი!!! – ისე აღმოხდა ეს სიტყვები აღელვებულ აქვს, როგორც სასიცოცხლო მუდარა.

– ადამიანის გულადობაა ეს ხიდი! მხდალი კაცის ნინ მხოლოდ უფსკრულია!

შეხედე მაცდურთ, როგორ ჩაუხერხავთ გზის ყოველი კუნჭული. აი, მეძავნი და მოქიფენი, ფლიდნი და ავაზაკნი; ამპარტაყანნი, მკვლელნი და ურნმუნონი. გულადობაა ყველაზე მრისხანე იარაღი, რომელიც კაცს ღმრთისაგან დრო-ჟამის დასაძლევად მიუღია! თუ ტკივილისა და თავგანწირვის გემინია, ნათელს ვერ მიღწევა!

– მაშ, არაფრის შიში არ უნდა მქონდეს?! – მეტი სიცხადისათვის დაეკითხა აქვს;

– პოი, ადამის ძეო! – ისევე გაისმა ხმა,

– თუ კაცს არაფრის შიში არა აქვს, ის არც არსებობს; და თუ კაცი შიშს ვერ მოერია, ის ვერ იარსებებს!

აი, ვეუბნები: კარი ერთია, ყოფა – ორი, როგორც ნათელი და ბნელი...

და ხედავს აქვს კარს; ერთი მხრივ, მდიდრულს და საზეიმოს, მეორე მხრივ, პირქუშსა და მკაცრს.

მიიჩვენე აქვს კარისაკენ და გრძნობს, როგორ ეფინება მის არსს ხან ნათელი, ხან ბნელი.

აქვს არ ჩქარობს, კარამდე მანძილს გუმანით ზომავს, სურს იმ მომენტში აღმოჩნდეს შესავალთან, როდესაც მასზე ნათელი იქნება გადმოფენილი...

კარის თალებთან ხმა მოესმა:

– ვინ ხარ შენ?

– მე აქვს ვარ!

მუდარის მაგვარიც დაწინააღმდეგარევი ხმით პასუხობს, **ბიორბი/ქურხული**

– განგებით ბოძებული სახელი?

გაისმა ისევე ხმა,

– მშობლებმა აპასფერი შემარქვეს...

ამჯერად პასუხი ამკარად შიშნარევი გამოუვიდა,

– მერამდენედ მოდიხარ, აპასფერ, სანუთროს კართან, ნუთუ არ იცი, შენი დრო დიდი ვარსკვლავთცვენით რომ არის განსაზღვრული?!

აქვს სურს თქვას, რომ იგი პირველად არის აქ; რომ იგი არც „ნამდვილი“ აპასფერია, მაგრამ ირველი ყველაფერი იმდენად ნაცნობად ეჩვენება; თვით ხმაც, რომელიც ზარავს, იმდენად ბუნებრივი და მრავალჯერ მოსმენილი, რომ ეჭვობს კიდევ, ეგებ მართლაც ვარ ადრე აქ ნამყოფიო.

აქვს მერე სიერცეში შეკიდულ ხიდს შევლო თვალი და იხილა ხალხი, ნაცნობნი თუ უცნობნი; მკვიდრად ნაგები ზღუდესათვის რომ ჩარიგებულან გზაზე. იგი ხან ერთი მათგანის ადგილს იკავებს, ხან – მეორისას; ბარბაცით აწყდება უცბირებს და ისევე ხიდის თავში ექცევა.

– აი, სად მოგიყვანა ეჭვმა და შიშმა! – გაისმა ისევე ხმა.

აქვს იმდენად რეალურად შეიგრძნობს თითოეულ სიტყვას, თითქოს მას აზრის ნაცვლად რაღაც განიჭებულ მოელენას აწვდინა, რომელიც მის არსს სადღაც სიღრმეში უჩინარ სხეულად ეკვრის.

– არ არსებობს მხდალი კაცის სიკეთე, ერთგულება და სიყვარული; არც ხიდი არსებობს მხდალი კაცისათვის!

მისი გზა მის ბუნავს არა სცილდება, ხოლო ბუნავი მის სხეულზე ფართო არ არის.

აქვს ისევე ფიქრმა მოიცვა:

– გულადობა იარაღია, გზა და საშუალება, რათა გადალახოს ექვმა ცოდვის ცდუნება, გაჭირდება და ტკივილი, მაგრამ გულადობა თავისთავად ხომ არ არის ადამიანი?

პასუხი არ გაისმა, სამაგიეროდ, ნათელი შარავანდელი შეიგრძნო ისევე.

– მცირე ხნის ნინ, – ფიქრობს აქვს,

– მხოლოდ ყოფის ვარკვევა, ჩემი სხეულისა თუ ვარემოს მოძიების სურვილი მანვალბდა; აი, ყოფა! აი, ვარემო! როგორ შევალწიო მასში?! გულადობა ყოფილა საჭირო! ჩანს გულადობაც განსაზღვრავს ჩემს არსს...

აემი ფიქრობს და თან გაოგნებული შესციცინებს ცხოველმყოფელ სხივებს. იგი შეპყრობილია სასონარკვეთითა და სინანულით, უსაზღვრო სინანულით.

– ღმერთო, შემენიე! გამათავისუფლე ამ ყოფისაგან! გადამადგმევენე ეს ერთი ნაბიჯი, რომელიც ამ ნათელს მაშორებს! უფალო! მზად ვარ მთელი ცხოვრება დავთმო... მიშველე!!!

შეპყვირა სასონარკვეთით,

– ნეტავი მჭონდეს უნარი არსებობა თავიდან დაიწყო!

– შენ ახლაც ცხოვრობ, – გაისმა ისევ ხმა,

– ცხოვრობ, ოღონდ მხოლოდ შენი ცხოვრებით; ქვეშარიტების ხილვისათვის კი ეს ხედვა არ არის საკმარისი;

– შესაძლებელია ვიზილო ქვეშარიტება?!

– თავისდაუნებურად იკითხა აემმა, – შესაძლებელია, სრულიად შესაძლებელი და თანაც არა მხოლოდ შესაძლებელი!

– სად ვარ?! – იკითხა ისევ აემმა, – ვისი ხმა მესმის? წმინდანის? ანგელოზის?

მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ გუგუნვით თითქოს მისივე წიაღიდან გაისმა პასუხი:

– შენ შენსავე გონებაში ხარ და ჩვენი სახით შენს საკუთარ ხმას ესაუბრები!

– გონებაში?!

– გაიმეორა აემმა ნიონამხდარი გაკვირვებით,

– განა ისეთი რა არის გონება, რომ ამგვარად იტყეს თავის თავში მთელ სამყაროს, ყოველგვარ აღქმას და თვით საკუთარ არსსაც?

ღმერთო! როგორ გავარჩიო, სად არის სინამდვილე და სად წარმოსახვა? რა არის გონება, ჩემი მეობის საფუძველი? წყარო სიკეთისა და ბოროტების ქმედებისა, თუ გადაულახავი ზღუდე, რომელიც ქვეშარიტებას ფარავს ჩემი სანიურიდან?

აემს ისევ სიცარიელე და უიმედობა დაუფლავს; იგი თავის თავს ისევ მარტოსულად აღიქვამს და გრძნობს, რომ შეკითხვასაც უფრო საკუთარ თავს უსვამს ვიდრე ვინმეს.

აემმა მის წინ მარაოსავით გაშლილ ნათელ სხივთა სიმებს გააყოლა თვალი, რომელთაც მარჯნისფერი ღრუბლები გავრღვიავთ ცაში.

აემის წინ აღურიცხავ გზადეკიცლისა და ბილკის ობობას ქსელივით ამოევსოთ პირქუში სიცარიელე.

საიდანღაც მისი ფიქრის უქრსავით ეკლავ ხმა მოესმა აემს: *ერქენსული*
– ქვეშარიტების ხილვა გინდა? შენც ცოდვების ბუნაგში ჩაკეტილს? ბუნაგში ჩაკეტილს... ჩაკეტილს...

აემის ირგვლივ ცამ და ხმელეთმა იწყონრწევა. ისე თითქოს საქანელაში იჯდა და ვილაცის უხილავი ხელი აქანავებდა.

სხეულები და მათი ფერები, ისევე ერთი მეორეში აირია. აემი ცდილობს, რაღაცაზე შეაჩეროს ყურადღება ამ სიმშენაგში, სილურჯეში, სინითლეში... და აი, გრძნობს, ხედავს, როგორ განისვენებს იქვე, გვერდით, გარდაცვლილი მისი სხეული, ეს ესაა მკერდზე რომ დაუკრიფეს ხელები. მის შორიახლოს კი პირველ ნაბიჯს დგამს თოთო ბავშვი...

– ესეც ხომ მე ვარ... – ფიქრობს უცნაური რწევით გაბრუნებული აემი;

– მე ვარ ის ბიჭიც, ნანვიმარ ტალახს რომ სრესს თითუბით ფერადი კენჭის გამოსარჩევად და ვერ კი ამჩნევს საკუთარ სხეულს – ქვეულს ტალახად, ხვილფ მოდებული ვალავნის მიღმა, მივიწყებულ საფლავთა შორის...

და ხედავს აემი საკუთარ თავს შენობებში თუ ბილიკებზე, ყველგან, სადაც გაუვლია; იქაც, სადაც ვისმეს უნახავს იგი და აქაც, სადაც ვერაფერ ხედავს და ვერვის ხედავს; ვერვის, საკუთარი გონების სარკმლის გარდა. ამ სარკმელში კი ყველაფერში მისი ყოფა ჩანს მოქანავე ღრუბლების ფონზე, რომლებშიც აემის სიხარული და მწუხარება სხვადასხვაფერ ტონებად შეგუბებულია...

● აემი ქსელში გაბმულ მწერსა პგავს; იგი თითქოს თავისუფლდება კიდეც ერთი ადგილიდან, მაგრამ უშალ მეორე ადგილში უბმევა... სურს, როგორმე იპოვოს ამ ბადეში ის უკანასკნელი არე, რის შემდეგაც დაიწყოს მისი უცნაური გარდასახვა, მაგრამ ამაოდ... იგი ლამის შეეჩვიოა ამ მდგომარეობას. მისი ხილვები, ხედვა თუ შეგრძენება უმეტესად ცალმხრივი და კონკრეტული გახდა; იმისაგან განსხვავებით, რასაც თავდაპირველად აღიქვამდა. აი, აემი სანერ მაგიდასთან ზის...

კარგა ხანს დაეძებდა იგი ამ ადგილს; მის მხარზე მუქი ფარდის მკვეთრი ჩრდილი ირწევა. მაგიდის კიდესთან,

ტელეფონი გაუთავებლად რეკავს. ყურ-
მისს ჯიქურ იღებს; ქალის ხმა აკრთობს:

- მომიწყვედიე ხომ კუთხეში?

- არიადნა? - დაბნეულად პასუხობს
აემი,

- ჰმ, ახლა არიადნაც გამზადე?

მკვახედ მოუჭრა ქალმა და ტელეფო-
ნის ნვეტილი ზუმერი შეატოვა;

- ვინ იყო? რა უნდოდა? - გაიფიქრა
აემმა, იქვე მდგარ ფინჯან ყავას დასწე-
და და ისე მოხვრიბა, თითქოს სიტუაციას
უსინჯავდა გემოს. შემდეგ ყალიონს
მოუკიდა ცეცხლი. მის გარშემო საგნებ-
მა იისფერი ელფერი შეიძინეს.

- არა! - წამოიძახა, - ძალით კაცის
დათრობა გამიგია, ძალით დაქორინებაც,
მაგრამ ძალით ცხოვრება?!

აემმა იმავე ნუთს ყალიონი საფერ-
ფლუზე მიაგდო, პირჯვარი გადაიწერა და
სხაპა-სხუპით წარმოთქვა:

- ღმერთო! ღმერთო! მომიტყევე უმა-
დურობა! მომიტყევე!

აემი წამოდგა; ახლად ფეხადგმული
ბეჭვივით გაიარა ვინრო დერეფანი, კარი
გამოხსნა და ჩაკედული კიბით ქვევით
ჩავიდა. ჩაბნელებულ ოთახში მკვეთრი
მოდრაობით რამდენიმე ტუმბლური ჩარ-
თო. მოზრდილი ლაბორატორია თვალ-
ისმოძრელი სხივებით განათდა.

აემი ბუხრის გვერდით, შეშავებულ
კედელთან, ხის სავარძელში ჩაეშვა. აქ
თავმოყრილია მის მიერ ნღების მანძილზე
რუდუნებით შევროვილი ლიტერატურა,
რომელსაც იგი წმინდა მეცნიერებას
უნოდებს.

- წმინდა მეცნიერებაში ადგილი არ
არის ღმერთისათვის; - ასე განსჯიდა
ყოველთვის აემი,

- სამყარო არის მხოლოდ ის, რასაც
ვხედავ და რასაც ვეხები... დანარჩენი ყვე-
ლაფერი ფარსია, ილუზია, გონების ნაყ-
ოფი...

დილიდან გადაუღებლად წვიმს... გა-
ნაჩენი გამოტანილია... კოცონზე დანვა
არ ასცდება...

აპასფერმა ღმერთი გააძევა თავისი
გარემოდან, ქვეყნიდან, სამყაროდან...
ჯალათებს ჰგონიათ, მისი დანვით მო-
სპობენ აპასფერს.

- ბრიკვები... უშეცრები... პირიქით!
პირიქით!!! - ფიქრობს აპასფერი და უს-
აზღურო სიამაყით ივსება მისი გული.

- რამ დაგავინყავთ თქვენი ღმერთის
მოდღერება, ვითომც მორწმუნენო!

არა კაც კვლა... არა განცილებლა...

გულში ეცინება აპასფერს...!

- ხეალ, თუ ზეგ მალნი ჩსუქსაგ-
აქცევთ და ჩემთან მოვა... - ფიქრობს
აპასფერი,

- ბრბოს მე ვჭირდები, მას ჩემული
სამყარო ურჩევნია... სამყარო მარადი-
ული, უსასრულო! ყველგან ყველაფერში
მხოლოდ სხეულები, მრავალფეროვანნი,
დიდი თუ პატარა, ხილული თუ უხილავი...
მაგრამ მხოლოდ სხეულები, სხეულები და
სხვა არაფერი!

აემს ტანზე აღმური მოედო. სკამიდან
ისე წამოხტა, თითქოს კოცონს გამოექ-
ცაო. თავის ბოლო ნაშრომს გადახედა,
ჯერ გამოუქვეყნებელ „შედეგს“;

- როდემდე?

ჩაილაპარაკა,

- ნუთუ აღარ უნდა დასრულდეს ბრ-
ბოს რელიგია? რელიგია ამპარტავნობის!
მაგრამ ვერ შეეღევა ადამიანი ასე იოლად
მას ისევე, როგორც ვერ შეეღევა კომ-
ფორტს, გურმანობას, ავბორცობასა და
ნებივრობას... ისე გაჯდა ჩვენს ძვალსა და
რბილად ყოველივე, რომ უკეთესი მომავა-
ლი მხოლოდ უშეტეს დოვლათში გვესახ-
ება...

ო! რა ადვილია ლაპარაკი და რა ძნე-
ლია აღსრულება!

ამის გაფიქრებასთან ერთად აემი
თავის ნაცოდვილარ ნაშრომს დასწედა;

- რამდენი უძილო ღამე, რამდენი
ტკივილი და სიხარული...

გაიფიქრა; დააპირა დახევა, მაგრამ
უშაღ ძირს დაანარცხა;

- არა, არა! ჯერ არა!

აემი საკუთარმა გრძნობამ შეაკრთო.
ტუმბლერებს მივარდა, გამოართო. კიბე
ხელით მოიძია; აირბინა. შეჩერდა. სახ-
ეზე ცხვირსახოცით ოფლი შეიმშრალა.
მერე ადგილიდან მოწყდა და ქუჩაში
გასასვლელისაკენ გაემართა. კარი ყურ-
თამდე გააღო და ბლურბლთან შედგა.

ერთხანს მზეს მიაჩერდა;

- პოი, მარადისობავ! - აღმოხდა,

- აი, ვდგავარ შენი ნათელის წინაშე,
როგორც მინის ბელტი, რომელშიც ჩემი
სულის სახით სიცოცხლის თესლია ჩაგდე-
ბული. არ ვიცი, რა ღვივის, რა აღმოცენ-
დება ჩემი წიალიდან, მაგრამ ვიცი, რომ
ის უიმედოდ სუსტია და უმწეო, რადგან
მეტისმეტად შორსაა შენგან...

შეშინდა, რაც რომ დავაბოჩავე თეს-
ლი კეთილი - სიცოცხლე, როგორც ასე-



თი, რომელსაც არა აქვს სქესი და ეროვნება, ვით სიკეთესა და სიყვარულს; შემინყალე მე, უბირო ნიადაგი, როგორც უნაყოფო მდედრი; მომიტევე ჩემი მხდალობა!

მერე ჩუმად ჩაილაპარაკა:
- მინა ვარ, მხოლოდ მინა და მინადვე ერჩები...

კარი მექანიკურად მოიჯახუნა და ხალხმრავალ ქუჩას შეუერთდა.

მიდის აემი კონკრეტული გზით, მაგრამ არსად.

- ჰო! ვგონებ, ეს ერთ-ერთი ბოლო დღეა.

იგი შინაგანად გრძნობს ყოველ მოძრაობას...

აემი სავარძელთან ჩამოხლულა და ფიქრობს. შუალამეა, თუმცა ღამე უფრო გრძნობს აემს, ვიდრე აემი ღამეს... იქვე კი შემოდგომაა; ზეგვიანი შემოდგომა. აემი ყვითელი ფოთლების სიმრავლით აღიქვამს ამ სიუხვეს.

გრძელ სკვერს ბოლო არ უჩანს. მარტოა და მარტოა მოხუცი ქალიც - ჩამომჯდარი გრძელ სკამზე. ეს ქალი აემისათვის სივრცის ნაწილია და საკუთარი სხეულის ნაწილიც; უახლოვდება და ძველი ნაცნობივით ესალმება.

- ზღვისპირა ქალაქიდან ვარ ჩამოსული;

თავშალს ისწორებს მიმქრალ მზეს მიფიცებული ქალი. შემდეგ, რატომღაც თავისი ამბის მოყოლას იწყებს. თითქოს ზოგადად, თითქოს კონკრეტულად. რაღაც ცხოვრებისეულ დეტალებზე ჩერდება. აემი უსმენს და არც უსმენს. უმეტესად თბება. ქალის შემყურე მისი მზით გამთბარი სხეულით თბება...

- ქრისტიანულ ქვეყანაში ვცხოვრობ, ქრისტიანი...

ზმას უწევს აღშოფოთებით ქალი,

- მუსულმანებმა კი ჩემს ქალაქში მინარეთი ააშენეს; ვცოფდები, მოლას სიმღერას რომ ვისმენ დილაობით...

აემს შესცივინებს, მისგან თანაგრძობის სიტყვებს მოელის.

- ათეისტები არ ცხოვრობენ თქვენს მახლობლად? - ეკითხება აემი,

- როგორ არა! - ღიმილით აგრძელებს ქალი, - კარის მეზობელი პირნავარდნილი ათეისტია. სარწმუნოება სიბნელეაო, - ასე გაიძახის...

ჩემი ბიჭიც მასეა! ნასწავლია (იმას ვეწავლე), მაგრამ რა, მარხვას ვერ

დააცვევინებ და პირველს ვერ გადაიანერიწებ... დამცინის, ეკლესიისთვის წავიდე! დი...

- მერე და არ გალიზიანებებ? - ჩაურთო აემმა,

ქალი არაფერს პასუხობს, ელიმება.

აემი ადგილიდან არ იძერის, ვიბეებში ხელებჩანყობილი სახეში შესცქერის. მის თეთრ თმას და დანაოჭებულ შუბლს აელეებს მზერას. ფიქრობს, თქვას კიდევ რამე, თუ არა თქვას; ბოლოს მაინც გაჩუმება არჩია; მდუმარედ მოსცილდა ქალს. ის აღარ არის აემის ნაწილი. აღარც სივრცის ნაწილია ქალი.

მიდის აემი; მიუყვება ქუჩას...

მოეჩვენა თითქოს ყველა მას აკვირდება, მასზე ლაპარაკობს. ტანზე დაიხედა, სახლიდან საშინაო მოჩითული პერანგით გამოსულიყო. არაფრად ჩააგდო, საყვლო გაისწორა და გზა განაგრძო. ქვეფენილთან რაღაც შეერილ ფეხი ნამოპკრა, უსიამო გრძნობამ გადაუარა გულზე, ფეხსაცემს ჭყვინტი შექერცვლოდა;

- რა უბედურებაა! - კბილებში გამოსცრა აემმა.

ნელ-ნელა გამვლელები ნაცრისფერ სილუეტებად იქცნენ...

აემმა თავისდაუნებურად სხვა გზაზე, სხვა დროში გადაინაცვლა.

დილის ექვსი საათია, ბინდბუნდი. ქუჩაში ხელწანით მიმავალი აემი ტაქსი აჩერებს;

- ავტოსადგურისაკენ! - მიმართავს მძღოლს და ავტომანქანაში ფდება.

მძღოლი სწრაფი მოძრაობით სიგარეტს ცეცხლს უკიდებს და მანქანას ძრავს.

- იცი, ალბათ, რა მოხდა ნუხელის?! - ისე მიმართავს აემს, რომ თამბაქოს კვამლს პირდაპირ სახეში აბოლებს;

- არა... - დაბნულად პასუხობს აემი, თან უზერზულობის თავიდან ასაცილებლად ვიბიდან თვითონაც სიგარეტს იღებს.

- მომიტინგეებს დაერივნენ... უამრავი დახოცილი და დაჭრილია... რამდენიმე მე თვითონ გადავიყვანე...

მზრებგაშლილი მძღოლი შეიმშუშნა და რაღაც ჭუჭყიანი ჩვარი გარეთ მოისროლა;

- რაა?! - გაფითრდა აემი; მოეჩვენა თითქოს სივრცეს ჩამოაწყდა უეცრად რაღაც არსებითი, რაღაც იმგვარი, რა-

მაც თბილი ღამე ერთბაშად დააცარიე-
ლა...

– ვიცოდი! ვიცოდი, რომ ასე
დამთავრდებოდა! როგორ ვაფრთხ-
ილებდი... კმ, დამცინოდნენ, არა ხარო
პატრიოტი...

რა დროს მგზავრობა... ეს ხომ გაქცე-
ვას ჰგავს, თანაც ასეთ დროს... დაერჩე?
ფიქრობს აემი,

– მაგრამ ახლა რაღა... რაღა მნიშ-
ვნელობა აქვს...

აემის ავტობუსი ერთადერთია, რომელ-
მაც მძღოლის მოხერხებულობით მოასწრო
ტრასაზე გასვლა. ქალაქი ჩაკეტეს.

მგზავრები ორ ნაწილად არიან გაყ-
ოფილნი; იმად, ვინც იცის რა მოხდა
ღამით და იმად, ვინც არ იცის და აინ-
ტერესებს გაიგოს რა მოხდა.

აემის გვერდით მჯდომი გამხდარი
ყმანვილი, რომელიც ძლივს დასხლტომია
ჯალათებს, მუხლებს მონოტონურად
აქანავეებს და დაუფრებელ ამბებს ყვება.

აემს დანიშნულების ადგილამდე რამ-
დენიმე მცირე ქალაქი აქვს გასაღეული.
ავტობუსი ოციოდე წუთით ჩერდება თი-
თოულ მათგანში. აი, პირველი გაჩერე-
ბაც.

აემი სიგარეტის მოსაწვეად ჩადის.
იქვე, მის შორიახლოს, ხუთიოდე კაცი
რაღაცაზე საუბრობს. მათ ჯერ არ იციან,
რა მოხდა წუხელის. აემი ჯგუფს უახ-
ლოვდება და მიტინგის დარბევის ამბავს
ამცნობს. დეტალურად ამცნობს ყვე-
ლაფერს, რაც მოისმინა.

აემმა უეცრად შეამჩნია, რომ მის
გარემომ მდგარი ხუთიოდე კაცი რამდენ-
იმე ათეულით გაზრდილიყო; მათ რიცხ-
ვს კი ახალი მსმენელები ემატებოდნენ.
ერთ-ერთმა მსმენელმა კითხვა დაუსვა
აემს:

– რას გვიბრძანებთ, აღარ ნავიდეთ
დედაქალაქისაკენ?

– რას ამბობ?

შეუპასუხა აემი,

– ახლა ერთადერთი კავშირი ქალა-
ქისა რაიონებთან თქვენ ხართ; აუცილე-
ბლად წადით! გზად კი ყველას გააგები-
ნეთ მომხდარის შესახებ.

მძღოლები უხმოდ შებრუნდნენ და
თავთავიანთ ავტობუსებს მიაშურეს.

აემი სახტად დარჩა.

– თურმე ხალხზე ზემოქმედების
როგორი უნარი მქონია; რა ადვილი ყოფი-
ლა...

აემს თვალწინ ნითელი დროებით
გვერდდამშვენებული აქასტერი ნარ-
მოუდგა და ხალხი, მის გარშემო თავ-
მოყრილი, უამრავს შინაარსიანი
ხალხი...

აემმა თვალები დახუჭა და ისე გაიქნია
თავი, თითქოს აბეზარი მოჩვენება უნდა
მოიცილოსო.

ჩაფიქრდა, გონებით შეეცადა, კვლავ
მოგვიანო დროს დაბრუნებოდა.

ვიღაცამ ზურგზე მხარი გააკრა. აემი
დედაქალაქშია, მომცრო მოუდანზე. ბა-
ნალტით ნაგებ სვეტებიან შენობასთან
დგას. მოუდნის შუაგულს ქანდაკებანი შა-
დრევალი ამშვენებს; გარშემო კი ვარდებ-
ითა და გეორგინებით გაშენებული სკვერი.
გრძელი სკამები ახალგაზრდებსა და მოხ-
უცებს შეეცსთ.

აემმა მიმოიხედა. დიდი ხანია ამ ქუ-
ჩაზე არ გაუვლია. ხის კენწეროებს შეე-
ლო თვალი და მზერა, მოულოდნელად
ძველი ეკლესიის გუმბათს შეეჩეხა.

– ეს ხომ ის ეკლესიაა, მშობლები ბავშ-
ვობისას რომ დამატარებდნენ;

გაიფიქრა და სხეულში თითქოს რაღაც
სიმშვიდის მაგვარი ჩაელვარა.

– ერთი ორჯერ სტუდენტობის დრო-
საც ვიყავი, მერე კი რატომღაც არა. ჩემი
მოდღარი, მამა იოანე... ალბათ, ცოცხა-
ლი აღარც არის; ის ჯერ კიდევ მაშინ
თეთრწვერა მოხუცი იყო.

როგორ მიადგა აემი ეკლესიის კარს,
ვერ იგრძნო. შენობის სიგრილე ესაიმოე-
ნა. ხატთა წინ მდუმარედ მდგომ ორიოდე
მლოცველს შეელო თვალი. მსხვილი კე-
ლაპტარი შეარჩია, თან გაიფიქრა: „წყ-
აღწეული ხავს ეჭიდებაო...“ ღვთისმ-
შობლის ხატთან მივიდა; დაანთო.

– კურთხეული ხარ, დედაო, დედათა
შორის, – ჩუმი ბუტბუტებს,

– რამეთუ იტვირთე წარმავალმა მა-
რადისობა; რამეთუ დაიტვი მრავალთა
შორის ერთმა, თვალთ უხილავი
მთლიანობა და არ შეუშინდი ბოროტე-
ბას.

აემმა თითებგადაქდობილი ხელები
მკერდთან მიიტანა და აღსარებისათვის
განკუთვნილ ოთახში შევიდა. შესვ-
ლისთანავე ხმა მოესმა:

– მოხვედი, აემ? რა ხანია გელოდი!

– მამა იოანე? – განცვიფრებით
იკითხა აემმა,

– ჰო, შვილო, ჰო... განა ჩემთან არ
მოხვედი?



– დიან, მამაო, რა თქმა უნდა!
თითქოს ძილიდან გამოერკვავო, იმგვარად უპასუხა. შემდეგ ხმის ბორძიკით, ნანყვეტ-ნანყვეტ ნამოინყო:

– მამაო, შევეცოდე... შევეცოდე... მამაო! გაქრეხე. მამა იოანეს პასუხს დაელოდა. პაუზა იმდენად დიდი გამოვიდა, რომ აემმა უცნაური უხერხულობა იგრძნო. სიჩუმე ჩამონვა. ვერაფრით ახერხებს აემი ამ სიჩუმის დარღვევას. სურს თქვას რაღაც, მაგრამ თითქოსდა სათქმელი ყულში აქვს გარჩილი. მამა იოანე კი დუმს; დუმს და ელოდება.

აემმა ვერა და ვერ ამოხეთქა სიტყვა; ცრემლები მოანვა თვალებზე.

– შევეცოდე... – კვლავ ნაიბუტბუტა. როგორ სურს აემს თვალებში შეხედოს მამა იოანეს, შემოპხვიოს მის კალთას მუდარით ხელები; შეელა სთხოვოს, მაგრამ თითქოსდა მოძღვარი სადღაც გაუჩინარდაო, მისგან ჩამი-ჩუმოც არ ისმის.

აემი გრძნობს, რომ იგი თავისი ცოდვის პირისპირ დგას და ვერაფრით ახერხებს მის გადალახვას,

– ბავშვობის ჩანაფიქრი...

ნამოინყო აემმა; ისევ შეჩერდა. ჩაფიქრდა, – „მამა იოანემ იცის ჩემი ბავშვობა, ჩემი გატაცებები, ეგება სიტყვა შემაშველოს...“ მაგრამ ამაოდ. ისევ სიჩუმე.

– ბავშვობის ჩანაფიქრი „უკუდავების ელექსირი“ თითქმის დავასრულე. – როგორც იქნა წარმოსთქვა აემმა.

ისევ სიჩუმე.

აემი ისეთმა მღელვარებამ შეიპყრო, თავისი გულის ძგერის ხმა ყურებში ესმოდა; ეგონა სადაცაა გამისკდებაო.

– თითქმის... – თავის მართლებს მაგვარად გაიმეორა აემმა.

– ეგებ აღარც ახსოვს მოძღვარს, რა ჩანაფიქრზეა ლაპარაკი და ჩემს განმარტებას ელოდება? ან იქნებ სულაც არ არის იგი დასაძრახი?”

სწორედ ამ დროს მამა იოანეს ხმა გაისმა, იმგვარი ტონით, თითქოს აემის ბუდის ნიგნი ჰქონდა ნინ გადაშლილი:

– ქვმშარიტების გზა, რომელსაც უნდა ესწრაფოდე, მუდამ თან გდევს, შენ კი ზურგმეტყუელი ხარ...

გახსოვდეს, უფალი ყოველთვის მზად არის მიგიღოს და შეგინდოს ცოდვები, როგორც თავის გზაბნეულ შვილს.

აემ! შენი სისუსტეა ის, რომ შეუპოვრობისა თუ გარჯის მიუხედავად, სინამდვილეში არაფერი გინდა; ნამს ჩა-

ბლაუჭებიხარ და მარადისობად მიგიჩინე-
ვია...

ერქნულა

რაღაცის შიში გაქვს... ჩემს მტერს რომ რაც უფრო გაურბიხარ, რაც უფრო ემალები განსაცდელს, მით უფრო ჰკარგავ და შორდები იმას, რაც ქვმშარიტად შენ გეუთვნის!

ისმინე და გეტყვი: შენი ცოდვა მახვილივით არის მობჯენილი შენს მკერდზე; მახვილივით, რომლის ვადა შენსავე ხელშია. უფალი მოწყალეა მათ მიმართ, ვისაც მოწყალეობა სურთ; უფალი არ შეენევა მკვლელებს!!!

აემი კედელზედელ გამოვიდა ეკლესიიდან; გული ისევ ძალუმად უცემს. ვინრო ქუჩა გადაქრა. ახალგაზრდა გოგონა შენობის კუთხესთან ფლეიტაზე, ნაღვლიან მელოდიას უკრავს.

– რატომ არ მომმართა ნათლობის სახელით მამა იოანემ?

მოულოდნელად გაუელვა გონებაში აემს,

– საოცარია... ნუთუ მონათლული არა ვარ? აბა, საიდან მახსოვს მამა იოანე? მასთან საუბრები... ან ახლა რატომ მიმიღებდა ასე, მოუნათლავს? მაგრამ ჩემი ნათლობის სახელი, რომ არ მახსოვს... მახსოვს მზადება ნათლობისათვის... შო, მზადება მახსოვს; თუმცა ზოგადად, უფრო სწორედ – სურვილი...

ო, ღმერთო! სად ვარ? ვინ ვარ? საით მივდივარ? ან რას გაუერბივარ? – ჩაფიქრდა აემი,

– საკუთარ თავს თუ ამ მრუდე სარკეებს, რომლებიც ადამიანების სახით მახვევია გარს; და მეც, როგორც რიგითი სარკე ამ სარკეებს შორის, როგორც რიგითი... გზაბნეული... ცოდვილი... ჰმ, თავისდაუნებურად გაეცინა აემს,

– განა შე რიგითი ვარ?!

ფიქრებში ნახული აემი საკუთარი სახელის უეცარმა გაგონებამ შეაკრთო. მისი სახელი კვლავ და კვლავ განმეორდა... აემის წინ ძველი ნაცნობი გეო იდგა და რაღაც მოსულელო ღიმილით შესტკეროდა.

აემი რატომღაც გეოს ორ მოყვითალო კბილს მიაჩერდა; აქეთ-იქით ჩამტკერულ კბილებ შორის ეულად რომ გამოკრთოდნენ და, შესაძლოა, იმგვარივე ღიმილით მიესალმა.

– ო, ეს ლოთი, – გაიფიქრა,

– „საუკუნეა“ არ მინახავს და მაინცა და მაინც დღეს შემხვდა... დალუვა არ ამ-

ცდება, არ ამცდება იმიტომ, რომ მეც მინდა...

აემს თითქმის არც ესმოდა გეოს ლაპარაკი, თუმცა გრძნობდა, რომ უკვე დასალევად მიდიოდნენ.

მალე ისინი თამბაქოსაგან დანისლულ კაფეში აღმოჩნდნენ; თეთრ მუშაობიან მაგიდას მიუსხდნენ და ამ ნისლს სინქრონულად თავიანთი ამონაბოლქვიც მიუმატეს.

ფიფურის ვაზში ნახევრად შემქნარ გვირილებს მიმტერებელი აემი მხარზე ხელის მირტყმამ და გეოს სიტყვებმა გამოარკვია:

- ცუდად ხომ არა ხარ?! ამოიღე ხმა!

- არა, არა... - ნაძალადევი ღიმილით უპასუხა აემმა, - უბრალოდ ფიქრობ, საერთოდ, ბოლო ხანებში, ბევრი ფიქრი დამჩემდა;

- ო!

ჩაურთო სიტყვა გეომ,

- ფიქრობ, ანუ არსებობ!

თან გადაიხარხარა,

აემს სახეზე სიმბურვალემ გადაურბინა; გაიფიქრა: - "ნეტავი რა იცის ამან არსებობისა? რაც გაუგია, იმასვე იმეორებს..." გეომ კი თითქოს სიტყვა მოუჭრა, დაავიკრგინა:

- ამის გაგება, ჩემი აზრით, სასმელით უკეთესია; ე. ი. ესვამ, ანუ ვარსებობ!

და ისევ ააელვარა ყვითელი კბილები. აემს უხალისოდ გაეღიმა და ნელ-ნელა მოსვა.

აემს ამ წუთებში მხოლოდ თავდავიწყება სურს და გეოს მეშვეობით იმედოვნებს, მოახერხებს ამას.

რაც მეტს სვამს აემი, მით უფრო გრძნობს, რომ გეო უმეტესად ართობს მას, ვიდრე აკრთობს.

აემის მიერ ყოველი დაძლილი ჭიქის შემდეგ გეოს მხიარული როხროხი და შეძახილი მოყვება:

- აი, ეგრეთი მიყვარხარ, აემ! ეგრეთი!

დრო კი აემისათვის შეუმჩნევლად გადის.

მერამდენედ მოუნია საპირფარეშოდან ბარბაცით გამოსვლა. ახლაც გამოდის... ყველაფერი ტრიალებს; თითქოს იატაკი და კედლები აემისაგან დასხლტომას ლამობენ.

აემი ნამიერად გამოფხიზლდა. პოლიდან თავის ნასუფრალ მაგიდას გახედა, სადაც გეო ვიღაც ნვერგაბურძგვნილ-

ან ერთად რაღაც უთავბოლო ლიქინებდა.

აემი ქუჩაში გავედა, დამკვირვებელი ანათებენ. გამაღილი სიერცე ესიაშოვნა. სუფთა პაერი ღრმად შეისუნთქა; მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: "ვეელას თავისი გზა აქვს" და ბარბაცით გაუყვა ქუჩას.

სიარული უჭირს. შიგადაშიგ ოთხდება და ისევ გზას განაგრძობს.

- არა, საკუთარი ტყავიდან თავის დაძერწის ეს გზა გველის გზა; - ფიქრობს, - საქმე ჩემში ამ გველის დაძლევაა, დაძლევა!

ბოლო სიტყვა აემმა თითქმის წამოიყვირა.

- ისევ შევცდი... უკვე მერამდენედ... - ნაიბურტყუნა. ნაბარბაცდა. კვლავ გზა განაგრძო. ქუჩა ტორტმანით გადაკვეთა. თვალის გუგები უშმიძმდება. გრძნობს თანდათან ძილი ერევა.

- როგორმე სახლს უნდა მივალნიო... წუხს.

რაღაც ვინრო ხიდს მიუახლოვდა. მისი ძველებური ფარნები მოაჯირის გრეხილ ჩუქურთმებს უფრო ანათებენ, ვიდრე საკალ გზას.

აემი გაჭირვებით უახლოვდება ხიდის თავს. მის მოაჯირს ნაატანა ხელი. ლითონის სიგრილე ესიაშოვნა. შერყვდა; მოიხარა და შუბლი ზედ ჩამოდო. თავბრუ უფრო ძალუმად დაეხვია. ნონასწორობის შენარჩუნებას შეეცადა. ამ დროს შიგ ყურში მამაკაცის ხრინინანი ხმა ჩაესმა:

- მინყალობეთ რამე უმწეო მოხუცს! აემმა თავი წამოწია. იქვე, მის ფერხთით, მათხოვარი შენიშნა, რომელიც მისკენ სიბნელიდან ნათელში, გაძვალტყავებულ ხელს იშვერდა.

აემს ქვაფენილზე მჯდომი მოხრილი კაცი ჩვეულებრივზე პატარა მოეჩვენა, ხოლო მისი დამქნარი ცხვირი და გამონვდილი ხელის მტკვანი - ზომანზე მეტად დიდი.

აემმა მექანიკურად ჩაიყო ჯიბეში ხელი, სადაც ფული ეგულეობდა;

- ფუი... - ჩაილაპარაკა,

- მთელი ფული ოფიცინანტს ჩავეთვალე...

შეცბა.

მათხოვარი კი ხმის კანკალით განაგრძობდა:

- ეგებ მცირედი რამ მინყალობოთ, ბატონო! მინყალობეთ, ღმერთი შეგენვეათ...



აემი უფრო აწრიალდა. კიდევ ერთხელ მოისინჯა, თუ რამ ებადა. მერე თვითონაც აცახცახებულმა ჩაიმუხლა მოხუცთან; გული გადაულელა და მის ჩონჩხად ქცეულ მკერდს მიაშტერდა ისე, თითქოს რაღაცის გახსენება სურს და ვერ იხსენებსო.

შემკრთალი მათხოვარი გვერდზე გადანვა და ხელები აასავსავა.

აემმა ხელი გაუშვა. ნელი მოძრაობით მკერდიდან ბავშვობის დროინდელი ოქროს ავგაროზი ჩამოიხსნა და ხელის თრთოლვით გაუნოდა მათხოვარს;

– აილე, ნუ გემინია... ძვირფასია, მცირე ხანს თავს ვაიტან.

ჩამოხლულმა აემმა წამოდგომა დააპირა და კიდევ ერთხელ შეაღწო თვალი მათხოვარს, რომელსაც მუჭაში ჩაებლუჯა ძვირფასი საჩუქარი და უჩვეულოდ იცინოდა.

აემი გაკვირვებული მიაჩერდა მოხუცს.

– თუ მომისმენთ, – თქვა მათხოვარმა,

– იგავი მინდა გითხრათ, ბატონო! თუმცა ჩემგან რა გესწავლებათ სწავლულს!

აემი დაბნეულობამ მოიცვა. ჩვეულებრივ, მათხოვრისაგან მადლიერების ან დალოცვის მეტს არაფერს მოელოდა;

– იგავი?! – იკითხა შეტუბუნებულმა და სმენად იქცა.

მოხუცმა კი დაიწყო:

– იყო ერთი კაცი, რომელმაც მთელი თავისი ყოფა უკაცრიელ უდაბნოში გაატარა. ქამდა ველურ მცენარეებს და ნრუპავდა მათში ჩარჩენილ წყალს. ამ მწირმა არ იცოდა, რა იყო სიცილი, რადგან თავის ცხოვრებაში არასოდეს გაეცინა. დაებტებოდა ასე, უთავბოლოდ, და ყოველ ნაბიჯზე უკეთეს ადგილ-სამყოფელს დაეძებდა.

განგებამ მხოლოდ სიბურთისას მოახვედრა იგი აწვანებულ ოაზისში. ლურჯი ტბის პირას მუხლმოყრილი დაემხო. ამდენი წყალი ერთად არასოდეს ენახა. აწკარა ზედაპირზე საკუთარი გამოსახულება დაინახა. დააცქერდა გაოგნებულნი... ჰოდა, ერთბაშად გულიანად გადაიხარბარა.

ერთხელ გაიცინა ცხოვრებაში კაცმა, ერთადერთხელ და მოკვდა... ნამიერ გაელეებას გაედა მისი სიცილი... ამგვარი წამის შემდეგ, ალბათ, სიკვდილიც აღარ არის საშიში!

მოხუცმა დაამთავრა თხრობა. ორკაპაჯოხს დაეყრდნო, წამოდგა და წაშტერდა სიბნელეში გაუჩინარდნისკენ.

ქვეყნილზე ჩამოხლულმა აემმა თავი ისევ ზიდის მოაჯირს მიაყრდნო. ერთხანს ჩაფიქრებული გაირინდა, მერე ნელ-ნელა წამოინია, მხრებში გაიმართა. პაერი ისევ ღრმად შეისუნთქა. ხანაპიროს გრილი სიო ესიაშოვნა.

აემი აღარ ჩქარობს. საკინძემუხსნილ პერანგში გულთან იდეებს ხელს და ფითრდება. მსხვილი ავგაროზი ისევ მკერდზე ჰკიდია.

– ერთხელ გაეცინა... მხოლოდ ერთხელ...

ისე გაიმეორა სიტყვები აემმა, მკერდიდან ხელი არ მოუცილებია. ნაქცევისაგან თავი შეიკავა და კვლავ ზიდის მოაჯირს გაუყვა.

აემი ისევ მიდის, მაგრამ სად და რომელ გზაზე, არ ახსოვს. მხოლოდ ის ახსოვს, რომ რაღაცაზე უნდა გამინარდეს... ჰო, პატარა ბიჭი დაეჯახება ველოსისკედი და თანაც შეაგინებს: „გზა მომიყო...“, მაგრამ ეს რა გასახსენებელია? არა და, იმ ნუთუბში, ალბათ, ვაგლეჯდა ბიჭს, ყველა ჯაერს მასზე ამოიყრდა აემი, ხელში რომ ჩაეყრდნოდა... კარგია დროზე გაასწრო...

ჰო, არიადნასაც იმ დღეს შეხედა უკანასკნელად. მაშინაც ღამე იყო, თუმცა შემთხვევით არ შეხვედრია; არიადნამ თავად იპოვა მონყენილი აემი... ისე გადაულდა წინ თითქოს სრულიად უცნობი იყო, მარჯვენა მხარზე კაბა გადაიღულა და გამომწვევად დაეკითხა:

– „რა გქვია?“

ო! ეს საბედისწერო შეკითხვა...

აემმა იცნო არიადნა, აბა როგორ არ იცნობდა ბავშვობის, უფრო მეტი, ცხოვრებისეულ მეგობარს, თუმცა მათ ურთიერთობას ვერ უნოდებდა კაცი მთლად მეგობრულს. აემს სიამოვნებდა არიადნასთან ყოფნა, იგი თავს მუდამ მშვიდად გრძობდა მასთან... მშვიდად, მაგრამ არა თავისუფლად, ისე, როგორც მშობლებთან მორიდებული მოზარდი... ამიტომაც ყოველთვის გაურბოდა, მაგრამ ხან არიადნა პოულობდა მას და ხან თავად აემი. ეს უმეტესად მაშინ ხდებოდა, როცა რაიმეზე სასონარკვეთა თუ უიმედობა ეუფლებოდა...

– ეი! რა გქვია?!

ისევ მოესმა აემს არიადნას ხმა.

აემმა გადანყვიტა თამაშზე თამაშითვე ეპასუხა.

- აემო ჩემი სახელი...

- აემი?! არა შენ, რალაც სხვა სახელი გერქმევა? აბა, გამოტყდი!

აემმა იმ წუთებში აშკარად იგრძნო, რომ მას ახალი გამოცდა ელოდა;

- ბავშვობაში აპასფერს მეძახდნენ...

ენის ბორძიკით ჩაიბუტბუტა და თითქოს გაიყინაო, ისე მიაჩერდა ქალს.

- აპასფერს?!

იკითხა გაცეხებულმა ქალმა და ისე ვადიკოსკისა, აემს მოეჩვენა, მინა იძრაო.

ქალი კი სიცილს განაგრძობდა, თან შიგადაშიგ იმეორებდა,

- აპასფერ! აპასფერ!

აემი მოულოდნელად მუხლებზე დაეცა, ყურებზე ხელები მიიფარა და შეპყვირა:

- არა, არა... ვერ იხეიბებ ჩემზე, ბოროტებავ! მე გავიმარჯვებ, მე!

სიცილი კი არ ცხრებოდა; შემადრწუნებლად ყოველი მხრიდან მეორედებოდა ექოსავით.

ამ სიცილზე აემის თვალნინ ჩონჩხები აღიმართნენ. თითქოს ისინიც იცინოდნენ, ხარხარებდნენ.

ვარსკვლავებით მოჭედვილ შავ ცაზე მამა იოანეს ნათელი სახე გამოჩნდა, ისიც იცინოდა. მღვდლის სახეს მათხოვრის სახე შეენაცვლა; იცინოდა ისიც და თან ყურებში გუგუნოვით ჩაესმოდა: „ერთხელ გაცეონა, მხოლოდ ერთხელ...“ რასაც ექოსავით სდევდა შემადრწუნებელი შეძახილი:

- „იციცხლებ ჩემს დაბრუნებამდე...“

- აპასფერ! აპასფერ!

აემი ქვაფენილზე დაენარცხა, მოიკრუნჩხა და განწირული ხმით დაიგმინა:

- გაგანადგურებ! არაფერს დავტოვებ შენგან! არაფერს!!!

და აი, ბიჭი... ველოსიპედით მომავალი ბიჭი... ეშმაკის მოციქულივით რომ წაადგა, წაადგა კი არა, შეასკდა ზედ და თანაც შეაგინა...

აცახცახებული აემი უეცრად ადგილიდან მოსწყდა, ერთხანს ბიჭს სდია ყველა ჯავრის ამოსაყრელად, მაგრამ სიბნელეში მხედველობიდან დაეკარგა.

ანრიალდა აემი, ხარივით აბლავლდა. მის წინ ისევ არიადნა იდგა.

- ღმერთო! რატომ არ ნადგურდებიან ბოროტები? ღმერთო! რატომ არ ნათდება უმეცართა გონება?

წამოიყვირა აემმა,

- იმიტომ, რომ შენი გარემო სულაც არ წარმოადგენს სამოუხეცო დედას ჩვენ-შია გაბრწყინებული დედამაჩვენებს ხმადაბლა, ისე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო, თანაგრძნობის ნაზი ღიმილით გამოეპასუხა არიადნა.

- წამოდი... წამოდი, გავეცალოთ აქაურობას!

ხელი გადახვია მოშიშვლებულ მხარზე ქალს აემმა,

- არა... გზა ძალზე ვიწროა, აემ! ერთად ვერ გავივლით... ან შენს წინ უნდა ვიარო, ან შენს უკან... გამიშვებ შენს წინ, აემ! ეს ბილიკი კარგად არის ჩემთვის ცნობილი, მენდობი?!

- განა საქმე მხოლოდ ნდობაშია?

დატინებით მიაჩერდა აემი არიადნას შავ თვალებს და მოეჩვენა თითქოს მთელი სხეულით ამ სივრცეში გადაეშვა...

უეცრად აემს არიადნას ხშირი ღრმა სუნთქვა მოესმა, იმდენად ახლოს, რომ ყურზე თითქოს თბილი ჰაერის ნაკადი მოეფინა.

- მომიმწყვდიე ხომ კუთხეში?

გაისმა ისევ ქალის ნაძალადევეად შემკრთალი ხმა. ამ ხმამ აემი უეცრად გამოარკვია. მერე თითქოს რალაც გაახსენდაო, არიადნას მოსცილდა, ადგილიდან მოსწყდა და გამწარებული შინისაკენ გაეარდა...

სახლის კარი ღამის შეანგრია. სამუშაო ოთახში, ჩაკიდულ კიბეზე, გორაობითა და ფორთხვა-ფორთხვით ჩაეშვა. თავის „შედეგს“ - ჯერაც გამოუქვეყნებულ ნაშრომს დასწვდა და ნაკუნებად აქცია. ესეც არ იკმარა; ნაფლეთები ბუზარში შეყარა, ცეცხლი შეუნთო და რაც კი მოიხელთა მაგიდაზე, თუ უჯრებში, ყველა ხელნაწერი: ფურცელი, რვეული, გრაფილი... - ყველაფერი აბრიალებულ ცეცხლს მისცა.

- გაგანადგურებ! არაფერს დავტოვებ! არაფერს!!! - ღრიალებდა აემი და გრძელსაცეცხლურ მამას გამეტებით ურტყამდა ალაგ-ალაგ ნითლად მოკიაფე ფერფლს.

● აემი თითქოს საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. თითქოს რალაც თუ ვილაც მართავს მის ყოველ მოქმედებას.

დილაა. აემი კარადაში რალაცას ეძებს. გადანყვიტალება მიღებულია.

– შორი გზა მელის, – ფიქრობს, – ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყო...

სადაც ძველმანებში სიყრმის დროინდელი ზურგჩანთა მოიძია. სამგზავროდ აუცილებელი ნივთები სავარძელზე დააბჯავა. საკვებად რამდენიმე ყუთი ორცხობილა და მათარა წყლისათვის, ღამის სათევად კი დათვის ბენჯიანი ქურჭი შეარჩია.

– რამდენ ხანს შემრჩება ეს ყოველივე? ირონიულად ელიმება თავის თავზე; მაგიდასთან ფდება და ყალიონს აბოლებს. სრულიად მშვიდად, აუღელვებლად. მას არ ეშინია განსაცდელის, რომელიც, შესაძლოა, შეხვდეს უცნობ მზარეში.

– ფიზიკური გაჭირვება ხომ სხეულის ტვირთია და არა სულის. სხეული ნარმავეალია, ამიტომ ნარმავეალია განსაცდელიც. იგი მხოლოდ გამოცდა იქნება სულისათვის... თუ კი ვარ, უნდა გაუძლო გამოცდას!

აემი გულში სიხარულის მაგვარი გრძნობის მოზღვავეებას გრძნობს;

– უნდა გაუძლო განსაცდელს!
კვლავ იმეორებს, თითქოს სურს ამით გაიხანგრძლივოს საამო გრძნობა. თითქოს მომავალ, რაღაც გაუცნობიერებელ ტანჯვაშია სწორედ მისი შვება, მისი გადარჩენა. არა, აემი უცხო ქვეყანაში კი არ მიდის, არამედ საკუთარი თავის საძებნელად, საკუთარ თავთან შესახვედრად. იგი წინასწარ განიცდის ამ შეხვედრით გამორეულ სიამოვნებას.

– ადვილად არაფერი არ მოიპოვება, – ფიქრობს, – მით უფრო საკუთარი არსი, არსი სადაც დაკარგული, თუ მივიწყებული...

აღმოსავლეთისაკენ მიუწევს აემს ვული. სიცივე ყოველთვის აუტანელი იყო მისთვის. აემს მზე უყვარს, სინათლე, სითბო; თუმცა, რატომღაც, სიბნელესა და სიცივეში იტროლილობდა თავს. ახლა კი მორეა, გათავდა...

– მცირეოდენი ფული მაქვს, ერთ ცივ ქვეყანას მაინც გადამატარებს, მერე, თუ საჭირო იქნება, ღმერთი მომცემს, ღმერთი...

თითქოს ვულის კარი გაეღო, აემს ისევ სითბო ჩაელვარა მკერდში.

– შე, ღმერთი და მე... გარემო კი იქნება დღე და იქნება ღამე; დიდი თუ პატარა ქალაქები. იქნება სოფლები, ათასგვარი გზები, ადამიანები, ცხოველები... და ყოველივე ეს იმოძრავებს, ჩამივლის,

გადავივლის, შეიცვლება; მხოლოდ მიმართულება არ უნდა შევცვლიდნენ! ვინ შეცვლა არ შეიძლება! მაშინვე სწავლავს სამუდამოდ დავეკარგავ ღმერთსაც და ჩემს თავსაც...

ჩამტყალი ყალიონი საფერფლეზე დატოვა.

მძიმედ მიუყვება მტერიან გზატკეცილს. ახლად შობილივით შესცქერის ბინდებუნდში გახვეულ შიშველ მთებს. არც ბარგის სიმძიმე აწუხებს, არც ზორბა ქვები, შიგადაშიგ რომ წამოპკრავს ხოლმე ფეხს. აღმოსავლეთისაკენ უჭირავს გეზი, ცდილობს არ გაიმრუდოს სავალი.

– უფალო! – გამუდმებით ბუტბუტებს გულში, – გამოიოლე შენკენ სავალი გზა; ღმერთო! ღმერთო! შემენიე...

უკან მოიხედა. არემარეს მიმოავლო მზერა. პორიზონტის სიშორეზე სულიერის ნასახი არ ჩანს. თითქოს გარინდულაო ბუნება.

– სულ არ ყოფილა ძნელი, – ფიქრობს აემი,

– როგორ ვშიშობდი. რა მაშინებდა? ალბათ, საკუთარი უშნეობა! მაგრამ რა მოსატანია სხეულის უშნეობა, როცა სულს ესწრაფვი?

ადვილად გამოვალნიე ქვეყანას, რომელსაც ჩემი ურქვა და ადვილად მივაბიჯებ ქვეყანაში, რომელსაც სხვისი პქვია. არა და რა ასხავებს ქვეყანას ჩემად ან სხვისად? ალბათ, ის, როცა მის სიმდიდრეს ესწრაფვი, სიმდიდრეს ხორცის საამბებლად. ვანა სულისათვის არსებობს საზღვრები ან მიწაზე, ან ცაში?

აემმა ხმამაღლა გადაიხარხარა. გადაიხარხარა ნაძალადევადა, ნერვიულად. თითქოს რაღაცაში ეთანხმება და არც ეთანხმება საკუთარ აზრს. შეჩერდა. ბარგი მოზრდილ ლოდთან მიაგდო და გვერდზე მიუწეა. გულელმა გადაბრუნდა. შებინდებულ ცაზე შავად გნოლილ ღრუბლებს მიაჩერდა, მდორედ რომ იცვლიდნენ ფორმას. ისევ ახარხარდა. თითქოს რაღაც შინაგანი მუხტისაგან იცლებო.

– პირველი მგზავრობა უცნობ ქვეყანაში... აეტობუსის რბილი სავარძელი და გვერდით მშენიერი ქალი,

– ფიქრობს აემი,

– შემთხვევით? დავიჯერო შემთხვევით აღმოჩნდა მაინცა და მაინც ჩემ გვერდით ყველაზე ღამაში ქალი აეტობუსში? არა, არა მხოლოდ აეტობუსში;

რაც მოვდივარ, ისეთი ღამაში არაეინ მინახავს...

ქალი რალაცას ეკითხება, აემი პასუხობს, რომ არ ესმის მისი. ქალი ისევ თავისას განაგრძობს. აემი კვლავ უმეორებს, რომ არ ესმის; ქალი მხრებს იჩეჩავს და ისევ გაუგებარ ენაზე ლაპარაკობს. აემი აღარ პასუხობს, უნებლიედ მიმოაღებებს მზერას ქალის მოცახცახე მკერდსა და მრგვალ მუხლებს, მაგრამ მხოლოდ წამიერად, რადგან მხედველობის არეში ისევ შენობები, ხალხი, ცხოველები და ხეები ჩნდება, რომლებიც გამალებით უვლიან გვერდს. ქალი კი მიყვება, მაგრამ ამჯერად ჩუმად. აემი გრძნობს ქალის სითბოს, სუნთქვას... ზურნა-დაფდაფისა და ვილაც აშულის სიმღერის ფონზე, რომელიც მძლოლის რადიომიმღებიდან იფრქვევა.

დრო ტაატიტ გადის. განა კი სად ეჩქარება, მაგრამ თითქოს ეკლებზე ზის აემი. ფეხზე ქალის ფეხი ებჯინება;

- გავექცე? გადაეჯდე სადმე? - ფიქრობს,

- მაგრამ რაშია მაშინ ჩემი ძალა? ანდა რას გაურბივარ ბოლოს და ბოლოს, სხეულის საამოვნებას? მე ხომ არ ველტი მას? განიცადოს... ასეა მისი წესი, მთავარია, არ ავცდე მიზანს; ეს გრძნობა ჩემს ანმოსთან ერთად გაქრება...

აემს სტუდენტობის დროინდელი ერთი ეპიზოდი ახსენდება. მსგავსი ეპიზოდი, ოღონდ ყველაფერი პირიქით.

ნასახლე აემი ავტობუსში ადის. ის თვითონ უჯდება გვერდით ახალგაზრდა ქალს. გამომწვევად აღიქვამს მის მოკლე ქვედაბოლოს და ამიტომ უჯდება. მხარს მხარზე აყრდნობს, ცდილობს გამოელაპარაკოს. ქალი დუმს, არც გაურბის და არც რამ საბაბს აძლევს. აემი თავისდა უნებურად მარჯვენით მის ბარძაყს ბლუჯვს... შემკრთალი ქალი დაბნედა ავტობუსს აჩერებინებს მძლოლს. სადაღაც, შუა ტრასაზე ჩადის, საკმაოდ დიდი ბარგი აქვს...

- ო, რამდენი ცოდევა! რამდენი ცოდევა ერთ მოქმედებაში!

აემს თითქოს გულ-ღვიძლი ეშლება ამის გახსენებაზე.

- ნუთუ მე ვიყავი?! სიფხიზლეში არ ჩავიდენდი... ნამდვილად არ ჩავიდენდი...

აემს სხვაგვარი შეხებაც ახსენდება ქალთან, როცა ის შეყვარებულს ემშვიდობება. მისი ხელი უჭირავს ხელთ და როგორ არ ეთმობა აემს ეს ხელი...

ღრუბლები ზოზინით მოძრაობენ აქა-იქ ვარსკვლავებით მოფეხილუკვებულ

აემი ქურქს შლის და ქვედა წიგნებს
- მიყვარდა კი? - საკუთარ თავს ეკითხება აემი,

- რა ადვილად შეველიე... ასე ხომ არ თმობენ შეყვარებულებს? მაგრამ რატომ ვიხსენებ ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, ასე ნაზად? არა! ეს კიდევ არაფერს არ ნიშნავს... ფიზიკის მასწავლებელმა თავში წიგნი რომ ჩამართყა გაკვეთილზე, „წიგნსა და შენს თავს ერთნაირი ხმა აქვსო“, იმასაც სინაზით ვიხსენებ; ალბათ, მე უფრო საკუთარი თავი შენატრება, ჩემი სიყმანვილე, ჩემი ბავშვობა; ის უშუალოდა, რისკენაც მივდივარ, რასაც დავეძებ. საოცარია!

ფიქრობს აემი,

- თითქოს არც არაეინ მიყვარებია, საკუთარი თავის გარდა... ყოველ შემთხვევაში იმგვარად, რასაც ქალის სიყვარული ჰქვია. არც ის, ვისაც შორიდან ვეტრფოდი, და არც ის, ვისთანაც სარეცელი გამიყვია.

რამდენი რამ მაქვს გაგებული სიყვარულზე. ქალის გამო ღვიძლი ძმა, მშობლები და შეილებიც კი დაუთმიათ... მე კი არ მესმის ამგვარი სიყვარული. განა როგორ შეიძლება ენოდოს ამგვარ გრძნობას სიყვარული, თუ იგი სხვათა სიყვარულს უარყოფს? სიყვარულმა, ალბათ, საძულელიც სასურველი უნდა გახადოს. სიყვარულმა შუქი და სითბო უნდა მოიტანოს, იმგვარი, ცივ ღამეშიც კი ნეტარებას რომ გრძნობდე... სიყვარული თუ სიყვარულს არ ამრავლებს, განა სიყვარულია?! ანდა როგორ შეიძლება გიყვარდეს ნაწილი და არ გიყვარდეს ის მთელი, რომელიც მოიცავს მას, და რომლის გარეშეც არ იქნება თვით ის ნაწილი?

აემი ისევ ვებას ადგას. აღმოსავლეთი მზის სხივებით არის შეფერილი. იგი ბორცვის აღმართს მოუყვება. მწვერვალზე ადის და მის წინ ვეება სივრცე იშლება.

ყოველი მხრიდან მთები; მათ შუა, ვაკეზე, ზღვასავით ღელავს პურის ყანა.

- „პური ჩვენი არსობისა...“ - რალაც თავისთავად წარმოსთქვამს აემი.

მთებს შუა დაგუბებული სივრცე თითქოს გულს უკუმშავს. იქვე ქვაზე ჯდება. თვალს არ აცილებს უჩვეულო პეიზაჟს.

აემს თავისი ლაბორატორია ახსენდება. აი, თითის დააჭერს იგი ღილაკს და...



– რაზე ვფიქრობ? – თითქოს დატუქსა საკუთარი თავი აემმა. მცირე ხნით თვალებს ხუჭავს, მაღევე დგება და თავვევ დაღმართს მიუყვება, რადგან აღმოსავლეთის გზა პურის ყანაზე გადის.

კლდის ნაპრაღთან, აემის ფერხითით, გველი ჩნდება და ტალღასავით დაკლაკნილი გამხმარ ჯაგებში უჩინარდება.

აემის თმას მწერების გუნდი დასტრიანებს, როგორც მონშე მისი არსებობისა, როგორც სხეულის გაგრძელება ანდა აკვიტებული აზრი.

– ნარმავეალია ოფლი; ნარმავეალია დაღლილობა, ტკივილი...

გულს იმხნეებს აემი.

აემს ფეხი ღორღზე უცურდება და თქოთი ქვას ეხეთქება, მაგრამ არაფრად ავდება... მზეს უსწორებს თვალს, ახლად ამონვერილ მზეს და უცნაურად უხარია; ეს სიხარული მთელ სხეულს მოიცავს, ყველაზე მეტად კი – ნატკენ ადგილს.

უკან რჩება პურის ყანა. უკან რჩება ციკაბო ფერდობები და პატარა მტვრიანი სოფელი.

– წყალი და ხმიადი მაქვს, სხვა რა? დანარჩენს გზა მიჩვენებს... სადამდე? – ფიქრობს აემი, მაგრამ მალევე თავისუფლდება შემანუხებელი ფიქრისაგან.

სუფთა ნაკადული აგრილებს აემს. გათანგულ სხეულს კოკისპირული წვიმა თითქოს ცასთან და მიწასთან აერთიანებს, აგრძნობინებს არსებობის მაღლს; და ისევ გზა.

აემი ფეხსაცმელს ზონრებით ჩანთაზე კიდებს და უკვე მერამდენედ ფეხშიშველი მიუყვება ბილიკს. ასე უკეთ გრძნობს იგი გარემოს და საკუთარ თავსაც. პირველად უჭირდა. ყოველ კენჭზე თუ ეკალზე შეხებისას ახლად ფეხადგმულივით ბორძიკებდა; შემდეგ შეეწვია, კანიც გაუმარდა და ამტანობაც.

„მიდი, აპასფერი, ნუ გეშინია!“ – ყურებში ჩაესმის აემს პაპა ლაზარეს შეძახილი და ისიც, ხუთიოდე წლის ქალაქელი ბიჭი, პირველ ნაბიჯებს დგამს მიშველი ფეხებით მიწაზე.

უჩვეულო სითბო ელაქუცება ფეხის გულზე. თითებით ყოველ მარცვალს შეიგრძნობს თითქოს...

ზაფხულია. სოფლად არიან სტუმრად ნათესავენი. „თამამად, უფრო თამამად, აპასფერი...“

– ჩაესმის ისევ, – განა რა აპასფერი ვიყავი მაშინ? აპასფერს მერე და მერე

უფრო დავემსგავსე, უმეტესად კი მას შემდეგ, რაც სახელი შევმცვლეთ... აქმი გავხდი... ვაი თუ ახლაც მან-მანს მსგავსებს აპასფერი? არა! არა!

იმეორებს აემი და გზას განაგრძობს.

ცხვრის ფარას უახლოვდება. ვეება ძალეუბი გამალებით უყვფენ. აემი კი მიდის დინჯად, აუჩქარებლად; არაფრად ავდება მათ ღრენასა და მუქარას. მეცხვარეები ძალეებს აშოშინებენ; გაკვირვებულნი არიან უცხო კაცის ხილვით. აემს მათი ენა არ ესმის და მათ აემის, მაგრამ გრძნობს, რომ თავისთან უხმობენ. საღამოს ბინდია. მეცხვარეები კოცონს ანთებენ, ვახშმის სამზადისი აქვთ.

– ღმერთო რასაც მაძლევს, უნდა მივიღო...

ფიქრობს აემი და მათ შორის ჯდება, ცეცხლთან შორიხლოს ფეხმორთხმით.

აემს მოხარული ხორციის ნაჭერსა და პურს ანვდინ. ცნობისმოყვარეობით, ხელებით, ეკითხებიან „ვინ ხარ? აქ რა გინდა?“ აემი დუმს. ანდა რა უნდა უთხრას? ჩიტვივით, პატარა ლუქებდად, წინკნის საჭმელს და მადლობას სწირავს უფალს მფარველობისათვის.

მწყემსები წყვეტენ აემთან საუბარს. რალაცას გადაულაპარაკებენ ერთმანეთს და იცინიან. აღარ აქევევენ ყურადღებას მას და იგიც მოსვენებულია. მოგვიანებით თავის დაკვრით ემშვიდობება და ისევ გზას განაგრძობს. კოცონის სინათლე და მწყემსების ჭრიამული თანდათან ღამის ბინდებუნდში იკარგება. პორიზონტთან აღაგ-აღაგ განათებული სოფელი გამოჩნდა. აემმა ბარგი დაავლო და ნამოწვა.

ღამეა. ირგვლივ თითქოს გაურკვეველი ღანდები ასხივებენ. აემი ფეხზე დგება და ზევით იხედება.

ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი. მის ყურადღებას მათი უცნაური მოხაზულობა და შუქი იპყრობს. აკვირდება თითოეულ მათგანს და ტანში სიცივის მაგვარი ჭრეოლა უვლის. ერთ მნათობში ადამიანის თვალი შენიშნა, მეორეში აშკარად გაარჩია ღამეზო სახე და მზრის მოყვანილობა... ყოველი მათგანი აემს უყურებს. ზოგი უცინის, ზოგი გაბუტულივით მისწერება, ზოგიც თითქოს რალაცას ანიშნებს.

აემის მზერა თანდათან ეჩვევა სიბნელეს. ის ხედავს ამ გამოსახულებათა ქვეშ მოკიადე ოქროს ასოებს, რალაც ნარნერებს აემისათვის გაუგებარ ენაზე. მარ-

მარილოს ევება ფილებს ამჩნევს აემი, რომელზედაც დგას და მხოლოდ ახალა გრძობს, რომ თვალებზედენელ ტაძარში იმყოფება.

აემის პირისპირ კრიალა ტბაა, რაღაც იდეალური შუქით მოლაპლაპე. უახლოვდება აემი მის ნაპირს და ზედავს ნაპირი ოქროსია და ოქროსია წყლის ქვეშ ფსკერიც.

ტბის გადაღმა ორი გიგანტური სვეტი ბრწყინავს; სვეტის თავზე კი საწთელიცოი ჩამომდნარი უისრო მრგვალი საათია დადუმებული. სვეტების მიღმა კედელი ჩანს მრავალი თაღოვანი კარიბჭით, რომლებიც ხვეულუკებებით და ქანდაკებებით არის მორთული.

აემი ტბაში შედის, რადგან მის წინ სხვა გზა არაა ტბის გარდა.

აემს სურს გაცუროს, მაგრამ ფეხები არ სცილდება ფსკერს. გრძობს, ბარგი ამძიმებს. იგი ზურგჩანთას იხსნის და სიმსუბუქეს გრძობს, მაგრამ ისევ უფლება სიმძიმე, რადგან ამჯერად ტანსაცმელი უშლის ხელს. წყალი კი ღრმია, ძლივს წვდება აემი ფეხის წვერებით ფსკერს.

შემოიძარცვა სამოსი აემმა; მცირე ხანს ისევ იგრძობ შევება, მაგრამ სხეულს, სხეულს მაინც ვერ იმორჩილებს.

ბორკავს აემი, სურს დაუსხლტეს ამ სიმძიმეს; წყლით დაფარული, სუნთქვა შეკრული, იკრეფს უკანასკნელ ძალღონეს; უკან მაინც არ იხევეს და თითქოს მოსწყდა კიდევ რაღაც ლოდს, რაღაც შემოჭყველს... გადაღმა ნაპირსაც მიაღწია. სვეტებსაც გასცდა... კარი კი ერთი აღმოჩნდა უკიდევანო კედელზე. კარი – სადა და პატარა, როგორც თეთრი ვარსკვლავი.

აემი პირქვე წვება ზღურბლთან, თვალებს ზუჭავს, თითქოს სურს რაღაცას ჩასწვდეს; მალევე ახელს თვალს და სველ სამოსზე იყურება, გაოფლილ სხეულზე რომ მიკვრია.

ღამეა. ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი. აღარსადაა კარი, აღარსადაა ტაძარი. აემი ჯერ ისევ ცახცახებს, ჯერ კიდევ სურს რაღაცას ჩასწვდეს.

გათენდა. ცა მოკრიპებულია. აემი მოსაფლტებულ გზატკეცილს მიუყვება.

– არა, არა მხოლოდ სიტყვით უნდა ითხოვდეს კაცი ცხოვნებას, მისი ცხოვრება თავად უნდა შვავდეს ლოცვას, მიმართულს ღვთისაკენ, – თავისთვის ბუტ-

ბუტებს აემი და ცდილობს ზედმეტად არაფერზე იფიქროს.

აემის გვერდით ვეტყვობდი ქურდებზე. ორმოციოდ წლის სიმპატიური მძლოლი რაღაცას ეკითხება. აემს არ ესმის მისი, ელიმება. მოულოდნელად უცნობი მისთვის გასაგებ ენაზე ეკითხება:

– საით? ხომ არ შემიძლია დაგეხმაროთ?

აემი პასუხობს:

– ქვეყნის აღმოსავლეთისაკენ...

– დაბრძანდით!

ხალისიანად ეპატივება იგი, – მე შემიძლია მნიშვნელოვნად შეგიმოკლოთ გზა. აემი ჯდება.

– ჩანს, დიდი მანძილი გამოგივლიათ ფეხით, ჩვენებური არ უნდა იყოთ... ნანამებს გავხართ,

– სიცილით ესაუბრება უცნობი.

– დიახ, დიახ... აქ მხოლოდ გზად ვარ...

– მოკლედ პასუხობს აემი.

მანქანა მიქრის. უკან იტოვებს ქალაქებსა თუ სოფლებს. შიგადაშიგ დასავლეთისაკენ იცვლის გეზს, შიგადაშიგ – ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ კურსი აღმოსავლეთისაკენ უჭირავს.

უცნობიც მეზობელ ქვეყანაში მიდის, თუმცა მანამდე, მცირე ხნით, საზღვრისპირა ქალაქში აპირებს დარჩენას. აემი, რა თქმა უნდა, არ მოუცდის მას.

ქალაქი ოციოდე მილით არის დაშორებული საზღვარს. ღამეა. აემი მოფარებულ სკვერს ეძებს ღამის გასათევად. შედარებით უკაცური ადგილი მონაბა; ბაზრის მოედნის მაგვარი. იქაურობა ნაგვითა და დამპალი ხილის ნარჩენებით არის მოფენილი.

ბარგი ერთ შებნელებულ კუთხეში დააგდო და იქვე დახლის მაგვარ ფიცარნაგზე წამოწვა.

ღამე სწრაფად მიილია. მზე ამოიწვერა. ცა განათდა. აემმა გამოიღვიძა, მაგრამ აღარც ზურგჩანთაა და აღარც დათვისბუნჯიანი ქურქი. ჯიბეები მოისინჯა. საბუთები, მცირეოდენი ფული და საათი ადგილზე ჰქონდა.

– მთლად უნამუსოები არ ყოფილან, – გაიფიქრა. ღმერთს მადლობა შესწირა და ნელი ნაბიჯით დატოვა ქალაქი.

საზღვარი უდაბნოზე გადაის. უკან რჩება კიდევ ერთი ქვეყანა. უკორს კიდევ, მესაზღვრეები ყურადღებას რომ არ აქცევენ აემის ძონძებად ქვეულ სამოსს.



- ალბათ, ბევრს ხედავენ ლატაკს... ფიქრობს. ძირებზემოცვეთილი ფეხსაცმლებით ზოზონით მიუყვება გზას.

ერთი ბორცვი აიარა და ჩაიმუხლა. მზე ზენიტშია. შორს სამიოდ აქლემზე მიმავალ მგზავრს მოაველი თვალი. თავი ჩაქნდება. ქვიშას რამდენიმე წვეთი ოფლი დაეცა და მალევე გაუჩინარდა.

აემი თითუბით ორმოს თხრის, ორიოდ ადღ სიღრმეზე, შიგ თავის ჯიბის საათს დებს და ქვიშას საგულდაგულოდ აყრის. მცირე ხანს უყურებს მინიატურულ საფლავს და გზას აგრძელებს.

მზე და უდაბნო თანდათან მიილია. აემი სოფლის მაგვარ აზიურ დასახლებაში კედელთან მინვა. ნელზე შემოხვეული ძონძების გარდა არაფერი შერჩა.

- მე რომ არა, განა რა მოგაკლდება, აემ? - მოესმა ხმა,

- ვინ ხარ?

აემმა შეშუპებული თვალებით მიმოაელო შურა სივრცეს;

- ღმერთო!

ძლივს აბრუნებს დასიებული, ხმელ ენას აემი,

- შენთან მოვდივარ... შენ აქ ხარ... შენ იქაც იყავი, მაგრამ მე არ ვიყავი შენთან... ხელი ჩამოისევა სახეზე. თითებს ქვიშის მარცვლები ჩამოჰყვია.

- ოღონდ არ გავგვიფე... - ნაილ-ულულა,

- აი, ჭა, ჭა არის ეზოში... როგორმე უნდა მივადნო... მის ფსკერზე ზეციური ტაძარი ირეკლება...

ხოხვით უახლოვდება ვიღაცის ეზოს. დამსკდარი ტყავი ღორღიან მინაზე სისხლის მკრთალ კვალს ტოვებს.

არა, აემი არ ითხოვს წყალს. მისი მიზანი ეს ადგილია, იქ უნდა შეხედეს იგი საკუთარ თავს, იქ უნდა ეზიაროს დაკარგულ ქვეშაობრივებას.

მარტოა თავის ყოფის პირისპირ, სხეული კი, მხოლოდ დაცინვისა თუ გაკიცხვის საბაბს იძლევა. ცდილობს მიიმალოს სადმე; ნაკლებად შესამჩნევ ადგილზე გაუნძრევლად, სუნთქვა შეკრული ელოდოს მომავალს, რომელიც სადღაც დაეკარგა თუ დაავიწყდა და ახლა, მხოლოდ ახლა შეუძლია შეეხოს.

ღამდება, მაგრამ აემი მინაგანად გრძნობს, რომ ცას უამრავი მზე ანათებს. რამდენიმე - განსაკუთრებით დიდი... ახალ-ახალი მზე ემატება ცას და რაც

უფრო მატულობს მათი რაოდენობა, მით უფრო მუქდება ღამე. ექვეყნული

ეზოს ქიშკარს გახედს და გულს შეესასხა ჩუმე... ჭას უახლოვდება ხოხვით, ფრთხილი მოძრაობით. ნელ-ნელა ამოაქვს სიღრმიდან წყლით სავსე სათლი. წყალი კრი-ალაა, კრიალა მისი ზედაპირი... და ხედავს აემი აემს. ერთი შეხედვით სრულიად უცნობს, გამზადარ-გაძვალტყავებულს, თვალებჩაცვიფრულს; მზისგან დამწვარს, ნვერგაბურძენილს. ეს სახე თითქოს სადღაც უნახავს. ხელს იწვდის მისკენ, სახე უფრო ახლოს მიაქვს წყალთან; სურს უკეთ გააჩიოს ღარები, რომლითაც დაფარულია ტყავი.

განვდილი ხელი და ცხვირი ზომაზე დიდი ეჩვენება...

- მათხოვარი?! - ჩაილაპარაკა ხმადაბლა და გულზე მოისევა ხელი. გულზე, სადაც განუყრელი ოქროს ავგაროზი ეკიდა. ხელთ მხოლოდ ძლიერი გულის ძვების შეგრძნება შერჩა, როგორც ერთადერთი დამაკავშირებელი რაობა აემისა ქვეყნიერებასთან...

წყალზე ეშობა. რკინის სათლი ჭის კიდიდან ცურდება და შემზარავი ხმაურით ეშვება ქვევით, მდიდრული კარივით ქვევით განყობილი ფსკერისაკენ. ამ ხმაურს ექოსავით ზედ ერთვის მისი გულიანი ხარხარი, რომელიც სადღაც ჭის სიღრმისაკენ ძლიერდება.

ირველი სივრცე შვია, უფრო შვია, ვიდრე ბნელი... სივრცე ცხელია, უფრო ცხელი, ვიდრე ცვეხლი... აემი კი მძიმეა, მძიმეა და შეძრწუნებული, დაბორკილი, შეკრულ-შენნეხილი და არა თავისუფალი...

ქვევით კი, ღრმა უკუნეთში, ხელებ გაშლილი და ჭინმორეული, დგას აპასფერი - უდიდესი სიძეა, რათა მკერდში ჩაიკრას, ჩაიხუტოს ბილნი კავშირით თავისი კვლუცი მეორე ნახევარი...

- მოკვდება?!

- არა, არ მოკვდება! - მოესმის აემს ჭის თავთან შევროვილი ონაეარი ბიჭების დამცინავი შეძახილი და ხარხარი,

- მაგას რა მოკლავს, ეგ ზომ აპასფერი! ცოდეილი, მარადიული მანანნალა! აი, ტრიალი ველი, უფრო ზუსტად რაღაც თიხის კარიერის მგავარი ადგილი. ნაგვეში, ცრემლმორეული აემი თავდაუზოგავად გარბის...

თანდათან მცირდება სიცილ-ხარხარისა და დამცინავი ყიყინის ხმა.

სადღაც, ზურგს უკან, მიიღევიან შეძახილები: – „აპასფერ! აპასფერ!“

აემი მზადაა, რათა აღსრულდეს ნება უზენაესისა... მუხლმოყრილი შესცივინებს მამა იოანეს, ამ წუთებში მისთვის ერთადერთ რეალობას, რომელიც თანდათან აღავსებს გარემო სივრცეს, მთელ სამყაროს თავისი მაღლითა თუ არსით და ელოდება, რა ხანია ელოდება ბნელის დამარცხებას თავის თავში – ახლად დაბადებას...

აემი გრძნობს ეკლესიის ფილების სიმტკიცეს და მღვდლის ხელების სითბოს; გრძნობს სანთლების სუნთქვას და სამყაროს ფრიამულს ტაძრის გარშემო... გრძნობს, როგორც ნაწილი ყოველივესი და როგორც მთელი...

რალაცამ მოიყვანა 'ტემპი' წინაშე და ეგებ ბავშვობის დროიდან შემეფრქვევდა მთვარეზე ასვლის სურვილმა; ან ლურჯმა თვალებმა... იქნებ მათხოვარმა, ვისთვისაც თავისი ქონება არ დაიმურა... ან სულაც ახლობელი ადამიანების მზურვალე მონატრებამ... დამზემ... ო! იმ მზემ... რომელიც თავისთავად არც დიდია – არც პატარა, არც წითელი და არც ოქროსფერი, მაგრამ ყველგან ანათებს და არასოდეს არ ქრება...

– განაგდებ სატანასა?! – ჩაესმის მამა იოანეს ხმა.

– განვაგდებ! – პასუხობს აემი.

– განაგდებ სატანასა?! – ისმის კვლავ და იგივე გულმზურვალედ პასუხობს:

– განვაგდებ!

– განვაგდებ!!!





გუშინ შვილი გურჯანელი

მოთხრობა

კუძღენი:

სახელოვან მამულიშვილს შალვა ამირეჯიბს;

ჩემს უშუალო წინაპრებს რამინა ალიაშვილს, ქას(რ)ია იაგულაშვილს და ყველა იმ თავდადებულ უსახელოდ ნასულ მამულიშვილს, ვინც ოციან წლებში იბრძოლა საქართველოსთვის.

დიდი ზარალი ნახა მთავრობის ჯარმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან შეტაკებით. ვაივავლახით წამოკრიფეს და გამოიტანეს თავიანთი მკვდრები. ქაქუცას ბიჭები ყადორის ყელთან გამაგრდნენ. მდევარს შემოუთვალეს, თუ არ დაგვეხსნებით, უარესს გიზამთო. ქაქუცას რაზმელები უმეტესობა ადგილობრივები იყვნენ. იქაურობას ზედმინევენიტ კარგად იცნობდნენ. ისეთ ადგილებში უსაფრთებოდნენ, ერთს ათის მოგერიება შეეძლო. ვგ არი, ტყვია-წამალი უთავადებოდათ. ნასულმა კაცებმა ჯერჯერობით ვერაფერი მოიტანეს. სანოვაგეც მიელიათ. მოხერხებულ ადგილას კი იყვნენ გამაგრებულები. ორ მეთვალყურე-მეთოფურს მთელი ასეულის მოგერიება შეეძლო. წითელმა ჯარმა შეესება მიიღო. შეესია ტყეს. სროლა ხამუშ-ხამუშ ისმოდა. სალამო ხანს ბანაკში უკან დაბრუნებულ ჯარისკაცებს ოცდაოთხი კაცი დააკლდათ. საოცარი ის იყო, ვერც მკვდარი ნახეს და ვერც დაჭრილი.

დილა გათენდა. ყველა დაკარგულების საძებნელად გავიდა. შუადღის მზე დაანვა კაკასიონის ტყიან ქედს. ვერაფერს მიაკვლიეს. ტანტალით დაქანცული ჯარისკაცები უკან დაბრუნდნენ. ოფიცერი გაცოფებული იყო. მზე ჩადიოდა. მონადირის ძაღლი მოვარდა ნკმუტუნით. პატრონი მონაბა და შეპყეფა. უკან გაიქცა და ისევ პატრონთან მივიარდა, შეუყეფა და გაიქცა... აღარ მოისვენა.

— რა უნდა ბიჭო, შენ ძაღლს? — იკითხა ოფიცერმა.

— აბა რა ვიცი? მე მაგის ყეფა არ მესმის, მაგას — ჩემი სიტყვა.

— რას მოათრევედი, რომ მოათრევედი?

— თოფით რო დამინახა აღარ დადგა. ბოსელში დაეამწყედე, მაინც გამოპარულა.

— გაპყევი, იქნებ, რამეს განიზნებს.

რამდენიმე კაცი გაყვა ძაღლს. მალე ისევე მობრუნდნენ.

— რა ამბავია? — იკითხა ოფიცერმა.

— ცუდი...

— არ იცი, ოფიცერს როგორ უნდა მოახსენო, შე ხეპრევე? — იღრიალა ოფიცერმა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ჩვენი ბიჭები ხვეის ყელში ყრიან...

— უბრძანეთ, ახლავე აქ მოეთრენ.

— ვერ მოვლენ, პოლკოვნიკო, შუბლები აქეთ დახვერტილი.

პოლკოვნიკმა ბრძანა და მთელი ასეული გავიდა დალუპულების მოსასვენებლად. საზარელი სანახავი იყო. ყველას სწორედ იმ ადგილას ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, სადაც ქუდზე წითელი ვარსკვლავი ჰქონდა მიკრული. ერთ ლეიტენანტს ქუდში წერილი ედო:

„ვინც ეცდება ჩვენთან მოსვლას, ყველას ეს დღე გელით. ჩვენ დაუპატიკებელ სტუმრებს არ ვვლებულობთ. გაგვეცალღეთ! ქართველებო, ნუ დაგვალერევენებთ ძმათა სისხლს. საქართველოს კიდევ დაჭირდება თქვენი თავი. მტრის ტყვია გააცივეთ და არა ძმის!“

ოფიცერმა ნონასწორობა მთლად დაკარგა. მაგრამ მალე აიყვანა თავი ხელში ბრძანება გასცა, საძმო საფლავი გაეთხარათ. სალამო ხანს ჯარისკაცებს საფლავი მზად ჰქონდათ. დამარხვის უფლება ითხოვეს. ოფიცერმა დილისათვის გააფუდო დაკრძალვა. ცოტა ხნის მერე პოლკოვნიკმა ახალგაზრდა ტყვე გამოიყვანა.

— შეხედე ესენი თქვენს ჯანსს შეწინრენ. დახოცეს იმათ, ვინც არ ინდომა ბედნიერი ცხოვრება. ერთი მუჭა თავადები განაგებენ თქვენს ყოფას. თქვენ კი ნაგიღუნიათ კისრები და მონურად, ხმის ამოუღებლად ენევით ჭაპანს. შვილებსა და შვილიშვილებს რაღას ეუბნებით. ათიოდე მემამულეს და ვაჭარს მოუგდია მთელი ქვეყნის სიმდიდრე.



არ გინდათ თავისუფალი, უბატონო ქვეყანა, განათლება, სიმდიდრე...

შენ იცი, არ გაშინებ, არ განამებ, თვითონ გადაწყვიტე შენი, შენი ქვეყნისა და ხალხის მომავალი. ან სახელოვან გმირად იქეცი ან მორჩილ მონად, ნადი! რაც გინდა ნაილე. შე აქ გელოდები.

პოლკოვნიკი ქობში შებრუნდა. ტყვემ ძლივს აითრია ფეხი. გაეცალა იქაურობას.

განთავისუფლებულმა ტყვემ ქედილა მოსხლიტა ნითლების ფარას. მეორე ხევიმ გადავიდა. კარგა ხანს ათვალეირა ტყვიანი ფერდობი. ბოლოს დაინახა თავისი სახედარი. ვირს ადგელი უნაცვლა, შორს კი არ ნახულიყო. ხურჯინმოკიდებული წყნარად ძოვდა. ჭალაში ლელქაში დაჭრა. ნატყვევარმა გაიგდო წინ დატვირთული სახედარი და აყვა ხევს. ორიოდუე საათი იარა. თითქმის თავისიანების ბანაკს მიაღწია. უკვირდა, ვერსად ნახა ებგური, ტალა, დეტო. ეჭვმა შეძრა. ამ ფიქრში იყო გართული, რომ ვიღაცამ ზურგიდან თოფის ლულა საქმრესთან, ხერხემალზე დააბჯინა.

— თუ სიცოცხლე გინდა, არ გაინძრე და არც ხმა ამოიღო!

პასუხი არც აცალა:
— რა გინდა, რას დაეხეტები აქ?
— აქაური გლეხი ვარ.
— გლეხს არ გვებარ?
— რატომო, ვითომ?
— გლეხს სხვა სიარული და მიხრა-მოხრა, სხვა ლაპარაკი აქ. — ტყვემ მიხედვა დააპირა, — არ მოიხედო-მეთქი!

— მაშ, ის მითხარი, სადამდე მატარებ? ვისთან მიმიყვან?

— იარე-მეთქი! ვინა ხარ? თან გავიცნოთ ერთმანეთი.

— მიტუა ვარ, შაქრო შინგაზრდილისშვილი.

— ტყვეში გაზრდილი ადამიანიც არი?
— ტყიურის მეტი რანი არიან? მე კი მიტუა ვარ შილდელი, გვარად შინგაზრდილი გიგოლას ბიჭი.

— თუ აქაური ხარ, გეცოდინება ქაქუცას ბიჭების სადგომი!

— ეგ ბევრმა იცის, მაგრამ არავინ გეტყვის.

— რათა, მითომო?
— იმიტომ რომო, ქაქუცა სამშობლოს სიკეთისათვის იბრძვის.

ამასობაში ბადრაგი ტყვეს ისე მოუახლოვდა, რომ თოფის ლულა ისევ ბეჭებშუა ხერხემალზე მიადო, ტყვე სწრაფად შემოტრიალდა. იქუხა თოფმაც, მარჯვენა ბეჭზე ტყვიამ ჩოხა გასერა. ტყვემ ბადრავს თოფზე

ხელი უტაცა. მათი თვალები ერთმანეთს შეხედნენ.

— ფარნა? — ნამაინა? — ტყვემ აკოცებული ბადრაგი ტყვეს მიაშტერდა. ასე იყენებ ცოტახანს. მერე ტყვემ სიმულრა ნამაინაო.

„გუმინ შეიდნი გურჯანელნი“... ბადრავმა თოფს ხელი უშეა, ტყვეს შეატოვა, წინ წაიწია. გადაეხვია.

— ლევან, შე დალოცვილისშვილო, — მერე განზე გადავა, ყელი მოიღურა და წელან ნამაინეებულ სიმულრას პირველი ხმა მიაგება. მომღერლები ხმით შეეჭიდნენ ერთმანეთს. რამდენიმე კაცი უკვე გარს ედგათ. და დროზე დააქუხეს ბანი. ფირი ბეჭე იდგა და წყნარად ძოვდა, იქვე ფილანზე გამობმული ქედილა უტრიალებდა. მომსვლელ-დამხედური აუყვენენ აღმართს. ქარაყანი წელა დაიძრა, ორიოდუე კილომეტრის შემდეგ, კოცონს მიადგნენ. ცეცხლის პირას ორი კაცი იჯდა. ტყვე მიიჭრა მათთან.

— თქვენი ბრწყინვალეობა, თავადო შამიან შალიკაშვილი, — მდებალე საღალამი მისცა ტყვემ, სიტყვის გაგრძელება უნდოდა.

— აზნაურო, ჩვენ უკვე ვთქვი, ერთმანეთს მხოლოდ სახელებით მიგმართოთ. შენ ისა თქვი, რით გაგვხარებ? რა მოიტანე?

— ერთი ხურჯინი პური, ერთი კვერი ყველი, ნახევარი ფუთი იქნება ხახვი და ნიორი, მიხარშული დედლები და ლოქო.

სხვა წერილმანი რა ჩამიწყეს არ ვიცი.

— ბიჭო, ლევან, საქორწილო სუფრას კი არ გეკითხები, რისთვის ნახვედი? ისა თქვი.

— ორი ჩაფი რქანითელი...

— საქმე თქვი, შე დალოცვილო, ნუ დამილიე გულა.

— ტყვია-ნამალი ხურჯინის ძირში დევს. ხუთას-ხუთასი შამიანისა და შაუზურის ვაზნა.

ჩემი გუმანი თხელ ან ზეგ დაიწყებენ შალვა ამირეჯობის კაცები მოსვლას. ტყვია-ნამლითა და საქმელ-სასმელით პირველად ერთი დეკაკი მოვა. აი, ის ქაქუცამ თავისი შვიდღარიანი სატყვარი რომ აჩუქა. ის იცნობს დანარჩენებს, სხვა რომ არ შემოგვეპაროს.

— ეე, ლელქაში რალათ გინდოდა? — იკითხა ერთმა.

— ცხელ კერძს გააკეთებთო, მითხრა იმ დეკაკმა.

— მაშინ ქვაბი უნდა ნამოგელო.

— ქვაბი საეჭვოა და დიდიო. თან მასწავლა, როგორ უნდა მწყემსური ყაურმის გაკეთება.

— მაშ, დღეს ვქეიფობთ? შენ, ლევან, აბა, ის, მწყემსური ყაურმა გააკეთე უქვაბოდ



ლელქაშით. მე გამიგია და არ კი მიჭამია, მწყემსები ამბობენ, ძალიან გემრიელიაო.

— როგო კეთდება?

— აი, აქ ნაცეცხლარში, გამშრალ-გახურებულ მიწაში, ფაშვი ჩანყობილი, დაჭრილი ზორცი, სანელბლებით, წინაკითა და მწვანელით უნდა დაფლა, მინა დააყარო და ზევიდამ ცეცხლი დაანთო. ნანლავიდან ლელით საპაერე უნდა დაუდო და მინისქე-შე გამოატარო, ნვერი შორს გამოუტანო. როცა დულილს დაინყებს, ლელქაშიდან ორთქლი ამოვა, ორთქლის შეწყვეტა მოხარშვის ნიშანია. ცეცხლი გადაიხვეტება და ფაშეს ჰაერი მოუხსნება, კი არ უნდა ამოიღო, ფაშეი ხახვის ფურცელივით თხელდება და თუ ამოღება სცადე, დაიხვევ. ეგრევე უნდა ამოკრიფო ზორცი. უჯრ მარტო სუნი აქ თურშე, ზნედას დაგცემს.

— გეყოფა, გეყოფა, ნაღდი ვნახოთ, ნერწყვით ნუ დამახრჩე.

— ქეიფს ვინ დაგვიშლის, ისინი აქ ველარ მოზდავენ, კარგი გაკვეთილი მიიღეს.

— ბატონებო, სუფრა მზად არის, დავიწყოთ, ცოტა ნაეხემსოთ და ტყვია-ნამაღლიც გაეციოთ.

— სუფრა რაზე გაშალე?

— სუფრა დიდ ლასტზე. პატრონები თანაბრად გავყავი. ცხვარი დაკლულია და მზარუნულს ელოდება დაჭრილი ზორცი. მოზრძანდით, თორემ გული მეღევა, ისე მშია. ნახეთ, რა ღვინოა, რა პური, ყველი... ერეკლე მეფეს შემურდებოდა...

— მეფეს კი არ შემურდებოდა, გაუხარდებოდა. მართლა, ბატონიშვილს ქაქუცასათვის უთქვამს, მენ მხარდამტერ გლეხებს, აზნაურობას მიცემ, აზნაურებს — თავადობას, თავადებს სოფლებს ვაწუქებო, თავიანთი ყმბითო.

— გავიმარჯვოთ და რაც ყმა მყავს, იმასაც ვააზატებ, თავისუფალი გლეხი უფრო ერთგულად ემსახურება სამშობლოსაც და ბატონსაც.

— თავადი შალვა ამირეჯიბი უქია ძალიან, საქართველო არ დაუფინყებს თავდადებასო, ბადიშის შვილებს საამაყოფ გადაეცემათ მისი ვაჟკაცობაო.

— მაშ, გვექონია ქეიფის მიზეზი. აბა, თან საქმე...

შეიდი ვაჟკაცი შემოუჯდა სუფრას. ერთერთმა, ყოფილმა მღვდელმა, „მამაო ჩვენო“ თქვა. მერე დააყოლა:

— სუფრა ნაკურთხია, ძმებო, გატებით ლუკმა!

პირველი მადლიანი ლუკმა ყველამ დაიანად გაქუმსა. ამდენი ხნის ტყეში ცხ-

ვორებამ ჩვევები გაუუხემათ, ადათო კი არ დაუკარგავთ.

— ღმერთს დიდება, ჩვენ მშობლებსა, ქაქუცა თამადამ და თასი გამოცალა. ცოტა ხანს იყუჩა, ღვინო დაიგემოვნა, უღვამებზე ხელი ჩამოისვა, — მართლა ღმერთების სასმელია, სადაურია, ვისია?

სასმისი ყველაშ გამოცალა.

— მე მგონი, ჩემი ღვინისაა, — თქვა ქასრიამ.

— ქასიავ, ეგრე ამდენი ხნის უნახავი კაცი ცოლს ვერ ცნობს. მართლა მამაშენმა გადაახდევინა ქვევრი, ეს ჩემი ბიჭის, ქასიას სახელზეაო.

— ქასიავ, შენ კამბეჭოვანში ერთადერთი აზნაური ხარ, მამულეები დიდი გაქ, გლეხი რამდენი გყავს?

— არა, თავადო, გლეხი სულ არა მყავს, მამული საკუთრივ, ნუკრიანის ბოლოზე — ანაგის ხევამდე, ერთი გორა ხილის ბალითა და რამდენიმე ქვევა ვენახი, სახნავე-სათესი საერთოა, ვინც რამდენს მოხნავს და დათესავს, იმისა.

— ერთსა ვთხოვ ბატონ თამადას, ყველას გულში გვიზის და ენაზე გვაკერია თავად შალვა ამირეჯიბის სახელი. ჩემ სახელზე დათქმული ქვევრიდან ამოღებული ღვინით, უპრიანია მისი სადღეგრძელო შევსვა, ნუ მინყენთ თამადაის საქმეში ჩარევას. ჩვენებური ნესით, ჩემი სადღეგრძელო უნდა შესმულიყო. გმირი ამირეჯიბის სადღეგრძელოს ვთავაზობთ, უფალო თამადა, ბატონო შადიმან, ქაქუცას მარჯვენა ხელია და საქართველოს იმედი. თუ საქართველოს თავისუფლება უნერია, ამითით.

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

— ნეტა ერთი მაჩვენა, როგორი კაცია.

— ამბობენ, დიდ დავითს ჰგავსო.

— აღმაშენებელს რო ჰგავდეს, რა არის გასაკვირი, იმისი ჯილაგისაა.

— მე თელავში მყავ ნანახი. თეთრი წმინდა გიორგი მეგონა, ოღონდ უფრო ზორბაა. ბარძაყის სიმსხო მკლავები აქ. ილიას ჟედა-რს შუბს სტყორცნა, სამმა მყომარმა ვერ ამოაძრო. — რევი მტრის გულში იყოს! — ჩიბუბუნა და ისევ რაზმს გაუძღვა.

— ეს ღმერთმა ჩოლოყაშვილისა და ამირეჯიბისნაირ მამულიშვილებს გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

„ჩაკრულო“ დაგუგუნდა. სიმღერა ბრძოლის და ლოცვის, ლხინისა და ალაპის, გა-

წწირული და იმედიანი. საქართველოს სადიდებელი სიმღერა, საზოტო გლობა, სული მოთქვეს მომღერალმა მუინახებმა.

— ლეინო კი არა, ქრისტეს სისხლია.

— ვინ არის, ეგეთი ლეინის დამყენებელი?

— პაპაჩემი იყო, ახლა მამაჩემი და ჩემი ძმია. მერე ადგილია ადლოცვილი.

— ამ ლეინის მამყვან-დამწურს გაუმარჯოს! — თქვა მორიგი სადღეგრძელო. როცა ყველამ ჩამოცალა, თამადამ დაუმატა აქ კამბეოწონური „მრავალჭამიერი“ მოუბდება და პატარა შეყვანების მერე ისეთი ხავერდოვანი ხმა ამოუშვა ნელანდელმა ტყვემ, არე-მარე გაინაბა. აყენენ დანარჩენებიც. ეს სიმღერა, მართლა მეფის სუფრას მოუხდებოდა.

დაიწყო ქეიფი. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევს, სიმღერას — სიმღერა. დეტი მოვიდა სუფრასთან.

— თავადო შადიმან შალიკაშვილო, ალა-რაფერი ჩანს. დაღამდა, ახლა ებგური და ტალა უნდა დავაყნოთ. ისინი ახლა ველარც გაბედავენ და ვერც მოაღწვენ ჩვენამდე.

— მართალი ხარ. დაჯე, ცოტა ნახებმსე და ნაუძინე. ტალად ახლა ჩვენი ტყვე იქნება, ჩვენი ბოთო ფხიზელი ძალღია, ყუფა არ იცის, თუ ვინმე შენიშნა, მაშინათვე აქ მოირბენს, გაგვაგებინებს, აბა, შენ იცი, ახლა შენ იმედზე ვართ ყველა, დილისთვის მზად უნდა ვიყოთ.

ბიჭები ნაბდებში გაეხვიენენ. მიწყნარდნენ.

მთავრობის ბანაკში პოლკოწნიკს უღვიძა მხოლოდ.

„ნეტა რას იზამს ის ყმანელი?! ეს რა სიბინძურე ვიკადრე?! ძმას ძმის სისხლისაკენ ეუბიძგე. ამ ხმების ჩაწუმება იქნება?! ან მოახერხებს კია, ნეტა...“

ორივე ბანაკში ეძინა ყველას, პოლკოწნიკისა და ნელანდელი ნატყვევარის გარდა. ის დრო იყო, წყალიც რომ ჩასთვლემს ხოლმე. ცას ნათელი ნამოეპარა. ხელში იარაღის ტრიალი იყო. ორივე რალაცას ფიქრობდა და რალაცა ვერ გადაეწყვიტა. მოქეიფე მომღერლები მარჯვენა გვერდზე იწვა ყველა. არ ციოდა. ნაბდებთან თავები მოუჩანდათ მხოლოდ. ნატყვევარი ნამოდგა, თავზე დაადგა მუინახე თანამემამულეებს, რალაც უცებ გადაწყვიტა. ზედიზედ ისროლა ექვსი. ექვსივეს მარცხენა საფეთქელი დაუსისხლიანდა.

— თუ ასე სჯობია ხალხისა და საქართველოსათვის...

შეყვანდა, იარაღში ერთი ტყვია კიდეც იყო.

— მე რალა სასიცოცხლო ვარ?! გაეარდა მე შეიდე ტყვია ნატყვევარმა ნელა ჩაიმუხლა და პირველმა ტყვემ

— იქ ემიღეროთ ერთად, ბიჭებო, ჩემი ხმა დაგაკლდებათ...

საიდანაც ძალი მოვარდა, დახოცვლებს შემოურბინა, მოშორებით ჩაყუნცდა და საწყალობელი ყმული დაიწყო.



ხევის ბოლოს, საურმე გზაზე ცხენოსანი გამოჩნდა. ნელა აუყვა ყადორისკენ მიმავალ ფერდის ბილიკს. ზემოდან ათიოდე წლის ყმანელი შობოდა ტირილით. მოშორებთ ჩაურბინა მზედარს. არ მოატყნა კაცის ძახილს ყურადღება. მზედარი ქვევით მიყვა, ნამოენია. საყელოში ჩაავლო ხელი, დაქვეითდა.

— რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა, ვინ გაგაბრაზა, რა გატირებს?! — მიყარა ბიჭს კითხვები.

ბიჭი სულს ძლივს ითქვამდა დალილიობისა და ტირილისაგან. როგორც იქნა მიწყნარდა.

— აბა, ახლა მითხარ, რა მოგივიდა? — უთხრა ისე მეზავრმა.

— შენ დედო რამანა არა ხარ? — თავის მხრივ კითხვა ასლუკუნებულმა ბიჭმა.

— ჰო, შენ ვისი ხარ, რა გქვიან? — ისევ ჩაკეთხანა მზეფარი.

— მე ალიაანთ ილასი ვარ, ფირუზა, მელორე...

— მამ, ჩვენი ყოფილხარ, ბიჭო, რამ შეგაშინა, ეგრე კაცის ტირილი გამიგია?

— იქ არ ნახვიდე, დედო-რამანავ, ბევრი მკედარია.

— სადა, ბიჭო, შორს არი?

— დიდ ნაბლთან, ზემოთ, წყაროს თავში... მეშინიან.

— ვაჟკაც კაცს რისა გეშინიან, ალიაანთ გვარისა შინც არ იყო? აბა, გამიძებ...

— შენ არ გეშინიან, დედო?

— რისა უნდა მეშინოდეს?! აბა, შემომიგექცხენი.

— არა, ფხით უფრო მარდად ვივლი. შენ მამყევი. — ბიჭი გაეარდა წინ. მზედარი მიჰყვა. მალე მიადგნენ ნაბანაკარს. მართლაც საზარელი სურათი იყო. ექვსი კაცი გვერდზე ნამოწოლილი. ნაბადში გახვეული, მკედარი. ერთი ცხვირპირით მიწაში ნაფლული. სისხლის გუბეში მოცურავე. მზედარი დამუნჯდა. მერე მიმოიხედა და ბიჭს უთხრა:

— ბალოო, მე ვიცი, მშობარა ბიჭი არა ხარ, არც ენაქარტალა. რასაც გეტყვი, კარგა



დაიხსომე, ნადი სოფელში, არავის არაფერი უთხრა, ჩუმიად ბარი და წერაქვიც, თუ გაქვთ, ნამოლე და ნამო. თუ ვინმე აგყვეს, გზა აუბნე, გამოექეცი. აბა, შენ იცი...

ბიჭმა არ აცალა სიტყვის დამთავრება, გავარდა.

მგ ზავრი კორდზე ჩამოჯდა, თოფი მუხლებზე დაიდო. მაუზური ხელში შეირჩინა და ჩაფიქრდა. ბოლოს ხმამაღლა თქვა:

— ლალატით არიან დახოცილები...
ნამოდგა, ცხედრებთან მივიდა. სამასრე-
კში ყველას პატარა ქალაღი ედო წარწერ-
ებით:

შიდმან შალიკაშვილი
ალექსანდრე ანდრონიკაშვილი
სანდრო ჯანდიერი
ქასია თავულაშვილი
ვახტანგ პარკაძე
გედეონ ჭავჭავაძე
მეშვიდე სარაფერი აღმოაჩნდა. პირქვე
ცხრი-პირით იყო საკუთარ სისხლში ჩამხ-
რჩიალი. მგ ზავრმა ჯერ ის ექუსი კაცი გაა-
ხვია გულზე და კრეფილი თავ-თავის ნაბა-
დში, მერე მეშვიდეც.

აქოშინებული ბიჭი წამოადგა თავზე ბართა და წერაქვით.

— აგრე მალე მოხველ, ბალო?

— შო, გამახსენდა ბინაში მქონდა შე-
ნახული. როცა მოცლით ვარ, ვბარამ და
ლობიოსა ვეთესამ.

— ბიჭოს, ყოჩაღ, რალა მაინცადამაინც
ლობიო, გიყვარს?

— არა, კარტოფილსა და სიმინდს ღორი
არ მიჩერებს, ლობიოს კი არ ეკარება.

— შოო, გონიერი ბიჭი ყოფილხარ. შენ ეგ
მითხარი, ხო არავის დაუნახიხარ?

— არა!

— მამ, მოდი, ახლა მომეხმარე.

მგ ზავრმა ორი ბარის ტარი გადაზომა
ნაბლქვემ. მერე კორდს ხანჯლით ჭრა და-
უნყო. მოხადა მინას მწვანე საფარველი და
ცალკე დაანყო. ორმოს ჭრა დაიანყო.

— შენ ბალო, ჯიყა შამიკარი. შეგიძლი-
ან?

— როგორ არა, მთელ სოფელ ჩემი
შერული ცოცხები აქ. ზოგი რასა მჭუქნის
ზოლმე, ზოგი რას.

— მამინ იჩქარე, შენ იცი.

ორიოდე საათში საფლავი მზად იყო.
მგ ზავრმა ფრთხილად ჩაასვენა ცხედრები.
მინა მიყარა და დატყენა...

— ახლა, საფლავს რა არა ჰტყეპნიან?
— ახლა ეგრეა საჭირო. — მერე მწვანე
ბელტები ისევე წყობით დაანყო და
დარჩენილი მინა ხევი გადაყარა. ცოცხით

მოასუფთავა იქაურობა და ჩამოჯდა.
ზურგიდან ვილაცამ მუჯღმურის წაბურს.
კაცმა თავი და მაუზური ჭრისა და მისი
ლა. ზურჯინაკიდებული ვირი დადგომოდა
თავზე და თვინიერი თვალებით უყურებდა.
მგ ზავრმა ნუხანდელი ტაბლა განაახლა.

— მოდი, ბალო, შენდობა უთხრათ.

— დედო-რამანავე, იმათი აფიცერი
მეუბნება, თუ უცხო, საეჭყო ვინმე ნახო,
ჩუმიად გამაგებინეო. იმდენ ფულს გაჩუქებ,
ასი საკუთარი ღორი იყიდო, ყველაზე
მდიდარი კაცი იყო შენ სოფელშიო.

— მერე, შენ რა...

— მე ხომ პატარა არა ვარ, არავისაც
არაფერს არ ვეტყვი.

— ყოჩაღ, შენ მართლა უკვე ვაჭკაცი
ყოფილხარ.

რამანა ჩაფიქრდა: „ალბათ, ნახა ვინმე
მაგ ჯიბიდან გავარდნილმა თავისავით გარ-
ენარი?“

— აბა, დაეხსდეთ, თორე დაგვილამდა, —
თქვა მგ ზავრმა, — შენც ღორი უპატრონოდ
გყავ.

— აცხონე უფალო სამშობლოსათვის და-
ცემული ქრისტიანები.

— ამინ! — დასტური დასცა ბალომა. ღვი-
ნოს თავი ნაუქციეს საფლავზე, მერე
რამდენიმე ლუკმა გადალეჭეს და აიძალენ.

— ბალო, მოდი, გავიყოთ გმირების
ქონება. ეს ვირი თავისი საგზლით შენ, თუ
ვინმემ გკითხოს, საიდანო, ბინაზე თითონ მა-
მადგა სახედარი-თქო. ე, ძალლი კი ვისაც
გაყვება, იმისი იყოს. კარგი?

— კარგი!

საურმემდე ერთად იარეს მგ ზავრმა და
ბალომა. მერე გაიყარა მათი გზები.

— აბა, შენიცი, შენ კაცი ხარ და როგორც
მოვილაპარაკეთ, შენ ყველაფერი, ისე უნდა
თქვა, — თავზე ხელი გადაუხვია ვირზე
ამხედრებულ ბალოს და ზურგი აქცია. ცხე-
ნს მათრახი გადაუჭირა. პირუტყვმა ფრთა
შეისხა. ბალი იდგა და უყურებდა.

— ნეტა, მეც ეგეთი ვაჭკაცი გავიზარდო!
რამანა, როგორც კი ხეებს მიეფარა,
ცხენი არც შეუჩერებდა, გადმოხტა, მინას
დაემხო და დააკედა. კარგა ხნის მერე წამო-
დგა, სახეზე ხელსახოცი ჩამოისვა და თავი-
სთვის თქვა:

— ში, დედასა, რა ბიჭები ჩაუხოციათ!
ლალატის სუნი დის ამ საქმეს!! თუ გავიგე,
დედას უტირებ!! — მერე შეჯდა იქვე მდგარ
ცხენზე და ნელა გასწავა გომბორისაკენ.

აქ ახლომახლო ბინა უნდა იყოს ფშავლე-
ების. ლამეს იქ გავათენებ. თორემ დამიღამ-
დება.

– გამარჯობათ, ბინის პატრონებო! – დაიძახა შორიდანვე. ძაღლები გამოენთნენ. პატრონიც გამოჰყვა. ძაღლებს დაუტია და სტუმარს გასძახა:

– მობრძანდი, რომელი ხარ?

– შენი ძმობილი რამანა ვარ.

– შენ გენაცვალე, ძმაო, საიდან, რომელმა ქარმა გადმოგავდო, როგორ გაგახსენდით.

– აბა, ხინკალი ამოყარე, ბიჭო, ძმობილი მომივიდა სტუმრად.

– არაფერი არ მინდა, ნუ შასნუბდები, ცოტას ნავეძინებ და რიჭრაქზე უნდა ნავიდე.

– მოსვლა შენი ნება იყო, ნასვლა ჩემი ნებაა. ძმას რო დაულოცავ არ გაგიშვებ, ეგ ნაღდა, მითუმეტეს, ერთი თქვენებური სტუმარიც მყავ.

– შენი ეშმაკი დიდი იყოო, ყალი და გორდილა თუ გაქ.

– შენთვის აიშ მარსკვლავ აქ დევანთებ.

სტუმარ-მასპინძელი ბინაში შევიდნენ. ბინას შუაცეცხლი და ქრაქი ანათებდა. ახალგაზრდა მწყემსმა გობით ხინკალი შემოაყოლა. სარქალმა სამფეხი ჩაუდგა რამანას და უთხრა:

– თუ არ იცნობ, იცოდეთ, ძმები ხართ, თქვენებურია.

– შენ აქ საიდან გამოჩნდი, გიორგი, საით გაგიწვია?

– დედო-რამანას გაუმარჯოს. შენ საიდან, საით?

– ყადორზე მივალ, რამან. ჩემი ძმა, ქასია არის იქ. ქაქუცას რაზმში. არც ვიცი, მივანებ თუ არა.

– მე იქიდან მოვდივარ, ტყუილად-ლა გაირჯები.

– რათა, კაცო, ალყაში არიან?

– ალყაში კი არა, პიროქითში გავიდნენ.

– შენ რა იცი?

– მე თვითონ ვნახე, დანაბარებიც მაქ.

– ჩემთანაც?

– მა, ძმასთან არ დამაბარებდა არაფერს?

– ხო კარგად იყო? **ქრაქი** ხშირად არი? დედაჩემმა – ცუდი სიზმარი ვნახეო და ძალათ გამამავდო.

– კარგად, კარგად, – იცრუა რამანამ. – რას მლერიან თურმე?! – ცოტა შეყოვნდა და დაუმატა. – ჩვენებ უთხარ, ჩემი დარდი ნუ ექნებათ. რუსული ვიცი და ფრანგული. ქაქუცასთან შეხვედრის ადგილი მაქს დათქმული. ქაქუცამ ჩვენ აქ თელის ასახვევად დაგეტოვა. თითონ ძირითადი ხალხი უკვე „პარახოტი“ ევროპაში გაგზავნა. ეგრეა საქირო. ჩვენ აქ ნითელი მთაერობის დასაყოვნებლად ვიყავითო. ოღონდ არა თქვან, ვინ არიან, გვარი რუსულად გადაიკეთონ. ქალაქში გადასახლდნენ. ფრანგულად მოინათლნენ.

– რაიო, კაცო?! სხვის რჯულზე ცხორებას, სიკვდილი სჯობია. რათაო.

– მაგას მერე აგიხსნი ყველაფერს, ხვალ დიდი გზა გვაქვს გასაუღელი.

– მაშ, გაუმარჯოს საქართველოს ცას და მინას, რომელიც გაქვლენთილია მამა-პაპის სულით და სისხლითა.

– გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს!

ეპილოგის მაგიერ: ერთი პაპის სახელილა შემორჩა მის ნაბილარ-ნავენახარ ადგილს. სახლი და მარანი კომუნისტებმა ხულ ახლახან დაანგრიეს და „ბრუნშოუკები“ ჩადვეს, მეორე პაპის ვაპარტახებული სახლის ნანგრევებია ტრიალფერდაზე. „რამანას სახლი“, შალიკაშვილების ეკლესიაც, ურნშუნო კომუნისტების წყალობით, მივიწყა ხალხმა – აღარც ლამაზი ჩვევა საეკლესიო-სადღესასწაულო დღეების, აღარც ჯირითი, რომელიც ამ დღეს იმართებოდა, არადა, ურიგო არ იქნებოდა, აღდგენილიყო ეს ლამაზი ნესჩვეულება. ღმერთსაც ეამებოდა და კაცსაც.

სიკლიდან: „აფხაზეთის ბკივილი“

და ეს კოპორტა ასე ძლიერი...

ეუძლენი აფხაზეთიდან ლტოლვილ პედაგოგებს —
ჩემს თანაკურსელებს

მტკვარი ეძახის მთვარიან ღამეს, —
წყალში ვარსკვლავთა ცქენა იტაცებს,
მთვარე მიარწევს ღრუბლების ნაკებს,
მასწავლებელი დადის მიწაზე.
ო, ტატოს მტკვარი, უთხარი რამე, —
სულს შეჭირებულს —
შერჩეს სინაზე.

მწარე ცრემლებში წრიალებს თვალი,
თმები ჭრებურზე გასთეთრებია...
ასე დაჭრილნი ბედის ბოძალით
მხრებში ვერასდროს იმართებიან...
ის გაიმართა

იმ მთების ძალით,
რომელთა ფუძედ ისევ მთებია.

აღნავი, მტკიცე ნაბიჯით მოდის, —
თბილის-ქალაქის სუნთქვა ახარებს,
უმზერს მეტეზზე

გადმომდგარს კბოლით
მახარეს ტოლა მოზვერს სახარეს...
და თეთრი ჭადრის ქანაობს ტოტი,
თუ უქნევს ხელებს შეილი მახარე?

მოკლეს მახარე...

დაუწევს სახლი

უცხო ბანდებმა — უსახოებმა...
მას მერე ტყვიებს — ტყვიებზე დახლილს —
არქმევს სიცივეს, ამაოებას...
მაგრამ უბანოდ ქართულ მოძახილს
არ ტოვებს, როგორც არა ტოვებდა.

წყალნი წასულან, დღეებიც წაელენ,
სამღურავს მაინც არ ამბობს სოფლის...
ცა ყოფილად ჩემთვის მოწყალე,
დამიფასაო დაღერილი ოფლი.

პა, ილანდება ზღვის კიდე აფრით,
ბესლეთის ზიდი — ოცნება, ცხადი,
ტალღის ქოჩორიც მოთეთრო ქაფით,
რომელსაც თევზის სურნელი ასდის.
ჭარბაფი კაცი
წარბებით მკაცრით,
აღალი გულით მტკვრის პირას დადის.

ჩვენს ცას არა აქვს დახალიერი,
როგორ იწნება ენგური დამრეს!
... და ეს კოპორტა ხელით ძლიერი,
გულში რომ დილის მზე უთამამებს,
დაუბრუნდება ძველი იერით
სოხუმის სკოლებს,

წიგნებს და ბავშვებს.

დაუშობარკაპელი პანო

ტოვებენ ფოთლები ტირიფს,
ღამეა უკიდევანო.
ტყაშმაფა ტამირზე ტირის
ღედოფლის დაკარგვის გამო.
ცას-ციაკს —

ცრემლები ცეცვა,
იყრება მიწაზე თრთვილად.
ჩარეცხა ბილფი წვიშამ...
იარე, თოლიგე, ფრთხილად!
ჭა კიდევს ჭრებრის გავლით,

მოგყვება ქარების კენესა.
აბრუნებს ზეკარი ბღაივლს,
თუ ექოს — გარდაცვლილს
ლექსად...

ფოთლები არ შერჩა ტირიფს,
ღამეა უკიდევანო.
გაყინულ მხატვარზე ტირის
დაუმთავრებელი პანო.

პოეზია

ვევენი აქუზარდიას — სოხუმიდან ლტოლვილ ზემს
მეგობარ მწერალს, „კოჩას“ ავტორს.

ვეერილები თუ არ ქარავს,
რაა მიწა?!
თუ მზერიდან დაგვეკარგა,
რაა რიწა?!

როცა იებს ვეფერებით
და შრიალებს ტყე ფერების, —
ღირს მიწაზე დაყოვნება,
ღირს მტრედების გაყოლება
ზიგზაგისთვის ზეფინების...
და თუ მიწას ვეფინებით
მარგალიტად — ციურ ცვარად,
ენაც გვესმის (არ შემცდარან)
ვარდების და ღელფინების, —
ღირს მიწაზე დაყოვნება
და ხიმღერის აყოლება,
ღირს სხივების კოცნა ღარად,

თეთრი ჩონგურების ღარად,
თუ არა და,
კოჩა, არა!

დაკარგული შეიღოს ნახვას
გირჩენია რიწის ნახვა,
ოღონდ რიწას ეშველოს და
მკერდს მიუშვერ შიშველ ლახვარს.

სიყვარულის დაუმყნობლად
რაა მიწა?!
გულში თუ არ ჩაიხუტეთ,
რაა რიწა?!

რჩები კოჩად!
ვრჩები კოჩად!
ეთქით და მორჩა.

1998 წ.

პირობა ლტოლვილებაში გაღივან

კაცი გაჩნდა...

არ აფრინდეს არ იქნება
არწივების მართვე...
— შეც გილოცავთ. უეჭველად
აფრინდება, —
და ხელს მმკაცეს ვართმევე.

ორაველიც უბრუნდება მთის ნაკადებს
და მერცხალი — ბუღეს...
ღელღელეთში რა გინდაო, —
ვინ აკადრებს,
იქ თილისმა უღვეს.

მერცხლისა და ორაველის ამ ბუნებას
ცა ამაღლებს ღონით...
ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნებას
ღონეც უნდა, გონიც.

ენგურიდან —
სიყვარულით ვხად და ხიდად —
ნაპირამდე ფსოუს! —
საცხოვრისი ბედად გვერგო
გაჩენიდან, —
„აბა, შხვადაო სო ვულ?!“*

მეგობრის ნატპრა

ერთი თეთრწვერა,
ღვთაებრივად შუბლსზივოსანი,
(თურმე მებაღე ოქუმიდან),
ქვევბოდა ამას:
— კაცი ნატვრამიც უნდა იყო პატიოსანი,
სოფლის ერთგულიც, ზომიერიც,
ოჯახის მამაც...
ჰოდა, პირველად დეენილებში
მე მერგო ბედი...

წუხელ სიზმარში
ოქროს თევზი ამოპყვა ბადეს...
და მე ვინატრე —
(თქვენ არ ვიცი — რას ინატრებდით) —
ოქუში ვიყოთ,
სოლაიც, ქუჩაც უწინდელს ქვავდეს,
ულრუბლო ცაში
ფარფატებდეს მშვიდობის მტრედი,
ბერყაცები ეხოებში მუშმალას ერგავდეთ.

1999

* „აბა, სხვაგან ხად ნავალ?!“ (მერგ.)



ახლა გავიგე

ო, ის ტყვიელი —
 წინაპრების ხმლის
 ვადამტკრევის,
 დიდსულოვანი სიძულვილიც
 მამულის მტრების,
 ბრძოლის სიმღერაც —
 ერის სულის არდაბურების, —
 სამშობლოსათვის დაცემულთა
 მოსაფერები, —

ახლა გავიგე
 აფხაზეთის მწვევე ტყვიელით,
 ცეცხლის მდინარე
 რომ არწევდა
 სიზმუმს ტყვიით...
 მინდა ლექსები მწუხრისა და
 ცისყრის ფურება —
 გუმისთის ხიდიან
 დაცემულთა მოსაფერებლად.
 1993

რატომ აოგლებუ?

ომებს მოსდევს თვითმკვლელობათა გახშირება.
 (სოციოლოგის დაკვირვებიდან)

ბრძოლა წააგე,
 ერთი ეპანა დაგრაჩა ნაგანში,
 დაყარვე მშები,
 ეხო-კარი და სიყვარული...
 და ერთი დაყვრით,
 რომ აღკვეთო სულში განგამი,
 აღკვეთო ბედის, — ჭრული კობრის, —
 სტკენა ფარული,
 ცივი მარჯვენით, —
 გუმისთაზე დაღლილ მეომრის, —
 შემართავ ნაგანს
 და უმიხნებ შუბლში ცხოურებას...

მხოლოდ ძლიერი,
 უშიშარი გაიტანს ლელოს.
 ხელი დაუშვი, გულქართველო,
 რა გემართება?
 რატომ აცუდებ
 ერთ შეილსა და
 ერთ საქართველოს?!

შენჩრდი ძმო!..
 ამას შევიღიც გაიმეორებს,
 შენს „ბაბაჩიას“ ყველაფერი
 ემახსოვრება!..
 ის შენ მოგბაძაეს...
 ეს იწება ომის წაგებაც,
 ათასჯერ მეტი
 დედის ცრემლის დაწახნაგება.

სიცოცხლის ვაჭვის უწყვეტობა
 არის მთავარი,
 ისეთის გაზრდა,
 მამულისთვის ვულს რომ იტყვიებს.
 დრო-ვამს გაუძლებს
 ციხე-კოშკის ის ბალავარი,
 რომელიც სიკვდილს
 სიცოცხლისთვის მიასიყვდილებს.
 ენგურსგამოღმაც
 ბალი რომ არ გაგვიჩანავონ,
 ნაგანში გმართებს შეიდი ტყვიის
 ისევ ჩატუნვა,
 გმართებს, მოძმეებს
 მძიმე ტვირთით ეამანავო,
 თორემ თვითმკვლელის
 ცხელი ტყვია შუბლზე მჩატვა.

ომსა და სიყვდილს
 სხვანაირი უნდა წერტილი!..
 ნაყოფით რატომ იხუძნება,
 იცი, ცირცელი?
 — რომ იცირცელოს,
 არ ჩამოჭკნეს
 წვენდაწრტილი...
 ხამს გამოზარდო
 გაცუდების* გამოძრიცხველი
 შეილები შენდა ალიყვალად
 და შემართებად!

ხელი დაუშვი,
 გულქართველო და
 შუბლნათელო,
 ერთ შეილს კი არა,
 შენ აობლებ ერთ
 საქართველოს.

*გაცუდებას უკულო თესლით თესვას ეძახიან კოლხეთში

მალე სონეტები მიმღობი ბაიპირტეზა


 ქართული
 ლექსების კრებული

მზე სახატოზე სანთელივით
 ვისაც გველუბა,
 მარწყვის ბაგეებს ვყოცნიან
 ვისაც ტიტები,
 ხომ შევიძლია ვულს მოხწვეიტო
 რიტმი ცრემლებად
 და დამაყარო
 მკერდზე როგორც მარგალიტები?!
 მზე სახატოზე სანთელივით
 ვისაც გველუბა...

ზღვის მოგონება
 ახლა შენი დასაფერია,
 თორემ ზღვის ხილვის
 არ დამდგარა ჯერაც წინაღულე.
 თუ ორთავ თვალთ
 ზღვასაც მწუწნი, ცასაც, ფერიავე,
 შენზე უკეთეს სხვა ფერიას
 როგორ ვინატრებ?!
 ზღვის მოგონება ახლა შენი დასაფერია...

ჩემში სიძულვილს ვერ გაუდგა
 ფესვი მენწყერმა,
 სიფეარულს ვახლდი სიყრმიდანვე
 ცრემლთ გამწასკველი...
 ცად აფერინდები, დიდი გრძნობა
 თუკი მენწყევა,
 თუნდ მზის ამოხვლა
 ჩემთვის იფოს უკანასკნელი.
 ჩემში სიძულვილს ვერ გაუდგა
 ფესვი მენწყერმა...

16.01. 2000



განწყობილება

ცარიელია სუნამოს ბოთლი,
გადამავიწყდა ფერი პომადის
და მატკობს მხოლოდ სურნელი, ბოლის,
ღობისძირს დამწეარ ფოთილს რამ ასდის.

მოწყვიტე, ქარო, ერთი ვარსკვლავი
და მომიძღვენი ვით სახსოვარი.
შემაძღებინე, გადავიტანო
ღამე, სევდიან ფიქრთა მთოვარი.

მოწყვიტე სადღაც ერთი ყვავილი,
გამომიწოდე გზაზე ჩაველილმა.
მიძღვენ ღიმილი და სიყვარული
და შემახსენე, რომ მე ქალი ვარ.

თორემ რა, მიქრის დღეთა კარეტა,
მიეღვე სიხარულს — ველარ კეწვეი,
კიაფობს ცრემლი დაღლილ თვალებთან
და კეძებ ნათელს ხელის ცეცებით.

●
სიყვარულმა შუა ეს ტკივილები,
უსიყვარულო გულს — ქვას
რა მოვლავს...
წუხანდელ ღამის წამების ტბიდან
ნახევრად მკვდარი ფიქრი ამომყავს...

●
ვიცი დამტოვებს
კვლავ ხელმოცარულს
იმედის ქროლვა
აქ, იქ — მთის იქით,

მაინც სიცოცხლის
ნატვრით ამაყებებს,
იმ ველმოზატულ
ჩიტის კიცყვი.

●
უფერულდება სისხლის ფორები,
ღროის ქარები ღუწავს ხერხემაღს,
მე ასე მჯერა, ჩემი ცხოვრების
ბოლო სუნთქვასაც ლექსი ერქმევა.

●
მიბორიალობს ფიქრი
ხეე-ხეე, სანახებისყენ,
ჩერდება გზა-გზა
და თავისთავს აძღვეს
შეკითხვებს:
ღირს, თუ არა ღირს,

ღირს თუ არა ღირს,
გაყვე ძახილის ხმას
იმ ბალახის —
ბავშვობის წლებში
ღობის პირთან
რომ მაქვს ნანახი.

მზის კანონები

● მე მუდამ ღვთის შიშით ვცხოვრობ,
მიუხედავად ამისა,
უბედური ვარ და ბედი
უფალმა ჯერ არ მაღირსა.
ვცდილობ, მწერიც კი არ მოკვლა,
ბალახს არ ვჯვავებ ფეხითა,

სინდისით ხავსე ტომარას
მიუათრევ სესტი მზრებითა.
აქლემის ოდენს ვერ აწვევ,
არც არავინ მთხოვს ამასა,
ნაცნობს კი არა, თუნდაც მტერს
ზურგში არ ჩავეცემ დანასა.

● მიწა დაფარა თოვლის საფარმა
და ციდან ცვივა თეთრი ფანტელი,
რა ცოდვა გვაწვეს ქართველებს ტვირთად,
ასე უღეთოდ რო დავიფანტებით.

● მიღიხარ, მიგაქვს ნაწილი ხულის
და შემოდგომის ჭრიან ქარები,
იწყება ხანა ჭმუნვის და ურვის,
რომელსაც ვერსად დაემალები.
აღარ გათენდა წყვეული ღამე,
რაც ვიახლოვებს შენ საიქიოს,

ნეტავი, თუა ამქვეყნად რამე,
სიყვარულმა რომ არ დაიტოოს.
ვიცი, არა ხარ ცივი, უგრძობი.
არ შეიძინიო ფერისცვალება,
სამყარო დარჩა შენთვის უცნობი
და საიდუმლოდ გარდაცვალება.

● არ მიტაცებს პოლიტიკა
და არც დებუტატობა,
მთელ პარლამენტს მირჩევნია,
რაც დატოვა ტატობა.

მერანია, თუ ცისა ფერს,
არ გაქრება აროდეს.
ჩემს ტანჯულ ხალხს რას ეუბურებ?
პოქიასა ჰყვარობდეს.

● მე მჯერა, ფეხზე დადგება ერი,
რაიც დავკარგეთ, კვლავ დავიბრუნებთ,
კი არ ეჭვიწყებ, არამედ ემღერი,
ჩვენი იქნება ის საუკუნე.
უნდა გაეინძრეთ, მივდგეთ და მოვდგეთ
ჩვენ სხვანაირად არ გვაქვს უფლება,

თუნდ მტრების ჯიბრით ერთად რომ ვიდგეთ,
აი, ეს არის თავისუფლება.
ცრუ სიტყვებით და აურზაურით
ვერ გააკვირვებ ახლანდელ ბავშვებს,
ოცდამეერთე მოდის ხმაურით
და როგორც მოვედავს იმედით მავსებს.



ხვალ, ხვალ, ხვალ...

რომანი

მხატობა

ის დღეები იყო, როდესაც მრავალგზის ვიხილე მთელეშარემ, თითქოსდა ზეციდან მოდიან ფრინველნი, ფერითა შავნი, მსგავსნი გარდასულ დღეთა ჩრდილებისა, რომლებიც მუდამდღე თავს წამოგვედგო-
 მია და არ გვეცილდებოდა, და ასე, მოახლებულნი, სულის სიღრმიდან ამოზიდულნი აირეკლებიან თვლემის სარკეში და საამურ ნათებას მოიღებენ, მიუფინებიათ იმ სარკეს და მთელ გულ-გვამს მოველება სინათლე მშვიდი და წმინდა. ჩვენი, ჩემი სამყაროსია ეს სარკე თუ არაჩვენი, არაჩვენი სამყაროსია, საიდნავც სადაც შეიძლება ნათელი იყოს წმინდა და წარუვალა და არა წარმავალი, შერყენილი, თქვა მამამ. ჩვენი ეზოს თუთის ხეზე ის ჩემი ჩიტები ცალი თვალით ჩემკენ იმზირებიათ. ჩუმად ვარ. გარინდებული. დაბოლოს, ერთი ჩემს პანანინა ფეხთან ჩამოვარდა თუ დაეშვა გაფუჭებულ-გაბერლი. პატარა გულით ფრთხი-
 ალი მესმის, ჩემია ეს გული თუ მისი, არ ვიცი. დაეხარე, თვალზე ჩამომეფარა კულულები, მოვიცილე, ჩიტი გულში ჩავიხუტე, მფრთხალი იყო და თბილი ჩამოცვივდებიათ ის ფრინველნი, მდინარეში ვანიბანებიათ, განსპეტაკდებიათ, იმ ბაღს მოველებიათ ან უკვე სიზვე ნარხოცილები, ნათლისფერ ნერტილებად შეკრულნი, დასხდებიათ ვაზისა და ყვავი-
 ლების სიახლოეს და ვაკვივრიათ მშვენიერი ხმით. მრავალგზის ვიხილე-მეთქი, ეს ზომ ნიშანია იმისა, რაც მარადიულია, სიცხოველე ამ ზმანებისა ამისი მალწყებელია სწორედ სწორედ მარადიულობის ცოდნა გვაზიარებს იდუმალსა და მიუნვდომელს. სასრულისუქონელი საგნების ცოდნა გვაზიარებს იგავმი-
 უნვდომელ სიღრმეს და სრული სიმშვიდე მოეფინება ჩვენს სულს და ასე გახდება წილნაყარი იდუმალისა და მარადიულის. ბათმე ბიძიამ თქვა,

სულ მარად იქნება ღმერთი, სულ იქნება იგი ადამიანიშვილის მწე და მშველელი. კი, მიუგო მამამ, სულ იქნება, სანამ თავად კაცი, განგების სურვილისამებრ, არ გახდება ღმერთი; მაშინ დასრულდება მეუფება მისი, მიიძინებს ნეტარების ბურანში გახეული და ხანდახან გადმოხედავს, შეხედავს, დახედავს ღვთაებად გარდასახულ კაცს და ისევე მიეცემა ნეტარებას. პო, ღმერთი, თქვა ბათმე ბიძიამ, ოღონდ არა ისეთი, ოლიმპოზე მჯდომარე რომ გადმოგვეყურებს თვალთიდან ცეცხლის ფრქვევით. მერე კი ასე დასძინა მამამ, ღმერთი ჩვენშია, სვედის მომგვრელი ნათლით სრულად მოუცავს ჩვენი სული და ხორცი. ბათმე ბიძიამ კი მიუგო, კაცი იმით კი არ ცხოვრობს, რითაც ცხოვრობს, ის, საბრლო, იმით ცხოვრობს, რითაც არ უცხოვრია და ასეც მიელტვის ღმერთს სიდონია მოვიდა იმ დღეს და მოუთხრე რაც ვიხილე მრავალ-
 გზის კაცი კიდევ იმიტომამა კაცი, რომ ზოგჯერ, ვინ ხშირად და ვინ იშვიათად, იქმს ისე, ცხოვრობს ისე თითქოს სულ მუდამ იყოს, და ასე, ნებხით თუ უნებლიეთ, გამოსტაცებს რალაც მცირეოდენ ნაწილს მარადიულობას, თქვა მამამ. ბათმე ბიძიამ კი: ანუ ზოგჯერ აკეთებს იმას, რაც არ შეზიზღდება რამდენიმე ნუთის, რამდენიმე საათის, რამდენიმე დღის, რამდენიმე თვის და რამდენიმე წლის მერეო თვალეგაბრწყინებულმა სიდონიამ თქვა, მოინია ახალი ფამი, შენგან გვესმის იმ კაცის, ვინც უბრალო იყო და სისხლი დაღვარა.

მირიან მეფე დაბრუნდა საბერძნეთიდან, ოტებული კონსტანტინე მეფისგან თუ გინდა გაიგო ვინ რა არის, უნდა გამოსცადო, ხელისუფლება, მეფობა უნდა მიანიჭო მას და სულ მალე

მიხვდები, კაცია ის თუ ქვენარმავალი, თქვა მამამ, უბრალო მოკვდენი რომ ამალღდებიან, ცად კი არა, ტახტზე, ზოგჯერ, ზოგჯერ კი არა, ხშირად, მაშინ მდაბლდებიან, ეშმას საბუღარი ტახტის სიახლოეს არის სწორედ მთელი ეს ხანი ვქადაგებდი ქრისტეს რჯულს, რათა აქაურ მკვიდრთ დაეგდოთ ცდომილება დიდი როცა მდაბლდებიან და დაიწყებენ თავიანთი ხელუბიდან სისხლის ალოკვას, მაშინ იკითხავთ, საიდან მოდის ეს ცოდვა? თუ იქნება კაცი მეორედ შევიდეს დედის მუცელში. მეორედ იშვას და ის სხვა არაამქვეყნიური დრო-ჟამი გახდეს მისი მკურნალი? გამოვაჩინე, აღარ ვმალავდი ნახსლევის ჯვარს და ჩემთან იყვნენ ჩემი მოწაფენი, შვიდნი, მათ შორის სიდონია, აბიათარი, მამა მისი, მცხეთელი კაცი, ახალი და ამ დროის პაეღე, ვინც ქადაგებდა უშიშრად და დაუცხრომლად იმის წინარე უშიშრად დამდგარიყო ბათმე ბიძია მუშტებმოღერებული, ასე იძახდა გააფთრებული, ქუთით იყავი, კაცო, სიტყვებს წავართმევე, მხოლოდ ღმუილის წყარო იქნება პირი შენი, ამ პირში ლავამს ამოგდებ და დავაბრუნებ იქ, საიდანაც მოხვედი.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს დღე მოავონდა მამას, ასე უთხრა ბათმე ბიძიას ჩუმი ღიმილით, გახსოვს ერთხელ სანადიროდ რომ ვიყავით ნასული დიდი ხნით და ის ტახიც ხომ გახსოვს, სიტყვებწავგრილი არსებააო, როგორც შენ ამბობდი, იმ ტყეში თავის წილ ნაკვეთს (რალაც მისი ტახისეული ვუმანით ვრძნობდა ამის საჭიროებას თუ აუცილებლობას) დაპატრონებოდა, სხვა თავის მსგავსს არავის არ აკარებდა იქაურობას, შეეძლო კიდევაც, რადგან ეშვები პქონდა ვეებერთელა და ბასრი.

კაცი იყო იგი, ეშვად ქმნილი? პკითხა ბათმე ბიძიამ.

არა, კაცი არ ყოფილაო, მიუვგო მამამ, ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო, ანუ როგორიც განგებამ გააჩინა, როგორი ხორციც მიუბოძა მას და ისიც, რასაც შეიძლება მისი საკუთარი სული დაეარქვათ. ხოდა, სწორედ ამ თავისი საკუთარი სულის კარნახით შემოისაზღვრა თავი-

სი მამული (საუფლო?) და როგორც წელან ვითხარი, არავის, თავის მსგავსს და არამსგავსს არ უშეებდა იქ. ახლა კი მითხარი, ჩემო-მამო, ის ჩვენი კოლასტრელი სახელგანთქმული ონორია თუ გახსოვს?

კი მახსოვსო, უთხრა ბათმე ბიძიამ, მრავალი წიგნი აქვს დანერილი იმ ონორიას.

ჰო, თქვა მამამ, მრავალი წიგნი ანუ მრავლის უმრავლესი სიტყვა აქვს დანერილი. და თუ იმის სიტყვას გაიზიარებდი და ეთაყვანებოდი, ხომ კარგი, თუ არადა მტრად გადაგეკიდებოდა, ფხიზელი და დაუნდობელი გუშავი იყო ამ თავისი საკუთარი საუფლოს (მამულის?) დაცვის ხანს. იქ იგდა და ეფხსაც ვერ მოაცვლევინებდიო და ერთხელ გახსოვს, იმასთან მისული და მერე მობრუნებული ასე მეუბნებოდი სიცილით: ღმუილი აღმოხდა, გამოჰყო ორკაპი ენა, ცეცხლი გამოაკვესა, ცეცხლი ღმუოდაო იმის ხახაში. სიტყვები აღარსად იყო იმ აბიათარს, ძველი რჯულის კარგ მცოდნეს, ახალი ვასნაეღე, ქეშმარიტი და მაშინ ჩასაქოლად გაიმეტეს აბიათარი, ქვეშმომარჯვებული მოუხდნენ, მაგრამ მირიან მეფემ მოავლინა მსახურნი და იხსნა სიკვდილისგან. უკვე ვიცოდი, მირიან მეფესაც მოსწყურებოდა ქრისტეს რჯული. საბერძნეთში რომ იყო, იქ ნახა მრავალი სასწაული, ეღარ შეძლო დაბრკოლება ჩვენი, მაგრამ ჯერ კიდევ იქ, უიხას იყო ეშმა, კაცის მტერი, თავად ჟინიარი ის რაც ბნელია, უწინარია, თქვა მამამ, კაცი იმ ორკაპი ენასავითაა, ორნაირია ბუნება მისი, ზოგჯერ ის, რაც ეშმასაა, საარაკო ბრწყინვალეობით არის შემოსილი და ასგზის უფრორე შემადრწუნებლად მაცდური ჩანს. დიახ, ასე მიუვგო ბათმე ბიძიამ, სწორედ ასეა, ასე რომ არ იყო, მაშინ მრავლის უმრავლესი საუკუნე რად დასჭირდა იმის მოცილებას. და კიდევ, განაგრძო მამამ, კაცი შეიძლება ხედებოდეს ამ ბრწყინვალეობის ჯოჯოხეთურ წარმომავლობას და მაინც მოსწონდეს, რაკილა შიში აქვს, ვაითუ ურეა-კა-ეშანმა დამიმონოსო წარუვალმა და ამ დიდ და მძიმე ხარკს იხდის მსწრაფლწარმავალი სიცოცხლის სიხარ-



ულის საზღაურად. ნუთუ შენ ამას სიხარულს ეძახი, შიამაზა დედამ მაგრამ საქმით ხილული და ცხადი. დედოფალი ნანა ბობოქრობდა ძლიერ და შურააცხყოფდა ჩემს ქადაგებას.

ხინგარაგი

ვინ და რა კაცი იყო ლარიმან, ხინგარაგიდან, იმ ქვეყნიდან, სადაც ყოველი კუთხე-კუთხული ნალკოტია და ზეცა სულ მთლად ცისფერი-თეთრი ფერებით არის აღბეჭდილი, ანუ ხან ლაფვარდოვანია და ხან თეთრზე უთეთრესი ღრუბლებით მიფენილი, და ყოველთვის, თუკი ვინმე იტყოდა, ხინგარაგიო, იმ ნუთას ჩემს თვალწინ გადავივლიდა ის ღრუბლები, ახალი თოვლისფერი, ჩუმი და სპეტაკო. ახლა და დღეს, ისევე, როგორც გუშინ და ალბათ ხვალეც, არ მცოდნედა და არც მომიკიდებდა ის აბურღული ფიქრები, რომლებიც ზოგჯერ მტანჯავს და ზოგჯერ, თითქოს-და გამოსავალს რომ პოულობს, ანუ თითქოს საცნაური რომ ხდება და ხეანჯებს იცილებს, მცირეოდენ შევხად გარდაისახება. მაგრამ სულ მალე ილევა ეს შეება, რადგან არ ვიცი-მეთქი, ვინ და რა კაცი იყო ის ხინგარაგელი ლარიმან, კარგად არ ვიცი იმან რაც ქნა სინამდვილე იყო თუ მხოლოდ სიტყვები, ნაყოფი მისივე ნამონთებული ნარმოსახის, რომელიც ხშირად სინამდვილეზე უფროვე სინამდვილედ წარმოგვიდგება და ხანდახან მწარე, გაუსაძლისია მისი მძლავრობა.

მაგრამ ის ხომ უთუოდ იყო რაც იყო, ის ხინგარაგული თეთრი ღრუბლები და ხინგარაგული ჩუმი ზეცა, ნათელი, დიდებული, მარადიული. იმ ლარიმანს რომ შევხვდი, სამი დღე და ღამე იყო გასული რაც ხინგარაგს ჩამოვედი და აქაური ერისმთავრის, ფევალიას, სასახლეში ვიყავი. ამ კაცის დიდებულმა მასპინძლობამ და იმასთან საუბარმა მომხიბლა; ასე მეგონა, სულაც არ დავუქანცივარ ამ გადაბმულ ღამისთვის. ალბათ მართლაც ასე იყო, რადგანაც მყოფზე დღეს დილა ადრიადად ფევალიას სასახლიდან გამოვედი. მხოლოდ ნახევარი საათის მერეღა გავიგონე მამლის ყვილი, სადღაც ძალღმა დაიყუფა და მერე ისევ ყოველივე აქ ამ დილანდელმა მდუმარებამ მოიცვა.

ქალაქის კარგად და მკვიდრად ნაგები სახლები გამოვიარე სუფთა ღამაზი

დღედაღამე ვლოცულობდი მაყვლის ქვეშ, ამ წარმართთა თვალწინ და მღერე და მერე დაინყეს გამოკითხვა, ჩველთა და ახალთა ნიგნთა და ილეოდა უგუნურება მათი.

ქუჩებით, მერე იმით მიღმა ერთი კორიში რომ ჩამოვიტოვე, სულ უეცრად პატარა სასაფლაოს გალავანს მივადექი. შევაღე, შევევდი, ჩუმი და საამური შრიალი მოიღო იქ მაღალმა ვეებერთელა შავმა ვერხვმა.

გამოველე ის კარი და ფრთხილად რომ მივხურე, წარწერა გავარჩიე, გავოცდი, კარს შიგნიდან პქონდა წარწერა და არა გარედან. ძველისძველი პიმნის სიტყვები უნდა ყოფილიყო, იერუსალემს ყოფნის ეამს ბევრჯერ მსმენია ის პიმნი, იქაური ბერები მღეროდნენ და ასე იძახოდნენ, ნათლის შვილები ვართო. ჩემთვის ცნობილი იყო-მეთქი ის სიტყვები, ამიტომ სულ მალე ამოვიკითხე: „და მე, მშობელი იქედნისა, მივეცემი ტანჯვა-ვაებას, ღელენი ჯოჯოხეთისანი მოველებიან მინის სამანებს, შეიშუსრება სამყაროს ღიბო ვითარცა ხომალდი აბობოქრებულ ზღვაში, ზეცას გააყრუებს შემზარავი ყვირილი. მინის შვილნი დაემსგავსებიან აბობოქრებულ ზღვაზე მოარულთ. ჩვენი ბრძენნი ოკეანეთის უფსკრულოვანის ზღვაოსნები შეიქმნებიან, სტიქიონის ღელვა და ღრიალი წარხოცავს იმით სიბრძნეს. უნდა დაიხშოს განწირულთათვის ესე კარიბჭე“.

ხინგარაგს ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ პირველად ვხედავდი აქაურობას, მერე ფევალიას და სხვებსაც რომ ვკითხე ამ სასაფლაოს შესახებ, პასუხი არ გამცეს, ზანზე ამიგდეს სიტყვა. სულ ორიოდე სამარის ქვა იყო აქ, სამი უნდა ყოფილიყო, მე მგონია. ხელის გული დავადე ერთ-ერთს, საამური სიგრილე ვიგრძენი, ის სიგრილე მახსოვს, იმ სიგრილის შემგრძნობს, ნამომავონდა ერთი კოლასტრელი მესიტყვის სტრიქონები, რომელსაც ბათმე მღეროდა ხშირად:

„მივდივართ ორნი, საქვლეა აქ ერთი, ვიცი, მესამის.“

მე ზაერო კეთილო, შეხედე უბედურის საფლავის ნიშას, ხმელეთზე მოკლული იმ დიდი ბომალდის მესაქის...

კარგა ხანს ვიყავი ასე იმ სამარის ქვას ხელმიბეჭენილი და თითქოსდა ვერა და ვერ შეეჩერებინა უტყვი მეტყველება იმ ქვის საამურ-სევდიან სიგრილეს. კოლასტრას სასაფლაოზე ერთ საფლავის ქვაზე ამოკითხული წარწერაც გამახსენდა (არც სახელი, არც გვარი, არც დაბადებისა და არც აღსრულების დღეები და წლები იყო ვიღაც უცნობი განსვენებულის, მხოლოდ ეს წარწერა):

„იყო დღეები გუშინ, მანამ, სანამ იქნებოდა შენი დღეები გუშინ, როდესაც იყო შენი დღეები გუშინ; იყო დღეები ახლა, როდესაც იყო შენი დღეები ახლა; არის დღეები ახლა, როდესაც არ არის შენი დღეები ახლა; იყო დღეები ხვალ, როდესაც იყო შენი დღეები ხვალ; იქნება დღეები ხვალ, როდესაც აღარ იქნება შენი დღეები ხვალ“.

იმ ლარიმანთან საუბარიც მახსოვს, თუმცა დღეს ეს მოგონება ბურუსითაა მოცული და ხშირად ეჭვი მანვალებს, იქნებ უღეთოდ მღალატობს მეხსიერება, იქნებ კარგად ვერ გავიგე, რასაც მეუბნებოდა ის ლარიმან. დაბოლოს, ამ ეჭვისა და მისი თანმხლები ფიქრების მორეცტრიალის გასრულების ხანს სულსა და გულში ზარის რეკვასავით ჩამესმის, იქნებ მოჩვენება იყო იგი, სუფრიდან სამიოთხი საათის წამოსული წამთერალევი კაცის ზმანების პირში, იქნებ სულაც არ აემდგარვარ იმ დილა-ბნელზე ჩემი სანოლიდან, არც ვარეთ გამოვსულვარ, არ გამოვივლია ის ქალაქი, არც ის საძველ მინახავს; მხოლოდ შუადღით გამოღვიძებული კვლავ ფევალიას მშვენიერ მაგიდას მივუჯექი, და იქნებ ამ დროს რაღაც სიტყვა თუ საუბარი, ანუ ვიღაცის ნათქვამ-მონათხრობი დღეს და ახლა ასე უცნაურად გამახსენდა და ყველაფერი ეს ჩემი ან უკვე მოუძღურებული მეხსიერების ზრიკები თუ არის, მეტი არაფერი. მაგრამ იმ ვერხვის ფოთლების შრიალი ხომ მესმის, იმ შრიალს მოჰყვება იმ კაცის სახე, შავი ცოცხალი თვალები, შავი წერ-ულვამი, შავი თმა, მღალი შუბლი და მე მგონია, თავიდათავი ის უნდა იყოს, როცა ვამბობ თუ ვინ და რა კაცი იყო ლარიმან, მე იმისი თქმა მინდა, კი ვიცი, რომ იყო ის კაცი, ვინც იმ დილას საძვლის (თუმცა, ასე უკონდა ნათქვამი იმ ლარიმანს, ძალი რამ არც არასდროს ყოფილა იმ საძველში) ახლორე სახლიდან გამოვიდა და სულ ცოტა ხნის მერე უკვე მეორედ მომიხდა

იმ სასაფლაოზე მისვლა, უკვე იმ ლარიმანთან ერთად. მე მგონია, კი, ასე იყო, მაგრამ აი იმისი თქმა მიქორხე, ახლორე თუ ისე, როგორც ზემოთ ვთქვი ცოცხალი და უძვეეს თუ და თუ, ჩემი სულისა და გულის გამომჭმელი ორად ორი ასოსგან შემდგარი სიტყვა, თუმცა, მე მგონია, ადამის ვაჩუნის დღიდანვე სწორედ ეს მარტივი სიტყვა დღესაც ისევე თრევა-თრევით მოათრევა ადამისავე ნამიერთი).

იმ დღის მერე „მარად გაუჩინარებული მატლივით“ (ზემოთ ხსენებული იმ კოლასტრელი მგონის სიტყვებითა ესეც) რაღაც ეჭვი მღრღნის, იმ კაცის იდუმალება ამქვეყნიური (არა-ამქვეყნიურზე ამას როგორ ვიტყვი) საგნების მსგავსად, რაც მრავალი გვინახავს ჩვენი ცხოვრების გზაზე და ამამცოთ სწულად, მცირეოდენავც ვერ გამოვიცვინია და სამარეში მიგვყვება ამის სიმუხარე, ის აზრიც, რომ ვინ იცის, კაცთა რომელ თაობას ეღირსება იმ იდუმალებანარბოცილი, ან უკვე შეცნობილი საგნების ხილვა.

სამი თუ ოთხი ქვა იყო იმ სასაფლაოზე, თავად ლარიმანს დაედგა ის ქვები; სწორედ ახლა გამახსენდა, იმ დროების სამაროვანიდან ამოხეთქა იმ საფლავის ქვებზე წარწერილმა სახლებმა, თიგურა, მაქვა, აკო... პო, მეოთხეც იყო, ვიცი, ახლა გამახსენდა, ახლა გამახსენდა-მეთქი იმ მეოთხე ქვაზე ამოკვეთილი სახელი – პანაბსუ. პანაბსუ ერქვა იმ მეოთხეს თუ განაბსუ? მე მგონია, პანაბსუ, რადგანაც ვინც სინგარაგსაა ნამყოფი, იმას ეცოდინება, ეს სახელი, პანაბსუ, იქ უფრო გავრცელებულია. ხოდა, სწორედ ეს სახელი ამოეკვეთათ (უფრო სწორად ლარიმანს ამოეკვეთათ) ზემორე ხსენებულ სამივეთა მსგავსად.

წინასწარმეტყველი უნდა ყოფილიყო ის ლარიმან და ამ ათიოდე წლის წინათ ფევალიას თავისი სასახლიდან გამოუძევებია. თუმცა თავის ნებით არა, იძულებული შექმნილა, რადგანაც იმ კაცის წინასწარმეტყველებლის გამო ერთი ამაზრზენი ქორი დადიოდა ხინგარაგს და ყოველი აქ შიშის ზარმა მოიცვა. ფევალიას სასახლეში მოუცვივდნენ, მოითხოვეს (ბევრი იყვნენ, შინაოშს მოურდა ფევალია), საქაროდ უნდა მოიკვეთოს ლარიმან, თორემ გადავშენდებითო სულ მალე. ვერ გეტყვით, რამდენად საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო იყო ის ქორი. იმ



ლარიმანთან საუბრის ხანს თითქოსდა უნმუნდებოდი, ქორი კი არა, უცნაური და შემზარავი სინამდვილე იყო, კაცი რას არ მოიფიქრებდა, ანუ რა ხერხს არ მოიშველიებდა ხოლმე რათა ის ზეცა ყოფილიყო, ხინგარაგული ზეცა, თეთრი, სპეტაკი თოვლისფერი ღრუბლებიანი, ხოლო მინა რბილი და მწვანე. მაგრამ ასე იყო-მეთქი ლარიმანთან საუბრის ხანს, მერე კი, როდესაც იქიდან ნამოვედი და იმ კაცს ველარ ვხედავდი, როდესაც თვალზე გადამექვეროდა დროისა და მანძილის ლიბრი, უფროვე ზღაპარი მეგონა მისი ნათქვამ-ნაუბარი, სხვა რა დავარქვა ამას, არ ვიცი, მით უმეტეს მაშინაც კი, როდესაც ლარიმანთან ვიყავი, ეს აბდაუბდა სიტყვები მიტრიალებდა თავში: იყო — არ იყო, არ იყო — იყო, ვის შეუძლია აქედან რაიმე აზრის გამოტანა, რადგან თუ იყო, როგორ არ იყო და თუ არ იყო — როგორ იყო. წელან როგორც ვითხარით, ხელმოსაჭიდი რამე თითქოსდა არ ჩანს და რაც არ უნდა აბრუნო ის სიტყვები, მაინც საბოლოოდ ასეა, თუკი რამე იყო — იყო და თუ არ იყო — არ იყო, ამას რა ლარი და ხაზი უნდა; აქ და დღეს, იორდანეს მხარეს სულ მარტოდ მყოფ კაცს, ჩემდა უნებურად, შმაგს რომ ემართება, ისე, ზოგჯერ ძალუმად, მთელი ხმით მესმის ეს უცნაური სიტყვები, ანუ თითქოსდა, თითქოსდა-მეთქი, რაც მისი ჭეშმარიტება მათი. მართლაც, მეც იყო, არ იყო, ანუ, არ იყო ის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო და მეც ახლა სწორედ ისე ვფიქრობ, როგორც ის ლარიმანი. მაგრამ იმისგან განსხვავებით მე მხოლოდ ვფიქრობ, იმისთვის კი, ვინ იცის, იქნებ უფლის ნება იყო, ერთი იყო გულში თქმა და ქმნა.

პარიზის მთის ძირას, აპოლონის ტაძრის კარიბჭეზე ნაუნერიათ: „შეიცან თავი შენი! ზოგი ეჭვით მოკიდებია ამ სიტყვებს, რადგან ასე ფიქრობდნენ, რამდენად სრულად შეუძლია ან საერთოდაც თუ შეუძლია კაცს თავის შეცნობა? მართლაცდა, თუკი შეუძლია კაცს თავის შეცნობა, ესეც უნდა შეძლოს, ამ თავისი შეცნობილი თავის საქმეთა შედეგი გაითვალისწინოს, დარახან ასეა, თუკი ბოროტება გახდება ამ საქმეთა დასასრული, ძნელია ვთქვათ, რომ იგი ასეთ დასასრულს ვარაუდობდომ სწორედ. მიჭირს ამისი თქმა, ბოროტება იყო შედეგი ლარიმანის წინასწარმეტყ-

ველებისა თუ სიკეთე. კარგად მახსოვდა, ეკლესიასტეც ასე ამბობდა, უფლებს დღე სიკვდილისა გაჩენის, დღეს სიკვდილის დღე იყოსო მისი არგაჩენის დღე. მისით რომ ამბობდა ეკლესიასტე, მე არ ვიცი ვის გულისხმობდა, მაგრამ სწორედ ამას მონშობდა ეს ხინგარაგული ზეცა, ჩუმი აუმღერეველი და ზედ მიფენილი არა ქუში და მძვინვარე, სულ მუდამ თოვლივით თეთრი ღრუბლები. თუ ეს სინამდვილეა, მაშინ ის ლარიმანიც უნდა ყოფილიყო სინამდვილე, ანუ როგორ შემიძლია ვთქვა, სიცრუე თუ რაღაც ზმანება ესამბრეკვლებოდა ლარიმანის სახეს, ხოლო ეს ხინგარაგული ზეცა ჭეშმარიტება იყო მხოლოდ.

მიხვდა ერთხელ ლარიმან, უნდა გადაშენებულ იყვნენ, ალგვილიყვნენ მინის პირისგან ხინგარაგულები, რადგანაც უნდა მოვლენილიყო ის რამდენიმე (სახელებიც უნინასწარმეტყველებია იმათი, სწორედ ესენი ნაუნერია იმ საფლავის ქვებზე), ვინც უნდა მოვლენილიყო და აღარ მოგვევლინებოდნენ, მისი, ლარიმანის შენევენით, და როგორც წვიმა და თოვლი მოდის ზეციდან და უკან, ზეცას აღარ უბრუნდება, ასევე არ მობრუნდებოდნენ ისინიც, ვინც უნდა მოვლენილიყვნენ და აღარ მოგვევლინებოდნენ, რომლებსაც უნდა გავევლით ბალღობის ხანა, ანუ ის მცირეოდენი საამური დრო და საამური ნაში მშობლებისთვის, სხვებისთვისაც და თავისთვისაც და მერმე უნდა შექმნილიყვნენ მამრნი, კაცნი, და კვამლივით განქარდებოდა ზეცა და მინა ბალღივით გაცვთებოდა, ჯოჯოხეთი პირს დაალებდა და იქიდან გურგურით ამოიჭრებოდნენ ღელენი მძვინვარებისანი.

ასეთი უცნაური ხილვები უსწრებდა იმ ლარიმანის ესოდენ (ნუთუ ეს მართლაც ასე იყო?) ქმედობაუნარიან წინასწარმეტყველებას.

თუმცა ერთხელ, სანამ ლარიმანს ამ წინასწარმეტყველების უნარს სრულად მონიჭებდა უფალი, ასეთი ხილვა მოუვლინა მას (თავად იგი მიმოძვოდა, მუხრნებოდა ლარიმან, როცა იმ ღამის რომელიღაც ნაშს შუქფენით გამოშვეხდა); მინისქვეშეთის ერთი სენაკის კარი რომ გაიღო, ასე მამცნო, გამხმარ ჭიებიანი ფიქლების სენაკი არისო და იცოდე, ლარიმან, ვილაც-ვილაცებს ჭიები რომ შეუწინდებათ თავში და გაუთავებელივ

რომ დაფუთფუთებენ იქ, ზოგჯერ ისეთ ძალამოსილ ბრწყინვალეობას იგრძნობენ, ველარ ჩერდებიან ამ თავიანთ მშობლიურ გარემოში და გარეთ იწყებენ გამოსვლას, ზოგის თვალს ნახავენ გამოსასვლელად, ზოგის ყურს, ზოგის პირს, ენას გამოყვებიან ხოლმე, ყველაზე უფრო ენას გამოყოლილებს უნდა გემინოდესო, ლარიმან; მერე კი მშვენიერ და დიდებული ბუნების ნიაღში გადმოთესლილები ისე მომძლავრდებიან, რომ სულ მალე გველეშაპებად გარდაისახებიან. ამიტომ უნდა მიეგებო იმ ჭიებს, აღარ უნდა დააცადო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ...

მახსოვსო, მეუბნებოდა ლარიმან, ეს რომ გავიგონე, თვალთ დამიხნელდა, მუხლებზე დავეცი, ასე შევალადე უფალს, მე ნუ უფალო, მე ვინ ვარ, უფალო-მეთქი. სწორედ მაშინ მუხლებზე დაცემულმა, უფლის უკან, აქედან და იქიდან, ორნი შევნიშნე, კაცნი მომლიძარენი. შვება ვიგრძენი, მარტო არ ვიყავი უფლის ნინამე; შენც იცი, რა საამური შვება ძილის ჭამს, მსუბუქი, ჰაეროვანი, სულაც არ შეედრება ლეიძილის დროინდელს. ხოდა, იმ კაცთაგან ერთმა, როდესაც გაიღია უფლის თავს მდგარი ნათელი და კიდევ უფრო კარგად გავარჩიე ის ორნი, ასე მითხრა ერთმა, ეზრა ვარო, ლარიმან, ჩვენ ყველანი ხომ აღსავსენი ვართ უკეთურებით?

კი ვართ-მეთქი, ასე მიეუგე თვალეზე ცრემლმორეულმა, ისევ იმ შვება-სიამით.

მაშინ იმ მეორემ, ვინც მამცნო, ზირაქი ვარო, ასე თქვა:

დიდია ჯაფა გაჩენილი ყოველი ადამიანისთვის და მძიმეა უღელი დედის მუცლიდან გამოსვლის დღიდან იმ დღემდე, როცა ყოველთა დედას უბრუნდებიან.

მერე კი ასე მითხრა იმ პირველმა:

ნაღი და ჰკითხე ფეხმძივს, ლარიმან, თუ შეძლებს მისი საშო ნაყოფის შეკაეებას, როცა ცხრა თვე შეუსრულდება-თქო, საშოს მსგავსია ქვესკნელში სულთა სამყოფელნი!

სწორედ მაშინ გამოლვიძებია ლარიმანს, ნამის უმაღლესად განქარდა ის შვება-სიხარული. დილა იყო ქუში და წვიმიანი, სარკმლებს სწვდებოდა ქარისგან მოქნიული სევდის მომგვრელი მომსხოწვეთები.

თავზარდაცემული იყო უკვე ლარიმან, ნეტავი ფეხი მომტყუნიდა და ჩემს სანოლთან არ მივსულაო ვერ ამაღამ, რა ჩემი სანახავი იყო შფოთიანობა უფლის. რა არის კაცი სუფთა რომ იყოს, ანუ რა მართალი უნდა იყოს დეიაცის ნაშობი, დიდებული სამოსლით შემოსილი, ხშირად ზიზი-პიპილებითაც, ვინც გადავა, ნავა, მიაშურებს მიწას, რომელიც მისივე და-ძმებითურთ, დედამამითურთ, მამა-პაპითურთ შეიქნება მეორე ნიაღი. ჩვენ ხომ შემთხვევით ვიბადებით და მერე ვართ როგორც არყოფილი. ვანგებამ მომცა ამ შემთხვევის გათავისების ძალა, ჩემთვის აღარ არის დაფარული იდუმალება მისი, ვინც ქვესკნელში შენივთდება, მისი ჩანასახის ხილვა შეუძლია ჩემს თვალებს, ჩემს ნივთში ჩანერილია დღენი მისი მოხაველი ცხოვრების.

შეჩერდა აქ ლარიმან, დამცინავი ღიმილით მოეღრიცა უცებ ბაგე. მერე ასე ამოთქვა უცნაურად შეცვლილი ხმით:

„ერთხელ ასე ამომწვილა ნაყოფმა, ვინა თქვა, თივით ორსული არისო დედაჩემი და ჩალას დაბადებსო მხოლოდ. მოვალ მე და იქნება სულ სხვა სინამდვილე, კაცის მეხსიერებაში არ წარიხოცება ეს სინამდვილე, სანამ იქნება კაცი“.

მეუბნებოდა ამას ლარიმან, მახსოვს, იმ დღეს სარკმელში ვხვდავდი. მერცხლები დასრიალებდნენ ზეცაში, იქით, შორს, ხეთა სიმწვანე დაეანებულყოფი დაშავალი მზის სხივებით ოქროსფრად შეფერილი. აქეთ კი ამ საფლავის ვალავანი მოჩანდა, რიყის ქვებით საგულდაგულოდ და მკვიდრად ნაგები.

თითქოსდა ჩემს მზერას გააყოლა თვალი ლარიმანმა და გარეთ გავიდა, იმ ნუთასვე მივაშურე სარკმელს, გზვიხედე, სად მიდის-მეთქი. არსადაც არ მიდიოდა, აქვე დამდგარიყო სახლაკთან, ფართოდ ტოტებგამლლი ხის ქვეშ. ჯერ იმ ხის ძირს დაეხედე, გველივით დაკლავნილი, მოიშვილებული ფეხები ჩანდა მისი. მერე ცოტა იქით მივმართე მზერა და ლარიმანის ფეხები დავინახე. კარგად რომ დავაკვირდი, რას შვრება-მეთქი, გულმა დოლბივით დამიწყო ბრუნვა, თვალს აღარ ვუჯერებდი, თავისი თმებისთვის წაველო ხელი იმას და, მე მგონია, თავის აწევა მოესურვებინა ასე, თითქმის ერთი მტკაველით იყო დაცლიებული მიწას. უცებ გა-



მასხენდა, გუმინ საღამოს ფეველიას სუფრაზე ვილაღამ ახსენა ლარიმან, მაშინ არც კი მიმიქცევია ყურადღება ამ სიტყვებისთვის, თავისი თმით საკუთარი თავის ანევას ლამობოს ის შლეგი. თქვა იმან და ხითხითვ მოაყოლა ამ სიტყვებს, პირზე ყანნი მოიყუდა მერე. იმ ნამსვე აღარ მახსოვდა არც ის ვილაღ და არც ის, რაც თქვა, იმისი ხითხითვიცა და ყანნიც და, რაღა თქმა უნდა, არც ის სახელი, ლარიმან, რომელიც იმ კაცთან შეხვედრის მერე არც არასდროს დამიზინებია. რა დამაზინებებს. ხოდა, ფეველიას სუფრაზე ნათქვამის ამ ანაზღვეული ვახსენების შემდეგ გარეთ გამოვდიე თუ არა, ლარიმანმა მაშინვე ხელი შეუშვა თმას და როცა ფეხებზე დავხედე და გაცივებული მზერა ავაყოლე, ასე მითხრა:

„დრო მიდის, და თუ იცი, ზაბილონ (რაც ვნახე პირველად ახსენა ჩემი სახელი. შეგერთი, ვიუცხოვე, თითქოსდა მართლაც მოჩვენება თუ აჩრდილი იყო ის კაცი. თუმცა, ახლა უკვე კარგად მახსოვს, შეხვედრისთანავე თავად ვუთხარი ვინც ვიყავი), საით მიდის დრო, ნინ თუ უკან?“

„მე მგონია ნინ“, — მე მივუგე.

„მე კი მგონია უკან“, — თქვა ლარიმანმა, — და ისევე იქ მიდის, საიდანაც დაიწყო მდინარება, რათა ისე აღარ იდინოს, როგორც იდინა და ასე იქნება სულ სხვა სამყარო.“

„ხოდა, სწორედ ეს უნდა იყოს ნინ“, — ჩაიწურწურე მე, როდესაც იმ სასაფლაოს ჭიშკართან მივედი და მინდოდა მეკითხა, ასე ამაღლება როგორ მოახერხებოდა, იმან სუო, მითხრა და იმ თავის მტკი ვისი უნდა ყოფილიყო ის უცნაური საგოდებელი) ზმანების ნაყოფ ადგილას შემიძლვა, ისევე დახედე იმ ქვებს.

თიგურა, მატეა, აკო, ჰანაბლუ.

ფეხზე ძლივს ვიდექი, რადგან ვერ მიემხვდარიყავი, ვნვალობდი, ვიტანჯებოდი, ანუზზე ვიყავი აცმული. თუმცა ახლა თითქოსდა ვიცი რაც იყო, მაგრამ მაშინ მოშითა და ზარით რომ შევეცქეროდი ამ კაცს, ასე ვფიქრობდი, მოჩვენებაა სწორედ, ზინგარაგული ზეცის ნაშობევი, მისი ჰერის (ჰაი, რომ საამოურისა და აღუშფოთველის) იდუმალი, მოუხელთებელი, მუდგეგბული, შესქელებული ნაწილის ნაწილი, და იქნებ, მხოლოდ ვინ იცის, იქნებ, უფლის ნებით, მხოლოდ ჩემი აღქმული, დანახული.

მერე უკებ გამახსენდა (ლარიმანთან საუბრის ხანს ნამის უმაღლესად გამიღვა

თავში), უცნაური სიტყვა (თქვა ერთმა ბერიკაცმა იმ სუფრასთან) ~~ფეველიას~~ ვილაღ მარენჯიმ, თუმცა ~~ფეველიას~~ ლეინონასემაი და გულარუყვბული კაცის კენესა, გოდება თუ იყო; რაკიღა რალაც რიტმი და რითმა ჩანდა იმის ნათქვამში, შეიძლება სწორედ ამიტომ ჩამჩრა მხესიერებაში, ხოლო მერე კი იმ ლარიმანის გამოც (თუ იქნებ ის მარენჯი ლარიმანის ნათქვამს იმეორებდა თუ მღეროდა? მგონია ასე იყო სწორედ): „ვერცხის ნიაღში ჯერ კიდევ არ გამოჩეკილი მართვეს ნიელის მსმენელმა მოიპოვა ამ კვერცხის დამანრეველი ძალა და კურთხეული იყოს ის დღე, როდესაც ის არ იმება, კურთხეული იყოს ის მახარობელი, ვინც არ გვამცნობს იმის დაბადებას, კურთხეული ის დღე და ის ადგილი, როდესაც და სადაც სამშეოზე არ დატოვებენ მას რამდენიმე საუკუნე ქვეყნის საცქერლად“.

ისიც გამახსენდა (ამჯერად უკვე აქ, იორდანეს მხარეს), რალაცას დიდხანს ეწურწულებოდა ის მარენჯი ფეველიას; თითქოს ახლა და აქ ჩამქსმის იმ დროს ჭამ-ჭამად ყურმოკრული ამ კაცის ნათქვამი. აი ასე: „იმისი ჩანასახიც ჩანს, რა ზეცა და მინა უნდა იყოს მისი მოვლინების მერმე, ამ ქვეყნად მისი ყვაეილობის ხანს... სიცოცხლეში შავი ვარდივით ცევაეილებს და სიკვდილის შემდგომ იგმნრაველდება მისი ცოდვები ამ მინაზე...“

ზარიხოცა თუ არა მაშინ ეს მოგონება, ანუ ფეველის სუფრასთან რაც გავიგონე, იმ ნუთასვე მომეახლა ლარიმანის ხმა;

„თიგურას დედა რომ დავინახე, თიგურაზე მეოცნებე ფეხმძიმე რომ დავინახე, მივუახლოვდი ქალაქის კარიბჭესთან წყლის ასაღებად მოსულ ამ ნორჩ ქალს. თავად დამიბნელედა, თითქოს გუგუნე მოილო დედამინამ, ჩემს ყურში ზარივით რეკდა, ხმაურობდა, გასნიოდა, გაპკიოდა, გაპყვიროდა მირიადი ხმა; მხოლოდ ჩემთვის იყო გასაგები ის ხმა, მხოლოდ მე შემეძლო ამ შემზარავი ხმაურის ნიაღში სიტყვების გარჩევა, ვიცი გძულვარ, ბარემ საშოშივე მომკალი, ჩემი სამარე გახადე დედაჩემი, მარად ორსული დარჩესო მისი მუცელი“.

სისხლის ჩქაფუნეი ასე ესმოდა ლარიმანს, ვითარცა აღმომავალი წყარო სადღაც, მივარდნილ, შორეულ მთიანეთში, მერე რომ ზათქით, გურგურით ღრიალგრიალით დუჭმორეულ ჩანჩქერებად გადმოემეგება, გამოპყვება მთების

ხეობათა არეებს, გამოსწევს ბარისკენ და ზოგჯერ ისე ადიდდება, წარღვის, ნალექავს აბლორე და შორიახლო გაშენებულ სოფლებსა და ქალაქებს.

მცირეოდნავ გონსმოსულ ლარიმანს ამოუკვებისა, შუბლზე ხელის გული გადაუსევამს, ცივი ოფლის წვეთები მოუცილებია. უფლის სული მეტყველებდაო ჩემში, უნაზე მქონდა მომდგარი მისი სიტყვა, რა სიბნელე და რა სინათლე არისო გამოძერწილი დედის საშოში.

მერე მიუახლოვდა იმ ასულს და ჰკითხა, რა გქვიაო?

სადღო, მოუგო იმან.

„წინასწარმეტყველი ვარ მე, ნუ გეშინია, სადღო“, — უთხრა ლარიმანმა. დაუწოქა, ყური მიადო იმის მცირეოდნავ გამოხერხილ მუცელს.

სიტყვებამდ გარდასახულიყო იმ დუქმორეული ჩქერალების ხმაურად

„შემთხვევით არ უნდა დავიბადო მე და სულ მუდამ ვიქნები ვითარცა ყოველი, სულ მუდამ რომ იყო და იქნება“ ასე იძახოდა ის უსუსური, შიშველი, შეუმოსავეი, ანუ სული შიშველი ხორციით შემოსილი.

მერე წამოდგა ლარიმანი და ჰკითხა სადღს.

„შენი მამა ვინ არის?“

„ქიბარი“.

„ქმარი?“

„ბერკა“.

უცებ თავისდა უნებურად და იმისდა მოულოდნელად ასე უთხრა, ვინ უნდა გეყოლოს შენ, სადღო, და იმ შენს ქმარს, ბერკას (გაახსენდა, ლაზას, ძველი უბნელი მექოთნის ძე იყო ბერკა). აღარ დაუყოვნებია, იმწუთასვე (ჰოი, საოცრება!) ასე მიადახა სადღმ, კარგად მახსოვსო, განაჩხლებულ-გაკაჰასებული ხმით:

„თიგურა!“

მოტრიალდა, წამოვიდა. ხმა მოესმა უკან მომავალს, აღარ აკივლდებოა მშობიარე. მოუხედავს, დაუნახავს, დარეცრეცდა სადღო, ხელი შეამშველა ვილაც შავოსანმა დედაქაცმა, რაღაც უთხრა. მიხვდა

მცხეთა

სამი წელი გავიდა რაც ქრისტეს რჯულს ექადაგებდი. მრავალი დამემონაფა. მაშინ იყო ვინმე ყრმა წული, უფალი მძიმისა სენისა ვის ესაუბრები მამამეთქი, ვუთხარი მე. ჰაი, შენ ხარ,

რასაც ეუბნებოდა. იმან რაც მოუგო, იმასაც მიხვდა, არაფერქუე ნუაქ!

სამი დღის მერე დაგვადგინო მუცელი მოშლოდა იმ ბერკას ცოლს.

„და ეს საფლავები, — ვუთხარი ლარიმანს გულში ჯოჯობეთის ცეცხლდატრიანებულმა, — ის საფლავებია, ხომ?“

ვეუბნებოდი ამას ლარიმანს (მახსოვს, თითქოსდა მე კი არა, ვილაც უცხო, ვილაც სხვა ეუბნებოდა არა ადამ და ევას შთამომავალი), დავცქეროდი იმ უცნაურ საფლავებს და თანდათან გაუსაძლისი სურვილი მეუფლებოდა, მინდოდა აქვე, ამ წუთასვე საკუთარი ხელებით, ფრჩხილებით გამოთხარა და საკუთარი თვალთ მენახა, რაც იყო, თუ რაც არ იყო. შემომხედა იმ ლარიმანმა, ასე თქვა, თუ გინდა მიდი, გათხარე, ზაბილონ, მე გეუბნები, რაც აქ უნდა იყოს, იქ დარჩა იმ საამურ-სანეტარო ადგილას.

დამცინოდა თუ რა იყო, ღიმილი დაულანდე იმის წვერ-ულვაშში. მერე მიტრიალდა, კარი გაიარა, გავიდა, ჩემს თვალს და იმ გაღავანს მიეფარა სულ მალე.

ცოტა ხნის შემდეგ მეც სიზმარეულივით გამოვედი სასაფლაოდან. აღარსად ჩანდა ის ლარიმან. სწრაფად წამოვედი და ორი საათის თავგზაბნეული ხეტიალის მერე ძლივს მოვაგენი ფევალიას სასახლეს.

მეორე დღეს ხინგარაგიდან წამოვედი, ჯერ კიდევ ხინგარავულ გზებზე მიმავალს იმ ფიქრმა გამიელვა თავში, მერე რომ მძლავრ, ყოვლისმომცველ ფიქრებისავე ნაკადად გარდაიხახა, ის რაც ხინგარავს იყო, უფრო სწორად, რაც ხინგარაველი ლარიმანის თავს იყო, რა იყო, ოცნება თუ სინამდვილე და სად, სად შეიძლება მიგაკელით ზღვარს იმით შორის, ვუმზერდი იმ დიდებულ ზეცას, ვერსად ვერ დავინახე ზღვარი იმით შორის და არც გადასასვლელი ჩანდა რამე, ველარც მერე, ხინგარაგიდან წამოსულმა ვერ ვნახე ეს გადასასვლელი და ახლა, აქ, იორდანეს მხარეს იმ ოცნებასა და სინამდვილეს შუა გახიზული სადღაც მივექანები, და სად, არ ვიცი.

შეილო, გამომხედა იმან და თვალე-ბცრემლიანმა თქვა, ვილაცას ვესაუბრები ჩემი ბავშვობის დროინდელს და მგონია ის ბავშვი მე ვიყავი თავად დედას დაჰყავდა კარიდან კარამდე და



ვერ პოვა ვინმე მისი მკურნალი, დაჰყავდა ის ყრმა, თვალბმბილულული, თვალეზჩალალებული, თვალეზჩააცვივებული, თვალეზგაფართოებული, სევდავარამით მაცქერალი დაუხედე იმ წყალს, ფარავნის ტბისას, დაეინახე თვალეზი, ნმინდა იყო და ნათელი, თუ იქნებ ის, იმ დილანდელი ნმინდა და ნათელი ზეცა არეკლილიყო. სახე მაშინ, იმ ნუთას, მშვიდი და აუმღერველი, შავფერი თმის ტვერით შემოსაზღვრული, ჩამოქნილი ცხვირით, პანანინა, მტკიცე შემოხაზული მოკუმული ტუჩები და ვერც ვერავინ შეძლო შეეღა მისი. დაბოლოს, ასე უთხრეს იმის დედას, არა სარგებელ ეყვისო ყრმას. დედამისი, ის დედაკაცი იყო ნარმართი გარეთ გამოსულიყვენ ვენდამიან, ვემებ, ვენგო, ვინ რომელია არ ვიცი. დაინახეს, მიცვივდნენ, კაბის კალთას ჩამოეკიდნენ. გაიქნია იმან კალთა, მოიცილა, ერთი მეორის მიყოლებით დაგორდნენ დათვის ბელებივით ბუთხუზანი-მრგვალნი, ძლივსძლივს წამოდგნენ. ჯერ ერთი ატირდა, მერე უცებ მეორეცა და მესამეც. შეხედა იმ ქალს ბათმე ბიძიამ და იყვირა, რა უქალსული ქალიამ მოვიდა ჩემ წინაშე, მავედრებდა ყრმის ვანკურნებას. და ასე ვარქვი:

კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არ ვყო, ხოლო ღმერთმან ჩემმან ქრისტემან მოსცეს ყრმასა კურნება, რომელი ყოველთაგან განწირული არისო.

რა გაჰკურნავს იმას, ვინც ცბიერი შარავანდედით დაბრმავებული, მოლორებული იმდენად, რომ არარსებული გულითვის, ზღვა სისხლს დაღვრის, ჯოჯოხეთად აქცევს ანმყოს, ვადახნავს, ვადათხრის ამ, თითქოსდა ნმინდა ნათელით გარემოცული. და სადღაც, მისი სულის სიღრმეში ბჟუტავს ეს ბინძური, ჭაობის ლაფში ამოვლებული აზრი, რომ აღარც არაეინ იქნება ოცი, სამოცი, ან წლის მერე და არც არავის ეცოდინება მისი არსებობა, მისი შორეული შთამომავლობაც იქნება დაინყებული სამარადისოდ. არა. სამარადისოდ არა; კურნება ამ უმეცრებისა კაცთაგან შეუძლებელია. მხოლოდ მაღლა ღმერთს ძალუძს, თუნდაც ჯოჯოხეთის ცეცხლით ვუბრძანე იმის დედას დადება ყრმის

კილიკსა ზედა და ღმერთს შეეჯედურე, მასვე ეამსა განიკურნა იმეს კრეჯანეურნავს, ვალალაებდა, მაშა, კრეჯანე კურნავს და ჯოჯოხეთის ცეცხლი, ასე რამ აცდუნა იგი, რა ბრჭყვიალა ნილბით ნარმოუდგა ის საშინელება განცოცხლებული მივეცი დედას, აღიარა მან ქრისტე და თქვა:

არა არის სხვა ღმერთი თვინიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებსო ნინო.

აბა აქ მოდიო, ნინო. გულში ჩამიკრა მაშამ, მერე ჩამომხედა და ასე უთხრა ბათმე ბიძიას, ბევრი ხორციეა ქვეყანაზე და სნორედ ამიტომ ენაშა ჩვენი მაცხოვარი, უფრო ბევრი სული რომ იყოს, უფრო ბევრი სული რომ ყოფილიყო გუშინ, იმის წინ და კიდევ უფრო იმის წინ, მაშინ აღარც ჰეროდე იქნებოდა, აღარც კაიფა და აღარც პილატე. რას ამბობ, ზაბილონ, იყვირა ბათმე ბიძიამ, შენ იმისი თქმა ხომ არ ვინდა, აღარც მაცხოვარი იქნებოდა ჩვენი. მაშამ ასე მიუგო, ის იქნებოდა ჩვენ შორის, ჩემო ბათმე, ნმინდა და სპეტაკი და ჩვენ ვიქნებოდით იმის შორის ნმინდანნი და სპეტაკნი

დამემონაფა ის დედაკაცი და ადიდებდა ღმერთს.

დედოფალ ნანას შეეყარა სენი დიდი და მწარე, რომლის კურნება ვერავინ შეძლო. მრავალი ხელოვანი მკურნალი ანვიეს და ვერ შეძლეს კურნება მისი. დაბოლოს, სასონარკვეთილებმა აუნყეს დედოფალს ტყვე დედაკაცზე, რომელსაც პქვია ნინო. ნინო, თქვა მაშამ, მოვა დრო, ხორცი ნარიხოცება სულის ზეობისდა კვალად, მრავალი სულის ზეობა ვახდება ცხადი და თვალსაჩინო, შეიძლება ხორცის სახელიც დაივიწყოს ადამიანიშვილმა. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, ხორცი ბევრი იქნება, ხორცი კი ამრავლებს ტანჯვას; რადგანაც ხორცის ზეობის ეამს გვიხდება ცხოვრება, მას სურს ასე რომ აღარ იყოს, და ეს სურვილი იმისი მაშინ სურვილიცაა, რომელიც ქემ უნდა აღასრულოს საბოლოოდ. კი იცის მან, იქით მიშავალი გზა ძნელია, თითქმის გაუწვავალი, და რომ არ ავცდეთ ამ გზას, ღვთაებრივი სიმარტივით გაგვიმარტივა ეს გზა; რაც არ უნდა გვაცდუნებდეს, თუნდაც ხშირად ისიც, რაც

ნათელია და ბრწყინვალე, დღემუდამ უნდა გვახსოვდეს, ეს სინათლე და ბრწყინვალეობა ეშმასგან მოდის და არ გვესმის, ვცდებით, ჯერ კიდევ უღონოა ჩვენი ცოდნა იმისა, რაც მინის მტკერი იყო და მერე შთაებერა სიცოცხლის სუნთქვა. ჯერ კიდევ უღონოა ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ქვეშაირით, ლეთაებრივი ნათლისკენ მიმავალ გზაზე, ჯერ კიდევ და კიდევ ძირს ვენარცხებით, მერე ვდგებით და ისევ ვენარცხებით, ასე მოვდივართ ნინ ნამებითა და გვემით. დღეს ასეა, სწორედ ამან ამოათქმევინა ეკლესიასტეს, რომელი იტყვის კაცთა სული ზევით მიიღტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით. თვალნათლივ იხილა ეკლესიასტემ ნისლი განუსჭერეტელი, ვერა და ვერ დაგვიღწევია თავი ამ ნისლისათვის, რასაც კიდევ იმედსა და ოცნებას ეძახიან. მრავალი, მრავალი საუკუნე გეტანჯავს ამ ნისლოვანების მძლავრობა და ზოგჯერ ამ ყოვლისმომცველ ბურანში ხელის ფათურით მიმავალნი რას ვშვრებით, არც კი ვიცით. დღეს ასეა-მეთქი ლოცვითა მისი ბევრნი სნეულნი განიკურნენო.

მაშინ უბრძანებია მსახურთათვის ნანა დედოფალს, მომიყვანეთო ნინო. მაყვლის ბუჩქებთან რომ ელოცულობდი, მითხრეს დედოფლის ბრძანება, ხოლო მე მივუგე:

არა ბრძანებულ არს ჩემდა, რათა განვიდე, სადა შეება ჩვენი არ არის, არამედ დედოფალი მოვიდეს ჩემს სამყოფელს. ქვეშაირითად განიკურნოს-მეთქი ძალითა ქრისტესი.

მოიყვანეს ნანა დედოფალი, მოვიღე ჯვარი იგი რომელი მქონდა, შევახე თავსა, ფერხსა და მხართა ჯვარისსახედ და მესყუელად განიკურნა, აღდგა განცოცხლებული და პრწმენა ქრისტე.

ზიჯა

ზიჯას ჩამოსვლის მიზეზი ერთი ჩემი ბავშვობის დროინდელი მეგობრის, სინდიგუს, ნახვის სურვილი იყო, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ამ ჩემი მაშინდელი სურვილის თავიდათავი, ასე შემიძლია ვითხრათ, ხეიბარი იყო სინდიგუს; ყოველთვის, როცა მას ვიგონებ და

წერილად გამოკითხა დედოფალს მეფემ, მოუთხრო დედოფალს უწყველი, როგორ უნამლოდ, ღრცაღრცა უკვირის შეხებით განიკურნა, ბევრმა თქვა, ასე იყო სწორედ.

განკვირდა მირიან მეფე და იწყო გამოძიება სჯულისა ქრისტესი და მრავალგზის სკითხა აბიათარს ძველსა და ახალნიგნებზე. მისცა მან ერთი ნიგნი, გადაძალა მეფემ და დახედა ანაზეულად წარმოჩენილ სიტყვებს – გოდლისა აღმენების ხანს ხმა იყო ზევით და ლეთაებრივ ერთ ენაზე მეტყველი კაცი აღამენებს დაიდებულ გოდლს, რომლის თავი ვარსკვლავებს იქნება მიბჯენილი და ყოველი აღივსება ერთი ლეთაებრივი სულით. ხელფეხი არ ექნება გამობმული ამ სულს, არც დასჭირდება, რადგან ეს სული იქნება მხოლოდ მაღალი მთელი ღამე ღმერთა ზღვა, კოლასტრას ახლოვრე ნაპირზე დელფინი გამოვგადო ერთი. მხოლოდ განთიადის ჟამს ჩამცხრალიყო ლეღა, სადაცაა გადაიღვსებოდა იმისი უკიდევანო აქოჩრილი ზედაპირი, პრიალა სიღურჯე მოველებოდა სულ მალე იმის სივრცეს. ქვიშაზე ეგდო ახლა ეს ზღვის პირმშო-ბინადარი, სულს ლეედა. მამასა და ბათმე ბიძიას მოუხბმე. მოვიდნენ, კარგა ხანს ასხეს წყალი. მერე სხვებსაც დაუძახეს, ხუთიოდე კოლასტრელი მეთუეზე მოიყვანეს, იმათ შორის ერთი ვიცანი, იანგო ბიძია, ბათმე ბიძიასას დადიოდა ხშირად. ზღვაში შეაცურეს ეს ვეუბერთელა თევზი. თავი ამოჰყო, რალაც გამოგვძახა თავის ენაზე. იღიმებაო იგი, იყვირა ბათმე ბიძიამ. მამამ თქვა, ხელფეხი არა აქვს იმის სულს, არც სჭირდება, ამიტომაა სულ მოშლიმარე. წყალში აქვსო ყველაფერი რაც სჭირდება და რაც უნდა. პარმონიაა ეს მისი სტიქიონი თუ თავად სტიქიონია მისი ეს პარმონია. ჩვენ არ გვგვანანო სულაც.

ვიგონებდი, ნათელი გადასდის იმის სახეს და იმისი სიხეიბრე ჩემს მეხსიერებაში ბუნდად მოჩანს და ცხადლივ იმის ღამაზე, დიდებულ სულს ეხედავ, თუმცა კი შეუძლია ვინმეს სულის დანახვა? თუ იქნებ ვინმეს სული ჩვენი საკუთარი სულის სარკით არის განპირობებული, ჩვე-



ნივე თვალების შუქ-ჩრდილებით გადა-
შლილ-გადახაზული. ვერა და ვერ და-
ვიჯერებ ამას, რადგანაც ჩემი ამ დღვე-
ანდელი ფიქრების გალა ამ სახელით
არის განათებული, სინდიგუ. და იქნებ
აჯობებდა ზიჯას ჩემი იმ დროინდელი
მოგზაურობისთვის სინდიგუ დამერქმია
და არა ის, რაც დავარქვი.

დღეს, აქ, იორდანეს მხარეს უკვე
ვიცი, სინდიგუს აღარც სჭირდება მოძ-
რაობა, ანუ აღარც სურს მოძრაობა იმის
ანზუხე აცმულ სხეულს, ძვეს იგი ზარზ-
ვიმით გარინდებული და ნარუვალი. ვაი-
თუ, მხოლოდ მე მესმის ამ ზარზვიმის
ხმაური, ვაითუ მხოლოდ მე ვარ ამ ნარ-
უვალობის საძირკველი, ვაითუ მხოლოდ
ჩემი თვალა განათებს იმის სახეა და
სულს ვითარცა მზის შუქი პატარა ხარკმ-
ულს მაისის თვეში განთიადის დროს.

სინდიგუსთან ყოფნის უამს საკვი-
რველი ამბავი შემართებოდა, უთუოდ
მისი დიდებული გონების ბრალი იყო, რომ
ყველაფერს იმის ირგვლივ გასაოცარი
ფერებით და ცხოვლად აღვიქვამდი.
ერთხელ, მაშინ შესამედ ვიყავი ზიჯას
ჩამოსული, ეს კაცი და აქაური თვალნ-
არმტაცი და მშვენიერი ბუნება გახდა
ერთი უცნაური ზმანების საფუძველი.

იმ დღეს, იმ საღამოს და შერე იმ ღამ-
ესაც გაუთავებელი სჯა-ბაასი მქონდა
სინდიგუსთან. ჯერ კიდევ ბავშვობიდა-
ნვე ვიცოდი ამ კაცის ერთი თვისება,
ძილმორეული, დაღლილ-დაქანცული
არც არასდროს მინახავს, სულ ორიადე
სათის მდუმარების შერე (არ შემძლია
ვთქვა, ძილის, მით უმეტეს ღრმა ძილის
შერე-მითქი) ისევე ის ნათელი და მშვიდი
გონებით წარმომიდგებოდა. ასე იყო
სწორედ, ახლა, ამ სიტყვებით
წარმოჩენილი ჩემი ბუნდი ფიქრის
სათავე სინდიგუს ნათქვამი უნდა
ყოფილიყო: ისევე მასხია სხეული, მაქვს
ტვინი, მზაკვარ ბაყაყითი რომ გარინდ-
ებულია თვის ქალაში; ანუ ამას ჩვეულ-
ბრია მოკვდავთა სიტყვითა და გარ-
კვეული სახეცვლილებით თუ ვიტყვით,
მიზანი ყოველ ადამიანშია განხო-
რციელებული. მარადიულ, ზოგადკა-
ცობრიულ მიზნებზე გაუთავებელმა
საუბარმა შეიძლება რაღაც პირამკმული
ქიმერები შვას. შეიძლება ეს ქიმერები
ემზას ხრიკია, თითოეული ჩვენგანის ამ
საკუთარი, განუმეორებელი, ერთადე-
რით ბაყაყის შესამუსრავად მოგონილი,

ისე, ვითომცდა არც არაფერი ხდება, ვი-
თომცდა დილის მზის ოქროს-მკრსობი-
ბში ერთი ცვარი აორსქილეს და სხვა-
დდი მინდვრის ბალახის ერთ ღეროზე
დაცემული. თუმცა, მე მგონია, თი-
თოეულ ცვარსაც, ისევე, როგორც იმ
ერთს, შეიძლება პყავდეს ის თავისი საკ-
უთარი ბაყაყი, სულ პანანინა, მწვანედ
მოელეარე.

ნათელი და მშვიდი გონებითო რომ
ვაპობო, ისიც უნდა ვთქვა, სიმშვიდე და
სინათლე ხელს კი არ უშლიდა სინდიგუს
საგნების ღრმად წედომას (რადგანაც
ხომ ვიცი, ასეთი წედომის გზა, მეტნი-
ლად, სავესე ტანჯვა-ვაებითა და ვნე-
ბათა მოელეარებით, სულიერი ტკივილ-
ებითა და უდიდესი გვემით), პირიქით,
სწორედ ეს მისი სიმშვიდე და სინათლე
იყო წარმომჩენი ოდითგანვე იდუმალი
და თითქმის შეუცნობელი საგნების,
რომლებიც ბნელში დაძირულნი და
მოუხელთებელნი თანასდევენ კაცის
ცხოვრებას. სინდიგუს ვირთხასავით.
სანთლის შუქზე გამოჩნდა იგი სინდიგ-
უს გალიიდან გამოშავალი და იქვე ერთი
კუთხე-კუნჭულისკენ მიმავალი.

ხეტიალს არ მოპყვება აქ, — მითხრა
სინდიგუმ, — ეს ჩემი ვირთხა. ვიცი იმ
გზიდან არ გადაუხვევს, კარგა ხანია მა-
ქვს შემჩნეული.

სინდიგუს იმ ორი წლის წინ ჩემთვის
ასე უქონდა მოთხრობილი. ტენებაგურ-
თმონიფური ჯიშის თუ გვარულობის
ყოფილა ის ვირთხა, კოლასტრამი მას
კუზიან ვირთხას ეძახიან, ხან პონტოს
ვირთხას. თავად სინდიგუ პანტოს ეძახ-
და, ხან ლაგამურას, ხან კი ორივეს ერთ-
ად, ლაგამურა-პანტოს. ამ კუზიან ვი-
რთხებს უცნაური ჩვევა აქვთ, ძნელად
ეგუებიან ტყვეობას, მაგრამ რომ შეეგუ-
ებიან, გალიიდან იშვიათად გამოდიან.
ერთხელ სინდიგუს დავინყებოდა გალიის
კარის გაღება და მისი სუნაკის იმ ერთი
შეჩვეული კუთხე-კუნჭულიდან დაბრუ-
ნებული ლაგამურა დაკეტილ კარს რომ
მოადგა, გაუთავებელ წრიალს მოპყვა
იმის გარშემო. ცარიელი გალიის კარი
ყოველთვის ღია ხვდებოდა ხოლმე.
ხოდა, წრიალებდა ის კუზიანი ვირთხა
კარდაკეტილი გალიის გარშემო, შესაბ-
რალისად ეხეთქებოდა მის მავთულებს
და ასე ეგონა სინდიგუს, სადაცაა გული
გაუსკდებოდა ამ თავისი დარდითა და
შფოთიანობით. შეეცოდა ეს უწყინარი

არსება სინდიკატს და სასწრაფოდ გაულოკარი. ერთი გენახა, ზაბილონ, რა თავპირისმტყვერებით შევარდაო შიგნით. გალიაში ჯდომალა უყვარდა და ქათმის ბარკლები, მტეტი აღარაფერი. ლაგამურას იმ რამდენიმე თვის წინ თანამეცხედრე მოკედომოდა და დიდად არც შეუნუხებია ამ უბედურებას, როცა იმან და სინდიკატის საბრალო დიდის ამბით იქვე თავიანთ პატარა ეზოში, ერთი ფართო-ფოთლოვანი ულამაზესი ხის ქვეშ დაკრძალეს. ლაგამურა თუ პანტო იმ წუთასვე გამობრუნებულია და იმ თავის გალიაში შესულა. სინდიკატ უკვე აღარც უკეტავდა კარს, ლაგამურა თავის ცხოვრებაში, როგორც ჩანს, ვერც შეეღეოდა ამ თავის ადგილსამყოფელს.

ამ პატარა ცხოველის გამოჩენამ თითქოსდა სხვა სადინარი მისცა მაშინ ჩვენს ფიქრებს, ასე თქვა სინდიკატმა, იყო მინა უსახური და უდაბური და როცა გამოჩნდა ადამიანი, ვითომ გაიხარა უდაბნომ და ტრამალმა, ვითომ გამზიარულდა მინა და აყვავილდა ვითარცა შრომანი?

კითხვის თვალით შეხედვე სინდიკატს. იმან კი ასე განაცხადა:

„დღეს ჩვენ ისე ვცხოვრობთ, თითქოსდა ეს სოფელი ყოველი ადამიანის გალია უნდა იყოს, უფრო სწორად, გალიები, კიდევ უფრო სწორად, არა მარტო გალიებია ესენი, ხაფანგებიცაა, ამავე დროს, აუარებაცაა მათი რაოდენობა, იმდენივე, რამდენიც ადამიანი ამ მინაზე და ჩვენი ჩვენი მხრივ არც გვირდა ამ გალიებისა და ხაფანგების შემთხვევაში, რადგანაც მეტწილად არც კი ვიცით რამე მათი არსებობის შესახებ. ჩვენი სულია ასე მონყობილი და იმიტომ, სწორედ ჩვენს სულშია იმთავითვე აღმართული გალიები თუ დაგებულია ხაფანგები და თანაც ერთი და ორი კი არა, მრავლის უმრავლესი და მთელი ჩვენი წუთისყოფილი ისე უნდა გავლოთ, რომ სულ ვართ ამ გალიებში გამოქვეყნებული თუ გამბული ამ ხაფანგებში. კი აქვს ამ გალიებსა და ხაფანგებს თავ-თავიანთი სახელები, მაგრამ ჩამოთვლა რომ დავინყო, ვიცო, დიდხანს ვერ მოვრჩები, შეიძლება მთელი ჩემი სიცოცხლე დასჭირდეს ამას; თუნდაც ამიტომ, რამდენი ადამიანიშვილიცაა ამ ქვეყნად, ყოველს სულის სიღრმეში თავისი საკუთარი, განუმეორებელი გალიები და ხაფანგები აქვთ ავებული და დავებული. ამ ლაგამურა-პანტოს თვალბილული გალიისა თუ ხაფანგისგან განსხვავებით ამით ვერც

ხელს შეახებ, ვერც გადადგამ და გადმოდგამ, პირიქით თავად გადმავლენის მოგვედგამს, თანაც ისტორიისმცოდნეობის ბევრზე ბევრია, თვალთუხილავია და გრძნების შემკრავი, მინა ზანზარს დაინყებს და შეიძლება ყველაფერი დაინგრეს და გაცუამტყვერდეს. მხოლოდ მერე, დიდი ხნის შემდეგ მიეხედებით (თუ, უფრო სწორად, ან მიეხედებით, ან არა) ამ გალიებისა და ხაფანგების ჩვენზე სულიერ ნარმომავლობას, მაგრამ რაღა დროს, დროც აღარ გვექნება (და თავიც) ჩვენს შეილებსა და შეილიშვილებს რომ დაფუტოვოთ ის სიტყვები, რომლებიც ასე თუ ისე ხორცშესხმა (თუ რეალობა? თუნდაც ჯერ კიდევ კარგად ვერ გათავისებული რეალობა) იქნება ამ მიხედვრის (შეილებიო, კი თქვა სინდიკატმა, მაგრამ არც არასდროს ჰყოლია იმას ცოლშვილი), და კვლავ და კვლავ ადამის მოდგმის ნამიერნი შეიქნებიან ამ გალიებში გამოქვეყნებული და ამ ხაფანგებში გაბმული და ასე სულ ყველაფერი თავიდან დაინყება“.

თქვა ეს სინდიკატმა და კარგა ხანს ჩუმად იყო. მერე კი ასე მითხრა, ზაბილონ, თუ გახსოვს, რა თქვა ესაიამ, ყველა ჩვენი სიმართლე ბინძური სამოსელივითააო.

არაფერი არ ვუთხარი, პოს ვერ ვეტყვოდი. კაცის სიჩუმე კი მეტწილად არცოდნას ლაღადებს, ხოლო ღრიალი და მძინვარება მისი ათასგზის უფრორე თვალსაჩინოს ხდის ამ არცოდნას.

ხომ უშეცარიდა იგი, ხელი იმ ვირთხის გალიისკენ მიაშვირა სინდიკატმა, ჰე რა დიადია ეს მისი უშეცრება. კაცის უშეცრებაზე ამას ვერ იტყვი, კაცის უშეცრება სრულიად საპირისპიროა ამ პირველყოფილი სიდიადის და სულ ყოველთვის შემზარავი ბეჭდით არის აღბეჭდილი. თუმცა კი იყო ერთი, დიკოფრონი, ანკირელი, შემზარავად დაიდას უნოდებდა ამას, იქნებ მართალიც იყო, კაცის სიდიადე აქამომდე სწორედ ასეთი სიდიადით არის ცნობილი.

მახსოვს, ტენებავაზეც მიაშობოდა იმ ლამეს. თითქმის ყოველ ტენებაველს ასე ჰგონია, მესია ვარო და რაღაც მისია მაკოსრილო. მაგრამ ისიც კი ვერ შეძლესო იქ, რომ არც ქაოსი ყოფილიყო და არც ერთი კაცის მძლავრობა. ზოდა, საუკუნეები აქ ხან ერთი ენაცვლებოდა მეორეს და ხან მეორე ენაცვლებს. რასა და რას არ არქმევდნენ ერთსაც და მეორესაც. ამდენი სახელების შეცვლამ და შორგებამ კი სულ აუბნიათ



თავგზა. პირველად ასეც კი ეგონათ, ოღონდ კი დაეარქვათო და ის იქნება რასაც დაეარქმევთ. როგორმე სწორად დაეარქვათო, ამისთვის თავი არ შეუნუბნებიათ, ვერც იზამდნენ ამას ძალიანაც რომ მოეწონებინათ. ამის შერე სულ რომ დაინერგა და ვაცამტვერდა ყველაფერი, მაშინ ვილაცამ თქვა, ჯერ უნდა შეიცვალოს და მერე დაეარქვათო. მეორემ ასე მიუფო, რაც არ იცით, იმას როგორ შეცვლითო, ანუ რაც არ იცით, იმას რას დაარქმევითო. მაინც არ დაიშალეს თავისი და ვერც შეცვალეს და ვერც დაარქვეს, უფრო სწორად, იმას, რაც ვითომცდა შეცვლილი ეგონათ, იმდენი სახელი დაარქვეს, რომ სულ უფრო და უფრო აერიოთ გზა-კვალი. მე კი მგონია, ზაბლონ, მითხრა სინდიკატმა, რაღაცას რომ ცვლი, როცა ხედავ, რომ არც ერთი ვარგა და არც მეორე, ხელალებით და სრულიად არც ერთი უნდა უარყო და არც მეორე, რაღაც შესამის შესაქმნელად ერთის რაღაც-რაღაცები უნდა მოიმეველიო და მეორისაც, და მაშინ, გეუბნები, მხოლოდ მაშინ მიიღებ რაღაც შესამის იმ ორის რაღაც ნიშნების მქონეს, მაგრამ სრულიად განსხვავებულს იმ პირველისა და მეორისგანაც. განსხვავებულსო რომ ვამბობ, არა მარტო იმის გარეგნულ ნიშნებს ვგულისხმობ, არამედ იმის სულსა და გულს. მთავარი ეს არის, შეიძლება ასეც ვთქვათ, თუ ის პირველი და მეორე ბევრი შემზარავი, არასასიკეთო ნიშნით არის აღბეჭდილი, ეს შესაბამე (თუშეცა იმ პირველისა და მეორის საფუძველზე შექმნილი) მოკლებულია ამ ნიშნებს და ამის სანაცვლოდ დიდებული, სასიკეთო ნიშნებით არის გამომზეურებული. იმ ვირთხას, შენ რომ ნახე, თავისი ლაგამი აქვს, ეს ცხადია, და კაცსაც სჭირდება თავისი ლაგამი, და სწორედ ასეთი ლაგამი ვერ მოუკვლევია ამდენ ხანს და სულ მისი უქონლობით არის მიმძლავრებული, ესეც ცხადია, თუშეცა კი ეძიებს მას დღემოდამ.

თქვა ეს და გაჩუმდა სინდიკატმა, მერე ასე დასძინა, რა დრო გასულა, განთიადი იქნებაო სულ მალე. იმ თავის სანოლზე

გაირინდა. დაძინება მოვიდომო, მაგრამ ვერ შეეძელი, ნამოედექმ და განუწყმ-ოვედი. იქით შორს ჰმტყნ: მჩჩჩჩჩჩჩჩ, ბუმბერაზი ნაძვებით შებურული. მზე ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო და მხოლოდ მისი ულონო, მკრთალი ნათელი მოვლებოდა მინას, უცებ ის ხევი, ანუ რაღაც მცირეოდენი ნაწილი მისი, მინის პირად წარმოვიდგინე; თუშეცა კი ვამბობ მისი მცირეოდენი ნაწილი-მეთქი, ის ადგილი თავისთავად ვეებერთელა იყო, და თუკი ამ ადგილს მინის პირად, ანუ მის ბაგე-ტუჩად აღვიქვამდი, სწორედაც ცხადი იქნებოდა მისი სიდიდე.

უცებ ჩუმი ჩურჩული გავიგონე იმ პირით ამოთქმული.

თუ გსმენიათ ვინმეს მინის გულიდან ამომავალი ჩურჩული? მე გავიგონე იმ დილას, სულ მალე ეს ჩურჩული ამ სიტყვებად გარდაისახა:

„მარადული ძილით მძინარემ ერთხელ, დიდი, დიდი ხნის წინათ, როდესაც ვახედი ის, რაც ახლა ვარ, საკვირველი სიზმარი ენახე, ხან სიხარული იყო ეს სიზმარი და ხან გვემხა-ნამეხა და ყოველი კაცი, ქალი და ბაღალი, ვინც კი იმეა და უნდა იშენენ, ყოველი გაუთავებელი და გაუღვეველი სიზმარი არის და იქნება ჩემი, არც არასდროს გასრულდება ეს სიზმარი, სანამ უკანასკნელი კაცი, ქალი და ბაღალი არ გადავა, არ აღიგება ჩემი პირისაგან, მერე კვლავ მივეცემი ქუშ და უსიზმრებო, მარადიულ ძილს იმ უამრავ მინათა მსგავსად, ამ თვალუნვდნელ სამყაროში რომ დაქრიან უსაგნოდ, უმიზნოდ და უმიზეზოდ“.

სულ მალე წარიხოცა იმ ბაგე-ტუჩის იდუმალეზა, მზის აღმაცერმა სხივებმა ნათლით შემოსა მისი სიძრუმე და ნელ-ნელა ააელვარა, ააააააააა, სულ სხვანაირ ხაზებად გარდაისახა ის ბაგე-ტუჩი და თითქოსდა ჯერ ჩუმი სიცილი ამომესმა იქიდან, ცოტა ხნის მერე კი (სინათლე ამ დროს მატულობდა და მატულობდა) ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოთქმული სიტყვები: მე ვარო თავად საგანი, მიზანი და მიზეზი.

მცხეთა

შეექმნა მირიან მეფეს სურვილი ქრისტეს სჯულისა, მაგრამ იბრძოდა მტერი იგი უწინარი, გულს შთაუვადებდა სასოებას კერპთა და ცეცხლისა ცეცხლ-მა იბრდელილა, ხმელ ტოტებს ტა-ცატაუცი გააქვს, სინათლე დასთამა-

შებს ირგვლივ მდგომარეთა სახეებს. სინათლე თეთრი, არა ყვითელი თუ მონითალო ყვითელი. იმათ მიღმა ნაძვენარის შავფერი ვეებერთელა ჩრდილია, რბილი-ხავერდისფერი, სულ იქით კი მელნისფერი ნათელი შეფე-

ნია ზეცას იყო მეფე დედოფლის მოქცევიდან ერთი წელიწადი ორგულებასა შინა.

ვასნაეებდი ერს დაუსრულებლად და არაეინ უწყოდა თუ ვინ ვარ, ანუ სადათ მოვლე დედას მივეკარი, ჩამომცქერის. კვამლი მომწვდა, იქით მიმატრიალა, ჩამომსვა. ორიოდ ნაბიჯი გადავდგი და შევჩერდი. ნულარ ნახვალო იქ, მითხრა დედამ, იმ შავ-შავ ჩრდილებს გავცქერი, ჩუმს, იდუმალებით მოცულს. უკანვე მოვედი. ხელ რომ გათენდებო, ხომ წამიყვან-მეთქი იქ, დედა? სად, შვილო? სადაც ის ჩრდილია ახლა. ვიცო, იქ წყაროა ერთი, ისეთი ცივი, და ერთხელ რომ მოვსვი, სუნთქვა შემეკრა და ასე ეუთხარი დედას, საიდან ამოდის ეს წყალი, აკი იქ ჯოჯოხეთია მხოლოდ. სადაც ის არის, იქ ჯოჯოხეთს რა უნდა, შვილო, რაც შავი და ბნელია, ყოველთვის ჯოჯოხეთი არ არის იყო ერთი მოვგი, მთავარი სპარსი, სახელით ხვარა. სწული იყო სულით უკეთურით, მწარედ იგვემბოდა და მიახლებული იყო სიკვდილსა და ჯოჯოხეთს. მაშინ მევედრნეს დედოფალი ნანა და მეფე. მეფემ თქვა, რომლის ღმრთისა ძალითა იქმ კურნებასა ამას, ანუ შენ ხარ ასული არმაზის, ანუ შვილი ზაფენის?!

ასე მივუგე მეფეს:

შენ, მეფე, სახელითა ქრისტესითა და ევედრებითა დედისა მისისა და მასთანა ყოველი წმიდათათა მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან ცისა და ქვეყნის შემოქმედმან, დამბადებელმან ყოვლისა დიდებულებისამ რათა სცნა და გულისხმა ჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა დღეს ასეა, თქვა მამამ, ორივე ერთი ჩანს, ნათელი ღვთისა და ნათელი ეშმას და დღეს კაცს არ ძალუძს გარჩევა რომელი ვისია. რას ამბობ, ზაბილონ, თქვა დედამ, ეშმას ნათელი ვის გაუგონია. რაც არ გინდა, იმას ვერ გაიგონებო, თქვა მამამ, არადა გავგონება არც გვინდა, იქ არა სწერიო. მერე კი ასე თქვა მამამ, როდესაც გავიგებთ, ანუ გვეცოდინება ეს ორივე ნათელი ვისი და ვისია, მაშინ გვეცოდინება სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, სიერცე ქვეყნისა და სიღრმე ზღვის. ჩუმად იყო ერთხანს და მერე ასე დასძინა, რა ღრმა არისო ზღვა. ზღვის ფშვინვა მოისმა ჩუმი, მერე ასე უთხრა ბათმე ბიძიას, თუ ხედავ, ბათმე,

როგორ იცის ზღვამ თელემა, რა მშენიერია ასე მთელეშარე ზღვასთან სულ ახლოს მივედგი ბინდი და სივრილე მოიღვრება. ფეხის წვერებზე დავდები და იქით შორს, შორს ვიციქირები, მერე აქეთ-იქით გავიხედე, ნაპირზე ლოდი დაეინახე ერთი, მივირბინე, ვერ აუედი, ბათმე ბიძიასთან გამოვბრუნდი, ეუთხარი, აი იმ ლოდზე ამსვი, ბათმე ბიძია მინდა დაეინახო, სადა სთვლემს ზღვა, სად არის დახუჭული თვალი მისი. იმ ლოდთან მიმიყვანა ბათმე ბიძიამ, ამსვა და ასე მითხრა, შორს რად იყურები, ზღვის თვალი აი აქ არის, ნაპირზე, ხედავ, აი აქ, ჩუმი ხმაურით ალებს და ხუჭავს თვალებს, ოღონდ ორთვალიანი არისო, ნუ გკონია, ათასი თვალი აქვსო იმას, ათასი თვალით თვლემს ზღვა. მიტრიალდა ბათმე ბიძია, მამასთან მივიდა. ლოდზე დავნექი. მერე ჩამოვსრიალდი, ზღვასთან მივირბინე, ფრთხილად ხელი გავიშვირე, უცებ გამოვნიე, ბათმე ბიძიას გავძახე, ცრემლები მოდგომიო თვალებზე მთელეშარეს უნდა სცნა, შენ, მეფე, ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა და ქუხნ ხმითა პაერთა, იძვრის ქვეყანა სიმძლავრითა მისითა, რბინა მეხისტეხანი, კვალს მისსა ეგ ზეგის ცეცხლი გულისწყრომითა მისითა, ანუ ოდეს შეიძრას ევშაპი დიდი ზღვათა შინა გველესაპისაა იგი თვალები, უთხრა ბათმე ბიძიას მამამ, დიდი ხნის მღვიძარესა და მძინეარეს ძლივსღვივს ჩათვლემიეს და ახლა ცრემლები მოსდგომია თვალებზე; თუ გამოიღვიძებს, ასე იტყვის ვეებერთელა ეშვებთან გამოჩრილი ენით, სულ მეძინოსო ნეტავი შეიძრის ყოველი ქვეყანა, ვიდრემდის დაირღვევიან მთანი მყარნი, კლდენი და ქვანი.

მომგვარეს მთავარი იგი, დედოფალიც მოვიდა ბაღს, ნაძვთა ქვეშ, სამგზის ვარქვი, განვალს შენგან ეშმაკი, და შუადგებით ქრისტესა, ძისა ღმრთისა.

ეტიროდი, არა იმ ზღვასათუ მთელეშარე, არც აღარსად იყო ის ზღვა. აქ ნაძვი იყო ერთი და ნაძვის ძირი, დედოფალი ნანა და ის კაცი, მონაფენი ჩემი. ღმერთს ვევედრებოდი იმ კაცის შენევენას და მსწრაფლ განვიდა იგი სული ბოროტი.



მცხეთა

ზაფხული იყო, აგვისტოს ოცი, შაბათი ზაფხული იყო, აგვისტოს თვე, ოცი არა და არც შაბათი, კვირადღე იყო მამა, ბათმე ბიძია და მე კოლასტრას ახლორე ველზე გავედით. თვალუნუდნული იყო ეს ველი და იმის შუაგულში დიდი ხე. ზეცას ნუნუდებოდა იმისი წვერო. მამამ თქვა, რა დიდებულაა მეფური სიმაღლე მისი, ანავობა მისი, ტოტების სიმრავლე მისი. კარგა ხანს ვიარეთ, სანამ იმ ხესთან მივიდოდით. მივედით. გარშემოგვებლარდნა იმისი ჩრდილი, ფრთხილი მოგვესმა მირიადი წოთლის და ამ ხმაურს ჩამოჰყვა, მამის ფერხითთ ფრთხილით დაეცა მზის ნათელი. უკუმიდგა, ჩრდილი მოიციავს ჩემს სხეულს და იქნება ის ნერტილდასმული და იმით გარშემოვლენული, მხოლოდ ჩემი თვალი გაანათებს, ნინო, შენს მეხიერებას ვითარცა მზისშუქმოფენილი სარკმელი. შიშმა დამრია ხელი. ხელი მომკიდა ბათმე ბიძიამ, წასვლა უნდაო ზაბილონს, ასე თქვა, ვუშლი და მაინც არ იშლის. შორიდან სჯობს ამ ხის ცქერა, შორიდან სჯობს ყოველივე დიდებულის ჭყრეტა. ახლო მისულებს კი თავგზა აგვებნევა ხოლმე, მთელი ცხოვრება ამ დამბარმავებელ სიახლოეს მიველტვიით მაინც.

ეს გზა ხომ მაინც გასაუღელი გვაქვს, მიუგო მამამ განვიდა მეფე მუნნარში სანადიროდ სანადიროდ უნდა მამას იორდანეს მზარეს წასვლა, ვეკითხებოდი ბათმე ბიძიას, მომბრუნდება მალე ხომ? არ მოეშვა კაცის მტერი, ან უკვე გაუსაძლისი სევედის სევედით იშზირებოდა ბათმე ბიძია სახით გვემდა მას და ნატრულობდა მეფე კერპებსა და ცეცხლს, იმ ცეცხლსაც, რომლის ჩრდილი დასთამაშებდა იმის სახეს მოაქეჟამამდე და უნდა წარხოცილიყო.

ღირსი ვართ, გვიყოს ჩვენმა ღმერთებმა ყოველი ბოროტი, რამეთუ განუღუქოთ მათს მსახურებას და ქადაგების ნება მივეციტ ქრისტიან გრძნულთ. ან ესე არს განზრახვა ჩემი, ბოროტად მოვსრნეთ ყოველნი მოსაენი ჯვარცმულისა და უნდა შეუდგეთ მსახურებას ღმერთთა,

ერქნული

ქართლის მპყრობელთა უნდვენიდნო ნანა, ცოლი ჩემი, მოვთხოვით შენანება და დატყევა ჯვარცმულის სჯულისა, თუ არა დამშორჩილდეს, დავიენყო სიყვარული მისი.

დაუმტკიცეს ეს განზრახვა მეფეს მისმა თანამზრახველებმა. თხოთის მთას ავიდა მეფე, გამოჩნდა კასპი და უფლისციხე. სულ მალე ფეხი დაადგა იმ მთის თხემს კოლასტრას ახლორე თხემზე კარავი დაედგა და დიდი გალიაც იქვე, ოთხსაკინიანი. ღომი, ვეფხვი, დათვი და მაიმუნი ჰყავდა იმას, ვინც ასე ამბობდა, ეფესოელი ერუსთო ვარო. მეორე თუ მესამე დღეს კოლასტრას ჩამოვიდნენ. საბილველი გამართეს ფიცრებისგან. ღომსა და ვეფხვს აბტუნებდნენ, დათვის აცეკებდნენ, მაიმუნს ალაპარაკებდნენ. დაბოლოს, წინადალით, როცა უკვე უნდა წასულიყვნენ, საბოლოო სახილველად გამოიყვანა ერუსთომ თავისი მხეცები, კაცისსახა ნიღბები მოერგოთ იმ დღეს ღომისთვის, ვეფხვისთვის, დათვისა და მაიმუნისთვის. საამური ღიმილით ილიმბოდნენ ღომი, ვეფხვი და დათვი. დასწყვილა მაიმუნმა, კაცი არიან, კაცს გვიჩვენებუო ახლა ესენი, და მეც ამათთან ერთად ვარო რა ლამაზი და მშვენიერი. იმათკენ წაინიეს ბალებმა, შეჰკივლეს ქალებმა, უკანვე დააბრუნეს იმ სახილველიდან. ასე თქვა ერუსთომ, იმათმა პატრონმა, თუმცა ეს ნიღბები მაგარი ტყავისგან არის გაკეთებული, ერთხელ იყო, ზადას ვიყავით მაშინ. ღომმა კბილებით გამოგლიჯა სწორედ ამ ადგილას, სადაც ღიმილი ჩანდა ნიღბისა. თუმცა ეს მხოლოდ ერთხელ იყო, ზადას, ერისმთავრის სასახლის წინ.

იმ კაცისსახა ნიღბისანმა მაიმუნმა კი ასე განაგრძო, ჩვენკენ იშზირებოდა ახლა და ვგრძნობდით, როგორ იმანჭებოდა იმ ნიღბს ქვეშ, სემირამიდას ხუროთმოძღვარი ვარო მე, ის ბალი ჩემი აშენებულიაო.

სიზმარში თუ ცხადში, კითხვა ერუსთომ.

მე შენ და შენისთანებს ვხედავდი სიზმარში, ერუსთო, შენ და შენის-

ანები იყავით ჩემი ოცნების საგანი, ჩაიხიბითთა მაიმუნმა, ნეტავი-მეთქი, ასე ვიძახოდი, თქვენნაირი ვიყო, თქვენ იყავით სწორედ ჩემი სიზმრის ბინადარი; და აი ასრულდა ოცნება და ეს სიზმარიც ამიხდა.

ჰაი, რა კარგი სიზმრები გცოდნია, თქვა ერუსთომ, მერე კი ასე უთხრა, სხვა კიდევ რა ნახეო, შეგგონია ის პირამიდებიც შენი ამენებული უნდა იყო.

და კიდევ, მიუგო მაიმუნმა, ღრუბელთ მუფე ვიყავი, ღრუბლიდან, როგორც მოზიდული მშვილდიდან მარჯვედ გამოვტყორცნე ისრები და სამიზნისკენ გაფრინდნენ, შეუსმდარი იყო ჩემი მიზანი.

მერე ისევ მოჰყვა მაიმუნი მანჭვა-ვრეხას, კინალამ არ ჩამოვიგლიჯა ის ნილაბი, მორჩა, გათავდა, აღარ მინდაო, ჩემო ერუსთო, სჯობს შენს ტყავში აღარ ვიყო, სჯობს ის და-ვრჩე რაცა ვარ, რადგანაც შენი ცოდვები ჰაი რა მძიმე სათრევიანო.

თვალები დაუბრიალა ერუსთომ, ხელი დაჰკრა თათზე.

იმ მაიმუნმა უცებ მოიძრო ის ნილაბი, მიუგდო პატრონს, სახილველიდან ჩამოიჭრა, იქვე ახლორე ნაბლის ხეზე აძვრა და გაურჩეველი ნაბლის სროლა დაუნყო ერუსთოსა და ახარხარებულ ხალხს.

ჰაიკ შენ, შესძახა ერუსთომ, იმ სიზმრის მერე გახსოვს რა დიდხანს სტიროდი და მანამ არ გარჩერებულხარ, სანამ ეს ნილაბი არ გამაქეთებიო.

შუადღე იყო, დაბნელდა მზე იმ მთაზე და იქმნა ვითარცა ბნელი ღამე, უკონი. დაიპყრნა ბნელმა ეს არენი და ადგილი. ერთმანეთი დაკარგეს ესოდენი ჭირისგან. დარჩა მეფე მარტო და დაეხეტებოდა შეშინებული, შეძრწუნებული და სასონარკვეთილი.

სასიუბამიხდილი ვიდუქითო ზღვის პირას, ამბობდა ბათშე ბიძია, მღუგით იმზირებოდა იმ დღეს ირგვლივ, რამდენჯერ არ მოვიქნეე ბადე, იმდენჯერ თუეზი კი არა, რალაცის თუ ვილაცის ნიღბები ამოჰყვაო, მარილიანი წყლით ნახევრად შეჭმული. ყველა კოლასტრელ შებადურს ასე მოსელოდა, რა უცნაური იყო ეს ზღვა მამინ და კიდევ მთელი ერთი კვირა.

მერე გაიტანეს იმ ნიღბების დიდი ვროვა, დაყარეს ზეინებად კოლასტრას შუაგულ მოქდაწზე, ცუცხელი წაუკიდეს, ქაობისფერი ბოლი აყარდა იმ კოცონს, ზევით, ზევით მიინედა. დაიყვირა ვილაცამ, ვაითუ ზეცაც შებილნოსო, ვილაც ვეიყუებო თავისი ხრიკების იარალად. ჩააქრეს სასწრაფოდ, კოლასტრას ახლორე ხნარცეში გადაყარეს, მინა დააყარეს ბევრი. კიდევ დაიყვირა ვილაცამ, ახლა დაბლა ჩაედინებაო ეს წყალო, რომლითაც ჩააქრეს. მინისქვეშეთი აივსებაო იმისი მდინარეებით, მერე იქნებ გამოხასხლელიც ნახოს ჯოჯობითიდან და ახლა წყლის სვეტებად მიეახლებაო ზეცას.

ორი წელი იყო გასული მას მერე რაც ერუსთოს ჰყავდა ჩამოყვანილი ლომი, ვეფხვი, დათვი და მაიმუნი. სუყველანი დახოცოდა. რა უნდა ექნა, ლუკმა-პური სანატრელი გაუხდებოდა მალე. ხოდა, ვინც კი აქეთ მომავალ გზაზე ნახა, ბრმა, ყრუ და მუნჯი, ყველა ნამოიყვანა. სამი ბრმა იყო, ორი ყრუ და სამი მუნჯი. ახლაც გაშალა კოლასტრას ახლორე კარავი, მეორე დღესვე ისევე ააგებინა სახილველი და გამოიყვანა ის ბრმანი, ყრუნი და მუნჯნი. ბრმანი ერთმანეთს ეხეთქებოდნენ ასოთა გვემით, ყრუნი გაჰყვიროდნენ, გაჰკიოდნენ, მუნჯნი ხელეზა და ფეხებს იქნედნენ, ზანზარი ვაუდიოდა იმ სახილველს, გრგვინვა-გრიალი ისმოდა იქიდან. გაუთავებელი იყო სიცილი, ხორხოცი. ერუსთოც იცინოდა ჯერ, მერე ცრემლები გადმოედინა იმის სახებს. ისევ მოისმოდა სახილველიდან ღრიალ-ღმული. ერთი კვირა დაჰყვეს კოლასტრას და მერე ნადუნდნენ. სად, ღმერთმა უწყის.

შევედერეო ჩემს ღმერთებს და ვერ ვპოვე ლხინი და იქნებ ამ ჭირისგან ძალუძს ჩემი ხსნა იმას, ვისაც ქადაგებს ნინო, იმის ჯვარს, თავად ჯვარცმულს, ყოველს ჰკურნავს მისი შეწმეობით. ცოცხლად ვარ ჯოჯობეთს და არც კი ვიცი, ჩემ გამო რომ იქცევა ქვეყნიერება. ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი და მიჩვენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი და აღვმართო ძელი ჯვარის. თავყვანს ესცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველი, ვიყო მორჩილი ნინოს რჯულისა.



ზადა

დამასტიდების გვარის ერისმთავრები იყვნენ ზადას. ჩვენთან, კაბადუკიასა და კოლასტრაში იმათ დამასტიონებს ეძახდნენ. ჩვეულებრივი იყო იმათი აღზევება, ისევე, როგორც ეს ხდება ხოლმე ცნობილი კაცი იდგა ამ გვარის დამკვიდრების სათავესთან, უფრო სწორად ამ კაცის ძე გახდა პირველი ერისმთავარი ზადას. დედასთან ერთად ჩამოსულიყო აქ და იმდენად შეყვარებია აქაურ ხალხს, ერისმთავრად დასვეს. დამასტიე ერქვა იმასაც, თუმცა იმის მამას პროკრუსტეს ეძახდნენ, ვინც ერთ მივარდნილ ტყეში ყაჩაღობდა დღემოდამ. თავის მსხვერპლს სანოლზე აწვევდა და თუ ის უბედური არ მოერგებოდა იმ სანოლს, ანუ, რაც არ დაეტეოდა, ფეხი ან თავი, აჭრიდა თურმე. ხოდა, იმ პროკრუსტეს ერთი ქალი შეყვარებია, მამას ნამოუყვანია ტყე-ტყე-თავისი სახლკარი მიუტოვებია ამ კაცს მისი ქვეყნის სასტიკი მტრის შემოსევის ხანს, მხოლოდ თავად და ეს ერთი ქალი, ქო, გამოურიდებინა მომხდურთა მძვინვარებას, რომელმაც შემზარავი სისასტიკით მოუღო ბოლო მის მეუღლეს, იენესა და სხვა შვილებს. ნაქე, ასე ერქვა ქიოს განანამებ მამას, სიხარულითაც დანოლილი იმ სანოლზე და რაკი იცოდა, სიკვდილი არ ასცდებოდა, მაღალი კაცი ყოფილა, თავისი ასული იმის გულმონყალებას შეაყვარა. არა გულმონყალებს უნდა ყოფილიყო ის ავაზაკი, მაგრამ სწორედ ეს იმ დროისა და იმ ადგილისთვის სრულიად შეუფერებელი სიტყვა დაამახსოვრდა ქიოს, სწორედ ასე უთქვამს იმ კაცისთვის იმის მამას, სანამ თავს ნააცლიდნენ. კი არის უცნაური, იმ სისხლით მოთხერლ სახლში რომ გაისმა ეს სიტყვები, მაგრამ ასე იყო და მერე ქიოს ვაჟე, დამასტიე, რომ შეეჩინა, იმ დღიდანვე რაც იმან ფეხი აიდგა და ლაპარაკი დაიწყო, სულ ასე ეჩინებოდა, გულმონყალებს იყავიო, შენ ხარ ჩემი იმედი.

სანყალ ქიოს არც გამტყუნებია იმედი. დიდებული ჭაბუკი დადგა დამასტიე; ათი წლისა იყო, როდესაც მისი მამა, პროკრუსტიე თეზევსმა მოკლა და ქიომ თავისი შვილთან ერთად ის ადგილსამყოფელი დაავადო, ზადას გადმოიხვეწა.

დამასტიე აქ ისე გაიზარდა, რომ სრულიად დაავიწყდა მამის თავგადასავალი, მისი საქმიანობა და მისი ბოლოც.

დედამისი, ქიო, ხომ ზარკადასწრებდა ყაჩაღი მამის ამბავს, ხოლო ზადას იმ სიშორიდან არც არავინ ჩამოსულა, ვისაც ეცოდინებოდა რაც ქიოს გადახდა თავს.

მამის მოკვდინების მერე იმ პროკრუსტეს ტყე ქიოც დაუფდია თავის სანოლზე, მაგრამ იმდენად პატარა (და კობტა და ლამაზიც) ყოფილა ქიო, თავითა და ფეხებით არამცთუ გადასწვდენია იმ სანოლის ზედა და ქვედა კიდეც, არც კი მისწვდენია. თავითა და ფეხებით-შეთქი. ხოლო თმა ისეთი ხშირი და გრძელი ჰქონდა იმ ნორჩ ასულს, კარგა შორს გადმოშლოდა სანოლს, ხოლო ძვლები მკვრივი და მაგარი. ბევრი ეწვანა ის ბუმბერაზი კაცი და ვერა და ვერ განეწვანა. ასეთია ჩემი ვარაუდი და არა მარტო ჩემი, რაკილა იმ დღეს ცოცხალი გადარჩენილა, და ვინ იცის, იქნებ ამ წვალუბის დროს, რალაც ერთი წამით, როდესაც ამ მშვენიერ პატარა ქალს დაჰყურებდა, იმ პროკრუსტეს გულის სიღრმეში დანანებია კიდევაც სიწორე და სილამაზე მისი და მისი თმის დამოკლებას დასჯერდა მხოლოდ. ხოდა, მოიქნია მახვილი და შიშით აკივლებულ იმ საბრალოს მაინც ნააცალა ის, რაც არ დატეულიყო იმ სანოლზე.

ქიოს გარდა კიდევ ერთი კაცი უნდა გადარჩენილიყო ცოცხალი, ვილაც ძველი ბერძენი ჭამთაალმწერელი. მისი სახელი ვერ ცნობილი არ არის. შეიძლება მერე მიაკვლიონ სადმე.

პროკრუსტეს სახლის აღწერილობა სწორედ მისი წყალობით არის დღემდე შემონახული. პირველად რომ დაინახავდით ამ კაცის სახლს, სადაცაა ნაიქცევე-აო, ასე გვეგონებოდათ. მაგრამ ერთხელ კი არა, მრავალგზის გრიგალის მძვინვარებასაც კი გაუძლო, ისე მკვიდრად იყო ამწვეული. მოწვევებითი იყო იმ სახლის უმდგრაადობა, ვერც ვერაფერი დაანგრევდა; ბზარები იმის კედლებზე თითქმის ყველგან შავად რომ იმზირებოდა, ზემოდან ქვემოთ, მარჯვნიდან და მარცხნიდანაც, ერთი კარგი, იმ ხანად ცნობილი მხატვრის მიერ ისე ოსტატურად, ისე უზადოდ და დამაჯერებლად იყო დახატული, რაც უნდა ახლოს მისულიყავით, მაინც ვერაფერს ვერ მიხვდებოდით. მშვენიერი და დიდებული დარბაზები იყო აქ, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული.

ისინი, ვინც ამ მივარდნილ ტყესა და ამ სახლში მოხვედებოდნენ, კი გეზულობდნენ ამას, მაგრამ რალა დროს, ამ სახლში შემოსული უკვე განწირული იყვნენ, ცოცხალი იქიდან ველარ გამოვიდოდნენ. მხოლოდ იმ ფაშთაღმწერელს მოუხერხებია თავის დაღწევა. თუ როგორ, ამაზე არაფერს არ ამბობს. ხოლო იქ რომ იყო მოხვედრილი, ეს ნამდვილია, ისე გამოწველივით აქვს აღწერილი ის დარბაზი და ის საწოლი. შვიდი ფერის ფარდაგები შეფენოდა იმის მვალე კედლებს, გასაოცრად მოჩუქურთმებული იმ საწოლის ზედა კიდე ზევსისა და პოსეიდონის ხისგანვე გამოჭრილი პატარა ქანდაკებები ამშვენებდა, ქვედას კი სკილასა და ქარიბდასი, კინალამ კიდევე ვთქვი, ამშვენებდამეთქი. ფეხები იმ საწოლისა, ზევსისა და პოსეიდონის ქვემოთ, ანუ თავთან, ადამიანისა გამოეჭრათ, ჩვეულებრივი, ხუთთითიანი, ქვემოთა კი რალაც ცხოველისა იყო, შეიძლება ლომისა ან ვეფხვის, მოგრძო-მოგრძო ბრჭყალები გამოსწროდა იმათ და ისე დაბჯუნოდა იატაკს.

ხუთი თუ ექვსი წელიწადი ჰქონდა ეს საწოლი მას. მერე კი, როგორც გვამცნობს ის ფაშთაღმწერელი, ცვეხლს მისცა და ახალი გააკეთებია, სადა, შედარებით. მაგრამ პირველად რომ უნახავს ეს საწოლი იმ ფაშთაღმწერელს, ასე გაუფიქრებია, იმისი ანაგობა ერთმანეთზე დაწყობილ ეტრატებს ჰგავსო. შეიძლება რალაც უცნაური თვალი ჰქონდა იმას და არ ვიცი, მართლაც ასე იყო თუ არა, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინ ვილაცის ჩანანერს მივაკვლიე. აი რა ამოვიკითხე: „მერე სხვა საწოლი დაუკვეთავს იმ ხუროსთის. სპარსული ხერკინა ჩამოატანია მასალად. ის საწოლი ძირიდან შევიდირვა მტკაველით იყო დაცილებული, ფეხები სულ პატარა ჰქონდა, უბრალო, მხოლოდ კონდრისფრად შეღებილი. მთლიანად კი მოგვაგონებდა დიდ, მოგრძო ყუთს, რომელშიც, მას შემდეგ რაც გააკეთებინა, აუარება ხელნანერს ინახავდა. ამ ხელნანერების შესაძენად ფულს არ ზოგავდა... ვილაცას ასევე უთქვამს, იქნებ სულაც მისი ყოფილაო ის ნანერები“

დაბოლოს, ერთ ამბავს, ანუ, უფრო სწორად, ერთ თავის მოსაზრებას გვამცნობს ზემოთ ხსენებული ფაშთაღმწერელი (არ ვიცი კი, როგორ მოაფიქრ-

და ამის თქმა, რაც იმას, იმის მხახველს და იმასთან, ალბათ, ღემქე ვაჭურველს რომ არ ეთქვა, ისედაც იფუცხლებოდა ქვეყნიყო ის და არა ურჩხული თუ მტაცებელი ცხოველი, როგორც მრავალს ეგონა. საფიქრებელია, რას არ იძახოდნენ იმ დროს და ეს ამბავი კარგად გვამცნობს იმ გარემოებას, რომ კაცის თანამედროვე ცხოვრება მისთვის უფროვე ბუნდოვანებით არის მოცული, თავადაც მიჰყვება იმის მღვრიე გაუთავისებელ, ვერშეცნობილ მორევს, რომელიც მისი სიკვდილის შემდგომ ასე თუ ისე დაინმინდება, დიდად თუ არა, მცირედნაც მიიწვება და ნათელი. სწორედ იმ გარდასული ხანის სინამდვილის დამადასტურებლად აქვს გადმოცემული იმ ფაშთაღმწერელს, თუ რა დიდი შრომა დასჭირდა იმ კაცს, მრავალი წელიწადი შეალია სადღაც ტყეში ერთ ძალაკზე სახლის აშენებას, კედლების მოხატვას, იმ საწოლის გაკეთებას. თუ რა ბედი ენა იქ მინვეულ(?) მხატვრებს, დურგლებს, კირითხუროებს, არავინ არ იცის.

სწორედ იმ ხანად იქ ერთი მისანი გამოჩენილა, დოვეს, ასე იხსენებს ის ფაშთაღმწერელი. პროკრუსტეს აღსასრული უწინასწარმეტყველებია, თავად შენ მოკვებით სულ მალე. გადაუხარხარებია პროკრუსტეს, ასე უთქვამს, თავად კვდებო კაცი. მერე ასე უთხრა იმ მისანმა, კი მოკვდები, მაგრამ შენს სულს მაინც ეშველება რალაც, მოვა დრო და ოქროსა და ვერცხლის გულისთვის აღარ იავაზაკებ, ველარავინ იტყვის ოქროსა და ვერცხლის გულისთვის ხოცავსო ხალხს.

აბა რისთვისო? მოუგო იმან.

„იმისთვის, რაც შენს სულსა და გულში იქნება ჩაჭედული, რაც მარადიულობასთან იქნება ნიღნავარი, დიდებული სიტყვებით აღზევებული და განმტკიცებული, სინათლითაც გარემოსილი“.

მაინც რაო, რაო? ეკითხებოდა პროკრუსტე.

„დიდად ძალამოსილი, — ეუბნებოდა დოვეს, — ვიდრე ეს შენი თოკები და კაჭჭებია, რადგანაც ის კი არ არის, რაც შენ გარეთაა, არამედ ის, შენ შიგნით რაცაა. იმას ვერ ძალა ვერ ნაგვერის და მოვა დრო, ღვთაებრივი გახდება ეს საწოლი“.

ღვთაებრივიო? თქვა პროკრუსტემ.

„დიდი, დიდი ხნის შემდეგო, — ასე განავრძო დოვესმა, — როდესაც შენი ძულ-



ეზიც კი აღარ იქნება მინაში, შენი სული კი წმინდა ეთერს შეუერთდება და შეუდგება მარადიულ სრბოლას, მაშინ ღვთაებრივი ნათელი მოველება იმის თავს, ანუ იმის უჩინარ არილს და გაიგონებ ამ სინათლის წიაღიდან ამოთქმულ ჩურჩულს: ჩემი სილამაზე იქნება შენი მწე და მშველელი, შენი მეგზური, ის გაგინათებს შენს გზას, მახინჯი რომ იყო, სწორედაც არ შეუდგებოდი ამ სივალს და არც იქნებოდი შემცდარი. შეცდომა ის არის, როდესაც სწორ გზას ასცდები, ველარ მიაღწევ, ვთქვათ, ქალაქს, სოფელს ან სახლს, მაგრამ ის რა შეცდომაა, რასაც დიდებული ნათელი გადასდის სულ მუდამ, რაც ლამაზია სულ მუდამ².

თქვა ეს დოვესმა, სახე მოედრიცა ცბიერი ღმილით, საშინელი ღოჯები გამოაჩინა ერთი წამით, მაგრამ მაინც შეასწრო თვალს პროკრუსტემ. აჰა, შენო, დასწყვილა, დაავლო იმ თავის სანოლზე, მაგრამ ზუსტად მოერგო დოვესი სანოლს, არც ფეხი გადმოშვერია, არც თავი, თმა კი არც ჰქონდა, მულოტი იყო.

ერთხანს გაოგნებული დაჰყურებდა პროკრუსტე ამ კაცს. მერე, რაკილა ძლიერ იყო გამაშინვარებული, იმის თავს დაეტყა, მოიმარჯვა კაუჭგამობული თოკი, შემოხვევა დაუწყო. გველად გადაიქცა უეცრად ის თოკი, მოსხლტა, ჩამოსრილადა, დარბაზის კუთხეში ხერელი-სკენ გაიკლანა და სადაცაა უნდა გაუჩინარებულიყო, მაგრამ კაუჭი ხერელის პირას წამოედო, ქორად გარდაისახა, სარკმელს მიაშურა და გაქრა, ის გველიც აღარსად ჩანდა.

მაშინ ასე უთხრა დოვესმა, ჩემი ხელში ჩაგდება არ იქნება, უნდა დამამუშვიონ და ხომ იცი, კაცი ისე უნდა იყოს დამუშვიებული, როგორც იყო, ველარ შემუსრავსო იმას დრო-ფაში.

დოვესი მართლაც დაამუშვიავს თუ არა, ცნობილი არ არის, იმ ფაშთაღმწერლის გრაგნილისთვის სწორედ ეს ადგილი მოუხვეიათ, ნებისთ თუ უნებლიეთ, ვინ იცის. იმ გრაგნილის ფურცლის ზემოთ, სადაც დოვესის ეს ამბავია მოთხრობილი, მარცხენა მხარეს მისი მოდიდო სურათი დაუხატავს – მემატიანემ შავი კატა დააკავებინა დოვესს ხელში, მეორეს თავზე უსვამდა და სადაც აქეთ, ჩვენი დრო-ფამისკენ მოეპყრო თვალი, იმ გარდასული ხანის

წიაღიდან მოგვწდომოდაო იმისი მზერა, მახსოვს ასე გავიფიქრე მკჷმწმ მშქმ-უსრული გრაგნილის ტრუბუქრქმ მტბ-ცქერო.

ქორ როგორ უნდა დაჰყოლოდა მამის მკვლელს ან რა ჯოჯოხეთი უნდა გამოეკლო იმის ხელში, ამისი მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. ძალა აღმართს ხნავსო და ქორ არც ისეთი აღმართი გამოდგა, რომ მოუხვენელი დარჩენილიყო. შეიძლება სულაც ქიოს ნებით მომხდარა ყველაფერი, იმ პროკრუსტესაც შეიძლება თავისი ის შემხარავი მარტოობა მოსძულეობოდა და იმის დასაძლევად ის მოუშველებია, რასაც ერთი ძველი ბრძენკაცი, ევსები, თავის დროზე მეტად სახელგანთქმული და ახლა კი უსაფუძვლოდ დავინყებულები, ხორციელ თანხმობას უწოდებდა. ასეთი თანხმობა კი, როგორც ვიცით, შეიძლება მცირე ხნით, შეიძლება დიდი ხნითაც, სულიერ თანხმობასაც მოიყვრავს ხოლმე. ერთი სიტყვით, შეიძლება პროკრუსტესა და ქიოს ერთმანეთი შეეყარებიათ. ვაჭიშვილი რომ შეეძინათ, ქიოს ჰქონდა იმედი (სწორედაც უნდა ჰქონოდა ნაქვს ასულს), პროკრუსტე პროკრუსტეობას თავს დაანებებსო, მაგრამ იმან, როგორც ვიცით, თავისი ველარ დაიშალა, თავისით ვერ შემუსრავდა თავისივე ღიბოსა და საძირაკელს და ქორ მიხვდა, იმ კაცს ველარაფერი შეეძლია, თუნდაც კიდევ ასი ვაჭი და ასი ასული შემატებოდა იმათ უცნაურ (რა დავარქვა, არ ვიცი) ოჯახს. რალა უნდა ექნა, უნდა დალოდებოდა იმ შემთხვევას, რომელიც პროკრუსტეს ტყვეობიდან თავს დააღწევინებდა. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, დიდი ხეწნამუდარის შემდეგ, პროკრუსტემ ერთი ისრის გასროლაზე სახლი აუგო მას და ახე შეძლო გამორიდებოდა იმის საშინელ დარბაზსა და იმის საშინელ სანოლს. ასე იყო მანამ, სანამ პროკრუსტე არ მოკლეს და ქორ და პატარა დამასტე ზადას არ გამოეპურნენ და აქ ისე დასახლებულან-დამკვიდრებულან, რომ, როგორც ვიცით, არაუინ არ იცოდა მათი ასავალ-დასავალი და წარმომავლობა.

ზადას პირველი დამასტიონის გამოჩენის ამბავი ასეთი იყო, მოაქვამამდე, ანუ იმ დროს, ზადას რომ ჩავედი, უკვე მეთუ დამასტე იყო ერისმთავრად. კარგად იცოდა თავისი წინაპრების თავგადასავალი. რალა თქმა უნდა, გარდა

პროკრუსტესი. დამასტე მესამის მმართველობა იყო, მისი აზრით, თვალსაჩინო, გამორჩეული, და კიდევაც მოითხოვდა გამოწველილვით აღწერას.

სხვათა შორის, დამასტე მესამის დროს ხმა დადიოდა (თუ ვარკვეულ სიმართლესთან ნილნაყარი ამბავი), ზადას ერისმთავარს შემზარავი კერპი გასჯდომიანო თავში. სწორედ ასე ამბობდნენ, კერპიო. მაგრამ კერპი როგორ უნდა გაუჯდეს კაცს თავში ან იმის ძვალსა რბილშიც. ადამის ნაშიერის თავში როგორ უნდა დატეულიყო ოქროს ქანდაკება რომელიმე ცხოველის, ვთქვათ, ხარის, ხბოს ან ჯორის, მით უმეტეს, იმის ძვალსა და რბილში როგორც უნდა გასჯდომიანო სიმკვრივე არა მარტო ტანდიდი კერპისა, მცირე, სულ მცირეოდენი ზომისაც, ისე, რომ არ შეემუსრა მისი სხეული. დიდი, დიდი ხანი ვფიქრობდი ამ საგანზე, დაბოლოს, წვალეებით ჩაეხვი რალაც-რალაცას, დაახლოებით მაინც უჩინარი და უხორცი (ანუ, არც ეტრცხლის, არც ოქროსი, არც სპილოს ძვლისა) რომ იყო ის კერპი და პაერზე უფრორე მსუბუქი (ანგელოზების დარად) და ამისდა კვალად თავიდან (უფრო სწორად, მრავალთა თავიდან) გამოსხლეტილებს შეეძლოთ ყოველი მიმართულებით გაფრენა.

გამოხდა ხანი და არ დარჩენილა სრასახლი, სადაც არ დაუდგამთ რამდენიმე ან ერთი მაინც ბამბუკით კარგად მოქედილი ტახტი (ბამბუკის ჭალა უამრავი იყო ზადას), ზედ ეტრატები დაუფენიათ, დამასტე მესამის ერთი ხელნაწერის ზუსტი ასლი იყო ყოველი, თავს დასტრიალებდნენ იმ ტახტებს შავფერ სამოსელში გამონყობილი შავფერისავე ნიღბისნები და პირბასრი ცულის, კაცის მკლავზე უმსხვილესი თოკებისა და ჟანგიანი კაუჭების მავივრად ფიცრებზე ჩამობმული პრიალა ზამბარებით მომართული მახვილები მოემარჯვებინათ. მაგრამ როცა დასასჯელნი ბევრნი იყვნენ და თავის საქმეში ეს დიდად დახელოვნებული ხალხი ველარ აუდიოდა ამ სამუშაოს, ჩვეულებრივ მანდატურებს მოუხმობდნენ, მშვილდ-ისრებითა და მუხებით აღჭურვილებს,

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ და ვილაც-ვილაცებმა მოინდომეს გამოწველილვით ჩაღრმავებოდნენ მომხდარ ამბებს და ველარ კმაყოფილდებოდნენ იმ,

როგორც ამბობდნენ, უცნაური გადმოცემებით, „პაერზე უფრორე მსუბუქი“ როგორ უნდა ყოფილიყო [ქრწმწმ] მით უმეტეს, ანგელოზის დარი“.

მერე მთელი ტრაქტატები დაიწერა ამ მოვლენის გამო. კარგად მხოლოდ ამ ტრაქტატებთან დაიწერა ერთგან მოყვანილი ასეთი აზრი დამამახსოვრდა – ის, რაც დიდებულია ცოტა ხანი, არც შეიძლება იყოს ქვემარცხად დიდებული. ტრაქტატის შემთხვევს, ვინმე ბრძენქალს, ნისფერის, ვილაც შედავებია, ანუ, უფრო სწორად, მე მგონია, თავად ის, ნისფერი, მიმხედარა, რომ ვილაც უთუოდ შედავებოდა ცოტა ხანი როგორ უნდა იყოს ერთი, ორი, სამი საუკუნე? ხოდა, ამაზე კი ასეთი პასუხი ჰქონდა იმ ქალს, დიდებული ის არის, რაც დიდებულია სულ მუდამ. უთქვამს ეს ნისფერის, იმ გასაოცარ დიაცს და აუხსნია კიდევაც იმ უსხეულო, უხორცი კერპის წარმომავლობის ამბავი.

თავისი სიცოცხლის ბოლოს დაუწერია ნისფერის ერთი სატიანე „მუმიების შემოსევა“. დღესაც ბურუსითაა მოცული იმ დროინდელი ზადური განსაცდელი. ვინ იყვნენ დამასტიონების საერისმთავროს შემოსეულნი სპანი? ზუსტად ვერავინ გაიგო მაშინ და არც ახლა იციან რამე. სახეზე მიწის ფერი ედოთ და უფრორე მკედრებს შავდნენ, ვიდრე ცოცხლებს და თითქოსდა ასე ეტყობოდათ, ერთხელ, ვილაცის სასტიკი ხელთ მომარტული არც არასდროს შეიცვლებოდნენ, სულ ერთი იქნებოდა მათი საქმეულ-საფიქრალი (საფიქრალიო კივამბობ, მაგრამ არამგონია საფიქრალი თავი ჰქონოდათ), სულ მუდამ მეომრული ფინით იყვნენ წამონთებულნი, თუმცა არც ეს უნდა იყოს სწორი ნათქვამი, წამონთებულნი კი არა; უფრორე მიწისფერი დაედებოდათ ხოლმე, შემზარავი მძინარეების ზანს შავი ცეცხლის დასთამაშებდათ სახეზე და არა ძალას შეეძლო მათი შეკაება. მოსახდენი უნდა მომხდარიყო. მორჩა, გათავდა. ნისფერის თავის ხელნაწერში ასე აქვს ნათქვამი, სულაც არ ყოფილანო ისინი სულიერნი, ანუ მკედრები იყვნენ და ისე საოცრად დამუმიებულნი, რომ იმათი ხორცის რალაც ნანაილს სრულად არ ჰქონდა სული ასხლეტილი, სწორის რალაც უგვანოდ მიმძლავრებული ნანაილი დარჩენილად და იმისდა კვალად თუ როგორი იყო იმათი საქმეთა შედეგი, შეიძლება ვივარაუდოთ, რაგვარობა ამ სულის ნანაილსა.



სხვათა შორის აქ, იმ ნისფერის ერთი ფრიად საყურადღებო აზრი აქვს მოყვანილი. უფრო სწორად, ცოტა ქვემოთ, სადაც აღუნერია მდებარეობა და ანაგობა იმ პირამიდებისა, საიდანაც ისინი გადმოსულიყვნენ, ანუ გადმომსხდარიყვნენ, როგორც წერს იგი. მართლაცდა, ასე უცნაურად აგებულ პირამიდებში არც დადგომებოდათ იმ, როგორც ვიცით, ან უკვე მოვლად უწყინარ დაშემიძებულ ფარაონებს. ის პირამიდები ფუძით კი არ იყო დაბჯენილი დედამიწას, არამედ წვერით და საოცარი ის იყო, საუკუნეები როგორ გაძლეს ამ ნაგებობებმა. ნისფერის ასე აქვს მოთხრობილი ამის შესახებ (მე მგონია, მისი საკუთარი აზრი არც უნდა ყოფილიყო, ვილაცის, შეიძლება, მრავალთა შეხედულების გამეორება იყო), უცნაური უფრო ძლებს, ვიდრე ჩვეულებრივი, სწორედ ამ უცნაურობის ძალით, ანუ მხოლოდამხოლოდ იმიტომ, რომ ჩვეულებრივი არ არის და უცნაურია. ნისფერის უკვე იმ დროისათვის მიხედვარი იყო რალაც-რალაცას და დიდი გულისტკივილით გამოუთქვამს საკუთარი შეხედულება, თუმცა ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს არის ჩვეულებრივი და ჩვენს უმეცრებას იმით ვნიღბავთ, რომ ამას უცნაურსა და შეუცნობელს ვეძახით. ასე უკუღმა დადგმული პირამიდების გასაკვირველი ბინადარნი (!) გაულეველი შიშით უნდა ყოფილიყვნენ შეპყრობილნი, ხოლო ეს შიშის ზარი გარეთ გამოსულებს, ასე უნდა იყოს სავარაუდებელი, სამინელ გააფთრებად გარდაისახებოდა ხოლმე.

ნისფერის ის მატჩანე დღეს ასე ვაგლახად იყო დავიწყებული ზადას და ეს გარემოება ბევრი უბედურების სათავე შექმნილიყო. მრავალი თუ არა, ერთი ისეთი მნიშვნელოვანი აზრი მაინც იყო გამოთქმული აქ, რომ ამისი არდაფინება და გათავისება აგვაცილებდა დიდ და მიუტევებელ შეცდომებს, რაც შეიძლება მოუვიდეთ საერისთავოების მთავრებს.

კაცის მოღვაწეობის წარმოჩენას ზოგჯერ (მე მგონია მეტწილადაც) სიტყვების ბურანი მოსავს და სრულიად გაუთავისებელი რჩება ამ მოღვაწეობის შედეგი, ცხადი, თვალსაჩინო, ყოველ ნაბიჯზე რომ ნაანყდები ხოლმე და შეიძლება ისე ნაკრა ფეხი, რომ თავპირი დააღწონ. შეიძლება (როგორც გამონაკლისი) პირდაპირაც გავიგოთ ეს ნათქ-

ამი. ერთი ამბავი იყო ატეხილი დამასტე მეექვსის ერისმთავრობის ხანს ყოველი დიდი და მცირე გაუთავებელი აქმნდა და დიდებდა მას. მაგრამ სწორედ იმისი ერისმთავრობის დროს ყველაფერი მოშლილ-შორღვეული იყო და მათ შორის გზებიც. დღე ისე არ გაედიოდა, რომ ვინმეს არ მოეტეხა ფეხი და ხშირად, კისერიც. მერე კი, ათიოდე წლის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან მიხედნენ რაც იყო მისი ერისმთავრობის შედეგი. რალა დროს. საკვირველია სწორედ, მაგრამ ასეა, ეს საცხადო გარემოება ყოველთვის რჩებოდა შეუმჩნეველი, არა მარტო ზადას, ყველგან იყო ასე, სადაც არ უნდა ეყოფილიყაი, კოლასტრას, ზოზას, ზოზამას, ხინგარავს... ყოველი მოღვაწეობის შედეგი, ეს ნათელი და შეუმცდარი საზომი საუკუნეთა მანძილზე და განსაკუთრებით მაშინ, იმდროინდელი ზადას აბურდული ცხოვრების ფაშს, ასე უფაღახად გაუცნობიერებელი რჩებოდა. დღითიდღე ხდებოდა ეს უმეცრება ზადაური ყოფისთვის შემზარავი, დამანგრეველი და შემშუსრავი.

სხვათა შორის, სწორედ ამ გარემოების თუ მოვლენის შესახებ, იმ ზემოთ ხსენებულ ევსების ერთი იგავი ჰქონდა კათხზული - „ბრძენი ობობას ამბავი“. კაცს დასციინოდა თურმე ერთი ბრძენი ეს ექვსფეხი თუ ათფეხი, შენ როგორ მაჯობებ მე, რას აკეთებ, არ იცი და ვერც ვერასდროს გაიგებ. ჩემი აბლაბუდა თუმცა ძალიან მიხვეულ-მოხვეულია, მეც და ყველამ ვიცით, რაც არისო. მაგრამ ეს იგავი შეიძლება მერე გადმოგცეთ სრულად. აქ კი ნეტარი ანიკერისი მინდა შეგახსენოთ. ჯერ კიდევ მას ჰქონდა შემჩნეული, რომ ანმყო მსწრაფლარამავალია და უშალ კედება, თუმცა კი მისი ზეგავლენა მომავალაზე ვრცელდება. ანმყო უშალ კედება უბრალო მოკვდავის სიკვდილთან ერთად, მაგრამ არაუბრალო მოკვდავთა შემთხვევაში ანმყო შეიძლება გარკვეული დროით, შეიძლება საუკუნეების ან ათასწლეულების განმავლობაში გაგრძელდეს. რამდენადმე ნათელი რომ იყოს ეს აზრი, პომეროსი გაეიხსენოთ, ანუ, ამ შემთხვევაში ღვთაებრივ შემოქმედს ვგულისხმობთ, რომლის სიტყვა თუ ნახატი ან ქანდაკება ნათელ სვეტებად არის წარმოჩენილი სულ მუდამ ჩვენ წინარე. შედეგი მისი შემოქმედებისა წარუვალობის ბექდით არის

ალბეტყდილი და ყოველთვის დიდებული შარავანდედი გადასდის.

ასევე ნარუვალობის ბეჭდით შეიძლება იყოს ალბეტყდილი ამა თუ იმ ერისმთავრის მოღვაწეობის შედეგი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის დიდებულების შარავანდედი გადასდის, ლეთაებრივი პოეზიისგან განსხვავებით ეს შედეგი შეიძლება ყოვლის დამანგრეველი იყოს და ამავე დროს ჩვენზე ნარუვალად ზეგავლენის მქონეც, ანუ ჩვენ, იმ ერისმთავრის მოღვაწეობის ხანსაც და იმის შემდეგაც, სულ მალე ან შეიძლება კარგა ხნის მერეც მოვიპოთ ის, რაც მას დაუთესავს და თუნდაც დიდი ხნის წინათ ამ ქვეყნიდან ნასული ერისმთავრის მიზეზით შეიძლება ჩვენ დალბენილნი ვიყოთ ან დატანჯულნი და საბოლოოდ, მიუხედავად იმათი თანამედროვეების აზრთა სხვადასხვაობისა, დრო-ჟამი მით-

მცხეთა

რა თქვა მეფემ, ვიყო მორჩილი ნინოს სჯულისა, გათენდა, მზე ამობრწყინდა. ჩამოხდა მეფე ცხენიდან, განაპყრნა ხელნი აღმოსავლეთით:

შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის: საქებული არის სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისგან ცისქვეშეთში. შენ მიხსენი ჭირისგან და განმანათლე ბნელი ჩემი, ჩემი ხსნა ვინდა, ლბინება, შენდა მიახლება, უფალო კურთხეულო! ამ ადგილს უნდა ავღმართოო ძელი ჯვრისა, რომლითა იდიდებოდის სახელი შენი და სასწაული უკუნისამდე.

დაისწავა ადგილი იგი, წამოვიდა. სიმღერა მოისმა ზეციდან.

დევისი ჩუმი სიმღერა ჩამესმა. მერე კი მოთხრა, ახლა კმარა, უნდა დაიძინო. არ მეძინებოდა. სიბნელე იჭრებოდა სარკმლიდან. კიდევ მიმღერა დედამ და კიდევ გავიხედე სარკმელში, კიდევ უფრო ახლოს მოსდგომოდა სიბნელე და მე ვუთხარი, აი ის სახლი ხომ არა ჩანს ამ სიბნელეში.

შენ კიდევ იმ სახლზე ფიქრობ, თქვა დედამ.

შუბლზე ხელი მომიხვა. თმა გადამინია, დაიხარა და მაკოცა სამგზის.

ნც გვამცნობს, რამდენად სასიკეთო ან საველადო იყო ამა თუ იმ ერისმთავრის მოღვაწეობა.

ზინზირისა

მეორე წელიწადი გავიდა, რაც ზადას ვიყავი ჩასული, მოახლოებულიყო დრო ჩემი გამომგზავრებისა. ცხადივც მესმოდა აქ ყოფნის ხანს დროის დინება. მართალი თუ გნებავთ, მდინარე ლადამარის ხმაური იყო ეს და ჩემს სულში იმხანად დროის მდინარებასთან გაიგივებულიყო. ასე მახსოვს სწორედ. სწორედ ამ დამასტეს სასახლეს გვერდით ჩამოედინებოდა მდინარე მდოვრედ, საამური ბუტბუტითა. ზედ აუარება ნაევი მიმოდიოდა, მენავეთა გადაძახილი ისმოდა, ზოგჯერ სიმღერაც, ერთი დამამახსოვრდა – გათენდა, დაპკრა ღვიძილის ზარმა, ვარდისფრად შეიფერა კიდევ ერთი ახლა და მზისდარი ყვავილი მისი...

მოვიდა ნათელი და მოვიდნენ მეფის განბნეულნი კაცნი და იხილეს იგი ასე მლაღადებელი:

მიეცითო ღმერთსა ნინოსა, რამეთუ იგი არის საუკუნითგან ღმერთი და მხოლოდ მას შვენის დიდება უკუნისამდე!

ნანა დედოფალი და ყოველი ერი მიეგება მეფეს ქინძარას და ღართას. გაიგეს ჯერ ნარწყმედა მისი და მერე მშვიდობით მოსვლა. ჩემთან იყო ორმოცდაათი სული ნუ ფიქრობ იმ სახლზე, შენ რომ გგონია, ისეთი სულელები არ ცხოვრობენ, თავმოკვეთილი სულელები ცხოვრობენ იქ, თავმოკვეთილი სულელებისა კი არ უნდა გეშინოდეს.

თავი კი ვინლა მოკვეთა, დედა? არც არავინ. იბადებიან ასეთნი.

ხორციელი თავი არა აქვთ იმათ, უჩინარი, სულიერი თავი აქვთ და თავმოკვეთილ სულელებს ეძახიან იმათ და, ცხადია, არ ეძახიან სწორად. ნამდვილი სულელები უხორციონი უნდა იყვნენ სულაც. საღამოს მეუბნებოდა დედა ასე. ეს იყო ის საღამო და ის ღამე, რომლის გათენების მერე, ანუ მეორე დღეს ჩემთან იყვნენ ბათმე ბიძია და ვენგო. ბათმე ბიძიამ უთხრა იმ დღეს ვენგოს, თხუთმეტი წლისა იყო მაშინ ვენგო, სანამ სახლში წავალთ თქვიო, რაც ამ დილას თქვი.



და რაც თქვა ვენგომ, ამ სიტყვებით გაასრულა, წურვის ჰგონია საძვლეზე მისულს, ძვლები დამხვდებოა აქ, ყოველი სამარე გრძნობათა სასაფლავოა მხოლოდ. ძვლებს რა ჰყოფნის? ერთი მტკაველი მინა, სულ პანანინა ნანილი მისი. ხოლო სულებით, გარდასულთა სულებით დახუნძლულია იმ არემიდამოს ხეები, აქ მოსასულელი ბილიკები, გორაკები, ყოველი ფთოლი და ყოველი სივრცე ამ ფოთლებს შორის, ჩუმი, უჩინარი, უნაპირო საძვლე-საბუდარიოა მათი! გაიცინა ბათმე ბიძიამ, ასე თქვა, გუშინწინ, საღამო ხანი იყო მაშინაც, სპილოთა სასაფლაო რომ ვნახე, ის ვუამბე ვენგოს. ვეებერთელა ველი გავიარეთ ერთხელ ეგვიპტეს, ბრტყელთავე მთებით გარშემოზღუდული, სპილოთა ძვლები ეყარა იქ, ზღაპრული სილამაზის ეშვები იყო, დავითვალე ორმოცდაათი წყვილი. ნახეარი დღის სავალზე კი სფინქსი დაყურსულიყო შაცნედ და ნიშნად, მგონია, ახლა ვიცეი, რისა, რადგან იმის სულ ახლორე ქვაბოვანში კედლის წარწერა ამოვიკითხე ერთი: ჩემს მხრებზე მსხდომარეთ ვერეინ შეიცნობს, მხოლოდ ჩემი შეჩერების ხანს ჩემი მხრებიდან ვადმომსხდართ აეხდებათ იდუმალეების ფარდა.

ამ სფინქსის მოქანდაკეს ნაუნერიოა ეს სიტყვები, ასე ამბობდნენ. და შეჩერდებოა იგი როდისმე? ეკითხებოდა ვენგო.

როდისმე, როდისმეო! პასუხობდა ბათმე ბიძია მეფე რომ მოვიდა, შეიძრა მთელი ქალაქი, მაღალი ხმით ღალადებდა მეფე:

სად არის დედაკაცი იგი, უცხო, რომელიც არის დედა ჩემი და ღმერთი მისი - მხსნელი ჩემი.

ასე პრქვეს, მაყელოვანს არის, ილოცავსო.

ჩამოხდა მეფე ცხენიდან, მითხრა: ან ღირსი ვარ სახელისდებად სახელის ღმრთისა შენის, ჩემი მხსნელის.

სუყველაფერი ეს სახელებია და მეტი არაფერი, თქვა მამამ.

კაცს ხვალ, მიუგო ბათმე ბიძიამ, სულ სხვა სახელი დაერქმევა. ჩვენ დღეს არ ვიცით ეს სახელი. მხოლოდ უფალმა იცის და ელოდება, როდის

დადგება ჟამი, რომ სულ სხვა სახელი დაარქვას ადამიანიშვილს.

შენც იცი, უთხრა მამამ, კი შანს, ანუ შეიძლება მხოლოდ შე ვხვდავ, ჯერ კაცი იყო რაც იყო, მაგრამ მერე რომ მიხვდა, რა მოსაწონი მე ვარო, შენიღბვა დაიწყო. ასე შენიღბული სახით კი უფრო შემზარავი და საშიში გახდა. მერე ამასაც რომ მიხვდა, ცხადია, ესეც არ მოეწონა. კარგა ხანს გოდებდა და ვალალობდა. ცრემლუბად იღვრებოდა. შეიწყალა უფალმა, ჩამოახსნევიდა კაცს კაცის სახება ნიღაბი და იყო დიდხანს უნიღბოდ, პირისპირ დარჩენილი თავის თავთან. თავის თავის მჭერეტელს კარგა ხნის მერე დაუდგა უფლის ხატი თვალნი. ისე შეიყვარა ეს ხატი, ევლარ მოიცილა, სულ მუდამ ცრემლშეუშრობელი უჭერეტდა და ამიტომ ზღაპრული ფერებით მოიხატა ის რასაც უმზერდა; თუ იქნებ ღვთის ნება იყო ასეთი. ნელ-ნელა დაიწყო ამ ხატის ვათავისება, თავადაც ემსგავსებოდა ამ ხატს და იქნებ საბოლოოდაც დაემსგავსოს ხვალ.

ესეც მითხრა მირიან მეფემ, ჩემს ხალხს პირი აქვს და ვერ ლაპარაკობენო ცხოველმა ლაპარაკი ისწავლა, ბათმე, ცხოველისთვის უსწავლებიათ ლაპარაკი თურმე, ღვთაებრივი სიტყვა ცხოველის პირით, და ამან დაგვანგრიდა და დაგვაქცია თვალი აქვთ და ვერ ხედავენ, ყური აქვთ და არ ესმით ვის მონებენ. კი არის სიტყვა ღვთაებრივი, მიუგო ბათმე ბიძიამ, მხოლოდ გალომბის, შაირომბის ჟამს. ნათელი დღე იყო იმ დღეს, უყოველისწრდილებით თითქოს. ხვალეც ხომ დღეა, ამბობდა მამა, ჩუმად რომ ნამოგვდგომია თავს და იმის ნიაღში ვითარცა გალიამი გამომწყვდეულები ვხედავთ რალაც ნათელ წერტილებს, რაც დრო-ჟამია მამაპაპათა, ბიძიებისა და დეიდების, ან უკვე სანდომ-საამური და შორეული ზღაპრების გმირების. პე, წარიგვანგება ეს დღეები და მეც უნდა გავხდე ზღაპრის გმირი იმათთვის, ვინც სულ ახლახან მოველინენ ამ ქვეყანას და დამიწყებენ მზერას წმინდა-ცნობისმოყვარე თვალებით.

თვალი თვალში გამიყარა. ჩემი თვალები, ახლა კი ვიცეი, წმინდა იყო, ცნობისმოყვარე; იმისი - ზღვისფერი,

იდუმალეებით მაცქერალი ისევ. საკითხავი ისააო, რამოდენაა ის ველი, სადაც რბიან მრავალნი ცხოველნი. ენით უთქმელია სიმრავლე მათი. თვალუნდენელია ის ველი, მაგრამ მოვა დროა და ხვალ შეიძლება შეიმუსროს ეს უკიდევანო სივრცეები და ამ სივრცეთა წილ სხვა სივრცეები

მცხეთა

ნარეშართა მეფე და ყოველი ერი ქრისტიანობისა მოსურვებული.

ჯერ კიდევ არ იყვნენ მღვდელნი ჩამოხულინი. ასე მითხრა მეფემ:

სად აღვაშენო ღმრთის სახლი?

მე მიუვგე:

სადაც მეფეთა გონება მტკიცე არს.

მრქვა მეფემ:

მიყვარს მე მაცყალნი ეს შენი. აქ ჩემბავს ჩემი გონებით. მაგრამ არ ვყო ასე. ჩემი სამეფო ბალი იყოს ეს ადგილი, სადაც ნაძენია მალაღანი, ყურძენი და ხილი დიდებული, ყვავილთა სურნელება, სადაც ჩვენება იხილე იმ ფრინველებისა, რომლებიც დასხდნენ იმ ბალის ხეებზე და სიმღერა დაიწყეს ტკბილი ხმით. ტბას მიაშურეს, იმის წყალში განიბანენ და განსპეტაკებულნი ზეცაში აიჭრნენ შხეფები მოგვწვდა. თითქოსდა თავად მზე სვამდა წყალს. მერე აქეთ წამოვედით, სადაც ტყეა მთაზე. სიჩუმე და ჩრდილები დაევანებულიყო. ბათმე ბიძიას ხმა გავიგონე:

მაგრამ ხომალდს, მამაო, შენი განგება მართავს, რადგან ზღვაში შენ მიეცი ვზა და ტალღებს შორის საიმედო ბილიკი.

მერე ჩაიცინა ბათმე ბიძიამ, მე რას მეტოლება ის კაცი, მე ხომ იმ კიდობნიდან ვარ. ცხოუნებულმა ნოემ არ იცოდა ჩემი იქ ყოფნის ამბავი. დამალული ვიყავი და ამიტომაც მარტო ვიყავი იმათ შორის. მარტოობა რომ ჩამეხშო, ღვინოს ესევამდი ნოეს ტიკებიდან. ღრმასა და დაფარულს მაშინ რას მივხედებოდი, არც ის ვიცოდი, რა ნათელი იმალეობდა იმ კიდობნის ბნელში და როცა გაიღია ის ბნელის და ვიხილე ნათელი, მე მგონია, ისეთივე ბნელი იყო, როგორც კიდობანში. ოღონდ ამჯერად ნათელი მხრით ჩვენკენ გადმოტრიალებული, ნათელი მხრით ჩვენკენ მოქცეული. მთელი ეს

გამოჩნდება. შენ რასაც ამბობ, მიუგო მამას ბათმე *ქმრჭჭჭ, ქაქ, ქაქ* რცეები არაამქვეყნბჭრჩხსსხქქქებ სულაც, უთხრა მამამ, ისიც და ისიც ყოველი სივრცე, რასაც კაცი ხედავს, მისივე მოგონილია, რა ქნას, ურუაკაქშანს ვერ აიცილებს უამისოდ.

ხანი, დღეები, წლები, საუკუნეები ასეთი ნათელის სხივებში მივდივართ, ზოგჯერ მივრბივართ კიდევაც სუნთქვას შევუბებულნი, ქოშინით, რატომ, ვერა და ვერ მივმხედარვართ.

ასე დასძინა მამამ:

კაცი სულ ამას გაიძახის სანყალობლად, ჩემი დღეები ბევრია, წლები ცოტა, საუკუნეები კი არც არსადაა. სამივე ერთად კი მოხმაურობს ამ მალალი მთის ჩანჩქერივით.

ბათმე ბიძიამ თქვა:

მე მგონია, მძინარეთ გვლვიძავს და მღვიძარეთ გვძინავს, რადგან ნამდვილად მღვიძარენი არ უნდა ვშურებოდეთ იმას, რასაც ვშურებით.

მამამ მიუგო:

თუ ასეა, როდის ვიქნებით ნამდვილად მღვიძარენი.

როდის, ღმერთო, როდისო, თქვა დეამ.

ღმერთის სახლი უნდა ავაშენოთ სალოცავად, ვიდრე ის მღვდელნი მოვიდოდნენო საბერძნეთით.

მეყსეულად მოილო მეფემ ძელი. მოუხმო ხურთო, მოკვეთეს ნაძვი ერთი, გამოჭრეს შვიდი სვეტი ეკლესიისა.

ხედავ სვეტებს სიცოცხლისას და უღონო ხეები ვითარცა ძლილი, თქვა ბათმე ბიძიამ. სიცოცხლის სვეტებს რომ ხედავდე, ყოვლისშემძლე იქნები, ჩემო ბათმე, მიუგო მამამ.

ვიხედები ირგვლივ, სვეტები არ ჩანს ჩვენი სახლის ახლორე და არც იქით, იმ სახლებს შორის; სადაც ბათმე ბიძიას სახლი იყო.

სიზმარი ვნახე, თქვა მამამ, სუყველაფერი ვიცოდი თითქოს. სწორედ ეს უნდა იყოს სიცოცხლის სვეტები.

ვნახე რომ თქვი, უთხრა დეამ, ვნახე იყოა, ახლა აღარ არის. მართალი თუ გინდა, ამ სიზმარს დღეს როგორ ნახავ, ხვალ თუ ნახავ.

სიზმარშიც არ მანებებ ყოვლის ცოდნას, ღიმილით ამოთქვა მამამ. ძელით ალაშენეს კედელი, აღმართეს ექვსნი სვეტი თვის-თვისად. მაგრამ ძვრა ვერ უყვებს ერთ სვეტს, უდიდესს, საკვირველს, ეკლესიის შუაგულში დასაყენებლად.

მოვიდა მეფე და მასთან ერთად მრავალნი, მოაგორეს მრავალღონე მანქანანი, მათი სიმარჯვით, ხალხის სიმრავლით ეცადნენ სვეტის აღმართვას, ვერ შეძლეს.

მწუხრის ყამს ნავიდა მეფე, მწუხებელი დიდად.

მამამ თქვა, ხსნის ორი გზა აქვს კაცს, ღვთისკენ მიმავალი ერთი, მეორე საკუთარი სულისკენ. მაგრამ დღეს ღვთისკენ მიმავალი თუ უშველის მხოლოდ, ღვთის შეწევნით თუ ჩახვდება თავის სულს.

მე კი მგონია, მიუვო ბათმე ბიძიამ, ორივე ეს გზა ჩანსულია ერთმანეთში, შეუძლებელია მათი გაცალკეება.

ეს ორივე ერთიაო, თქვა დედამ.

მე კი მაინც ვფიქრობ, უთხრა მამამ, კაცი ახლა ისეთია, იძულებულია ხსნის გზას მიაკვლიოს და ამ გზის გავლა ახლა მხოლოდ ღვთის შეწევნით შეუძლია მანამ, სანამ...

მამამ იყურა, სადაღაც იქით, შორს მიაპყრო მზერა, სადაც ცა და მიწა ერთად შეკრულიყო, მხოლოდ მრუმედაკრული ნათელი ზოლი მოჩანდა, მაგრად დასწოლოდა ზეცა მიწას. მიერბივარ იქით, მიერბივარ, ზევით, ზევით მიდის ცარგვალი. გზაა ასეთი თუ იქნებ თვალი მატყუებს, იქნებ დაეუსხლტე ამ ციხა და მიწის ხუნდებს, ავეყვ ზეცას თუ საღამო ხანის გარინდებულ შაერის სვეტს.

მიევახლეთ მე და ჩემი მოწაფენი სვეტს, ვლალაღებდით, ცრემლებს ვადენდით.

შუალამეს იძრა მიწა, წამოიქცნენ მთანი. არმაზი და ზადენი წყალში ჩაიმზღვრნენ. მტკვარი ადიდა, გადმოხეთქა, შეიჭრა ქალაქში. შეიქმნა სამიწელი ზარი და გოგება სულ მალე არაგვიც წამოიგრაგნა, მოეახლა ციხეს. ქალაქიდან გარბოდნენ დედაკაცი. შევლალად იმით, ნუ გეშინიან, დანო, მთანი აქვე არიან და წყალნი აქვე დიან, სძინავს ყოველს. რაც ჩვენება გქონდათ, სიმართლე იყო, დაირღვეს ურწმუნოებისა მთანი ქართლს, ის აუარება წყალი იყო: სისხლი ყრმათა

ცვარად გარდასახულიყო წყალი, მწვანედ პრიალებდა ცერქანი ქალაქი. თითქოსდა ყოველივე აქააბლუ და ბადებულდაყო, ის ძველისძველი სახლებიც, დრო-ჟამისგან ჩაშავებულფიცრებიანი. ცრემლებს მოგავედა ცვარი ბალახზე. სიხარულისაა თუ სიმწუხარისო, თქვა მამამ. ბავშვისაა ეს ცრემლები, მიუვო დედამ, არც სიხარულის, არც სიმწუხარის, შევბის მომგვრელი, საამური, ანუ ორივე ერთადაა, ერთმანეთში ჩაჭდეული, სიხარულიცა და სიმწუხარეც.

მეყსულად დასცხრეს წყლის ხმანი და არ იყო რა რა იქნება, არა რა თუ რა, თქვა უფალმა, რას იზამსო მატლი. მოდი გონებას მიუზობძებ და გაიზარდა, გაიზარდა, ვაფუედა, გველუშაპად გარდაისახა, ძლივსღა ეტეოდა ამ მინახზე, გაიხარა დიდი სიხარულით ან უკვე გონებაამოხვეჭილმა ვეებურთელა მატლმა, ისეთი ცოდვა დაატრიალა, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმზილველი უფალიც კი შეძრუნდა, მიხვდა რაც სჭირდა ამ მატლს. არა, არა, გონება არ წაუგვრია იმისთვის, ჩაახვედრა ამ მისი გონებით, რომ მაინც მატლი იყო იგი. ამის მერე დაიწყო მატლმა აძალდება. დაიძრო ის თავისი გველუშაპის კბილები და სინანულის ცრემლებად დაიღვარა; სადაც იმ კბილის სანაცვლოდ ის ცრემლი დასცა, დიდებული სამოთხისებური ბალი გაშენდა. ის ბალი, თქვა ბათმე ბიძიამ, ის ქვეყანაა, სადაც ხედავენ ისე, როგორც არის და არა ისე, როგორც უნდათ რომ იყოს და არ არის.

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა კოლასტრას. დაიხარა, აიღო მუჭით, შეჰყვირა, სველი არ არისო, თოვლის არ არისო. აბა, რა არისო, ეკითხებოდა ვემებ ცბიერი ღიმილით. არ ვიცისო, ასე იძახდა ის საბრალო, ცრემლი მოვლებოდა ბინდმორეულ თვალებზე. უცებ შეჰყვირა, რაც ხელში ჰქონდა ვადაყარა, რა არისო და გველუშაპის კბილები, ამდენი, ამდენი როგორ დაცვიედაო, ასე ყველგან როგორ დაცვიედაო. მიტრიალდა, გაიქცა. მისი ფეხის ნაკვალევი მალ-მალე დააჩნდა თოვლს. ღვთის მაიმუნის ნაკვალევს თუ ხედავთო, ხარხარებდა ვემებ.



მცხეთა

დავდეგ, განვაპყარ ხელნი და ელ-ოცულობდი, ვევედრებოდი ღმერთს. არ დაებრკოლოს საქმე, რომელსაც უნდა ეხსნა სულიერება მეფის.

ჯერ კიდევ მამლის ყვილამდე და-ეცნენ ქალაქს, დალენეს კარნი და აღი-ესო ქალაქი სპარსთა ლაშქრით, შეიქნა ზარი სამინელი, ყვირილი და ელვა, სისხ-ლის წვიმა. მოვიდა სიმრავლე მტრის, ზახილითა და მახვილით. შიშისგან დნებოდა ხორცი, ილეოდა სული პატა-ლანის ველზე ომი რომ გადაეიხადე, თქვა მამამ, კარგა ხანს ის ჩემი გააფთრება ისე დაყურსულიყო ჩემ წინარე ვითარცა სოკო, დიდი მენ-ამულისფერი და თითქოსდა ასე მა-მცნობდა, ახლა რას იზამ, ზეობის მწვერვალს რომ იყავი მიტანებული, ჩემი არსებობა არც კი იცოდი. ახლა კი იცი, ჩამქრალ-დადავულმა კაც-მა, როცა აღარც შეგიძლია რამე.

მართალი ხარო, უთხრა ბათმე ბიძიამ, და თუკი რამეა ამ დროს მწე და მშველელი, ბავშვობის ხანის მწეების და ნეტარების კუნძულებია. ვეპოტივებით ამ კუნძულებს შემზა-რავ მორვეტრიალში ვადამზ-ღერეულნი, თუმცა კი გეშველის ორიოდე თუ სამიოდე წამით ამ კუნძულებზე, ფეხის დადგმა, მაგ-რამ შედ დიხანს ვერ ვჩერდებით ყოველი ტირიდა თავის ნათესავთ და ასე ისმოდა ყველგან, იხსენით მახვილის პირისგან ყოველი პურია, ბრძანებს მეფე სპარსთა ზვარან-ხვარა.

კოლასტრას ვიყავი მაშინ. ჩემი ბავშვობის დროინდელი ადგილები მოვინახულე, და სიხარული კი არა, შიში, ენით უთქმელი შიში დამეუფ-ლაო, მამამ თქვა. დედამ: შიში არა, ალბათ, სინანული იყოო. მამამ კი — შიში იყო სწორედ.

ზამთარი იყო, გარეთ სუსხი და თოვლი. პაერი საამური სუფთა და ნათელი. მაშინ, ჩემი სიყრმის ხანს არ მჭირდებოდა ამისი შეცნობა, არც ენით ამოთქმა. თავისთვის იყო ეს გრძნობა იმ პაერივით ნათელი და სუფთა, და უთუოდ, უთუოდ ის ჩემს გაჩენამდეც იყო, წმინდა, ნათელი, არც არანდროს არავის შემანუხარი. ჩუმად, ფეხაკრეფით მიეახლებოდი

მას, თუ არადა იმ მსუბხვექ წინარე-ოცებოდა, ჩაიჩუმებოდა დრო-ყამის სამალაეში და თუ გამოვიდო-და იქიდან, ბავშვებს, მხოლოდ ბავ-შვებს მოველუბოდა თავს. მახსოვს ის დღე იყო, ვაახილაჯელი ტყვეკა-ცი მოეყვანათ ერთი, ქას ათხრ-ვეინებდნენ ჩვენი სახლის უკან, პა-ტარა, ფართოფოთლოვანი ხის ქვეშ. წელამდი ჩასულიყო უკვე. მივედი. ჩემი პატარა ფეხის ნაკვალევი დაეტყო თოვლს. დაეცქერდი იმ ტყვეს. თავი ასწია, მძულვარეთ ამ-ომხვედა, თითქოსდა ჩემკენ ამოინია კიდევაც. უკუმიდექი, ნავიდა ის ნათელი-თეთრი გრძნობა. სხვა ბავ-შვებიც იყვნენ აქ, ბევრი, თოვლს დგამდნენ ზვინებად. თოვლის პაპა გააკეთეს სულ მალე. დიდი, მრგუ-ალი, სასაცილო, სიხარულით შეეყ-ვირე. იმასთან და იმათთან მივირბინე, დავცურდი, დავეცი, სწორედ იქ, სადაც ის პაპა იყო, თოვლის, თოვლის გორაკიდანეე ამ-ოსული, უხელფეხო, გრძელცხვირა, მუცლით მდგომარე. მოვიდა ის ნათელი გრძნობა ისევე.

გაიგონა თუ არა, შერგულდა სიდო-ნია და კიდევ ათნი. ხედავდნენ, მახვილ-ოსნები მოდიოდნენ, მოპოცავდნენ. ვი-ლაცამ დაიძახა მირიან მეფე შეიპყრესო. მე უუთხარი იმით:

ვიცი, ვინც არის რა არის, ზაბილონ, სულ ასე იძახი, ხვალ, ხვალ, ხვალ, ჩაეკითხა დედა. მამამ იქით მიაპყრო მზერა, სადაც მზე უნდა ჩასულიყო, შორს, იმ კვიპაროსების წვეროკინე-ბს მიღმა. მგონია, დედას აღარც ახსოვდა რაც ჰკითხა, მაშინ მოუგო მხოლოდ, ეს არის იმედი თუ ოცნე-ბა, ჩემო სოსანა, ან ვიქნებით ღირსნი ამ იმედის თუ ოცნების, ან არ ვიქ-ნებით სულაც.

ერთხანს იყურა, მერე ასე განაგ-რო, რალაც სასრულიუქონელი გახ-და ეს სავალი და, მე მგონია, ეს ხვალ ეს უნდა იყოს სწორედ. მირიადი კაცი ნავიდა აქედან ურუა-კაეშნის, უიმედობის ბეჭდით აღბეჭდილი და არ მინდა ვთქვა, მარადიულობის ბეჭდით უნდა იყოს აღბეჭდილი ეს მათი უსასოება-მეთქი. მაგრამ ხომ



ასეა, ყოველი ქალისა და კაცის სულშია განხორციელებული იმედი და უიმედობა და იმასთან ერთად აღესრულება და არცა გვაქვს უფლება ვიძახოთ ხვალ, ხვალ.

ამ ათიოდე წლის წინ, განაგრძო მამამ, დედა რომ მომიკვდა, ნავახუნეთ, გავხსენით აკლდამა მამის, მხოლოდ ერთი ფიცრის ნაგლეჯი და ერთი ფეხსამოსი ჩავიხუტოთ მისი, მეტი არაფერი. ხოდა, ჩავხუტოთ გულში ეს ფიცარი და ფეხსამოსი და ვიძახოთ გაუთავებლივ, ხვალ, ხვალ.

უფალი გვიხსნის ჩვენ, თქვა დედამ სწორედ ეს უნდა იყოს ნიშანი მათი წარწყმედისა, სწორედ ახლა იწყება ცხოვრება ქართლისა და დიდება.

გამოვსახე ჯვარი და მეყსეულად გაუწინარდა ყოველი, ნაწიდა შიშის ხარი. შედგა დედაკაცთა ბრბო, ადიდებდა ღმერთს.

ცისკარი ახალი მონეული იყო, ჩაეძინა ყველას იმ ღამეს გაუთავებლივ იღრინებოდა და ყმუოდა იცო. დედა ადგა, რა დაემართათ ნეტავი იმ ძალს. მამა კართან მივიდა, გარეთ გავიხედა. მთვარიანი ღამე იყო. მთვარის აღმაცვრი სხივები შემოჰყვია ღიობს. ძაღლის ღრენაყმული კი არაა ეს, თქვა მამამ, ხანდახან, რალაც იდუმალ ნამებსა და წუთებში თავად დრო ყმუისო და იღრინება ასე.

გათენდა. მამამ იცო შემოიყვანა სახლში. დასვა იქვე, მაგიდასთან, თავისი ჭკვიანი თვალებით დაუნყო მას იცომ მზერა. ნეტავ ჩვენც ასე შევცქეროდეთო ერთმანეთს, ვიცო რალაც იცის, მაგრამ რა, ამას ვინ იტყვის; მხოლოდ არც ცბიერება უნდა იყოს ეს, არც მზაკერობა. სადღაც კი უნდა იყოს ასე, მაგრამ არც ეს ადგილი ვიცით. იქ ვერ მივალთ დაღლილ-დაქანცულს. ხელებგანპყრობილმა ვიხილე ჭაბუკი ერთი, სრულიად ნათლით შემკობილი, მოზღარდნული ცუცხლის უწერით, სამწი სიტყვანი რამე მრქვა. მაღლი შევნირე მუხლმოდრეკილმა. შეპყო ჭაბუკმა ხელი იმ სვეტის ქვეშ, ნაილო მალლა, სულ მალლა.

სიდონია მღვიძარე იყო თურმე, მომეახლა.

დედოფალოო!
მე მიუვტე:
მოიდრეკე თავი ქვეყნად!

მცირედი უამის შემდგომ აღვდექე, ხელი მოვიკიდე სიდონიას, განვხორციელო იმ ადგილს და ყოველმა ჩილი, ცუცხლო სსახედ ჩამოდიოდა სვეტი, უახლოვდებოდა მონაკვეთს ნაძვის ძირისა.

დილას ადგა მეფე ურვათაგან გულდამანთული, ნამოვიდა ბაღს და უცებ იმანაც დაინახა ნათელი, ელვასავით ცადაწედილი, მთელი ქალაქი მოდიოდა იმასთან ერთად.

ნათელი ბრწყინვალე სვეტი ჩამოდიოდა იმ მთაზე თუ იცი რა ენახე, ზაბილონ, ჩაეკითხა მათმე ბიძია მამას, ორიოდე დღის წინ დაბრუნებულიყო. წყნარ ყურეში დაეყენებინათ თავიანთი ხომალდი, ერთი დღის შერე კოლასტრას თავისი მოგზაურობის ამბავს ყვებოდა. რა, რა ნახე, პკითხა დედამ.

ვეებერთელა, შავი, ბნელი ღამესავით შავი უფსკრული გადაჭიმულიყო ჩემ წინარე და იმის შუავულში, იმ უფსკრულის შუავულში დიდი ღრმული შევნიშნეთ ერთი, თქვა ბათმე ბიძიამ, ასე მითხრეს, სწორედ ეს არის ჯოჯოხეთის გამოსასვლელი. გამოსასვლელი კი არ უნდა პქონდეს ჯოჯოხეთს, სწორედ იქიდან იპარებიან უკუნი ღამით ცოდვილნი, და რადგან იპარებიან და საუკუნო არ არის ის ჯოჯოხეთი, გაულეველია ცოდვის ტრიალი ამ ქვეყნად და კიდევ ამიტომაც. ყოველ ერს ჰყავს თავ-თავიანთი ეშმაკი, შეიძლება სახით მსგავსნი იყვნენ, მაგრამ ამ თავ-თავიანთი ეშმაკული სულით სხვადასხვანაირნი.

სულითო? თქვა დედამ.

ჰო, მიუვო ბათმე ბიძიამ, ეს რომ ასეა, ამას ესეც მონშობს, ვთქვათ ტენებაგელთა ღვთის მაიმუნები მსწრაფლწარმავალი ზოობის მონადინენია სულ მუდამ, ხინგარაგელთა კი სულ სხვისი მინაწყლის მოვრავებას ცდილობენ, თუნდაც თავად მშიერ-მწყურვალენი იყვნენ, იარაღის გამოჭედვას თავს არ ანებებენ, ხინგარაგული მშვილდ-ისრები, შუბები, ხმლები განთქმულია მთელ ქვეყნიერებაზე. თმონიდელნი კი გარბიან ქვეყნიდან და მტერს მოუძლევიან მეგზურად. თუ ამას ვერ შეძლებენ, სხვა სახელმწიფოში იწყებენ მოღვაწეობას და როცა კი

მოახერხებენ, თავიანთ ქვეყანას ლაფში სვრიან და იმდენად გაუთავებელი ხდებოდა ეს ამბავი, ბევრი ტოვებდა თავის სამშობლოს და იკარგებოდა უცხოურ ქვეყნებში. მაგრამ მეტადრე ყოვლისმომწინებელი და დამანგრეველი ვახდა ზაგაღლ ეშმაკთა საქმენი, საყოველთაო საღალატო შექმნილიყო ზაგაღლი იმდენად, რომ თავადაც შესძლებოდათ ერთმანეთი და სხვები რალას დააკლებდნენ, იმ სხვებმა ამის წყალობით მოახერხეს მათი მოლორება.

ვერ ყოლიათ კარგი გუშავნი იმ ღრმულს, უთხრა დედას.

როდის ვაქრება ეს სიტყვა კაცის ენიდან? თქვა მამამ.

სულაც არ არის ასე, თქვა ბათმე ბიძიამ, მარკოზი გვასწავლის, კი ვაქებს მოცემული ღვთის სასუფეველი, მაგრამ ყველაფერი იგავებში ხდებო. ჩვენ ადამის ყამიდანვე კი მიველტვით იგავეების ამოხსნას, სულ ამაოდ, რადგან ერთნი ასე ხსნიან, მეორენი ისე, შესამენი სულ სხვანაირად და ასე იქნება სულ მუდამ.

დაემყარა ის სვეტი კაცთაგან ხელის შეუხებლად. შიშითა და სიხარულით აღივსო მცხეთა ქალაქი, ცრემლების მდინარე დიოდა მეფეს, მთავართ და ყოველს.

პირველად მოვიდა პურია ვინმე, ბრმა შობითგან, მოეხლა სვეტს, იმ წამსვე აეხილა თვალი. მეორე სეფენული, ყრმა ამხანაგანი, რვა წლისა, საპყარი, დედამ მოიყვანა და დადვა სვეტის წინაშე, შემოამევედრა.

შევახე ხელი სვეტს და მერე ყრმას, აღდგა ყრმა. დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველ ერს. მრავალნი სწეულნი მოვიდნენ და განიკურნენ.

მცხეთას ჩამოვიდნენ იოანე ეპისკოპოსი, მღვდელნი, დიაკონნი. სიხარულით აღიხსნენ მეფე და დედოფალი, ერი მათი. დიდი იყო სურვილი ნათლისღებისა. მოუნოდა მირიან მეფემ ერისთავთ, სპასალართ, ქალაქად ჩამოვიდა ყოველი. ყველგან ისმოდა, დაემკვიდრაო, დადგა ხატი თვისი, გახდა ის ჩვენი მეუფე, ანუ, ჩვენი კი არა, ანუ, არა იმისი, რასაც ხორცი ქვეია, არამედ იმისა, რასაც სულიერება ქვეია და ავმალღვით იქ, სადაც ნათელი სვეტია, მოვიპოვეთ ცხოვრება

ამ სვეტის ახლორე, ზოგმა ამ სვეტისავე შიგნით და იყო სინათლე სხმთლუ, სინათლე გაულეველი, ღმერთის სხმთლუ სინათლე და არა ყოველდღიური, ქემმარიტი, მარადიული.

ნათელილო მეფემ ჩემს ხელს ქვეშ. შემდგომ დედოფალმა და შვილებმა მღვდელთა და დიაკონთა ხელს ქვეშ. მდინარე მტკვარი აკურთხეს, ეპისკოპოსმა შეამზადა ადგილი მოგვთა ხიდის ახლოს, იქ, სადაც ელიოზ მღვდლის სახლი იყო. მოახყდა მთელი ერი, ვეედრებოდნენ მღვდელთა და დიაკონთ, იცოდნენ, რომელმაც არა ნათელილოს, არ პპოვოს ნათელი საუკუნო. ხე იდგა ერთი, დაბალ კლდეზე, მშვენიერი, სურნელები იფრქვეოდა მისგან. მოვიდნენ ისარცემული ნადირნი, ჭამდნენ ამ ხის ფოთოლს. საკვირველი ნათელი გადასდიოდა იმ ხეს, როცა დადგებოდა ღამე, რბილი, ხავერდოვანი საკვირველი რბილი, ხავერდოვანი ღამეები იყო იმხანად კოლასტრას. ჩემს პატარა დათუნიას, დათვის ბელს მივიხუტებდი სანოლში და მერე ასე საოცრად ვხედავდი იმ ღამეებს, საარაკო სიმშვიდითა და სილამაზით გარშემოპურვილს. ძილის ყამს ეს სიმშვიდე და სილამაზე იმად გარდაისახებოდა, რასაც ქვეია მსუბუქი, ზღაპრული ფრენა. მიფრინავ ერთი გორაკიდან მეორემდე, მსუბუქადვე ეშვები მიწაზე და იმავე წამს მალლა მიდიხარ და ასე დაუსრულებელი, სანამ ცისკარი არ გაახელდა თავის შურყვენულ, აუშლურველ და შუქმომჭინარ თვალებს. საკვირველი რბილი და ხავერდოვანი ღამეები იყო კოლასტრას მამინ. მერე წარიხოცა იმ ზღაპრული გორაკების მსუბუქი ფრთხილი და ძილი ჩემი ვითარცა სქელი ნისლი განრთხმულიყო გორაკებზე და ყველგან, სადაც კი გაიხედავდი ამ მიწაზე. მიწაზე-მეთქი, მიწა-ადვე რომ იქცევა მრავალგზის, სადაც ყველგან და ყოველთვის მირიადი ღრმულია. ღრმულები ამოსავალნი და ღრმულები ჩასავალნი, და მაინც, ეს ორივე ერთი დედაა, ანუ ორი ნაწილი ერთი დედისა, ერთ ნაწილს იმისას დედას ვეძახით მხოლოდ, მეორე – მიწასაც, ანუ ერთი პატარა დედაა ჩვენი, მეორე დიდი რანს ნავე-მართე ფეროზის მოსაქცევადა, კუხეთს, დაბასა ბოდის.

დაშაკუშარაჩარიტა

ათი უფლისწულის თაგვადასაყალი

თავი მეორე

დანდინი - მე-7 საუკუნის ავტორი, მიჩნეულია მხატვრული პროზის ფუძემდებლად ძველ ინდურ ლიტერატურაში. მისი „დაშაკუშარაჩარიტა“ (ათი უფლისწულის თაგვადასაყალი) ითვლება პირველ ინდურ რომანად, რომლის ძირითადი სიუჟეტი მოიცავს მრავალ ჩართულ ეპიზოდსა და ფანტასტიკურ მოთხრობას. რომანის შინაარსი შემდეგია: ვინდჰიას მეფის შვილი რაჯავაჰანი ცხრა თანატოლ უფლისწულთან ერთად მიემგზავრება მოროტი ძალების - ასურების მიერ დატყვევებული ბრაჰმანის გამოსახსნელად. უფლისწულები ცალ-ცალკე და სხვადასხვა მიმართულებით მიდიან მის საძებნელად, პოლოს ზედებიან ერთმანეთს და თითოეული მათგანი ჰყვება თავის თაგვადასაყალს.

რომანი იწყება რაჯავაჰანის ამბით. მეორე თავი, რომლის თარგმანიც აქ არის მოტანილი, ერთ-ერთი უფლისწულის, აპარაჯარმანის თაგვადასაყალია, შემდეგ თავებში ვადმოცემულია დანარჩენების მონათხრობი, დასასრულს კი მოთხრობილია რაჯავაჰანის მიერ თავისი მეგობრების დახმარებით სამეფო ტახტის დაკავებისა და მთელი სამყაროს დაპყრობის შესახებ.

აპარაჯარმანის ამბავი

პოი, მეფეო! როდესაც ასურას¹ გამოქვაბულისაკენ გაემურეთ, რათა გეხსნათ ბრაჰმანი² და, როცა ჩვენ თქვენს საძებრად გამოვემართეთ, მეც დავეხეტებოდი ქვეყნად და შევიტყვე, რომ ანგას ქვეყანაში, მდინარე განგას ნაპირზე, ქალაქ ჩამასა³ მახლობლად ცხოვრობდა ერთი ბრძენი, სახელად მარიჩი, რომელსაც თავისი ასკეტური ცხოვრებით ნათელხილვის ზებუნებრივი ძალისათვის მიეწინა. ვიფიქრე, ეგებ მისგან გავიგო მეფის ამბავი-მეთქი და იმ ადგილისკენ გავემურე.

ერთ განცალკევებულ სამყოფელში, მანგოს ნორჩი ხის ქვეშ იჯდა მწუხარე სახის განდევილი. მან საკადრისად მიმლო. ცოტა რომ დაეისვენე, ვკითხე: „სად იმყოფება პატივცემული მარიჩი? მონატრევისებს მოულოდნელად გაუჩინარებული ჩემი მეგობრის ადგილსამყოფელი. დიდი ბრძენი ხომ ცნობილია ნათელხილვის ზებუნებრივი ძალით.“

განდევილმა ღრმად ამოიოხრა და მოპყვა:

ამ მიყრუებულ კუთხეში ოდესღაც მართლაც ცხოვრობდა ასეთი ბრძენი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოვარდა

მასთან ახალგაზრდა ქალი, სახელად კამამანჯარი, მკვიდრი ანგას ქალაქისა. ძალიან იყო დამწუხრებული, მკერდზე ვარსკვლავებად მიმოჰფანტვოდა ცრემლები და, როცა განდევილს ფეხებზე ემთხვია, მისი გაშლილი თმები მინას მოეფინა. ქალს დედა და მთელი ნათესაობა მოჰყვნენ. ისინიც მწუხარე სახით ფეხებში ჩაუცვივდნენ ბრძენს. და აღივსო ბრძენი მათდამი სიბრალულით, კეთილი სიტყვით ამშვიდებდა და ქმუნვის მიზეზს ეკითხებოდა.

ქალმა მორცხვად და მონინებით ეს უთხრა ბრძენს:

— ო, მბრძანებელო, ამ ქვეყანაზე წილად არ მხვდა ბედნიერება. გვედრები, დამეხმარე, რათა იმ ქვეყნად მაინც ვიყო ბედნიერი. ფეხთ გემთხვევი, გაჭირვებულთა ქომაგო.

ქალის დედამაც მისკენ მუდარით აღაპყრო ხელები, მინას შეეხო თავისი ქალარა ნანანავებით და თქვა:

— „მეუფეო, თქვენმა მონა-მორჩილმა მოგახსენათ, რომ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. ჩემი დანაშაული კი მხოლოდ ის არის, რომ ზუსტად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. განიკას⁴ დედის მოვალეო-

ბაკი ის არის, რომ გაჩენის დღიდან ყურადღებით მოუაროს ასულის სხეულს: კვებოს იგი ზომიერად, რათა არ მოაკლდეს მშვენიერება, ძალა, ქუჩა და ვენების სიცხოვლე. დედამ უნდა იზრუნოს მის ჯანმრთელობაზე, მისი სხეულის სასურველ ნონაზე. როგორც კი ასული ხუთი წლისა გაზდება, მამაკაცის ხილვა აუკრძალოს, თვით მამის თვალსაც კი მოარიდოს. ყოველ დღესასწაულზე — დაბადების დღეები იქნება, თუ სხვა — თან ახლდეს მას და ყურადღება მიაქციოს, რომ მისმა ასულმა ყველა წესი შეასრულოს; ხშირად უშეორებდეს სიყვარულის თეორიებს და მასთან დაკავშირებულ ამბებს; ასწავლიდეს ცეკვას, სიმღერას, მუსიკალურ საკრავებზე დაკერას, ხატვას, თამაშობებს, ჭამის წესებს, წელსაცხებლების დამზადებას და ყვავილების დანერგას; უნდა ასწავლოს დამწერლობა და მჭევრმეტყველება; ზოგადი წარმოდგენა მისცეს გრამატიკაზე, ლოგიკაზე და ასტრონომიაზე; აზიაროს აზარტული თამაშობების ხელოვნებას, ასწავლოს, თუ როგორ უნდა იმარჯვოს მხიარულ გასართობებში; დედამ უნდა იზრუნოს, რომ მისმა ასულმა სანდო პირთაგან პრაქტიკული ცოდნა მიიღოს საიდუმლო ხელოვნებაში. საზეიმო სვლის დროს თუ საღმრთო დღესასწაულებზე იგი სათანადოდ მყავს მორთული და ვცდილობ, ხალხში რჩეულ პირთა თანხლებით გამოვიჩინო. საჯარო შეჯიბრებებში, წინასწარ მოსყიდული ხალხის წყალობით, ყოველთვის გამარჯვებული გამოწყავს. მინდა, მისი დედა გასცდეს ქვეყნის საზღვრებს და ამაში სხვადასხვა ხელოვნათა დახმარებას მიემართავ ხოლმე. მკითხავების საშუალებით ყველას ვაგებინებ მისი სხეულის ბედნიერ ნიშნებს. მცდელობას არ ვაკლებ, რომ მისი სინაზე, მიმზიდველობა, მშვენიერი თვისებები და მსახიობური ნიჭი ღირსეულად იყოს დაფასებული მაღალ საზოგადოებაში. შემდეგ კი, როცა ის ყმანვიად კაცთა უმბაღლესი სასურველი მიზანი გახდება, ჩემი მოვალეობა იქნება, რაც შეიძლება დიდი თანხის სანაცვლოდ ჩემი ასული გადაეცემა წარჩინებულ, დიდგვაროვან, ლამაზ, მდიდარ, ჯანმრთელ, ხელგამოილ, განათლებულ, კარგი ხასიათის დამოუკიდებელ მამაკაცს, რომელსაც ძალიან ეყვარება იგი. იქნებ, უფრო დაბალ ფასშიც მივცე იგი კაცს, რომელიც

ჯერ არ არის დამოუკიდებელი, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭისაა. ატყურონ და კარგი მომავლის მქონე. ანდა სულაც მოვატაცებინო ვინმე ყმანვილს იმ განზრახვით, რომ მისი მშობლებისგან დიდი სასყიდელი მივიღო. თუ მშობლები უარს იტყვიან, მოვისყიდო მოსამართლე და ისე გამოეძალო მათ თანხა. ყოველგვარი საშუალებებით უნდა დავტყუო ფული და საჩუქრები მის თაყვანისმცემლებს, რათა მის შენახვას მოვახმარო. თვით ასული უნდა ვაიძულო, არ მიიღოს ღარიბი თაყვანისმცემლები, რაც შეიძლება, დაამციროს ისინი. ერთი სიტყვით, დედამ ყველაფერი უნდა კარგად აწონდაწონოს და უნდა ეცადოს, თავისი ასული მდიდარ და გულუბრ ადამიანებს დაუკავშიროს, ისეთ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ ძალა, ყოველგვარი ხიფათისგან დაიცვან იგი. განიკას კი თავის თაყვანისმცემელთა მიმართ უნდა ჰქონდეს მხოლოდ შზადყოფნის გრძობა და არა ნამდვილი სიყვარული. მაგრამ თუ მაინც შეუყვარდა ვინმე, დედისა და ბებუის რჩევა-დარიგებები არ უნდა დაივინყოს. ჩემმა შეიღმა კი ღმერთის მიერ ჩენი კასტისთვის დანესებული კანონები დაარღვია და მთელი თვე მალაია ვილა ბრაჰმანის სიყვარულს. იმ ბრაჰმანის სიმდიდრე კი მხოლოდ მისი სილაშაზე იყო. ბევრ მდიდარ თაყვანისმცემელს უარს ეუბნებოდა და მთელ თავის ფულს ბრაჰმანს ახარჯებდა. როდესაც ჩავერიე და მინდოდა, დამეწმუნებინა, რომ ეს სიყვარული კარგს არაფერს მოუტანდა, გამიბრაზდა და ტყუმი გაიჭრა. თუ არ შეიცვლის გადაწვეტილებას და შინ არ დაბრუნდება, ეს ხალხი, ვისაც აქ ხედავთ, შიმშილით ამოწყდება. ამით ხომ არსებობის სხვა სახსარი არ გააჩნიათ." ამ სიტყვებზე ქალი აქვითინდა, განდევილი კი მიუბრუნდა განიკას და დაყვავებით უთხრა:

„ჩემო ძვირფასო, ტყუმი ცხოვრებით ხომ ყველაფერს მოაკლებ. ამას კი შედეგად ან ნირვანა მოჰყვება, ან მინიერი ცხოვრებისაგან საშუალოდ გათავისუფლება და ზეცაში გადასახლება. პირველი მიზანი უშეტეს შემთხვევაში ძნელად მისაღწევია, მეორე კი ხელმისაწვდომია, თუ კაცი თავისი კასტის კანონებს ემორჩილება. ამიტომ გირჩევ — დაუჯერე დედას, ხელს ნუ მოჰკიდებ შენთვის ესოდენ საძნელო საქმეს.“

ამაზე განიკამ უპასუხა: „თუ წმინდანის ფეხთა ქვეშ ვერ ვიპოვი ხსნას, მაშინ თვით წმინდა ცეცხლმა მომიხსნაო“ უბედურს სიცოცხლე!

განდეგილი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ უთხრა განიკას დედას: „ახლა შინ ნადით და რამდენიმე დღე დაელოდეთ. ფუფუნებას ნაჩვევ თქვენს ქალს მალე მოუბზრდება ამ უკაცრიელ ადგილას ზოფნა. მეც ყოველნაირად ვეცადები ქუაზე მოვიყვანო. ეჭვი არა მაქვს, მალე თავის ძველ ცხოვრებას დაუბრუნდება.“ დედამ დაუჯერა და თავისი მხლებლებით შინ დაბრუნდა. დარჩა განიკა განდეგილთან. თეთრი სამოსი გადაიცვა, სხეულის მოვლაზე აღარ ფიქრობდა, რწყავდა ნორჩ ხეებს, კრეფდა ყვავილებს ღმერთებისათვის შესანიშნავად. სიყვარულის ღმერთის კამაშასანას თაყვანსაცემად ნაირნაირ საკმევებს, ყვავილების გვირგვინებს ამზადებდა; ცეკვავდა, მღეროდა ჰიმნებს და უკრავდა ვინაზე. ამით ღმერთებისადმი კეთილგანწყობას გამოხატავდა. მერე კი ბრძენთან განმარტოვებოდა და ელაპარაკებოდა სიმდიდრეზე, სიყვარულსა და სარწმუნოებაზე – ადამიანის ცხოვრების სამ ძირითად არსზე, როგორც შეძლო, ეკამათებდა სულის რაობაზე. ყოველივე ამით განდეგილის გულის მონადირებას ცდილობდა.

ერთხელაც, როცა ასე იყო ბრძენთან განმარტობული და უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა მის სიყვარულში, თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა სულელია ხალხი, ერთ სიმალღულზე რომ აყენებს სიყვარულს, სიმდიდრესა და სარწმუნოებას,“ თან გაიღიმა. მაშინ მარნიში უთხრა: „მითხარო, გეთაყვა, შენი აზრით, რითი დგას სარწმუნოება სიყვარულსა და სიმდიდრეზე მალა?“

– „როგორ? ჩემისთანა ქალისაგან გინდა გაიგო, რა არის ადამიანის ცხოვრების სამი მიზანი? ძალიან კარგი! მაშ მომიხმინე: ვანა სიმდიდრე და სიყვარული არ არსებობს სარწმუნოებისაგან დამოუკიდებლად? სარწმუნოება ხომ მითგან სრულიად განცალკევებით დგას. მას მიყვარათ ნირვანას განცხრომისაკენ, რისი მიღწეაც მხოლოდ თვითჭერტით შეიძლება. ეს მიზანი გარე სამყაროსთან არ არის დაკავშირებული ისე, როგორც სიმდიდრე და სიყვარული. რწმენას საგანთა ქვეშარტი არსის ცოდნა განამტკიცებს. მას როდი ენინააღმდეგება ადამიანის ესა თუ ის საქმიანობა, სიმდიდრესა

და სიყვარულთან დაკავშირებული. მაგრამ, თუ მას ზიანს მიაყენებ, ასეთი საქმიანობა, მცირეოდენი ძალდატანებით შეიძლება ვითარების გამოსწორება და ცოდვითაგან გათავისუფლებით სარწმუნოების ნინაშე მნიშვნელოვანი დამსახურების მიღწევა. ვანა თვით უკვდავ ღმერთებს უმიძმესი ცოდვები არ ჩაუდენიათ? მაგრამ უკვე ისეთია მათი სიმრძნის ძალა, რომ ვერაფერი აკნინებს მათ მნიშვნელობას. ხომ ცნობილია, რომ უმაღლესი ღვთაება ბრაჰმა ციური ფერია ტილოტამას ტრფიალი იყო, ხოლო ქალღმერთი ბჰავანის მეუღლემ სატრფილო კავშირი გააბა სახელგანთქმულ ბრძენთა ცოლებთან. პრაჯაპატის სასიყვარულო კავშირი ჰქონდა საკუთარ ასულთან, ხოლო ქალღმერთი იყო მათის მეუღლე აპალიას საყვარელი მყო. შამანაკა იმით არის ცნობილი, რომ შეურაცხყო თავისი აღმზრდელის სარცელი. მზის ღმერთს უახლოესი კავშირი ჰქონდა ჭაკთან, ხოლო ქარის ღმერთს – კესარინის ცოლთან. ბრიჰასპატის უტათის მეუღლესთან ჰქონდა სასიყვარულო პაემანი. პარაშამ ნამუსი აშხადა მეთევზის ასულს, პარაშამის ვაჟი კი თავისი ძის ცოლს დაუკავშირდა. ატრი ჭუ ანტილოპასთან იყო კავშირში და ასე შემდეგ. თუ სული განწმენდილია, მას ვერაფერი სიბილნე ვერ გაეკარება ისევე, როგორც ცას ვერასოდეს მისწვდება მტვერი. ამრიგად, მგონია, რომ სიმდიდრე და სიყვარული სულიერი დამსახურების ერთ მესამედსაც კი არ უბედა.“

როდესაც მარნიმ ეს მოისმინა, ქალისადმი ვნებით აღივსო და უთხრა:

– „ო, ჩემო კარგო! შენ სწორად განჭერეტ, როდესაც ამბობ, სჯულის სამსახურს ვერ აკნინებსო ხორციელი სიამოვნება. მე დღიდან დაბადებისა სიმდიდრისა და სიყვარულის არა ვიცი რა. გამაგებინე, რაში მდგომარეობს მათი არსი, რა არის მათი თანმხლები გარემოებები და რა მოჰყვება მათ შედეგად.“

ქალმა უპასუხა: „სიმდიდრის არსი მის შეძენაში, გაზრდასა და შენარჩუნებაში მდგომარეობს. მისი თანმხლები გარემოებებია: მინათმოქმედება, მესაქონლეობა, ვაჭრობა და სხვა. საბოლოო შედეგი კი საყოველთაო აღიარება და პატივისცემა. სიყვარული კი არის მამაკაცისა და ქალისათვის განსაკუთრებული სიამოვნების შეგრძნება, როცა მათი აზრები მხოლოდ ამ-

ქვეყნიურ განცხრომასთან არის დაკავშირებული. სიყვარულის თანმშლები გარემოება კი ის არის, რომ გარშემო ყველაფერი სასიხარულო და სასიამოვნოა. შედეგი კი ურთიერთ აღერსით გამოწვეული უდიდესი შვებაა, რომლის გახსენებაც კი ურუანტელის მომგვრელია და კარგი განწყობილების მომასწავებელი. ეს არის სიამოვნება არა ღრუბლებს მიღმა, არამედ მინიერი, რომელსაც ცულით შეიგრძნობ. ამ სიამოვნებისათვის ადამიანები, განურჩევლად მათი მდგომარეობისა, არავითარ საფრთხეს არ უშინდებიან, უხვ მონყალებას გაიღებენ, ბრძოლებში ებმებიან და ისეთ სახიფათო საქმესაც კი არ ერიდებიან, როგორც ოკეანის გადაღობვაა.

ბრძენმა მოისმინა ეს სიტყვები და იმის გამო, რომ ასეთი იყო მისი ბედი, თუ სულიერი სისუსტის გამო, ან იმის გამო, რომ ეს განიკა ძალიან დახელოვნებული იყო, თავისი ცხოვრებისა და რჯულის ყველა წესი დაივიწყა და თავდავიწყებით შეიყვარა ქალი. ხოლო ქალმა, როცა მისი გაგიჟება იგრძნო, თავის სახლში წაიყვანა. ისინი ეტლით შევიდნენ ქალაქში და ძალიან ლამაზად მორთული მთავარი ქუჩა გაიარეს. აქეთ-იქიდან მოისმოდა შეძახილები: „ხვალ დღესასწაულია, სიყვარულის ღმერთის დღესასწაული“

მეორე დღეს წმინდანმა განიბანა სხეული, იცხო ნელსაცხებელი, მოირთო ყვავილებით, სულ დაივიწყა თავისი მდგომარეობა და ნაჰყვა განიკას სადღესასწაულო შეკრებაზე.

შუა ბაღში ახალგაზრდა ქალებით გარშემორტყმული რაჯა იჯდა. მან ქალს გაუღიმა და უთხრა:

— ძვირფასო, აქ დასხედით შენა და შენი წმინდანი.”

ქალმა გაუღიმა, თავიანი სცა და დაჯდა. მაშინ ერთმა ლამაზმანმა ხელები აღაპყრო და თქვა:

— „ოი, დიდო მეფეო, მანამ სიმბქ დამარცხა და დღეიდან მისი მონა ვარ“

გარშემო მყოფნი გაკვირვებულნი იყვნენ. რაჯამ განიკა უძვირფასესი სამკაულებით დაასაჩუქრა და ბევრი მოახლე უბოძა. სხვა განიკებიც ხოტბას ასხამდნენ მას. ის კი, სანამ შინ წაეიდოდა, მიუბრუნდა თავის წმინდანს და უთხრა:

— „ჩემო მბრძანებელო, შენი მონა-მორჩილი ძალიან მადლობელია. ახლა შეგიძლია ნაბრძანდე და შენს საქმიანობას დაუბრუნდე.“

წმინდანი გაოცებისაგან ნაბორძიკადა, ძლივს ამოილულულა:

— „ძვირფასო. ეს რა არის, რას ნიშნავს ასეთი უსულგულობა? სად გაქრა ჩემდაში შენი განსაკუთრებული დამოკიდებულება?“

ქალმა გაიცინა: — „ო, მბრძანებელო, ის განიკა, რომელმაც დღეს აღიარა, რომ დაეამარცხე, ჩემი მოქიშპეა. ერთხელ რაღაცაზე წაელაპარაკდით და მან წამომძახა: ისე დიდგულობ, თითქო თვით წმინდა მარჩი იყოსო შენი ტრფიალი.“ აი, მაშინ დავნაძლევედით, რომ, თუ შენ ჩემი ტრფიალი გახდებოდი, ნაგებული მოგებულს მოსამსახურედ უნდა დასდგომოდა. აი, კიდევაც გავიმარჯვე.“

განადგურებული, გამოგდებული, გაუბედურებული, განბილებული განდევნილი დაუბრუნდა თავის სამყოფელს.

იცოდე, კეთილო კაცო, განდევნილი, რომელსაც ასე მოექცა ის ქალი, მე ვარ. იმ განიკამ, რომელმაც ასე გამოიღვივა ვნებები, იმდენად ჩაკლა ჩემში ყოველი, რომ სამუდამოდ შემაძულა ცხოვრება. მაგრამ მოკლე ხანში მაინც შევეცდები შენი სურვილის შესრულებას. მანამდე კი დარჩი ჩამპაში, ანგას ქალაქში.

სანსკრიტიდან თარგმნა შერი ასათიანმა

პენიპენაი

1. ასურა — ბოროტი ძალა, დემონი. ინდური მითოლოგიით ბინადრობს ქვესკნელში.
2. ბრაჰმანი — ქურუმი, ქურუშთა უმაღლესი კასტის წარმომადგენელი.
3. ჩამპა — ქალაქი ძველ ინდოეთში, ანგას ქვეყნის დედაქალაქი. ანგა ბენგალიაში მდებარეობდა. ჩამპას დღევანდელ ქ. მპაჩალაპურასთან აიკვებენ.
4. განიკა — მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელიც მალალ საზოგადოებაში ტრიალებს (შეად. პეტერა, კურტიზანი).
5. ეინა — ძველი ინდური შეიღისმინი საკრავი.
6. ინდური ტრადიციული მორალით, ცხოვრებაში ადამიანის სამი ძირითადი მიზანი იყო: სიმდიდრე, სიყვარული და სარწმუნოება.

კვაკვი

გიზო კუპეში შევიდა. მატარებლის გასვლას თითქმის აღარაფერი აკლდა. ჯიბიდან ჟურნალი „ნაუკაი ჟიზნ“ ამოიღო და „დიპლომატთან“ ერთად მაგიდაზე დადო. საშინელი, დახუთული ჰაერი დახედა. პიჯაკი იქვე ჩამოჰკიდა. პერანგის ლილეები შეიხსნა, სარკეში საკუთარ თავს დააკვირდა. ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო და წინ დარჩენილი თმის ნაწილი უკან გადაიხყო. ბოლო დროს ჩვევად ჰქონდა, სადაც სარკეს დაინახავდა, თმა უნდა შეესწორებინა, თანაც ისე, რომ სიქარულე ნაკლებ შესამჩნევი ყოფილიყო. მატარებელი წელა, ხვწმით დაიძრა. გიზო დერეფანში გავიდა. მეზობელ კუპეებში მგზავრებს, ეტყობა მოესწროთ ერთმანეთის გაცნობა. კაცმა რომ თქვას, ახლა ნამდვილად არ სიამოვნებდა ვინმესთან ლაქლაქი. ვაგონის სარკმელი ჩამოსწია, გარედან შემოჭრილი, ცივი, გამჭოლი ჰაერი სახეზე სასიამოვნოდ ეხლებოდა. სიგარეტი გააბოლა, ბლოკნოტი ამოიღო, წესად ჰქონდა, როცა მეორე დღისთვის ჩვეულებრივზე მეტი საქმე დაუგროვებოდა, წინააღმდეგეებს შეადგენდა. უცებ წარმოიდგინა, რამდენად სასაცილო იქნებოდა ფანჯარასთან ბლოკნოტით ხელში, ვინმეს, ალბათ, პოეტიც კი ეგვრებოდა, გაიფიქრა და ჩაეცინა. დღეს საკმაოზე მეტი საქმე მოითავა. როცა საწარმოს ასე უჭირს, ევრ იზამს ლაბად შენს საქმესო, უმტკიცებდა დირექტორი. ბოლოს ძლივს დაითანხმა. მაინც რამდენჯერ მომიხდა ამ სამი წლის განმავლობაში აქეთ წამოსვლა, ფიქრობდა გიზო და, გარეთ თუ როგორ გარბოდნენ ხეები, სახლები ან ელექტროგაყვანილობის ბოძები აღარც კი აკვირდებოდა. დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო, ხომ არ ეგონათ, ხომ მიყურებდნენ სკეპტიკურად, ხომ ქირქილებდნენ ჩემზე — რა დროს მაგისი დისერტაციააო, ხომ მაინც ჩავაბარე საკანდიდატო მინიმუმი. ცოტაც და დისერტაციასაც დავიცავ, ხელფასი ხელფასად და დირექტორიც უკვე საპენსიო ასაკს მიუახლოვდა, როგორც ვიცი, არც ზემოთ

უყურებენ კარგი თვალით. მაშინ... ჩემზე ღირსეული კანდიდატი ვინ იქნება. მერე იცინონ, პირველ დღესვე ბონდოს მოვხსნი, იკითხონ, როგორია უფროსთან უკუშობა. მარტო იმის გაფიქრებამ, რომ ლუარა მისი პირადი მდივანი გახდებოდა, ტანში სასიამოვნო ფრუანტულად დაუარა. მალე მატარებელი შეჩერდა, სადგურზე მგზავრები კანტიკუნტად ირუოდნენ. ბავშვის ტირილზე მარჯვნივ გაიხედა. ვაგონში ბავშვებიანი ქალი ამოსულიყო. ბიჭი ასე საშინოვანი წლისა, ფეხებში ებლანდებოდა. ქალს ცალი ხელით ჩვილი ბავშვი მიეკრა მკერდზე, მეორეში ჩემოდანი ეჭირა და ძლივს მოინეწვია წინ, თან კუპეებს აკვირდებოდა, ჩემთან მოდისო, გაიფიქრა გიზომ და გუნება ნაუბდა. მოდი, მოისვენე ახლა ამათი შემხედვარე. არც შემცდარა. ქალი გიზოს კუპესთან შეჩერდა, დააკვირდა და შიგ შევიდა. ბიჭი არ შეჰყვებოდა, პირდაპირ გაიქცა.

— მამუკა, დაბრუნდი, სად მიდიხარ! — დაბალი ხმით გასძახა ქალმა.

მორჩა, დაიწყო კონცერტი, — გაიფიქრა კაცმა. ბიჭი ვაგონის გასასვლელ კარს ნაეპოტინა, იქით გაღწევას ცდილობდა. გიზომ კართან მიიბრძინა, ბავშვი აღარ გადალიანებია და კუპეში შეიყვანა.

— გმადლობთ, როგორ შეგანუხეთ... ასე იციან, გადარეულები არიან, — ამას უფრო ბიჭის მისამართით ამბობდა, თორემ მეორე ჩვილის ინსტინქტით ტიროდა. ჩვილი თითებს წინ იშვერდა, ქალი მონოტონურად არწევდა, რომ ჩაძინებოდა, თორემ ტირილს იქნებ მეზობელ კუპეებშიც შეეღწია. ჩვილი კიდე უფრო გადაიწია. კაცმა შეამჩნია, ჟურნალს რომ აკვირდებოდა და თითებთან მიუტანა. თანდათან უკლო ტირილს, ცნობისმოყვარე, გაოცებული თვალებით აცქერდებოდა.

— მეცნიერი გამოვა, — ხუმრობასავით თქვა კაცმა.

— ღმერთმა ქნას, — ჩაეცინა ქალს.

მამუკა საწოლის კედესთან რაღაცას ჩაპკირკიტებდა, მერე მობეზრდა, იმდენი მოახერხა, საწოლზე ავიდა, იქიდან მაგი-

დაზე ასვლას შეეცადა. მაშინ გიზომ ხელი ფრთხილად მოჰკიდა და დაბლა ჩამოიყვანა. არც ახლა გადალიანებია. ბიჭი ისე გათამამდა, რომ გიზოს მუხლებზე შეეჯდომა ც მოინადინა. დედა გაუნყრა. გიზოს გაეცინა ბავშვის ამ ახირებაზე. მას ახლა თავისი პატარა თითები გიზოს ხელისგულზე დაეფო და მთელი ძალით აწვებოდა, ჩვილს კი თვალები თანდათან ეხუჭებოდა. პანანინა თეთრი თიბებითა და შავი ვახაზული ნარბეხით, ნამდვილ დედოფალას შგავდა. ქალმა მძინარე ბავშვი ფრთხილად სანოლზე დასვა. თითქოსდა, ახლა იგრძნო კუპეში ზომავზე მეტი სიცხე, ლაბადა გაიხადა. გიზო უნებურად აკვირდებოდა, ქალი ასე ოცდაათი წლისა იქნებოდა, თხელი, სუსტი მხრები და უკან კობტად ჩამოყრილი შავი თმა საკმაო სინატიფეს სძენდა. თუმცა ხელებზე ეტყობოდა, რომ არც თუ იკურნო შრომას იყო უჩვეულო. მამუკას უკვე არაქათი გამოსცლოდა და საცაა, მასაც დაეძინებოდა. ქალმა თეთრეულის დაგება დაიწყო. გიზო დერეფანში გავიდა. კუპეში შებრუნებული კი ქალის მიერ ფაქიზად დაგებულ სანოლზე დაწვა და თითქოს მთელი დღის დაღლილობამაც გაუარა. მერე დადბანს აკვირდებოდა, თუ როგორ მშვიდად ეძინათ სამთავეს, სანამ მასაც არ ჩაეძინა. დილით ხმაურმა გამოაღვიძა, ქალი უკვე ფეხზე იყო და ბიჭს აღვიძებდა. გიზომ საათს დახედა. ბოლო გაჩერებამდე ორი საათი რჩებოდა.

— ჩადიხართ? — იკითხა გიზომ.

— დიახ, — უპასუხა ქალმა.

ნახევრად გაღვიძებული მამუკა წინასწარობას ძლივს იკავებდა, ბანცალებდა. მატარებელმა სვლა შეანელა და ცოტა ხანში გაჩერდა კიდეც.

— დაგებმარებით, — უთხრა კაცმა ისე, რომ ქალის პასუხს არც დალოდებია და ჩემოდანი აიღო.

მერე ვაგონის ფანჯრიდან დაიხიზა, მალაღმა, შავგვრემანმა კაცმა როგორ ჩაიკრა სამთავე გულში, როგორ აიტაცა ხელში თავისი პანია ბიჭი და მხრებზე შეისვა. გიზო კი მანამ იდგა, ვიდრე ისინი თვალს არ მიეფარნენ.

კუპეში შებრუნდა, მაშინვე შეაძწინა, ქალს ბავშვის სანოვარა დარჩენოდა. იატაკზე ყდაშემომძვრალი ყურნალი „ნაუკა ი ჟონ“ ეგდო. უცბად თავისი ერთთაბიანი ბინა გაახსენდა, წლების განმავლობაში თითქმის გადაუადგილებელ ხელშეუხებელი ნივთები. აგერ უკვე ოცი წელი სრულდებოდა, მარტოდ, თავისთვის ცხოვრება გიზოსთვის ერთადერთი მიღებული და დადგენილი წესი იყო. ნახევარი ცხოვრება უაზრო ყოფით პრობლემებზე, კარიერაზე და დისერტაციაზე ფიქრმა ნაიღო. ნუხანდელი საღამოს კადრები გონებიდან არა და არ ქრებოდნენ. ამ ერთი ღამით თითქოს, ოჯახურ, თბილ გარემოში იგრძნო თავი. ზუსტად არ ახსოვდა, მაგრამ პროსპერ მერიმეს რალაც ამგვარი კი უნერა, „ყველაფერს გავცვლიდი, ოღონდ, ერთი პატარა კულულებიანი გოგონა მყოლოდაო.“ ფანჯარაში გაიხედა. აჩქარებული ბორბლების ხმაური უფრო მეტად იგრძნო. მატარებელი მთელი სისწრაფით მიქროდა ბოლო სადგურისკენ.

დილით ინსტიტუტში სწავლულ მდივანთან უნდა მივიდეს, მერე ოპონენტები უნდა ნახოს, მერე კათედრაზე თემის ხელმძღვანელი და ასე შემდეგ...

მაგრამ კაცი ახლა ამაზე აღარ ფიქრობდა...

მანი, მანი, მანი...

მე და ჩემი ცოლ-შვილი ფანჯრის რაფასთან ვიდექით და რაც ძალი გვქონდა, ვყვიროდით: გვიშველეთ! გვიშველეთ! მანქანიანები — არ ვიცო, გადაუდებელ საქმეებზე მიეჩქარებოდათ, თუ, უბრალოდ, ყურადღებას არ გვაქცევდნენ, არც ჩერდებოდნენ. ხოლო ხალხი კი უმალ უამრავი მოგროვდა. რა იყო, რა გაგჭირვებითო, ამოგვძახეს ქვემოდან. ფული გეინდა! ფული! ახლა უფრო მეტი

გამწარებით და უფრო დიდი ხმით ავყვირდით. ხალხი უცბად დაიბნა, შეიძლება იფიქრეს, გიყვები არიანო და დაშლაც დააპირეს. მაგრამ ჩვენს ყვირილში იმხელა სასონარკვეთა და მუდარა იგრძნობოდა, რომ მოულოდნელად წასასვლელად გამზადებული მასა შეჩერდა, ჯერ შავებში ჩაცმულმა ხელჯოხიანმა მოხუცმა დაიძახა, სუსტად, თითქოს კატამ დაიკნაველაო, — ძლივს გასაგონი ხმით — ფული მინდა,



მერე გვერდით მყოფმა ახალგაზრდა გოგომ ჩაილულულა – ფული მინდა! იქვე, ხელებს რომ ვერ შემოაწვდენდი, თითქმის იმოდენა ორმეტრიანმა კაცმა იყვირა – ფული მინდა! ეს იყო რალაც დაჭრილი დათვის ღმულის მსგავსი. ბოლო-ბოლო მოთმინების ფიალაც აივსო და ხალხმაც ერთიანად იბლავლა – ფული გვინდა! ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჩვენი ხმა მთლიანად შთაინთქა. შეგულიანებულები იმით, რომ მარტო არ ვიყავით, ახლა უკვე ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდით. ამ ხმებს სხვა უბნებამდეც მივლენია. და მთელი ქალაქი ამ ორ სიტყვას იძახდა ისტერიულად.

... ცოლის შეჯანჯღარებამ გამოშალვიძა. ძიღგამფრთხალი და შეშინებული ბავშვები ბუდიდან გადმოყრილი ბელურას ბარტყებივით ცახცახებდნენ.

– რა იყო, ხომ არ გაგიჟდი, ლამის მთელი კორპუსი ფეხზე დააყენო. ესლა გვაკლდა, ახლა ლამით ბოდვები დამინყო, ამ ბავშვებს არ გამიგოვებდე... შე ისედაც გაქანებული ნევროზი მაქვს, ნახევრად ნორმალური თუ მქვია, – ადგა, სინათლე აანთო, ძილის ნაშალი დამალვეინა და გამაფრთხილა: თვალები დაბუჭე, ხმა არ ამოიღო, იქნებ დაგეძინოს, ხომ იცი, ბავშვების ფსიქიკაზე უძილობა როგორ საშინლად მოქმედებს. ორი თუ

სამი საათის შემდეგ, შუალაშეში აბა ამას როგორ გაარჩევ, ლეილას!

– გძინავს!
– არა!
– როგორ არ განუხებს, ბიჭი ერთი კვირაა, სკოლაში არ წასულა.

– წასულიყო მერე.
– ძირგამოგდებული ფეხსაცმლით ხომ არ გავუშვებდი. მაგას ახლა შენზე მეტი თავმოყვარეობა აქვს, რცხვენია!

– რა ვქნა, ვერც ბახჩოიანებთან მივალ ფულის სასესხებლად და ვერც რადიკასთან, იმის მადლობელი ვარ, რომ ძველი ვალის გამო არ მახრჩობენ.

– არ ვიცი, ქვა გახეთქე და სადაც გინდა და როგორც გინდა, იშოვე.

– შოვნა რომ შემეძლოს, შე ქალო! ექიმთან ნავიდოდი, კბილის ტკივილი ხანდახან ისე შემომიტევს, ლამის არის ვიბლავლო.

ჩვენს ლაპარაკზე გოგიტას გაეღვიძა. არ მაძინებთ, ხომ – ახლა მე ვიცი, თქვენი მოსვენებაო, ნამოხტა მაგნიტოფონი ჩართო. მანი, მანი, მანი... მღეროდნენ შვედი ესტრადის ვარსკვლავები. ჩემს ბიჭს შინაარსი, რა თქმა უნდა, არ ესმოდა, მაგრამ ისე გულიანად ცეკვავდა, გეგონებოდა, მთელი ქვეყნიერების მფლობელიაო.



საქართველო-ოსეთის საზღვარი ღარილის ხეობაში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფოს მისი განვითარების ყველა ეპოქაში გააჩნია როგორც ერთიანი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, ისე შიდა-რეგიონალური საზღვრები. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. შედარებით ნაკლებ ცვალებადობას განიცდიდა საზღვრები ქვეყნის რეგიონებსა და კუთხეებს შორის. რეგიონალური საზღვრები უმთავრესად იცვლებოდა სახელმწიფოს მთლიანობის რღვევისა და ცალკეული სამეფო-სამთავროების ფორმირების შედეგად. ქვეყნის ძლიერებისა თუ დაქვეითების დროს ცვალებადობას განიცდიდა ერთიანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საზღვრებიც და ვითარების შესაბამისად იცვლებოდა პოლიტიკური რუკაც. მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორია თითქმის ორჯერ მცირეა XII საუკუნის საქართველოს ფეოდალური მონარქიის ტერიტორიასთან შედარებით. თვით ოქტომბრის ავადსახსენებელი რევოლუციისა და გასაბჭოების პერიოდში საქართველომ დაკარგა სამცხე-ჯავახეთის და ტაო-კლარჯეთის ნაწილი, საინგილო, ლორე-ბამბაკის მხარე. ამჟამადც გვემუქრება აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დაკარგვის საფრთხე.

ყველა ეპოქაში, როდესაც ქვეყანა მძიმე განსაცდელში ვარდებოდა, დგებოდა საზღვრების საკითხიც, რაც თავის მხრივ მოითხოვდა დასაბუთებას ღრმა ისტორიული და პოლიტიკური ცოდნის საფუძველზე. შემთხვევითი არ არის, რომ საზღვრებს უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ყველა ეპოქის ცნობილი სწავლულები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახუშტი ბაგრატიონის, ივანე ჯავახიშვილის და პაულ ინგოროვას ლაწლი. თავიანთ შრომებში ისინი არა მარტო აღწერდნენ საქართველოს საზღვრებს, არამედ ვახუშტი და ივანე ჯავახიშვილი დიდ კარტოგრაფიულ მუშაობასაც ეწეოდნენ. სწორედ ეს აღწერილობანი და რუკები, სხვა დამატებითი მონაცემები უქმნის საფუძველს საქართველოს ხელისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების უსუსტი დადგენა უპირველეს ამოცანად დაისახოს. ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება და

სტრატეგიული პოლიტიკის დროულად შემუშავება მართებით უპარატესად ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტებს, კარტოგრაფებს და შესაბამის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს. ჩვენმა მეცნიერებმა ზუსტი და ობიექტური მონაცემებითა და რეკომენდაციებით უნდა აღჭურვონ სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთაც საზღვრების დადგენის კომპეტენცია გააჩნიათ.

საქართველოს საზღვრებს შორის ყველაზე უფრო გრძელი ზოლი გადის ჩრდილოეთის ზონაში, რაც საქართველოს მიუხედავად მთელი ჩრდილო კავკასიისგან (დაღესტანი, ჩაჩნეთი, ინგუშეთი, ოსეთი, ყაბარდობა-ბალყარეთი, ყარააჩი-ჩერქეზეთი, კრასნოდარის მხარე) ძირითადი საზღვარია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, მაგრამ საქართველოს ზოგიერთი კუთხე (თუშეთი, პირიქითი ხევსურეთი, ხევი) აღნიშნული ქედის გადაღმაც მდებარეობს. ჩრდილო კავკასიასთან საქართველოს აკეპირებს მრავალი გზა-გადსასვლელი, რომელთა შორის უძველესი დროიდან დღემდე მრავალმხრივი მნიშვნელობით (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული) გამოირჩეოდა დარიალის ქიშკარი და კახრის კარი. ეს უკანასკნელი მდებარეობს დვალეთის ტერიტორიაზე, დვალეთისა, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ისტორიული ბედუკულმართობის შედეგად მისი უდიდესი ნაწილი დაეკარგეთ და ბოლშევიკებმა ჩრდილო ოსეთის ფარგლებში მოაქციეს. რაც შეეხება დარიალს, რომლის რამდენიმე სახელოდება (არაგვის კარი, დარიალი, დარიალა, დარიული, დარიოლანი, დარიალი) ცნობილია სხვადასხვა ეპოქის ისტორიული წყაროებისა და ხალხური ნომინაციის მიხედვით. მათ შორის პირველი მათგანი უკავშირდება მდინარის სახელწოდებას, რამდენადაც მდ. თერგს არაგვი ერქვა (მოხვევები დღესაც ასე ეძახიან) და შესაბამისად არაგვის ხეობიდან გასასვლელს არაგვის კარი ეწოდება. მეორე სახელწოდება — დარიალი // დარიალანი სპარსულია და ნიშნავს ალანთა კარს, ე.ი. ალანეთში გასასვლელს.

წყაროებზე დაყრდნობით, ამგვარ განმარტებას იძლევა ყველა მკვლევარი, მათ შორის ვ. ვეიდენბაუმი, რომელმაც, სხვათა შორის,



ხალხური ახსნაც დაიბნა: «В Грузинском просторечии Дарьяльская теснина называется обыкновенно Хевис-кари, т.е. ворота устья (Хеви по грузинский значит вообще устье и, в частности, устье Терека выше Даряла)» (В. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888, стр. 268.)

აღნიშნული სახელწოდებებით ცნობილ ქიშკარს საქართველოს ხელისუფლება ყველა ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და მის გამაგრებაზე ზრუნავდა. თუ უფრო ადრე არა, ფარნავაზის მეფობის ეპოქიდან (IV-III სს. ძვ. წ.) მაინც, ამ ისედაც ძლიერ ბუნებრივ სიმაგრეში შენდებოდა ციხე-კოშკები, ზღუდებით თუ გვირაბები. აღნიშნული კლდე-კარის მეშვეობით ფარნავაზი კავშირს აბორციელებდა დურძუკეთთან (ახლანდელი ჩაჩნეთი და ინგუშეთი) და ჩრდილო კავკასიის სხვა ქვეყნებთან. ლეონტი მროველის ცნობით, ძვ. წ. II ს-ში მირვან შესამემ დურძუკეთთან ბრძოლის შემდეგ „შეაბანა კარნი ქუტურიითა, და უწოდა სახელად დარუხლ“ („ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955, გვ. 28). ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა ოსთა და ყოჩალთა დამარცხების შემდეგ, დარიალის ხეობაში „აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთოულნი. არა ჴელეოიფუბის გამოსლვად დიდთა მათ ნათესაეთა ოვსთა და ყოჩალთა თენიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“ (ქც. I, გვ. 156). ანალოგიური ხასიათის დონისძიებებზე მიგვივლითებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: დავითმა „აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოჩელთა კართა ოვსთისათა და კავკასიისა მთისათანი“ (ქც. I, გვ. 336). დარიალის გამაგრებაზე ზრუნვისა და მნიშვნელობის დამადასტურებელია ვახუშტის ცნობაც იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ მირვან შესამემ ამ ქიშკარს „შეაბა კარი და ქშნა სიმაგრე ხაზართა (ივლისსხმებთან სკივთები) და ოვსთათვს, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენ [და არს სახელი ესე მომრევი]. ამის ქუეთი ნასასახლევი მეფეთა. ოდეს გაილაქურიან ოვსეთად, მუნ დადგინან“ (ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 356).

რამდენიმე ფაქტის დამონშებაც კი უდავოს ხდის დარიალის ხეობის სასიცოცხლო მნიშვნელობას საქართველოსთვის მისი ხანგრძლივი ისტორიის ყველა პერიოდში. ეს ხეობა ხევის (თანამედროვე ფაზბეგის რაიონის დიდი ნაწილი) ფარგლებში შედის, რომლის შესტა და მკაფიო აღწერილობა ეკუთვნის ვახუშტი ბაგრატიონს. ისტორიკოსი ამ კუთხეს აღწერს მდინარე ხევის არაგვის (შერმინდელი თურგის) დინების დაყოფებით სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

მისი ლოკალიზაციით, ხევის ტერიტორია ეწყება ჯერის უღელტეხილიდან და გრძელდება დარიალის ხეობის ბოლომდე, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უფრო შორსაც მიდიოდა. ვახუშტის ცნობით, ჴევის ბოლოს არს **ლაზური**. მას ქვეით, ჯარიებს, მოერთვის ჴევის არაგუს **ქისტ-ძურძუკის წყალი**. მას ქვეით არს ხეთაძე“. იქვე წერს: „არამედ ამ ქისტის-წყლის შესართავს, არაგვის დასავლით, მაღლა მთის ძირს, არს ჩიში, დაბა დიდი და კოშკოვანი. მოსახლენი არიან ოვსნი, სიდაშონი გვართა, და არიან ან თავნი მათნი შამაშდიანნი, ჩერქეზთა შინა სლვისათვის, არამედ მისიცა უმეცარნი“ (ვახუშტი, აღწერა... ქც. IV, გვ. 641-642).

ვახუშტის მიერ ლაზურის (ლარსის) და ჩიშის ხსენება შემთხვევითი არ არის. მისთვის ცნობილი იყო, რომ ჩიშში ოსები ცხოვრობდნენ. ლაზურის (ლარსის) მოსახლეობის შესახებ არაფერს გვაუწყებს, მაგრამ სხვა წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ეს სოფელიც ოსთა სამოსახლო იყო. ორივე ეს სოფელი ისტორიულად ოსეთის (თავაურის თემის) ტერიტორიაზე იყო განთავსებული, მაგრამ ვახუშტის ეპოქაში ისინი საქართველოს ფარგლებში შემოდიოდნენ. ვახუშტი გარკვევით წერს, რომ „ჴევის ბოლოს არს ლაზური“. რაც შეეხება ჩიშს, ვახუშტის მიერ 1735 წელს შედგენილ რუკაზე ეს სოფელიც საქართველოს ფარგლებშია მოქცეული. ამ რუკის მიხედვით, ჩიში მდებარეობს ხევის, ქისტეთის (ე.ი. ინგუშეთის) ერთ-ერთი ხეობის (ჯარიახის, ანუ არმზის ხეობის) და ოსეთის საზღვართა შესაყარზე. მდინარე ხევის არაგვის (თურგის) დინების მიმართულებით ჩიში აღნიშნულია საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ პუნქტად. თურგის მარჯვენა მხარეზე გამოხატულია ქისტეთი, ხოლო მარცხენაზე — თავაური (გოხელ-დონის ხეობა).

ივანე ჯავახიშვილის ინტერპრეტაციით, დარიალის ვიწროების გავლით შევდივართ სოფელ ლარსში, ხოლო მის ჩრდილოეთით მდებარეობდა „ნასასახლევი მეფეთა“, რომელიც დაახლოებით ახლანდელს „ჯურახ-ოვსკოვ“-ს მიდამოებში მდებარეობდა. მისი ცნობით, 5-ვერსიან რუკაზე მეფეთა ნასასახლევი ციხის ნანგრევებადაა აღნიშნული. იქვე მოუთითებს, რომ ვახუშტის რუკაზედაც „ნასასახლევი მეფეთა“ მართლაც „ჯარიების“ (ახლანდელს „ჯურახოვსკოვ“-ს) მახლობლად, ცოტა სამხრეთით არის აღნიშნული და სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის საზღვარი ამ ადგილის წინ, დაახლოებით ჯარიებითგან ერთი ვერსით, სამხრეთით მოდიოდა“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ტფ., 1919, გვ. 10).

ივანე ჯავახიშვილის ლოკალიზაციით, რაც ემყარება 5-ეერსიან რუკას, ვახუშტის აღწერილობას და ვახუშტისავე მიერ შედგენილ რუკას, სასაზღვრო პუნქტად საგულეხელი ჩიმი – სნორედ ის დასახლება, რომელიც საზღვრად დასახელებული ვახუშტის ეპოქის სხვა წყაროში („მეზობელ მხარეთა აღწერა“ – ამის შესახებ ქვემოთ).

ივანე ჯავახიშვილს ეს წყარო არ გამოუყენებია, მაგრამ მისი რედაქციით გამოცემულ რუკაზე (მინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა, 1923 წ., შემდგენელი ტოპოგრაფი ევ. ბარამიძე) 1783 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი მიტანილია დღევანდელ სოფელ ბალთამდე, რომელსაც ვახუშტიმ და ივანე ჯავახიშვილმა ხეთაძე უწოდეს. ამის მიზეზებით, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი იწყებოდა ქ. ვლადიკავკაზიდან მე-12 კმ-ზე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ხეთაძესთან ერთად საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იყო მოქცეული მის აქეთ, სამხრეთით მდებარე ჯარიები (სიმაგრე და ინგუშეთის ტერიტორიის – ჯარიახის ანუ არმხის ხეობის ქვემო ნაწილი), ჯარიახის სიმაგრის სამხრეთით ჩიმი, კიდევ უფრო სამხრეთით ლაქური (ე.ა. ლარსი) და ასეთივე ორიენტაციით დღევანდელი ზემო ლარსის მისადგომებთან, თერგის მარჯვენა სანაპიროზე აღნიშნულია ენ. „მეფის საჯდომი“ (ე.ა. დარიალის ხეობაში ქართველ მეფეთა გასაჩერებელი ბანაკი. ეს ის ადგილია, სადაც კლდეში გვირაბის გაჭრამდე რკინის თაღოვანი ხიდი ფუნქციონირებდა). ამ ადგილის ზემოთ (სამხრეთით) რუკაზე აღნიშნულია დარიალანი ანუ არაგვის კარი, ხოლო მის სამხრეთით, ხდის ხეობის (გვერდითი ხეობის) შესასვლელის ქვემოთ აღმართული ყოფილა დავითის ციხე. აღნიშნულია უფრო ზემოთ მდებარე პუნქტებიც, მაგრამ გარკვეული ხარვეზებით, ისევე როგორც მდინარე სნოს წყლისათვის უწოდებით არხოტის წყალი, ხოლო თრუსოს ხეობის მონაკვეთზე მდინარისათვის შეურქმევით ოსეთის არაგვი ანუ თერგი, ნაცვლად ვახუშტისეული ხევის არაგვისა. რუკაზე აისახა ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსის ფუანშერის მიერ დაუდევრად ნახმარი სახელწოდება იმ გაგებით, რომ ხევის არაგვი ამავე დროს ოსეთის არაგვიცაა, ვინაიდან ის „განელის დარიალანსა და ჩაელის ველსა ოსეთისასა“ (ქვ., I, გვ. 15). ხევის არაგვი (თერგი) დარიალის გეგმის შემდეგ ასევე „ჩაელის“ ჩანწერით, ყაბარდოსა და ყიზლარის ველებს, ამ ტერიტორიაზე მის ქართულ სახელწოდებას ენაცვლება ლომეკი,

მაგრამ ვინაიდან თრუსო და ხევი საქართველოს ტერიტორიას ეკუთვნის, ამჟამინდელი ყოველად გაუმართლებელმა მკვლევარებმა დაგვიტანდნენ ოსეთის არაგვის შერქმევა. ეს შეუსაბამო სახელწოდება იმ უხეში შეცდომისაკენ გვიბიძგებს, რომ თრუსო – საქართველოს ტერიტორიის, კერძოდ კი დეაღეთის ნაწილი – ოსეთად გამოეცხადებოდა. შეცდომის საფუძველი ჩანს ის გარემოება, რომ XVII საუკუნის შემდეგ თრუსოში ოსები ჩამოსახლდნენ, მაგრამ ოსებით დასახლებული საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ადგილის ოსეთად მიწნევა ყოველად გაუმართლებელია. შეცდომის ლოგიკით ასევე ოსეთი ყოფილა ოსებით დასახლებული სხვა ადგილებიც (ქსნის ხეობა, ორივე ლიახვის ხეობა, მთიულეთის არაგვის ხეობის სათავეები, ბორჯომის ხეობა და ა.შ.), როგორც ამას თავაზამოებები ქადაგებენ ოსი სწავლულები. ყოველ შემთხვევაში, ისინი და მათთან ერთად ოსი „პოლიტიკოსები“ იმას მაინც უდავოდ მიიჩნევენ, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დღეს უკვე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაა, პარალელურად ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკისა, რომელთაც, მათ მიერ შედგენილ რუკაზე, ერთმანეთისგან მიჯნავს პირობითი საზღვარი წყვეტილი ხაზის სახით. „ორი ოსეთი“ მუქი სასაზღვრო ზოლითაა შემოფარგლული, როგორც მთლიანი სახელმწიფო (სქემა № 1). ეს კი თავისთავად იმ საწესკარი ოცნების გამოზატყველია, რომ წყვეტილი ხაზიც ნაშიალოს და „ორი ოსეთი“ რუკაზე ერთიანი ოსეთის სახით გამოიხატოს.

5-ეერსიანი რუკიდან დამონშებული სქემა № 2 (საქართველოს ჩრდილო საზღვარი 1783 წელს) ამჯერად მხოლოდ აღნიშნული ეპოქის სახელმწიფო საზღვრის საჩვენებლად დამჭირდა. მასზე დატანილი არ არის ხევისა და თრუსოს ყველა სოფელი, ძველი თუ მდინარე, ვინაიდან რუკის დეტალური ანალიზი მისი სრული მონაცემების მიხედვით მიზანშეწონილი იქნება ხსენებული კუთხეების ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის დაკავშირებით. რაც შეეხება დარიალის კარის სიმაგრეებს (მეფის საჯდომი, დარიალანი და დავითის ციხე), 1783 წლისათვის მათი არსებობა რუკის მიხედვით დადასტურებულია, მაგრამ XIX საუკუნის შემდგომარეობა შეცვლილია. ვ. ვეიდენბაუმი აღნიშნავს, რომ კვალიც კი აღარ არის შემორჩენილი იმ კედლისა, რომელიც დარიალის ვინროვებს საქართველოს მხრიდან კეტავდა (ე.ა. ასეთი კედელი, რაც 5-ეერსიან რუკაზე გამოხატული არ არის, ოდესღაც არსებობდა – ვ.ი.). ასევე აღარ ჩანს მდ. თერგის მარჯვენა მხარეზე არსებული დავით აღმაშენებლის ციხე, რის შესახებაც ნერს ვახუშტი ვ. ვეიდენბაუმი ფიქრობს, რომ

ეს ნაგებობანი სამუდამოდ განადგურდა გზის გაყენის შედეგად (ე. ვეიდეზაუმის დასახ. ნაშრომი, გვ. 269).

ვახუშტის ნაშრომის შემდეგ საყურადღებოა ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ 1936 წელს გამოცემული „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა“. მის I და II რედაქციაში შეტანილია ცალკე პუნქტები: „აღწერა დიდო-ქისტისა, ლილეო-ზურზუკისა, თუშ-ფშავე-ხევსურეთისა და კვისა“. საზღვართან დაკავშირებით I რედაქციაში საინტერესოა „აღწერა გადმოსავალისა გზისა“, სადაც აღნიშნულია: „და ეს გზა რამ დაგვიწერია – ეგვბის რუსეთის სავლეთ-მთიანეთში ასე განცხადებულ იყოს, რომ ასეთი რამ იყოს ვითომ გაკეთებან ზედ ბევრი სარჯული მოუბდეს, – ამის გაკეთება ზეენგან ადვილად შეიძლება და ამ გზაზედ ჩიმი არის, რომელიც საზღვარი არის. იქიდა ამ მოკლებული რაც გზა არის ორმოცი ვერსი იქნება, და ამ ორმოცს ვერს იქით და აქეთ სულ ეკვ არის, და ამ ორმოცის ვერსის მთის გზაზედ შიგ და შიგ გაყავებული გზა ბევრი არის“ (გვ. 27-28).

იგივე მეორედება მეორე რედაქციაში, ოღონდ მასში გაპარული შეცდომებით („სარჯული“-ს ნაცვლად წერია „სახჯელი“; ჩიმი“-ს ნაცვლად „ჩემი“).

დამონშებული აღწერილობა ფაქტობრივად ადასტურებს ვახუშტის მონაცემებს საზღვრის შესახებ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ წყაროში სასაზღვრო პუნქტად ნიშანდობლივად სოფელი ჩიმი არის დასახელებული.

საქართველო-ოსეთის საზღვრის შესახებ საყურადღებოა ერთ-ერთი უცხოელი მოგზაურის დაკვირვებები XVIII ს-ის მეორე ნახევარში (Штедер. Дневник одного путешественника из пограничной крепости Моздок в центр Кавказа в 1781 году. Орджоникидзе, 1940).

შტედერი, აღწერს რა თავისი მოგზაურობის მარშრუტს, აღნიშნავს, რომ მოუყვებოდა მდ. თერგის მარცხენა სანაპიროს ყაზბეგის მიმართულებით. 6 ვერსის გავლის შემდეგ ის მხოლოდ ოსებით დასახლებულ სოფელ ღარსში ღარსამდე განვლილი მანძილის მიხედვით, აღწერილობის სანყის პუნქტად საგულეებელია სოფ. ჩიმი. ღარსიდან 4 ვერსის გავლის შემდეგ მოგზაურს ცხენები უკან გაუბრუნებია და მისდგომია ციციბო კლდე, რომელსაც მ საფენის სიგრძეზე თერგი ეხეთქებოდა. მგზავრი იძულებული იყო კლდეზე ახულიყო და გზის ამ სახიფათო მონაკვეთზე ბარგი ადგილობრივ მთიელთა (მოხვევთა) დახმარებით გადაეტანა. აუტორი გვიჩვენებს დარიალის კარის დასაწყისს, რამდენადაც ძველი ღარსიდან იქამდე მანძილი მართლაც 4 ვერსია, მაგრამ ეს კლდე არ იყო სასაზღვრო წერტილი.

საზღვარი იწყება უფრო ქვემოდას, ხეობის შედარებით ფართო ნაწილიდან, სადა მდ. მუხნძილი ძველ ღარსამდე დაახლოებით 3 ვერსია, ხოლო 1950-იან წლებში გაჩენილ ახალ დასახლებამდე – ზემო ღარსამდე – 1 ვერსი, ე.ი. თუ შტედერის მიერ ხსენებულ ფრიალო კლდეს საქართველოს ტერიტორიის დასაწყისად მივიჩნევთ, მაშინ საქართველომ უნდა დაკარგოს ხეობის მონაკვეთი 2 ვერსის სიგრძეზე.

აღნიშნულ უზუსტობათა მიუხედავად, შტედერი ერთ-ერთი ავტორია, რომლის მართებული ინტერპრეტაციით ოსეთის ზონიდან, კერძოდ კი, თავაურის ხეობიდან, შემოედვიართ დარიალის ვინორ კლდე-კარში, ე.ი. საქართველოს მყარი ისტორიული საზღვრის დასაწყისში. XVII ს-ის სხვა დამკვირვებელთაგან განსხვავებით, შტედერი სოფელ ჩიმს არ აღნიშნავს სასაზღვრო პუნქტად. მისი დაკვირვებით, საქართველოს საზღვარზე მთავარი სიმაგრე იყო დარიალის ციხე: „На левом берегу, на полути от Шими (Schimi) к Казбегу, виднеются развалины пограничной крепости дариель, являющейся старой границей или Кавказскими воротами“ (გვ. 26). დარიალის ციხე რომ საზღვრის ზონაში მთავარი სიმაგრე იყო, ეს სწორია, მაგრამ საქართველოს საზღვარი ამ ციხიდან ჩრდილოეთით მეოთხე ვერსზე გადიოდა.

დარიალის ციხის აღწერაში შტედერს საერთოდ არ უხსენებია სოფ. ღარსი და ეს გაუმართლებელიც იქნებოდა, მაგრამ შტედერის დღიურის გამოცემული ოსი პროფესორი გ. კოკიევი ისეთ ინტერპრეტაციას იძლევა, თითქოს აქ ეხებოდეს ერთდროულად დარიალისა და ღარსის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას (გვ. 5). გ. კოკიევი უფრო შორს მიდის, როდესაც აღნიშნავს, რომ შტედერი ინგუშებითან გადავიდა ოსეთში და მოიარა დარიალის, ყობანის, ქურთათისა და დიგორის ხეობები (გვ. 4). შტედერმა კი გარკვევით თქვა, რომ თავაურიდან (ოსეთის მხრიდან) იგი მიადგა დარიალის ვინორებს, საიდანაც იწყება საქართველოს საზღვარი. მოგზაურის ინფორმაციის გაყალბებით გ. კოკიევი დარიალის ხეობას ოსეთის ნაწილად მიიჩნევს, მაშინ, როდესაც შტედერის ლოკალიზაციით თავაური არ არის დარიალის ხეობა, ის თერგის ხეობის ნაწილია და დარიალის კარის ქვემოთ მდებარეობს.

გ. კოკიევი მოთხველს შეგნებულად აბნევს, როდესაც თერგის ხეობას დარიალის ხეობასთან აიკვივებს. ასეთი მიდგომის საფუძველზე, დარიალის ხეობა ყოფილა თერგის დინების მანძილი თრუსოს ხეობის სათავეებიდან ულადიკავკაზამდე. უფრო მეტიც, თუ მდინარის დინებას მივყევით, დარიალის

ხეობა კასპიის ზღვამდეც კი გაიჭიმება, ვინაიდან თერგი ამ ზღვაში ჩაედინება. ამ კიროგორ შეიძლება ხეობად წარმოვიდგინოთ ჩიმიის ქვემოთ მდებარე ოსეთის ვაკეები, ყაბარდოს, ჩანჩეთისა და ყიზლარის ველები, რაზედაც თერგი მიედინება? გ. კოკიემა განა არ იყო და, რომ დარიალის ხეობა თერგის ხეობის მხოლოდ ერთი მონაკვეთია ყაზბეგიდან ზემოლარსამდე და მისი სიგრძე 14 კმ-ს არ აღემატება?

შტედერი აგრძელებს ხეობის აღწერას დარიალის ციხის ზემოთ და გარდა იმისა, რომ ამხინჯებს სოფ. გველეთის სახელწოდებას (Топаста-ს უწოდებენ), მის მცხოვრებლებად ასახელებს ოსებს, რომლებიც თითქოს მთებში დაკარგულ ქართველებს ეძებდნენ პრინცი ირაკლის (ივლისხმება ერკლე II) ეპოქაში (გვ. 26). სინამდვილეში სოფ. გველეთში არც ერთ ოსს არასდროს არ უცხოვრია. ეს იყო ხევის ერთ-ერთი უძველესი სოფელი, მოხვეუთა სამოხაბლო, სადაც XIX ს-ის მეორე ნახევარში ინგუშებიც დასახლებულან. ეს უკანასკნელი კი, კერძოდ, გვარად ბეზურტანოეები, მოხვეუებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მთამსვლელობაში, როგორც საუკეთესო მებრძოლები.

შტედერმა აღწერა მაშინდელი (1715.) ოსეთის ადგილები, კერძოდ, თაგაურის, ყობანის, ქურთათისა და დიგორის ხეობები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მის დღიურში სრულიად სამართლიანად ხსენებული არ არის დარიალის ხეობა. უფრო მეტიც, შტედერმა აღწერილობაში არ შეიტანა ახლანდელი ოსეთის დაბლობი, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ ყაბარდოს ეკუთვნოდა და ყაბარდოელებითა შეტორებით იყო დასახლებული. გ. კოკიევიც წერს, რომ შტედერი ოსეთის ნაწილად ვერ აღწერდა ბარს, ვინაიდან ის მაშინ ოსებით დასახლებული არ იყო. შტედერზე დაყრდნობით, გ. კოკიევი იმასაც გარკვევით აღნიშნავს, რომ ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრე 1745 აშენდა ინგუშების სოფელ ზაურის ტერიტორიაზე და რომ «По описанию Штедера, осетныя в то время на востоке граничили с ингушами, а естественной границей между ними служил Терек, левобережье которого по Дарьию принадлежало осетинам, а правобережье — ингушам» (გვ. 7).

მდ. თერგის მარჯვენა მხარე, რაც ინგუშეთის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ 1944 წელს ცენტრალურ აზიაში ინგუშების გადასახლების დროს ოსეთს მიაკუთვნეს, დღემდე ოსეთის ფარგლებშია დარჩენილი. ესეც ერთ-ერთი ფაქტია იმის საილუსტრაციოდ, თუ ოსები როგორ ეპატრონებოდნენ სხვა ქვეყნების, კერძოდ კი, საქართველოსა და ინგუშეთის მიწა-

წყალს. ეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი ბოლო წლებში ქართველ ისტორიკოსთა მიერ გამოქვეყნებულ წყაროებში. მაგ. რამ ამ შემთხვევაში გ. კოკიევის ზემოხსენებულ გამოხატულებათა დაკავშირებით, რომ დარიალით იმიჯნებოდა ოსეთ-ინგუშეთის ტერიტორია, განმეორებით უნდა ითქვას შემდეგი: გ. კოკიევი შეგნებულად აიგივებს დარიალის ხეობას და თერგის დინებას, რათა დარიალის ხეობა ოსეთის ერთ-ერთ ხეობად წარმოაჩინოს. ამგვარი ტენდენცია საერთოდ დამახასიათებელია ოსური ისტორიოგრაფიისთვის, რაზედაც ჩემი დამოკიდებულება გამოეხატე ოს ავტორთა ზოგიერთი უბღიკაციის შესახებ (ვალ. ითონიშვილი, «ინტელი ქართველები», ანუ ახალი ვერსია «ვეფხისტყაოსნის» ავტორის შესახებ, გაზ. «კავკასიონი», 1995, № 15). მომავლისათვის გათვალისწინებულია ახალი მონაცემებით შევსებული ნერილის მომზადება სახელწოდებით – ქართველოფობიურ აქედებში.

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის შესახებ საინტერესო სურათს იძლევა მდ. თერგის ხეობისა და მცირე ყაბარდოს ნაწილის რუკა, რომელიც გენერალმა ვ. ი. ლევაშოვმა, რელაციასთან ერთად, წარუდგინა საგარეო საქმეთა კოლეგია 1733 წლის 27 იანვარს (Мемоары по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., გამოსცა ვ. გამრეკელმა, თბ., 1968). რუკაზე დატანილია მდინარე თერგის ორივე სანაპიროზე განლაგებული სოფლები თავისი ციხე-სიმაგრეებით და თერგის შესაქადები. თერგის მარცხენა სანაპიროზე სასაზღვრო ნიშნად ნაჩვენებია «Пустая крепость Тария (— Дарьял, გვ. 18) იქვე განმეორებით აღნიშნულია: «Крепость старая грузинская ныне разорена Тария (стр. 119). რუკის მიხედვით საქართველოს ბოლო დასახლებული პუნქტი ყოფილა Первая грузинская деревня (стр. 118). დარიალის სიმაგრის ბოლოში (ჩრდილოეთით) უახლოესი სოფელია ლარსი, ხოლო მის ქვემოთ ჩიმი. რომელი მათგანია მიჩნეული პირველ ქართულ სოფლად? — როგორც ჩანს, ჩიმი, ვინაიდან თერგის მარჯვენა მხარეზე სასაზღვრო პუნქტად ლოკალიზებულია «Грузинская деревня Черях» (ე.ა. ვარიანი). იქვე მიწერილია: «Река Черях на которой стоит 40 деревень называемая Кистек.» (გვ. 18).

თუ ვაითვალისწინებთ, რომ საზღვრად სახელდებულია მდ. თერგის მარჯვნივ მდებარე ვარიანი, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს — მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს სოფ. ჩიმი, მაშინ პირველ ქართულ სოფლად მიჩნეული დასახლება გამოდის ჩიმი. ე.ი. საზღვარი გადიოდა ჩიმისა და



ჯარიახის ზოლზე. აქ მეორდება იგივე, რაც ითქვა მეზობელ მხარეთა აღწერაში და აღიწერა ენოქსტის რუკაზე. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც. ჯარიახის ხეობაში ჯარიახი ეწოდება ხეობის დასაწყისში მდებარე სიმაგრესაც და მისგან რამდენიმე კმ-ით დაშორებულსა და ხეობაში დღემდე არსებულ სოფელსაც. სასაზღვრო პუნქტად, ცხადია, იგულისხმება სიმაგრე, რომელიც ჩიშს გაკურსებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ერთიმორის პირდაპირაა ლოკალიზებული ჯარიახის წყალი და ჩიშთან ჩამომდინარე პატარა მდინარე — ორივე თურგის შენაკადი. ეს პატარა მდინარე იგივე სავარის წყალია (ასე უწოდებენ ხევში) და თუ ისინი სასაზღვრო ზონაშია დასახლებული ჯარიახთან ერთად, მაშინ სწორედ ჩიში გამოადის პირველი ქართული სოფელი. ეს სოფელი არ იყო ქართული დასახლება, მაგრამ რუკის შედგენის დროისათვის ის საქართველოს სოფელი, მისი საზღვარი ჩანს. ამის შემდეგ ეს დადასტურდა მეზობელ მხარეთა აღწერაში¹. მასმანადმე, ქართული ვალებენა ვრცელდება ჩიშ-ჯარიახამდე, ე.ი. დარიალის ვიწროების ქვეშით, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები იქ არ ცხოვრობდნენ.

იმავე გამოცემაში შეტანილია კიდევ ერთი საინტერესო ცნობა. მოზდოკის კომენდანტი ა. ივანოვი გენერალ-მაიორ ფ. ფაბრიციანოს 1780 წლის 11 ივნისს ატყობინებს, რომ ყაზბეგში იმყოფება ერეკლე მეორის შვილი ლევანი, ზედ საზღვარზე სიმაგრის აშენების მიზნით, რისთვისაც თავისთან დაუბარებია თავაურელები (გვ. 229). ბუნებრივია იგულისხმება მათთან ვარიგება, ხოლო თავაურელთა ჩართვა იმით იყო გამოწვეული, რომ საზღვარი გადიოდა დარიალის ხეობის ბოლოში და თავაურის დასაწყისში, სადაც თავაურელებს სამუშაოდ მისვლა არ გაუჭირდებოდათ. ეს კონკრეტული ფაქტი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ხელისუფლება XVIII-ის მიწურულშიც, რუსეთთან საქართველოს შეერთების მოსამზადებელ პერიოდში, კვლავაც საკანგებო ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო საზღვარს, მის დაცვას და კომუნიკაციებს. აღნიშნულის დამადასტურებელია ერეკლე მეორისა და უფლისწულების წერილები ხევის მოურაგებისა და თავაურის სტარშინებისადმი ზიდეებისა და ვზების შეკეთების თუ მგზავრთა უსაფრთხოების შესახებ. როგორც სამეფოს მოსახლეობის (მოხევეების), ისე ქვეშევრდომის მდგომარეობაში მყოფი თავაურელები ოსების დასაქმება ხდებოდა გასამრჯელოს ანაზღაურების პირობით (ვალ. ითონიშვილი, მეგობრობის გზა, თბ., 1983).

1834 წელს კავკასიის გენშტაბის მიერ გამოცემულ რუკაზე გამოხატულია შემდეგს ხეობა, რომლის სათავეებშიც მდებარეობს თრუსოს ხეობის სოფლები და მოსახლეობა აღნიშნულია სახელწოდებით — Трусавль. მის ქვეშით დატანილია ხევის რამდენიმე სოფელი და იქ მოსახლეობა სახელწოდებად წარწერილია — Хещы. ხევის ტერიტორიის ქვედა ზონაში მდინარისთვის უწოდებიათ Чахтон, რატომღაც ოსური სახელწოდება მდინარისა, რომელიც მდ. თურგს მარცხენა მხრიდან ერთვის და მას ქართულად ეწოდება დედოფრაკი. როგორც ამ მდინარის სახელწოდება, ისე საყოველთაოდ ცნობილი დედოფრაკის მყინვარი ასეა მოხსნიებული თითქმის ყველა დამკვირვებლის ნაწერებში. რუკაზე ჩახატვად სახელწოდებული დედოფრაკის ქვეშით აღნიშნულია დარიალი (Дариял) და იქიდან რამდენიმე კილომეტრის ქვეშით გადის სასაზღვრო ზოლი. საზღვრიდან კიდევ სამიოდე კილომეტრის ქვეშით აღნიშნულია Укр. Ларцех — ისტორიული ლარსი ანუ ძველი ლარსი. ე.ი. რუკის მიხედვით, საზღვარი გადის იქ, სადაც საბჭოურ პერიოდში გაჩნდა დასახლება ახალი ლარსი, რაც წარმოადგენს ოსეთის ტერიტორიის, კერძოდ, კი თავაურის თემის ბოლო პუნქტს და საიდანაც იწყება დარიალის ვიწროები, ე.ი. საქართველოს საზღვარი.

მ. ვლადიკინი დარიალის ხეობის აღწერას იწყებს სწორედ მისი ვიწროებიდან და არა ზოგიერთი ავტორის მსგავსად თავაურის ხეობის ჩათვლით (М. Владикин, Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу, ч. 1, М., 1885, стр. 162). ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ დარიალის ციხე აუშენებია მირანა მეფეს ძვ. წ. 150 წ. და განუახლებია დავით მეფეს XII ს-ში. მოგზაური შემდეგ აღწერს ყაზბეგის სასტუმროს, ყაზბეგების ორსართულიან სახლს, ამავე გვირის კარის ეკლესიას (გვ. 168) და ყოველივე ამის მიხედვით ხევს თავისი ატრიბუტებით (მატერიალური კულტურის ძეგლები, გადმოცემები, ლეგენდები, ყოფა) წარმოაჩენს საქართველოს ნაწილად, მაგრამ სრულიად მოულოდნელად იზიარებს მ. ლერმონტოვის და საქართველოს საზღვარი გუდაურთან გაყავს: «У подошвы Крестовой находится небольшая долина, называемая «Чертовой долиной». Лермонтов говорит, что это название происходит от слова черта, а на черт, потому что здесь была невеста границ Грузии» (გვ. 181). იქვე დართული რუკის მიხედვით, რომელიც შედგენილია სანკტ-პეტერბურგში კარტოგრაფ ა. ილინას მიერ, საქართველო-ოსეთის საზღვარი გადის ისტორიული ლარსის (ძველი ლარსი) მისაღვრომბთან. ამის მიხედვით 1950-იან წლებში შექმნილი ახალი ანუ ზემო ლარსი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული.

საზღერის შესახებ არსებულ მონაცემებს შორის კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს ზოგიერთი ქართული წყარო. მხედველობაში მათქვან თ. ფორდანიას მიერ შედგენილი და 1967 წ. გამოცემული „ქრონიკების“ III ტომში შეტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ გენერალ ტოტლებენი თავისი ჯარით 1769 წლის 29 მარამიანის თვეში შეხვდა ერეკლე მეორეს „X ვერსზე სამზღერიდგან“ (გვ. 307, 308). ამის მიხედვით საზღერად მიჩნეულია სოფელი სტეფანწმინდა (ყაზბეგი), ეინაიდან ამ სოფლიდან მე-X ვერსზე მდებარეობს შეხვედრის ადგილი, კერძოდ, ადოს მინდორი და სოფელი ადო (ახლანდელი ნოგაყაუ – ოსური სახელწოდება სოფლისა, სადაც ადრე ქართველები ცხოვრობდნენ, შემდეგ კი ოსები დასახლდნენ და სახელიც ოსური შეარქვეს, რაც ქართულად ნიშნავს ახალ სოფელს, ოსთათვის ახალ სამოსახლოს). ქართული წყაროს შეცდომა ანალოგიურია არაერთი რუსული პუბლიკაციისა, სადაც სტეფანწმინდა პირველ ქართულ სოფლად და, ამდენად, საზღერად იხსენიება. ამგვარი ლოკალიზაციის მიხედვით, მთელი დარიალის ხეობა სტეფანწმინდიდან მის ბოლომდე 14 კმ-ის სიგრძეზე მდ. თერგის დინების დაყოფებით, სადაც მდებარეობს რამდენიმე სოფელი (ცდო, ქობი ანუ ქვაბი – ამჟამად ნახოფლარი, გველეთი) და არაერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი (თამარის ციხე და ნოდებუღი დარიალის ციხე, ციხე-სიმაგრე ბახტარის ნაშენი და გივარგის სახელწოდებით), თერგის მარჯვენა მხარეზე მდებარე გვერდითი ხეობა – ხდის ხეობა ძველი სამოსახლოების ნანგრევები და ვახუშტის მიერ ხსენებული დავით აღმაშენებლის ციხე საქართველოს კუთვნილება არ ყოფილა.

„ქრონიკებთან“ შედარებით რეალობის მაჩვენებელია ა. ცაგარელის მიერ გამოცემული დოკუმენტების კრებულში (Труды — СПб, 1891, т. I) შეტანილი ერთ-ერთი საბუთი (თავად ანტონ მოურავოვის რაპორტი გრაფ ე. პანინისადმი 1769 წლის 3 სექტემბერს), რომელშიც აღწერილია ერეკლე მეორისა და გენერალ ტოტლებენის შეხვედრის ეპიზოდები – ჯერ სადაბო (მთიულეთის სათავეებში), ხოლო შემდეგ ხეში – კერძოდ, ადოს მინდორზე. საბუთების კრებულში ისიც აღნიშნულია, რომ ტოტლებენმა საქართველოს საზღერიდან 10 ვერსის ქვემოთ (საზღერიდან ჩრდილოეთით) ხედეი გაკეთებინა – ოსებს, 3 – ქართველებს და 1 – სამზღეროებს. ამ ცნობის თანახმად, ეს ადგილი ლოკალიზდება სოფ. ლარსის ქვემოთ, სოფ. ჩიშის მიდამოებში, ეინაიდან დარიალის ხეობის სასაზღერო ნურტილიდან ჩიშამდე 10 ვერსია. ჩიშიდან ელადიკაჯაზამდე

22 ვერსია, ე.ი. საქართველოს საზღერიდან ელადიკაჯაზამდე გამოსწრს 12 ვერსი (საზღერიდან სტეფანწმინდამდე კი მხოლოდ 3 ვერსს შეადგენს. ასე, რომ მანძილი ყაზბეგიდან ელადიკაჯაზამდე მოიცავს 46 ვერსს, ისევე როგორც დღეს. იმავე საბუთში სოფელი სტეფანწმინდა ოსეთის საზღერიდან მე-10 ვერსზეა ლოკალიზებული, ნაცვლად მე-16 ვერსისა, რაც რაპორტის შემდგენელის შეცდომით აიხსნება. აღნიშნულის მიუხედავად, სწორად არის მითითებული, რომ საზღერარი გადიოდა დარიალის ვიწროების ბოლოში. რაპორტის შემდგენელის უმთავრესი შეცდომაა სტეფანწმინდის დასახლება პირველ საზღერისპირა სოფლად. ამის მიხედვით, გამორჩენილია დარიალის ხეობაში მდებარე სოფლები: გველეთი, ქობი ანუ ქვაბი (ამჟამად ნახოფლარი) და ცდო, ასევე ხდის ხეობაში არსებული სამოსახლოები და დარიალის გარნიზონის ნამოსახლარები.

მოსკოვში 1989 წელს დაიბეჭდა „ტურისტული მარშრუტი № 19“, გზამკვლევი-ბუკლეტი ელადიკაჯაზიდან თბილისამდე, სადაც დარიალის ხეობის შესახებ ნათქვამია: «После селения Верхний Ларс маршрут вступает в Дарьяльское ущелье и далее проходит по территории Грузинской ССР». ნათქვამის მიხედვით, ზემო ლარსის გაელის შემდეგ გზა მიემართება საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ რუკაზე «Чертов мост» დატანილია საქართველოს საზღერის მიღმა, „ოსეთის ტერიტორიაზე“, რის შედეგადაც დარიალის ხეობის 2 კმ-იანი მონაკვეთი საქართველოს ფარგლებს გარეთ რჩება.

არსებული წყაროების, ლიტერატურისა და რუკების განხილვის საფუძველზე გამოჩნდა, რომ საქართველო-ოსეთის საზღერარი სხვადასხვა ეპოქაში ცვალებადობას განიცდიდა. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ზოგჯერ სოფ. ჩიშამდე და სოფ. ბაღთამდეც კი ვრცელდებოდა, თვით საბჭოთა პერიოდშიც სოფ. ჩიში და ლარსი ჯარიალის (არშხის) ხეობასთან ერთად ყაზბეგის რაიონის ფარგლებში შემოდიოდა 1944 წლიდან – ინგუშების გადასახლებიდან მათ დაბრუნებამდე, მაგრამ მყარი ისტორიული საზღერარი დარიალის ხეობის ბოლოში ზემო ლარსის მისაღვამებთან გადიოდა. ძველი თაობის მოხვევა გამოკითხვით მე შესაძლებლობა მომიცა დამეფინა, რომ სასაზღერო ზონას ერქვა ბახტარი, იქ აღმართულ ციხეს ეწოდებოდა ბახტრის ციხე, ხოლო XIX ს-ში, როდესაც ამ ციხემ თავდაცვითი ფუნქცია დაკარგა, ის სალოცავად აქციეს და ბახტრის წმინდა გივარგი შეარქვეს. შემთხვევით არ არის მოხვეური გამოთქმა – „ბახტრით ბუხტრამდე ნავალი“ – იმ ნანანალა ქალის მიმა-



რომ, რომელიც ქვეყნის საზღვრამდეც კი მიდიოდა. საზღვარი გადიოდა ბახტრის იმ ადგილზე, სადაც უზარმაზარი ლოდები ძევს და გზა მოსახვევს აკეთებს. ამ ადგილს მოხვევებმა შეარქვეს **დიდლორი** (ე.ი. დიდი ქვები), რომლის უკან შემორჩენილია საგუმავო კოშკის საძირკველი. ხევში კარგად ახსოვთ, რომ აქ ფრიალებდა დემოკრატიული (შენშევიკური) საქართველოს ეროვნული დროშა. ამ ადგილიდან ზემო ლარსამდე დაახლოებით 0,5 კმ-ია, როგორც ამის შესახებ თავის დროზე მქონდა აღნიშნული (ვალ. იოსონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971). ეს ისტორიული საზღვარი ღარილის ხეობის რუკაზე ნაჩვენებია მუქი შავი ხაზით (იხ. სქემა № 3).

საბჭოთა რუსეთის XI არმიის მიერ საქართველოს ხელახალი დაპყრობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრობის დამხობის შემდეგ ბოლშევიკებმა საზღვარი გადმონიეს დაახლოებით 1 კმ-ით საქართველოს ტერიტორიის ჩამოჭრის ხარჯზე და რკინის თალიანი ხიდოც – ენ. კუმბაკის ხიდი¹ ოსეთის ზონაში მოაქციეს. ამასთან ერთად ოსეთის ზონაში მოექცა ქართული მატერიკალური კულტურის ისეთი ძეგლებიც, როგორცაა მ. თერგის მარჯვენა მხარეზე კლდის ქიშვი აღმართული სათვალთვალ კოშკი და თვით ისტორიულ საზღვარზე (დიდლორი) შემორჩენილი საგუმავო კოშკის ნანგრევი. სხვათა შორის, ხევში ისიც კარგად იცინა, რომ ბახტრის ზონაში, მ. თერგის მარჯვენა მხარეზე, გრანიტის კლდეში, მენშევიკურ მთავრობასთან შეთანხმებით, გერმანელები სპილენძის მადანს იღებდნენ. აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელია კლდეში გამოჭრილი გვირაბიც. ამასთან დაკავშირებით მახსენდება განსვენებული გენერლის ვარლამ შადურის ნათქვამი, რომ მისი მამა ივანე შადური სხვებთან ერთად აქ მუშაობდა.

უსამართლოდ გაელეხული საზღვარი ღარილის ხეობის რუკაზე აღნიშნულია ნყექილი ხაზით. ეს გააკეთა საბჭოურმა იმპერიამ, მაგრამ უხედეურება და უნიათობა ის არის, რომ დღეს მის შენარჩუნებაზედაც არ ვზრუნავთ. სამსუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი მესაზღვრეები დადგნენ თვით უკანონო საბჭოური საზღვრიდან სულ ცოტა ნახევარი კილომეტრის აქეთ. საგუმავო ქართული დროშით მოწყობილია მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროზე თამარის ციხისა და ყაზბეგის შვის ცოტა ქვემოთ (იხ. სქემა № 3, დარიალის ხეობის რუკაზე) გამოსახული შავი კვადრატი დროშა. სინამდვილეში საგუმავო უნდა


არსებობდეს აღნიშნული მონძილის ბოლოში, კლდეში გაჭრილი გვირაბის სიღრმეში. თუ ამას დროულად არ მცხვდნენ, ეს საგუმავო უშავის არ შეეცმნით გვირაბის შემოსასვლელთან, კონტროლს დაეკარგავთ უფიდავს სტრატეგიული მნიშვნელობის გვირაბზე, რომელიც თავიდან ბოლომდე საქართველოს ტერიტორიაზეა გაყვანილი. ჩრდილოეთიდან მომავალმა მგზავრმა გვირაბთან მოახლოებისას უნდა იგრძნოს საქართველოს ქიშკარში შემოსვლა. თუ ეს ახლავე არ გავიცნობიერეთ და საგუმავოს უადგილო არსებობა ჩვენზე დაეკანონეთ, ოსები და რუსები გვირაბის აქეთაც გამოვლენ, რასაც შეიძლება გაუთვალისწინებელი სისხლიანი ტრაგედიაც მოყვეს.

განა საკმარისი არ არის, რომ დედალეთის უდიდესი ნაწილი ოსეთს ჩაუბარეთ? – ვიღას ახსოვს დღეს, რომ დედალეთი საქართველოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა და კასრის-კარი ისეთივე გასასვლელი იყო საქართველოდან ოსეთში, როგორც დარიალი. ეს დანაკარგი არ ვიკმარეთ და საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების თანადგომით როკის მთის გახვრეტაც საქართველო-ოსეთის კეთილმეზობლური კავშირის ანუ ძმობის შემდგომი განმტკიცების გზად და ხიდად იქნა მიჩნეული. ახლა უკვე დარიალის ხეობის ქვემო ნაწილის ოსურ ზონად გამოცხადებას თუ ნებით დათმობას შეეჩინეთ თვალად და ყურით? შემდგომ შეიძლება საქართველო-ოსეთის მიჯნად ჯვრის უღელტეხილი აირჩიონ და აღუქმანდრე ყაზბეგის სამშობლოს და მისი საფლავის დაკარგვასაც შეუურიგდეთ. იქნებ დაუვიწყროთ ვისი გორისანი ვართ? რამდენმა რუსმა, ოსმა და სამსუხაროდ, ზოგიერთმა ქართველმა სწავლულმა ჯვრის უღელტეხილი საქართველო-ოსეთის საზღვრად გამოაცხადა. ამის შესახებ თავის დროზე ჩემს სტატიებში და გამოკვლევებში სათქმელი ვიქვი და მომავალში უფრო მეტსაც ვიტყვი, მაგრამ ამჯერად წერილი მითი მინდა დავამთავრო, რომ საერთოდ საქართველოს საზღვრებს დროულად უნდა მივებდით, ენაიდან სახელმწიფო ნარმოუდგენელია მისი საზღვრების დადგენისა და დაცვის გარეშე. რაც არ უნდა კეთილი მეზობელი გვაყდავს, შენი ტერიტორია მისგან უნდა გამოიწუნო. თუნდაც ერთი მეტრის დათმობით ირღვევა საზღვრების არსებობის აუცილებლობის პრინციპი და ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. საზღვრების გარეშე მსოფლიოში არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს და ამ ატრიბუტის გარეშე არც საქართველო უნდა არსებობდეს.

ԵՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ



საქართველოს ჩრდილო საზღვარი 1783 წელს




სქემა №2

დარიალის ხეობა

ეროვნული

მემორიალი



სქემა №3

მიხაკო ნაჩათლის „საქართველო და მსოფლიო ომი“

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში, განსაკუთრებით კი რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია თავს ძირითადად შვეიცარიაში იყრის. ყოფილი სოციალ-დემოკრატი პეტრე სურგულაძე 1910 - 1913 წ. ჟენევაში „დამოუკიდებლობის ჯგუფს“ ქმნის. 1912 წ. არჩილ ჯორჯაძის თაოსნობით ფედერალისტთა პარტიის შიგნით იქმნება „საქართველოს ხელშეკრულებების უფლებათა დამცველი კავშირი“, იგივე „ქართველი ხალხის უფლებათა დამცველი კავშირი“, რომლის მიზანი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის ჭიბით საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევა გახლდათ. ამისათვის სურდათ შეექმნათ პრეცედენტი იმისა, რომ საქართველოს საკითხი საერთაშორისო სამართლის საფუძველზე საერთაშორისო არბიტრაჟის განხილვის საგანი გამხდარიყო. ამ ჯგუფებთან იმთავითვე აქტიურ თანამშრომლობას ეწეოდა ყოფილი ანარქისტი მიხაკო ნერეთელი. 1914 წ. ბერლინში შექმნილი „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი“ მისი პოლიტიკური მოვანემობის ქვაკუთხედი გახდა. ცნობილი მეცნიერი არ ერიდებოდა ომის პირობებში არც ავანტიურულ მოგზაურობებს, არც სამხედრო აქციებს, მაგრამ მისი ძირითადი იარაღი – კალამი გახლდათ და სწორედ კალამით ხელში დაუღალავად იბრძოდა მიხაკო ნერეთელი საქართველოს პოლიტიკური მომავლისათვის.

1915 წ. ციურისში ანონიმურად გამოიცა მისი ნერილი „La Georgie et la Guerre actuelle“, რომელიც მომდევნო 1916 წ. გერმანულად გამოვიდა ვაიმარში ვუსტაფ კიპენაუერის გამოცემლობაში.¹

შესავალში ეკითხულობთ:

“მათ, ვისთვისაც ერთი რომელიმე ხალხის განადგურება განუზომლად უფრო საშიხელ დანაშაულს წარმოადგენს, ვიდრე ერთი ადამიანის სველულობა.

ამასთან, იმათი სიმშაითის იმედიცა მაქვს, ვისაც სურს და შეუძლია გაიგოს სამარცხინოდ მოტყუებული და რუსული დესპოტიზმის მიერ ასე ძლიერ დამცირებული ხალხის ტრა-

გედია. მე ჩემთვის არავითარი ჩარჩოები დამისახავს და არც არაფერი დამიფარავს. ვეცადე მხოლოდ, როგორც მეგობრების, ასევე მტრებისათვის სიმართლე მეთქვა. თუ ჩემი უბედური სამშობლოს ისტორია ბევრ ფაქტს გამოაჩენს, საიდანაც იმ ჩვენი მუხობლების ადრინდელი პოლიტიკური შეცდომები წარმოჩნდება, რომლებთანაც დღეს საერთო ინტერესები გაგვჩნია, ამისათვის საქართველოს საყვედური არ ეთქმის. ეს ფაქტები ცნობილია და საერთოდ უკვე შორეულ წარსულს ეკუთვნიან. ქართველმა ერმა ისინი დაივიწყა და ოდინდელი მოვლენები ევრაეითარ შემთხვევაში შეგვიშლიან ხელს თურქებთან და სპარსელებთან მეგობრობასა და საერთო მიზნებისაკენ სწრაფვამთ.

მაგრამ უნდა ვეცადოთ, მომავლისათვის ისეთი პირობები შევქმნათ, რომლებიც ასეთი შეცდომებისა და მათი გამოუსწორებელი შედეგების განმეორებას სამუდამოდ შეუძლებელს გახდიან. ის ჩვენი თურქი და სპარსი მეგობრები, რომლებიც ისტორიულ ფაქტებსა და სინამდვილეს ეყრდნობიან, გაიგებენ ჩვენი ნათქვამს. ძველი ქართული ანდაზა ამბობს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანაო“.

ევროპული მკითხველი უფრო ადვილად შეისძლებს ჩემს გაგებას. მან იცის ცხოვრების ფასი. მაშ ასე: საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში იცავს თავის ცხოვრებას და დღესაც ცხოვრობს ყველა გადატანილი ტანჯვის მიუხედავად. მას რუსეთის მონობისაგან განთავისუფლება სურს, რაც საშობლო განადგურებას უჭადის.

შესაძლებელია, ჩვენი ეროვნული ცხოვრების ფასი არ შეედრებოდეს ათენელთა ცხოვრებისას, მაგრამ პატარა საქართველოს ეროვნული ცხოვრება გმირული და დიადი იყო 2000 წლის განმავლობაში. უკვე უახლოესი მომავალი დადასტურებს, რომ ამის განადგურება რუსეთმა ვერანაირად ვერ მოახერხა.

საქართველოს ისტორიის საუკეთესო მცოდნე – ბროსემ – თბილისი გმირთა თაობების შრომის ნაყოფად მონათლა. ჩვენ ვამბობთ: ეს არა მარტო თბილისზე ითქმის, არამედ ჩვენი ქვეყნის თვითოველ კუთხეზეც, რადგანაც

ჩვენი მიზნის თვითოველი გოჯი ათასობით ადამიანის ცრემლითა და სისხლითაა გაღვნილი, რომელთა შთამომავლებსაც დღეს უარესი ელთი, მაგრამ რომლებიც მზად არიან, იბროლონ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მამი-საც კი, თუ დახმარებას არსაიდან მიიღებენ.

თუ დავგუხმარებთაშ! საშუალება გვქვენება ვაჩვენეთ, რომ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას არც ეხლა დაუკარგავს ფასი!

მიხაკო წერეთლის ეს ნაშრომი კონკრეტულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ: გერმანია და თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ განაპირობა ხალხების აჯანყების პოლიტიკას ადგენენ. თურქებს კავკასიის გაერთიანება და ერთიანი კავკასიის „დიდი თურანის“ საზღვრებში ხილვა სურდათ. გერმანელები ცენტრალურ აზიაში შესულასა და ინდოეთიდან ინგლისელების განდევნაზე ოცნებობდნენ. ამ კონტექსტში ისინი დროებით არ ეწინააღმდეგებოდნენ თურქების მისწრაფებებს, მაგრამ კავკასიაში თურქების ერთპიროვნული გაბატონება ხელს არ აძლევდათ. 1915-1916 წლები-სათვის გერმანიის პოლიტიკურ მესვეურებს შორის ჯერ კიდევ არ არსებობდა საერთო აზრი კავკასიის პოლიტიკური მოწყობის შესახებ.

“საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის” წევრებისათვის კი მთავარი ამოცანა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა გახლდათ. მიხაკო წერეთელიც ამ ნაშრომში ცდილობს ოთხთა კავშირის წევრების წინაშე საქართველო არა რუსეთის აჯანყებულ პროვინციად, არამედ, მეომარ მხარედ წარმოაჩინოს. ამით მას ორი მეზნის მიღწევა სურს: ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში საქართველო ოთხთა კავშირის წევრების მოკავშირე და პარტნიორი გამოდიოდა და მეორეც - ავტომატურად ხდებოდა სამართლის სუბიექტი უპირველესად ყოველი სა თურქეთისათვის, რომლის თურმისციული მისწრაფებანი განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენდნენ საქართველოსათვის. როგორც ეს მომავალში მოვლენებმა გაჩვენეს კიდევ, ეს ფაქტორი თვით ანტანტის წევრ ქვეყნებისათვისაც განმარტებული აღმოჩნდა (ყოველ შემთხვევაში ფორმალურად). საქმი კი იმაში გახლავთ, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელსაც საბოლოო ნერტილი უნდა დაესვა პირველი მსოფლიო ომის შედეგებისათვის საქართველოს დელეგაციასა და საერთოდ კავკასიის საკითხს სათანადო ყურადღება არ დაეთმო. შედეგად კავკასიის სახელმწიფოთა არც სტატუსი და არც საზღვრები არ შევიდა არც ვერსალის (სადაც დადგინდა ევროპის ქვეყნების საზღვრები) და არც სევრის (რომელიც თურქეთის საკითხს დაეთმო) ხელშეკრულებე-

ბის პირობებში. ანტანტის წევრ ქვეყნებში გადამწყვეტილებით რუსეთის წარმომადგენლები ცალკე კონფერენცია უნდა მომსახიროს პარიზის (პარიკიპოს) კონტაქტებზე. საქართველოს დელეგაციას პარიზის კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა და შესთავაზეს პარიკიპოს კონფერენციაზე გაერკვია მისი ბედ-იღბალი. ამ უარის ფორმალური გაფორმება კი სწორედ იმ ნიშნით მოხდა, რომ ამიერკავკასიისა და შემდეგ საქართველოს მთავრობები ფაქტობრივად ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ეს რუსეთში მომდინარე შიდაპარტიული ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდნენ - რომელნიც 1918 წელსაც თავს რუსეთის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ - და არამც და არამც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ მთავრობებს!

გასაგებია, რომ ამგვარი პოლიტიკა ვერ განხორციელდებოდა მარტოოდენ პუბლიცისტური საქმიანობით და რომ ამისათვის უპირველეს ყოვლისა საქართველოს ადგილობრივი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა იყო საჭირო, ვიმეორებთ ისტორიამ და დადასტურა მიხაკო წერეთლის საგარეო პოლიტიკური გეზის მართებულობა.

მაგრამ დაფიქრდეთ ავტორს. იგი პირველ მსოფლიო ომს იხილავს, როგორც მცირე ერების იმედს პოლიტიკური დამოუკიდებლობის საქმეში. თურქეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულ ომს კი ქართველი ხალხის მიერ პოლიტიკური თავისუფლების დაბრუნების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს. ამ თვალსაზრისით საქართველომ ხელი ჩასქიდა თურქეთსა და მის დიდ მოკავშირეებს გერმანიასა და ავსტრიას, რათა ერთობლივი ბრძოლა ეწარმოებინა რუსეთის წინააღმდეგ, იმ სამხიელი ძალის წინააღმდეგ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არა მხოლოდ მის მიერ ძალით დამპირილებული ხალხების, არამედ თვით რუსი ხალხის დამონებაზეც მუშაობს.”

მიხაკო წერეთელი ავითარებს აზრს, რომ თურქებთან ერთად სხვა კავკასიელი ხალხებიც გაილაშქრებენ და თუ სომხები ძირითადად პრორუსულ ელემენტად ითვლებიან ეს მიიღება ასე არ არის, ავტორის თქმით ამგვარად განწყობილი სომხების რიცხვი დიდი არ არის და სომხები საერთო ჯამში მაინც კავკასიელებთან ერთად გამოვლენ და მონაწილეობას მიიღებენ რუსების კავკასიიდან განდევნის საქმეში. მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში ნაყოფი თურქეთისა და კავკასიელი ხალხებს შორის შეგობრულადა და საზრიანად უნდა განაწილდეს. „ენიდან არ არსებობს კავკასიაში არც ართი ხალხი, რომელიც



ვარ შეძლებდა მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად ცხოვრებას თავის და მეზობლების საკეთილდღეოდ. დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა და მომავალი უსამართლობების გამუდმებული წყარო იქნებოდა ის გარემოება თუკი თურქეთი რუსულს ნაცვლად საკუთარი ბატონობის დამყარებას და კავკასიის ოსმალეთის ერთ-ერთ პროვინციად გადაქცევას მოინდობდა.³

ამავე დროს, განავრძობს ავტორი, ოსმალეთის მთავრობას სამართლიანი უფლება აქვს განეკუთნოს სამხედრო ხარჯებისა და ვაფისათვის კავკასიის ის ნაწილები მოითხოვოს, რომელნიც მას სამართლებრივად ეკუთვნის და ამაზე ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობა იქნება. მაგრამ იმ ხალხებს, რომელნიც ისტორიულ და ეროვნულ ერთეულებს წარმოადგენენ უნდა მიეცეთ უფლება დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნისა, რომელნიც შემდგომ ნებაყოფლობით საფუძველზე გაერთიანდებიან ფედერაციაში — ეს არის კავკასიის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა რუსების განდევნის შემდეგ, აქ, როგორც შემდგომში დაეინახავთ ძირითადი აქცენტი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზებასა და ნებაყოფლობითობაზე კეთდება.⁴

შემდგომ ავტორი ავითარებს აზრს იმის შესახებ თუ ვინ უნდა წარმართავდეს ამგვარ ფედერაციას. „კავკასიის პოლიტიკური ბედის გადაწყვეტისას ძირითადად ოთხი ელემენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული. ესენი არიან ქართველები, მთიელები, თათრები და სომხები.“ ამას მოჰყვება საქართველოს ისტორიის საკმაოდ საინტერესო რეტროსპექტივა. მ. წერეთელი ყურადღებას ამახვილებს მესხეთის, შავშეთის, კლარჯეთის ისტორიულ ბედზე. ძირითადი აქცენტი კი, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივ ტრადიციებსა და ქართველთა შემწყნარებლობაზე კეთდება, ქართველთა მისწრაფებაზე ევროპული ცხოვრების წესისადმი. აქ იგი საკმაოდ საჭირობორტო პრობლემასაც ამაჟავებს. „საქართველოში დიდია სურვილი ევროპულ ყაიდაზე ცხოვრებისა და განსაკუთრებით კი განათლების მიღებისადმი მისწრაფება, რაც საჭიროების ზღვარს სცილდება კიდევ. ჩვენში საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანთა რიცხვი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ეს ასეთ პატარა ქვეყანას ესაჭიროება. გადამეტებული ინტელექტუალიზმი ეკონომიკური თვალსაზრისით საზიანოც არის, ვინაიდან ფილოსოფიურად და მეცნიერ-

ულად განათლებულთა უნარი ქვეყნისათვის ბევრად უფრო გამოსადეგურია ვიდრე უცხოეთში ვაჭრობაში იქნებოდა.“⁵ **ს ი ბ ლ ი ი მ ი ა ქ ა**

საქართველოს განვითარების ევროპულ გზას მ. წერეთელი XX საუკუნის დამდეგის სოციალურ დამორსპირებებშიც, სოციალიზმის იდეების შემოსვლასა და ქართული პოლიტიკური სპექტრის მრავალპარტიულობაშიც ხედავს.

უაღრესად საინტერესოა რუსეთის პირველი რევოლუციის ავტორისეული შეფასებაც ეროვნული ნიშნით იგი წერს, რომ ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიის ხალხებს შორის ერთადერთი იყო, რომელმაც სწორად გაიგო რევოლუციის აზრი და ისიც იმიტომ, რომ ამისათვის უკვე მომზადებული იყო ასწლეულის განმავლობაში: „ქართველ ხალხს ორი დიდი პრობლემის გადაჭრაზე უნებდა. ზრუნვა საუკუნის განმავლობაში -სოციალურსა და ეროვნულზე“.⁶ ამავ დროს თუკი რუსეთში რევოლუციის მსვლელობა უმთავრესად ხოცვა-ჟლეტითა და ნგრევით ხასიათდებოდა, საქართველოში ძირითადად სოციალური ურთიერთობებისა და ცხოვრების წესის შეცვლის ცდილობდნენ. 1905-1906 წლებში საქართველოში ხორციელდებოდა ის პრინციპი, რომ მიწა იმას უნდა ეკუთვნოდეს ვინც მას ამუშავებს. ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ საქართველოში ფაბრიკებს კი არ არზევდნენ, არამედ მენარმეებისაგან ხელფასების მომატებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ. ამით მიხაკო წერეთელი ხაზს უსვამს საქართველოში რევოლუციის ცივილიზებული, თუ გნებავთ ევროპული ფორმით მსვლელობას, რასაც იგი რუსულ, ზარმაროსულ რევოლუციას უპირისპირებს. ავტორისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ამ დროს საქართველოში საკონსტიტუციო (დამფუძნებელი) კრების მოწვევასა და რესპუბლიკის დამყარებას ითხოვდნენ.

ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში არ მოხერხდა ქართული პარტიების გაერთიანება, რომ როცა სოციალისტი ფედერალისტები მრავალ ავტონომიად დაყოფილი რუსეთის თავისუფალ ფედერაციას ითხოვდნენ, სოციალ-დემოკრატები სრულიად რუსეთის სახელმწიფოს ცენტრალიზებულ რესპუბლიკად გარდაქმნისათვის იღუნოდნენ. ამორი ნაშყვანი პოლიტიკური პარტიის გათიშულობას მიიჩნევს იგი 1905 წ. ქართუ-

3. M. von Tsereteli. დისაბ. ნაშრ. გვ. 11

4. შედეგობაში უნდა მივიღოთ, რომ კავკასიის ფედერაციის შექმნა, როგორც ელქით ძირითადად თურქეთის გვემბებს შედიოდა. მიხაკო წერეთლის ეს ნაშრომიც, სწორედ ოთხთა კავშირის წყვერების მისამართითაა დაწერილი.

5. M. von Tsereteli. დისაბ. ნაშრ. გვ. 31

6. იქვე გვ. 32

ლი რევოლუციის დამარცხების ძირითად მიზეზად.⁷

შემდეგ ყურადღება მახვილდება იმ რეპრესიებსა და ეკსტრემულებზე, რომელნიც საქართველოში, პოლონეთში და სხვა არარუსულ რეგიონებში განსაკუთრებული სიხასტიკით ტარდებოდა. „...მდიდარი მოქალაქეების შვილების მოტაცება გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით არასოდეს ხდებოდა პოლიციისა თუ „უმიმროების“ სხვა ორგანიზების დახმარების გარეშე.“⁸ - დასძენს იგი.

“1907 წ., როდესაც მთელი საქართველო თავის ჩამოხრჩობილ, დახერხებულსა და გადასახლებულ შვილებს ელოდებოდა.“ ქართველმა ერმა პაავის სამშვიდობო კონფერენციას წარუდგინა პეტაცია, რომელსაც ხელს აწერდნენ ქართველები განუწყველად კლასობრივი კუთვნილებისა. ეს პეტიცია კაცობრიობას იმ ბარბაროსულ აქტებს ამცნობდა, რომლებიც საქართველოში მეფის რუსეთის მთავრობამ ჩაიდინა სწორედ ეროვნული ნიშნით და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ითხოვდა რუსეთზე ზენოლის განხორციელებას რათა რუსეთს ეცნო მის მიერვე დარღვეული 1783 წლის ხელშეკრულების პირობები და აღედგინა საქართველოს ავტონომია. ეს პეტაცია ნაკითხულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლების მიერ, მაგრამ არ გამზადრა ღია დისკუსიის საგანი, ვინაიდან არ იყო დროულად შეტანილი მასალებში იმისათვის, რომ კონფერენციის დღის წესრიგში დაემაგარიყო.

მას შემდეგ რუსი მოხელეების რეპრესიები გამწვავდა და ქართველი ხალხის მდგომარეობა გაუარესდა.

“ახლანდელი ომი ქართველთა ერთადერთი იმედია. ქართველებს გერმანელებისა დამი დიდი სიმპათიები გააჩნიათ. საქართველოს განთავისუფლება მხოლოდ გერმანიის მეშვეობით არის შესაძლებელი. მაგრამ საქართველო არ ითხოვს მის განთავისუფლებას მსხვერპლის გაღების გარეშე. იგი შზად არის მონაწილეობა მიიღოს ბრძოლებში მრისხანე მტრის წინააღმდეგ, რათა ან თავისუფლება დაიშახტოს, ანდა საბოლოოდ გაქრეს.“⁹

მიხაკო წერეთლის თქმით, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საქართველოს მავალთი დაპყრობილ ქვეყნებს შორის განსაკუთრებულია. აქ იგი უაღრესად საინტერესო პარალელს ავლებს ფინეთთან შედარებით, რომელიც ასევე ცარიზმის მიერ საერთა-

შორისო ხელშეკრულებების უგულვებელყოფის საფუძველზე იქნა დაპყრობილი. უგულვებელყოფის საქართველოს მავალთა შესაფერისად იქნა შედარებით ბევრად უფრო ნათელია. ამრიგად საქართველო არ არის რუსული იარაღის ძალით დაპყრობილი ქვეყანა, არამედ დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელიც ნებაყოფლობით და საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე დადგა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. მაგრამ თუკი რუსეთმა თავად დაარღვია ხელშეკრულების პირობები, საქართველო de Jure დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩება. ისტორია არ იცნობს რუსეთ-საქართველოს ომს, ისტორიამ იცის ღალატის საფუძველზე განხორციელებული უკანონო ანექსია, საზეიმოდ აღთქმულ ხელშეკრულებათა დარღვევის ტიპი.

აქ ელინდება მიხაკო წერეთლის გამჭრიახი პოლიტიკოსობა. საქმე იმაში ვახლავთ, რომ ერთა ლიგისა და განსაკუთრებით კი „გაერო“-ს შექმნამდე მსოფლიო პრაქტიკა არ იცნობდა დაპყრობილი ხალხებისა და ტერიტორიების სუვერენიტეტის ცნობის იურიდიულ მექანიზმებს. სწორედ 1907 წ. პაავის სამშვიდობო კონფერენცია ვახლავთ კაცობრიობის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი „ომის სამართლის“ მოწესრიგების მიზნით.¹⁰ თუმცაღა ეს პრობლემა საბოლოოდ ვერ გადაჭრა. ამიტომაც ქართველი ხალხის პეტეციის არსებობა აღნიშნულ კონფერენციაზე უაღრესად დროული და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი ვახლავთ. სწორედ ამიტომ აკეთებს აქცენტს მიხაკო წერეთელი მასზე, რომ საქართველო რუსეთს უყურია არა იარაღის ძალით და ამდგომად რუსეთის სუვერენიტეტი ამ ტერიტორიაზე გარკვეულწილად „კანონიერია“, არამედ სწორედ საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულვებელყოფის გზით, რომელთა უცილობელ დოკუმენტად „გაეროგაიქსის ტრაქტატი“ მიაჩნია.

“როდესაც 1907 წ. ჩვენ პაავის სამშვიდობო კონფერენციას საქართველოს ყველა კლასის წარმომადგენლის ხელმოწერილი პეტაცია წარუდგინეთ” - განავრძობს იგი, „მონაწილე სახელმწიფოების არც ერთ წარმომადგენელს არ აღუშალა ნება ხმა ამ პეტეციის კანონიერების წინააღმდეგ, თვით რუსეთის წარმომადგენელსაც კი. და თუ პეტაცია განხილვის საგანი არ გამზადრა და მასზე მოხსენება არ გაკეთებულა, ამის მიზეზი ის ვახლავთ, რომ იგი არ მოხვდა

⁷ უაღრესად საინტერესოა, რომ მ. წერეთელი 1905 წლის რუსეთში მიმდინარე პროცესებს ეროვნული ნიშნით განიხილავს, მათ ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესების, კონტრესტში ზედაც და პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარობს ტერმინს „ქართული რევოლუცია“.

⁸ M. von Tsereteli. დასახ. ნაშრ. გვ. 35.

⁹ იბე. გვ. 32.

¹⁰ ი. ი. Ost Duffler. Regeln gegen den Krieg. Die Haager Friedenskonferenzen von 1899 und 1907 in der internationalen Politik. Frankfurt am Main. 1981.



დღის ნესრეგში. ხოლო ამ ფორმალური წინაღობის ავტორი რუსეთის წარმომადგენელი - ნელიდოვი გახლავთ, რომელმაც თავისი იმეამინდელი თავმჯდომარეობა იმისათვის გამოიყენა, რათა თავისი ქვეყნის სასიკრებულო პოლიტიკა არ გაეხადა საჯარო მსჯელობისა და გაკიცხვის საგანი.

ამგვარად, ქართველ ერს ახლაც აქვს უფლება თხოვნით მიმართოს მეგობრულ სახელმწიფოებს - გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთს, რათა ქართველთა მტრული გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ აღიქვან არა როგორც რევოლუციური აქტი ლეგალური ხელისუფლების მიმართ, არამედ როგორც ომის მწარმოებელი მხარის სამხედრო აქცია, რომელიც თავის სამართლიან მოთხოვნებს რუსეთის ძალისმიერი და არალეგალური საქციელისაგან იცავს.¹¹

✓ ამ სამართლებრივი სიტუაციის ცნობისათვის ავტორს ძალზედ საინტერესო პრეცედენტი მოუყავს. ნაშრომის დაწერამდე რამდენიმე წლის წინ რუსეთის მთავრობის დატინებით მოთხოვნით ეწვევაში სამი ქართველი დაუპატიმრებელი და შევიცარიის მთავრობას ისინი რუსეთისათვის უნდა გადაეცა, ლოხანის ფედერალურმა ტრიბუნალმა კი დაპატიმრებულნი გაათავისუფლა და უარი სთქვა მათ გადაცემაზე. ეს მომხდარა საერთაშორისო სამართლის დარგში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ავტორიტეტის ურნესტ ნისის დასკვნის საფუძველზე, რომელმაც, რუსეთ-საქართველოს მაშინდელი ურთიერთობებისას საქართველოს მხრიდან განხორციელებული საპროტესტო აქციები შეაფასა არა როგორც ამბოხი არამედ, როგორც მეომარი მხარის ღონისძიებები.

აქედან გამომდინარე ნებისმიერ ქართულ კომიტეტს, დასკვნის ავტორი, რომელსაც ერთ მტრის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო აქციების ხელმძღვანელობას, ან რუსული ჯარის ნაწილებისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე საერთო მმართველობის უფლებას მიანდობს, უფლება აქვს დროებით მთავრობად იწოდებოდეს, რომლის ლეგიტიმურობა ცნობილ უნდა იქნეს ზემოთ დასახელებული სახელმწიფოების მიერ ისე, რომ ეს ცნობა არ ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

*ქართველი ხალხი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია კავკასიაში, ხალხი, რომელიც განსაკუთრებული უიღბლობის გამო მთავად ჩვენს მიერ აღწერილ მდგომარეობაში. ქართველი ხალხი ერთადერთია კავკასიაში, რომელსაც თავისი პოლიტიკური ცხოვრება და თავისი ორგანიზებული სახელმწიფო გააჩნდა. მას ახ-

ლაც შესწევს პოლიტიკური ფუნქციებისა და თანამედროვე სახელმწიფოს შექმნის უნარი. ამ კუთხით ქართველი ხალხი განსხვავდება კავკასიის სხვა დანარჩენი ხალხებისაგან.

შემდეგ ავტორი მიმოიხილავს სხვა კავკასიელი ხალხების მდგომარეობას. 2,5 მილიონი აზერბაიჯანელი, რომლებსაც იგი თათრებს უწოდებს, გამოდგებიან მნიშვნელოვან სამხედრო ძალად თურქეთისა და სპარსეთისათვის, მაგრამ არ შესწევთ უნარი ხელში აიღონ კავკასიის პოლიტიკური ორგანიზების საქმისთვის მსგებლო საქმე. აქეთ სალიტერატურო ენა, მაშინ როდესაც მთიელებს ესეც არ გააჩნიათ, ამდენად, ვერც ისინი გამოდგებიან კავკასიის პოლიტიკურ ორგანიზატორად. მართალია ოსებმა სცადეს სალიტერატურო ენის შექნა და ანბანისაც, მაგრამ ეს ძალზედ ახალი ამბავია და ანბანიც ფაქტურად რუსული აქვთ. ამდენად ეს გარეშობა არ ნიშნავს, რომ ოსებს დიდი ნაბიჯები გადაუდგამთ სალიტერატურო ენის შექმნის თვალსაზრისით.

მიხაკო ნერკთელი საინტერესოდ იხილავს ჩერქეზთა ტრალიგულ ბედს რუსეთის მფლობელობის ქვეშ.¹²

“ხოლო რაც კავკასიის მეოთხე ელემენტს, კერძოდ კი სომხებს შეეხება, ძლიერა ამაზე მოუკერძოებლად ლაპარაკი, რადგან სიმართლე, რომელიც უნდა ითქვას, შეიძლება ზოგიერთმა სომხეთისადმი მტრულად განწყობილი სულისკვეთების გამოვლინებად აღიქვას. მართალია, რომ სომხები მთელი მათი ისტორიის განმავლობაში დაუსრულებლად მძიმე ტანჯვას განიცდიდნენ, და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი იძულებულნი გახდნენ, თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა უცხოელთა ბატონობაზე გაეცვალებათ. მართალია, რომ ისინი ხშირად იძულებულნი იყვნენ, რუსთაფილიისა და იმპერატორულად თურქოფილიის ორმაგი თამაში ეთამაშათ, უნაიდან ორივე ქვეყანაში გაბნეულად ცხოვრობდნენ. დაბოლოს, მართალია ისიც, რომ სომხები ხალხი შრომისმოყვარე, ვაჭრობაში განაფული და ბევრ საკითხში ინტელიგენტი ხალხია. ყველა ამ თვალსაზრისით ისინი ჩვენს სიმპათიასა და სრულ პატივისცემას იმსახურებენ, მაგრამ ეს სიმართლის მხოლოდ ერთი მხარეა, რომელიც არ შეიძლება განიხილებოდეს განკერძოებულად. საქმე იმ როლის გამოჭეპასაა ეჭება, რომელიც კონკრეტულმა ხალხმა კავკასიისთანა დიდი ქვეყნის ცხოვრებას თუ მისი ბედისა და მომავლის განსაზღვრავაში შეასრულა.

ასეთ შემთხვევაში სრული სიმართლე უნდა ითქვას, და ამასაც ერთი არასასიამოვნო მხარე ახლავს. კავკასიელი სომხები, რომლებიც დაახლოებით ერთ მილიონ სულს ითვლიან, არ არი-

11. M. von Tsereteli. დასახ. ნაშრ. გვ. 39.

12. M. von Tsereteli. დასახ. ნაშრ. გვ. 42.

ან კომპაქტურად დასახლებულნი გარკვეულ საზღვრებში. ისინი გაფანტულნი არიან მიეღს კავკასიაში. სამხრეთ კავკასიაში მდებარე ერთი პატარა რაიონის გამოკლებით, ისინი არსად ცხოვრობენ თავიანთ ისტორიულ მიწაზე, არამედ კავკასიის ძირძველ ხალხებს შორის უცხო ელემენტს ქმნიან. ქართულ ტერიტორიაზე სახლობს დაახლოებით ორასი ათასი სომეხი, და მათი უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში ცხოვრობს. ქართულ პროვინცია ჯავახეთში სოფლის მეურნე სომეხები უმრავლესობასაც კი წარმოადგენენ. ეს განხორციელდა იმ რუსული პოლიტიკის წყალობით, რომელიც XIX ს-ის დასაწყისში საქართველოში სომხური კოლონიების შექმნას ისახავდა მიზნად. ეს განხორციელდა იმ სამსახურის სამადლობლოდ, რაც სომეხებმა რუსეთის თურქეთთან ომებისას გაუწიეს. სომეხთა დანარჩენი ნაწილი თათარ მოსახლეობასაა შერეული და მნიშვნელოვან უმრავლესობას არსად შეადგენს, თეთი იმ ისტორიულ-სომხურ პროვინციებშიც, როგორც მაგ, ერევანის ვუბერნიაა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელოდ აღემატებიან მუსლიმანებს. დანარჩენ კავკასიაში კი სომეხები უმცირესობას შეადგენენ თავიანთ მეზობლებთან მიმართებაში.

მართალია, რომ სხვადასხვა ქალაქში ხოლო განსაკუთრებით კი თბილისში სომეხები მრავალრიცხოვანი არიან, მაგრამ მათი როლი აქ ძალზედ პაგეს ებრაელთა როლს პოლონეთში, კერძოდ კი ვარშავაში. კავკასიაში სომეხთა ამგვარი მდგომარეობა, რომლის შესახებაც ისინი თვითონ საერთოდ უხალისოდ ლაპარაკობენ, არ აძლევთ მათ უფლებას საკუთარი პოლიტიკური ერთეული შექმნას, ანდა ტერიტორიული ავტონომიისაკენ ისწრაფოდნენ. სწორედ ეს არის მათი შურის მიზეზი კავკასიის სხვა ხალხების, განსაკუთრებით კი ქართველების მიმართ. რომელთაც მოსახლეობის მდგომარეობა საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საშუალებას აძლევს.

ვარდა ამისა, სომეხები აქ ძირითადად ვაჭრობითა და მევენახეობით არიან დაკავებული, და სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ, სოფლებსა თუ ქალაქებში, უსამინღესად ძარცვავენ კავკასიის მოსახლეობას. კავკასიის დიდი ინდუსტრიული კაპიტალი სომეხებს ნაკლებად ეკუთვნის, იგი უმეტესწილად ევროპელთა საკუთრებაშია. კავკასიელი ქალაქელი სომეხები ვაჭროსა და მევენახეობის ტიპისა და ნამდვილი უბედურებაა ვლენისათვის, რომელსაც იგი სისტემატურად ძარცვავს და აკოტრებს. ეს არის იმ სიძულვილის ძირითადი მიზეზი, რომლითაც ხარვეზობენ სომეხი კავკასიაში.

სიმართლამ, რომელიც ზოგიერთ სომეხს გააჩნდა რუსეთის მთავრობის მიმართ, ისინი კიდევ უფრო საბუნდუნნი გახადა. და რადგა-

ნაც სომეხებს გარკვეულ ტერიტორიაზე კომპაქტური უმრავლესობის უქონლობაში უნდა არ ძალუდით ისწრაფოდნენ ტერიტორიულ-ავტონომიისაკენ, ისინი, ერთის მხრივ, რუსების მხრიდან მათ სასარგებლოდ გადადგმული იმეცითა შემხვედრი ნაბიჯებით კმაყოფილდებიან, მაგალითად, როდესაც 1904 წელს რუსებმა ძალით მიითვისეს სომხური ეკლესიის ქონება, ხალხისა და კლეროსის პროტესტის შედეგად მათ ეს ქონება დაუბრუნდათ, ხოლო, მეორეს მხრივ, კი მუდამ ილაშქრებენ სხვა ხალხების, განსაკუთრებით კი ქართველების ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგ. ისინი რუსულ რეჟიმს ამჯობინებენ, რომელიც მათ საშუალებას აძლევს გაძარცვონ ის ხალხები, რომელთა შორისაც თავად ცხოვრობენ.

სომეხები მთელი ევროპის გასაგონად გააყვირებენ, რომ კავკასიაში მაცივლილებელ ელემენტს წარმოადგენენ. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს იცის ნებისმიერმა, ვისაც კი კავკასიისთან ოდნავი შეხება ჰქონია. უცხოელი ვაჭარს არსაოდეს შეუძლია მაცივლილებელი როლის შესარულება იმ ხალხში, ვისი კულტურაც მის საკუთარს აღემატება. კავკასიის სხვა ხალხებს ჰყავთ თავისი ვაჭრებიცა და მევენახეებიც, მაგრამ პირველი უფრო ევროპული არიან, ხოლო მეორეთა რიცხვი კი ძალზედ მცირეა.

რაც შეეხება სომეხ მუშებს ქალაქებსა და სოფლებში, მათი ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა ეჭვგარეშეა უფრო დაბალია, ვიდრე ქართველთა. რაც შეეხება მათ საყოველთაო ეროვნულ კულტურას, მაგალითისათვის შეიძლება შეგვედარებინა ახალი სომხური ლიტერატურა, რომელიც XIX ს-ში კავკასიურ დიალექტზე განვითარდა, ახალ ქართულ ლიტერატურასთან, რომელიც პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული ორგანულად განვითარებული ძველი ლიტერატურის გაგრძელებაა.

რა თქმა უნდა, რუსები სომეხების გამოყენებას ცდილობენ კავკასიაში ეროვნულ მოძრაობათა პარალიზების მიზნით. სომეხთა კავშირი რუსეთის მთავრობასთან დიდი ხანია არსებობს რუსები მათ ჯერ თურქების წინააღმდეგ იყენებდნენ, ახლა კი ისინი მათ შეძლებისდაგვარად არა მხოლოდ თურქების, არამედ აგრეთვე ქართველებისა და სხვა ერების წინააღმდეგ იყენებენ. 1904 და 1905 წლების რევოლუციის დროს სომეხები მოძრაობაში არ მონაწილეობდნენ, მიუხედავად მიეღს მსოფლიოში მათ მიერვე გაერცვლებული ცნობებისა იმის შესახებ, რომ თავად იყენებდნენ რევოლუციის ქმმარტვი მეთაურები. ამასთანავე მათ უნდოდათ ხაზი გაესვათ ქართველებთან სოლიდარობისათვის, მაგრამ მათი სოლიდარობა იფარგლებოდა მხოლოდ მათი შეიარ-



აღებული ბანდების პომპეზური აღლუმებით თბილისისა და ბაქოს ქუჩებში.

რა თქმა უნდა, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა ბაქოში, ელიზბეტპოლსა და თვით თბილისშიც რუსებმა გამართეს, მაგრამ ამ ძმობა-მკვლელ ომში სომხებმა მართლაც, რომ გამოიჩინეს თავი. სომხებს ჩვევა აქვთ, ასეთ ხოცვა-ჟლეტას რევოლუცია უწოდონ, მაგრამ ასეთ რაიმეს რევოლუციასთან საერთო არა აქვს, და თბილისში ისწორედ ქართველ რევოლუციონერთა ინტერვენციამ მოუღო ბოლო ასეთ სისხლიან აბანოს. მოგვიანებით, როდესაც ყველა ქართული რევოლუციური პარტია გადამწყვეტილების მიღების წინაშე იდგა, გავგრძელებინა თუ არა რევოლუციური ქმედება მთავრობის წინააღმდეგ, სომხურმა პარტიამ ისინი მიატოვა და განაცხადა, რომ რუსეთში მისი საქმიანობისათვის ადგილი არ იყო. ამასთანავე, მათ შექმნეს პარტია, რომელიც თავს სოციალისტურს უწოდებდა – საქართველოში, რუსეთში, თვით ევროპაშიც კი – და რომელიც რუსეთში და სხვაგანაც სოციალისტური პარტიებთან ერთად მუშაობდა საერთო პროგრამის გამოძეგვებზე.

საბედნიეროდ, ყველა ეს პარტია საბოლოოდ მიხვდა, რომ მთელი სომხური სოციალიზმი მხოლოდ თამაშს და თანაც არც თუ ისე სიმპათიური ვახლდათ. დღეს უკვე აღარაინი სცნობს ამ სომხურ პარტიას (დამაკუთვითონი) სოციალისტურად. მათ თავდაც შეწყვიტეს საკუთარი თავის სოციალისტებად წოდება. მოკლედ, მათი განსაკუთრებული ეკონომიკური ურთიერთობებით კავკასიაში, მათი ეროვნული ეგოიზმით, რომელიც მათ ხელს უშლის აღიარონ სხვათა პოლიტიკური უფლებები და მათი კავშირით რუსულ იმპერიულიზმთან, სომხები კავკასიის მცხოვრებთათვის არასიმპათიური ვახდნენ.

ამ ომში სომხური მხარის მიერ კიდევ ერთხელ იქნა ჩადენილი ლაღატა, მაგრამ კავკასიის განთავისუფლების შემდეგ სომხების მაინც ეწეოდა ქვეყნის პოლიტიკურ ორგანიზაციაში საასპარეზო როლი, ეს არის ის მიზეზი, რის გამოც ჩვენ აქ კავკასიის მოსახლეობის ეს მეთხეველემენტაც უნდა გავითვალისწინოთ.

რა თქმა უნდა, კავკასიის მიერ სომხურ მოსახლეობას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ იდეებისა და საქციელისათვის, რაც აქ აღუნერეთ არსებობს ძლიერი სომხური ელემენტი, რომელიც სხვაანაირად აზროვნებს, რომელიც აღიარებს თავისი მეზობლების უფლებებს და რომელიც მზადაა, ითანამშრომლოს მათთან ერთად კავკასიის განთავისუფლების საერო საქმეში. მათ კარგად იციან, რომ სომხური ტერიტორიული ავტონომია შეუძლებელია და რომ მთელს კავკასიაში არ მოიძებნება ერი, რომელ-

იც თავის მხრივ არ აღიარებდა სომხები ერის უფლებებს, ურჩევნიათ ქართველებსა და სხვა თათრებთან ერთად სოლიდარულ ქმედებას მშრომლონ და მათი პოლიტიკური მოთხოვნების ლეგიტიმურობა აღიარონ.

რა რეჟიმის შექმნაც არ უნდა ვისურვოთ კავკასიაში, ეკლესია, ენა და საკუთრება, ყველაფერი, რაც სომხეთა ეროვნულ კულტურას ეხება, პატივცემული დარჩება. ეს იცის ყველა საღად მოაზროვნე სომხებმა და სწორედ ამ ელემენტების იმედს უნდა ექაონოთ, როდესაც სერიოზულად დადგება კავკასიაში რუსეთის დესპოტიზმის გადაადგების საკითხი.”

ამრიგად ესენი არიან ის ერები – განაგრძობს ავტორი – რომლებთანაც თურქებმა უნდა ითანამშრომლონ კავკასიაში. ქართველებთან თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ყოველივეს საფუძველზე რაც უკვე ითქვა. მისაკო წერეთელი მყარად არის დარწმუნებული, რომ ქართველების დახმარების გარეშე თურქები ვერასოდეს დაიკავენ კავკასიას. კავკასიაში რუსების წაბატონებაც ხომ მხოლოდ ქართველების ნებალობით მოხდა, რომლებიც თურქეთისა და სპარსეთის აგრესიის გამო იძულებული იყვნენ რუსეთისათვის დახმარება ეთხოვათ. აფრთხილებს იგი მოკავშირეებს.

ამრიგად ამ ომის წარმოებისას ლაპარაკი არაა დააყრბობაზე თუ იმ მადის დაკმაყოფილებაზე, რომელიც წარმატების შემთხვევაში იღვიძებს. ასეთი მიდგომა მ. წერეთლის აზრით მოძველებული და ბარბაროსულია. ყველაფერი უნდა ექვემდებარებოდეს საერთო მიზანს და უნდა იქნას გადამწყვეტილი ომის შემდეგ შესაძლებლის კონტექსტში.

ვინაიდან, აგრძელებს იგი, კავკასიელი ხალხები არ იბრძოდნენ მარტოოდენ მოკავშირეთა ლაშაზი თვალუბისათვის. თურქებს არ უნდა დაევიწყეთ, რომ კავკასიური პრობლემა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ ხალხებთან სოლიდარობის საფუძველზე. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც კავკასიის მართვას დააპირებს, როგორც დაპყრობილი პროვინციისას განიორულია მარცხისათვის. მაკედონის მგაფლეთმა თურქებისათვის უნდა იკმალოს. თურქეთის მიერ კავკასიის დაპყრობას აღმოსავლეთისა და შესაძლებელია დასავლეთისთვისაც საშინელი შედეგები მოჰყვეს. ეს იქნებოდა გამუდმებული საფუძველი ომებისა და გაპარტახებისათვის. კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა კი ნიშნავს შეუღებულ აღმოსავლეთისათვის, ფარს თურქეთისა და სპარსეთისათვის და რა თქმა უნდა მშვიდობას თავად კავკასიისათვის.

აქვე ავტორს ეკონომიკური ხარვეზების მაგალითებიც მოჰყავს ლაპარაკობს წარმოებაში

ინვესტირების სარგებლიანობაზე. ექსპორტის პრობლემებზე ლაპარაკისას მოჰყავს მარგანეცის მაგალითი. რუსული სარკინიგზო სატრანსპორტო ტარიფის გამო ერთი ტონა მარგანეცის ტრანსპორტი ჭიათურაიდან ფოთამდე უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე იგივესი კალკუტადან ლონდონამდე.

იკოდა რა კავკასიის გაერთიანების ოსმალების გეგმები იგი ილაშქრებს ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ და ამას ნაადრევ მოვლენად მიიჩნევს. ასევე შეუძლებლად მიაჩნია ერთიანი კონსტიტუციის არსებობა კავკასიელი ხალხების განსხვავებული კულტურული, სოციალური ყოფის, მორალური წარმოდგენებისა და მენტალიტეტის გამო.¹⁴

უაღრესად საინტერესოდ უპირისპირდება იგი ფედერალიზმის აპოლოგეტ ევროპელთა კლასიკურ ნიმუშს, შვეიცარიის მაგალითს. სწორედ შვეიცარიის მაგალითს იყენებს თავისი თეზისის სასარგებლოდ. მიხაკო წერეთელი ამბობს, რომ მრავალეროვან შვეიცარიაში განსხვავებული კი არა, სწორედ ერთიანი სოციალური სტრუქტურაა და რომ ეს ჩამოყალიბდა საუკუნეების გამავლობაში, რომ შვეიცარიელები ფედერალიზმში უცებ კი არ აღმოქნნნენ, არამედ საუკუნეების განმავლობაში მიიღტვოდნენ და ბოლოს ნებაყოფლობით გაერთიანდნენ კიდევ. მიხაკომ ჯერ კიდევ 1915 წელს იწინასწარმეტყველა, რომ კავკასიის ფედერაცია მისი შექმნის შემთხვევაში სერიოზულ გამოცდას ვერ გაუძლებდა.

ბოლოს იგი გეთანაზობს კავკასიის მოწყობის მისეულ გეგმას:

1. თურქეთი მიიღებდა ყარსისა და ერევნის გუბერნიების იმ ნაწილებს, რომელნიც მეტწილად თურქებთათა დასახლებული.

2. ამიერკავკასია მიიღებდა ნეიტრალიტეტს შვეიცარიის მაგალითზე, კავკასიის ნეიტრალიტეტის სამუდამო გარანტიად უნდა დაამდგარიყო ყველა სახელმწიფო.

3. ქართველი ური მიიღებდა მის ისტორიულ ტერიტორიას (იმ საზღვრებში, რომლებიც ჩვენ ვახსენეთ) და იქნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.¹⁵ კონსტიტუ-

ციას მიიღებდა დამფუძნებელი კრება. ქართველი მუსლიმანები მიიღებდნენ შორანილეობის უფლებას პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისარგებლებდნენ აღმსარებლობის თავისუფლების უფლებით.

4. თათრები და სომხები მიიღებდნენ უფლებას ჩამოყალიბებულიყვნენ სომხური თათრულ კანტონებში იმ წილობით აღტურული იურიდიული პირების მეთვალყურეობის ქვეშ, რომელთაც თავად აირჩევდნენ როგორც მათ კავკასიელ მეზობლებს ასევე ევროპელებს შორის. ასევე უნდა შემუშავდეს მათი კონსტიტუციები. წმინდა თათრული კონსტიტუცია უნდა შექმნას თათართა უმრავლესობით დასახლებულ კანტონებში სომხური უმცირესობის ეროვნული უფლებების დაცვის გათვალისწინებით და პირიქით.

5. მიიღეთა ფედერაცია, რომელთა თვითოეულ კანტონსა თუ სახელმწიფოს ფართო დამოუკიდებლობით უნდა ესარგებლა. დაღესტანს შეეძლო საკუთარი კონსტიტუციის ქონა იმის გამო რომ დიდია და ნახევარ მილიონს ითვლის. დანარჩენებს შეეძლოთ ძველი ადათებით ეცხოვრათ.¹⁶

ბოლოს მიხაკო წერეთელი ამტკიცებს თავის სიმპათიებს გერმანული ფიქრის ყაიდსა და გამოთქვამს სურვილს, რათა ქართველებსაც მიეცემოდათ საშუალება ზიარებოდნენ მათ კულტურასა და ეფიქრათ ისეთივე კატეგორიებით.

ნაშრომს თან ერთვის დანართი, რომელშიც შემდეგი დოკუმენტებია მოყვანილი:

1. ქართველი ხალხის პეტიცია 1907 წ. პააგის სამშვიდობო კონფერენციისადმი. (გერმანულად).

2. გეორგიევსკის ტრაქტატის გერმანული თარგმანი.

3. 1799 წ. ხელშეკრულება რუსეთის იმპერატორ პავლე I და ქართლ-ჯავხეთის მეფე გიორგი XII შორის (გერმანულად).

4. ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის ერნს ნისის დადებითი დასკვნა ქართველი ხალხის პეტიციაზე, რომელიც წარედგინა 1907 წ. პააგის სამშვიდობო კონფერენციას.¹⁷

თბილისი, /20. 01/ 00.

14. აღნიშნულ პრობლემას ატყობს ცალკე თხზულება უძენა იმ. M. von Tsereteli. *Rassen und Kulturprobleme des Kaukasus*. Berlin. 1916.

15. საქართველოს სამართლებრივ უფლებას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზმად არსებობისა მკვლევარმა ასევე სავანტებოდ დაუთმო კვრადლება იმ. M. von Tsereteli. *Die Rechte Georgiens.*, Berlin. 1917.

16. M. von Tsereteli. *Georgien und der Weltkrieg*. გვ.55-57

17. M. von Tsereteli. დასახ. ნაშრ. გვ. 59-71

„აზრი ქვეყნის ხსენსა“

მეჭა და ქართული საზოგადოება

ჩვენი გადასახედიდან კარგად ჩანს ის არაჩვეულებრივად დანაღმული სიტუაცია, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისის პირველ ათწლეულებს ახასიათებს. საქართველოს მონინავე საზოგადოება სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული კონსოლიდაციისათვის, მათ შორის არის ვაჭა-ფშაველა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას უპირისპირდებიან, როგორც რუსეთის ცარიზმის ფანდარმები, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ცდილობენ ხალხს თავს მოახვიონ „ახალი“ რევოლუციური იდეები, ილია ჭავჭავაძის ლოზუნგს „ერი, მამული, სარწმუნოება“ – დაუპირისპირონ დემოკრატიულობის ნიღაბს ამოფარებული ანტისარწმუნოებრივი, ანტიქართული ტენდენციები.

ვაჭა-ფშაველას ისევე, როგორც მე-19 საუკუნის მონინავე საზოგადოებას, ღრმად სწამდა, რომ უპირველესი ამოცანა იყო სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა. ხოლო თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის უნდა ყოფილიყვნენ ზესრული და განათლებული ადამიანები. ამ უდიდესი ეროვნული ამოცანის გადაჭრას სჭირდებოდა სწორი გზის მიძიცი პიროვნება, ასეთი „პურჯი“, როგორც ვაჭა მიიჩნევს, ილია ჭავჭავაძე იყო. ილიას მტკიცედ სჯეროდა, რომ ადამიანი თავისუფალი არსებაა და საკუთარი თავის რეალიზაცია მხოლოდ თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი. ამიტომ ილიასა და მისი თანამოაზრეების თვალსაზრისით „ახალი“ იდეების მატარებელი სხვადასხვა პარტიები დამღუპველ ზეგავლენას მოახდენდნენ საზოგადოებაზე და ნილ აღუდგებოდნენ ეროვნულ მოძრაობას.

ვაჭა-ფშაველა წერდა: „დაიღ, მრწამს, რომ ყოველ ერს ჯერ თავისი თავი ენიაზება, თავისთვის უნდა კეთილი, თავისი საქმეების მონესრიგება მხოლოდ ერთ ნაწილს ქართველებისას არ სწამს, რომ ეს ასეა და ესენი გახლავან „დასკლები“, რომლებიც ქადაგებენ სხვა ვაჭაბედნიეროთ, გაუაძლიეროთ და ამით ჩვენც ძლიერები შევიქმნებითო. მოიგონეთ დასკლების მოძღვრება

დემოკრატიული ცენტრალიზაციისა. გაძლიერებული რუსეთისაგან ისინი მოელიან წყალობას. აბა საიდან სადა! ნუთუ ძლიერი მეზობელი არ არის საშობი უძღურისათვის!! ნუთუ ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება და სურვილი დაშინებული მცირე ერებისა შეუმცირდება გაძლიერებულ რუსეთს? არა და ცხრაჯერ არა“.

ვაჭა-ფშაველას ღრმა რწმენით ადამიანის სხვისი მაგალითი სჭირდება იმისათვის, რომ გაიცნობიეროს ზღომილების აე-კარგი და აქედან სათანადო დასკვნა გააკეთოს. 1905 წლის რევოლუციის დამარცხება, სწორედ ამგვარი გააზრების საშუალებად უნდა იქცეს. მამ რევოლუციის ქარიშხალმა სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა ჩვენთვის? არა, ამან ერთი დიდი სიკეთე მოგვცა – გამომაძღაუნა ჩვენი გონებრივი სილატაკე, მოუშაადებლობა, ხალხის სიბნელე და დაპაბადა მისწრაფება კულტურულ მუშაობისა; დაგვახედებინა წინ, დაგვანახვა ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი ძალ-ღონე, დღეს ყოველი შეგნებული ქართველი მიისწრაფის ერში, ხალხში მეტი თვითცნობიერება, მეტი სინათლე შეიტანოს“. ვაჭათვის ნათელია, რომ „უბირი“, „გაუნათლებელი“ ერი ნებისმიერი მშართველობის დროს თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს. ძალა უმრავლესობას აქვს, მაგრამ ეს ძალა შესაძლოა საშიშროებად იქცეს თუ იგი სტიქიურია, ბრმა, შეუგნებელი. მრავალპარტიულობის იმ მორევში, რომელშიც იმდროინდელი საქართველო იმყოფებოდა, ხალხი დაიბნა, სხვა და სხვას გვიქადაგებენ, ერთ წრეზე არ დაგვაყენეს, ერთი ერთს ამბობენ, მეორენი მეორეს, აგერიე-დაგერიესო; შეგვიყვანეს აზღვაეულ მდინარეში და დაგვიანებეს თავი, არც გაღმა გავყავართ, არც გამოღმაო. აი ეს გახლავთ ერის აზრი ახალ მოძრაობაზე, ახალ სოციალურ სწავლის და იმის მოძღვრების შესახებ“...

მართლაც და რა გზას უნდა დაადგეს ის გლეხი, რომელსაც პირველად ესმის სიტყვა „ფედერაცია და ამისთან ერთად გამოოლუტარების თეორია; ვითარცა სამოთხის კარები, ე.ი. შესავალი სოციალიზმის სამეფოში“.

აი, ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში მზადდება კიდევ უფრო სახიფათო და საეკლავო გეგმა. ვაჟა იტყვის „შემა დრომ, შავი ნაყოფი ჩამოგვაბერტყა თავზედა, ცრემლი, ცეცხლი და მუქარა, დარაჯად გვიდგას კარზედა“.

მოკლეს ილია.

„ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შემშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ქუთი, ნიჭით და გამოცდილებით?.. სამინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება! მხოლოდ სანყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამის თანა მკვლელობა რვეოლუციის სახელით“.

ვაჟას განაზრებანი დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას და, ხშირ შემთხვევაში, იმდენად თანადროულად ეღერს, თითქოს ახლა დაწერილი და არა საუკუნის დახანყისში. ვაჟას კარგად აქვს გააზრებული, რომ თუ ნინ არ აღუდგა მართალი სიტყვა ბრბოს უმეცრებას, შეიძლება საეკლავო შედეგი მიიღო. ილიას მკვლელობა არ იყო მხოლოდ ერთი, თუ გნებავთ გამორჩეული ადამიანის მკვლელობა. ვაჟას თვალსაზრისით იგი უფრო ფართო მიზანს ისახავდა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოაკლავენ“. ეს ბარბაროსული აქტი სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნინაღმდეგ მიმართეს, რათა ჩაეკლათ თავისი უფლების, ეროვნული თვითმეგნების მატარებელი სული. ილია ნინაღმდეგ იყო ეროვნულობით შენიღბული ცრუ პატრიოტიზმის, სადაც მხოლოდ ზოტბა და ქება გაისმოდა. იგი აანალიზებდა ერის საქირბოროტო საკითხებს და ბურჯად ედგა ერის სინწინდის დაცვას. მისი მკვლელობა საქაიოდ დიდბანს და ზედმინუნიტ ზუსტად მზადდებოდა. და ამ მკვლელობაში სწორედ ის ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ესმოდათ ილიას მნიშვნელობა. ვაჟა კარგად გრძნობდა, რომ ილიას მკვლელებს სურდათ ის იდეალები მოესპოთ, რომელსაც მწერალი ქადაგებდა. ამიტომ იყო, რომ მწერლის მკვლელობის შემდეგაც არ აღიკვეთა ილია ქაქცევაძის ავად ხსენება. ილიას მიმდევართა ჯგუფს მონაწილეობა მწერალი ქადაგებდა. ამიტომ იყო, რომ მწერლის მკვლელობის შემდეგაც არ აღიკვეთა ილია ქაქცევაძის ავად ხსენება. ილიას მიმდევართა ჯგუფს მონაწილეობა მწერალი ქადაგებდა. ამიტომ იყო, რომ მწერლის მკვლელობის შემდეგაც არ აღიკვეთა ილია ქაქცევაძის ავად ხსენება. ილიას მიმდევართა ჯგუფს მონაწილეობა მწერალი ქადაგებდა. ამიტომ იყო, რომ მწერლის მკვლელობის შემდეგაც არ აღიკვეთა ილია ქაქცევაძის ავად ხსენება. ილიას მიმდევართა ჯგუფს მონაწილეობა მწერალი ქადაგებდა. ამიტომ იყო, რომ მწერლის მკვლელობის შემდეგაც არ აღიკვეთა ილია ქაქცევაძის ავად ხსენება.

ასეთი იყო ვაჟათ „საქმემ“ გამოქვეყნებული ნერილის მწერლის მკვლელობის ილიას ხსოვნის საღამოს მინაწილეობის ამართით გაისმოდა. ვაჟა შეეცადა გამოველინა სტატიის ავტორის მიზანი. იგი წერდა: „ყოველი კაცი იმედით სცოცხლობს და ჩვენც, როგორც მომავლადეთ, ის იმედი გეასულდგმულებს, რომ „ხალხი“ „ნაციონალისტებისაკენ“ გადმოვა და იმით კი ვინც გზაკვალს ურევს, საბოლოოდ და დღეს დღიურად გამოსადგეს არაფერს ასწავებს, ზურგს შეაქცევს. ამის ნიშნებს, ჩვენდა სასიხარულოდ ვხედავთ დღეს, ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ ეს „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს იგი მოვიწინებთ, ფანატიზმად არ გადაიქცევა. ჩვენად სამწუხაროდ „საქმეს“ ბანაკში სრულიად სანაღმდეგოს ვხედავთ, ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ მაზინჯს, უჯიშოს, ფანატიზმით გამსჭვალულს, თავის თავის, თავის ერის უარყოფელს, ხოლო სხვა ერების ვითომდა მფარველსა და მოსიყვარულს“.

ვაჟა-ფშაველა კარგად ხედავს, რომ ხშირად ტერმინებს სხვათა მიზანით ხმარობენ და სრულიად არ ესმით მისი მნიშვნელობა. სამწუხაროდ დღესაც ასეა და სიტყვა „კოსმოპოლიტიზმი“ საღამოდ სიტყვად იხმარება. ვაჟა-ფშაველას სტატიაში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ვკითხვლობთ:

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა – წერს ვაჟა – ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტი, ისევე როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტი. როგორ? ასე – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიურულად და ცდილობს თავის სამშობლო აღმალლოს გონებრივ, კონებრივ და ზნეობრივ, ამით უმზადებს მთელ კაცობრიობას საუკეთესო ნებრებს, საუკეთესო მშობრებს. ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელი ადამიანის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანის აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულ ჯგუფს; თუ კერძო ადამიანისთვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურება გამოიწიოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში“.

უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული წერილის შავ ვეზემპლარში ვაჭა საუბარს სხვაგვარად იწყებს: „ქრისტემ ბრძანა შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო. კოსმოპოლიტიზმს სარჩულად ესევე მცნება უდევს. იგი მწვერვალია ადამიანის კეთილგონიერებისა... ამ აქლიბოს, ამ საფუძველს მწვერვალისას წარმოადგენს პატრიოტიზმი“. ჩვენ საგანგებოდ შევერდით ამ ამონაწერზე, რათა ერთბელ კიდევ გაგვესა ხაზი, თუ როგორ ეკიდება მწერალი აღნიშნული საკითხის კვლევას. მსოფლიო მოაზროვნის მონაპოვარი გაცდებდა ერთი რომელიმე ერის საზღვრებს და მას მსოფლიო აღიარებს. სწორად გაგებული კოსმოპოლიტიზმი ნიშნავს „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გჭულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლით იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არაეინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მონინავე ერებს.“

ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს. სწორედ ამაზე მიუთითებს ვაჭა-ფშაველა თავის წერილში.

ვაჭა-ფშაველა მიიჩნევს, რომ თავისუფლად ადამიანსაც თავისი მოვალეობები აქვს. მისი ქცევა არ უნდა იყოს საზიანო სხეებისთვის და საზოგადოებისთვის. ამისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, წერო, აკეთო – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო საზოგადოებდნიერება ედგას სარჩულად*. ვაჭა თითქოს წინასწარმეტყველივით გრძნობს იმ ხიფათს, რაც შეიძლება მოჰყვეს თავისუფლებას ამოფარებულ მტარვალთა

ქმედებას, ამოტაცებული ფაქტს უფრფრედ მტარვალთა ხელში როდია ფაქტისუფრფრე იგი იქცევა მტარვალთად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირ ჯაჭვბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზეთებს, თავში სცემენ კეტებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულ მხამ-ნალველს, სანამ-ლავს უშაფდებენ და იმას ანუდიან.“ სამწუხაროდ, სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისუფალმა სულმა, სულ მცირე ხნით გაიღლეა და შემდგომ თავისუფლების ღოზუნგს ამოფარებულმა მტარვალთა მიერ ხალხის ჯვარცმამ ათასობით ადამიანებთან ერთად თავად ვაჭა-ფშაველას შეილი – ლეეანიც იმსხვერპლა. სულ მალე ის ადამიანები მოექცნენ სახელმწიფოს სათავეში, რომლებმაც თავისი მიუღებელი იყო ვაჭას მსოფლმხედველობა და შემოქმედება.

ამ ავბედით წლებშიც კი საქართველოს მონინავე საზოგადოება არ ყრიდა ფარხმალს და ცდილობდა ხალხში განათლება, ცოდნა შეეტანა. ჭვენც პოეტნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი – წერდა ვაჭა-ფშაველა, – რომელნიც ეროვნულ თუ გონებრივ ღირებულებებს უჭმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის, დღევანდელი ხალხი ცალ-ცალკე და საერთოდ საქირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს*.

საქართველოს ზეალინდელი დღე, საქართველოს მომავალი ანუხებდა ვაჭას და ამიტომ იყო, რომ ასე გულდაგულ, ღრმა ანალიზის საფუძველზე გამოთქვამდა თავის აზრს. მისი მრწამსი ასეთი იყო: „დაე, მლანძღონ. ისევე მოქალაქეობრივ სიმამაცის გამოჩენა სჯობიან გაჩუქებას, მხოლოდ ვეცდები ისეთი აზრი ეახსენო, კლანჭი არხადან გამოედვას, ყველა პარტია მოვიმადლიერო, ყველა თუ გულისგულში დამემდურება, ამკარად მაინც ვერ გაბედოს ჩემი გალანძღვა და შეურაცხყოფა. ეს გახლავთ: აზრი ქვეყნის ხსენისა“.



გერონტი ქიქოძის ესთეტიკური მრწავსი

XX საუკუნის ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება სათავეს იღებს ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ-თეორიული პრინციპებიდან. ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაში სწორედ მათ დაამკვიდრეს ხელოვნებისა და მწერლობის მეცნიერული გაგება და შექმნეს რეალისტური ხელოვნების მთელი რიგი სახელმძღვანელო დებულებები, რომლებიც ახალი სინამდვილის შესაბამისად, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გაამდიდრეს და ახალი სიმაღლეზე აიყვანეს კ. აბაშიძემ, ივ. გომართელმა, ვ. ნერეთელმა, არ. ჯორჯაძემ, გრ. რობაქიძემ, ვ. კოტეტიშვილმა და სხვ. მათი შეხედულებები გამოირჩევა ეროვნული პრობლემის გამაფრებით, ევროპული ესთეტიკური აზრისადმი და მაღალი მხატვრული პრინციპებისადმი ერთგულებით.

სწორედ ამ პერიოდში უხდება სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა გერონტი ქიქოძეს, რომლის ლიტერატურულ-ესთეტიკურმა და კრიტიკულმა წერილებმა ღრმა მეცნიერული არგუმენტირებით, აქტუალობით იმთავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება.

ძნელია მოიძებნოს ერის სულიერი ცხოვრების ესა თუ ის სფერო, რომელსაც გ. ქიქოძის მადლიანი კალამი არ შეხებოდა. ღრმად განსწავლული, ერუდირებული პიროვნება და საზოგადო მოღვაწე საფუძვლიანად იცნობდა ქართულ და ევროპულ ლიტერატურას, მხატვრობას, ანტიკურსა და თანამედროვე ფილოსოფიას. მისთვის დამახასიათებელი სიღრმით იკვლევდა ძველი იბერიელების ფსიქოლოგიასა და პუშკინის პირობლემას ქართულ ლიტერატურაში; მისი ფიქრი თავს დასტრიალებდა რომანტიკოსთა სეიდას; ახელეწიფებდა, სიღრმისეულად მსჯელობდა ხელოვნების ამ თუ იმ დარგზე, თეატრის პრობლემებზე და ა.შ.

გ. ქიქოძე ორიგინალური, თვითმყოფადი ფილოსოფიური ხედვის მკვლევარია. იგი თანაბარი ინტერესით უღრმავდებდა როგორც თავის თანამედროვე მხატვრულ პროცესებს, ასევე საუკუნეების მიღმა არსებულ, გაშთა სივრცეში ფერმეცხვილ ლიტერატურას. ხელწიფება დაკვირვების მტკვერი გადაცალკის და მეცნიერულად ჩანედეს მწერლის შემოქმედებას, მისი სულის მოძრაობის ყოველ ნიჟანს.

გ. ქიქოძის ესთეტიკურ-ლიტერატურული ნააზრევის გადმოსაცემად ყველაზე მოხერხებულ ფორმად მიაჩნია ესეი.

მისი ესეები ქართველ მწერლებზე გამოირჩევიან უკიდურესად ექსპრესიული, ემოციური და ქვეშარიტი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ზეგაყენის ძალით. მკვლევარი მათში ირჩევს მსჯელობის ბუნებრივ და ტყეად ფორმას, რომელშიც სკრუპულოზურად აღწერს მწერლის პიროვნებისეულ და შემოქმედებით ნიშნებს.

გ. ქიქოძე არაა უბრალო ესეისტი. იგი კვლევის პროცესშიც, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერია, მაგრამ სათქმელს გამოხატავს არაორდინალური ფორმით — მხატვრულად, საკუთარი სტილით, უფრო ზუსტად, მის აზროვნებაში შერწყმულია მეცნიერი-მხატვარი. სწორედ ეს ორი თვისება განსაზღვრავს ქიქოძისეულ სტილს. ამას თან ბუნებრივად ერწყმის აეტიკური ენციკლოპედიური განათლება — ფილოსოფიის, ისტორიის, პოლიტიკის, ფსიქოლოგიის, ხელოვნების და სხვა დარგების ცოდნა.

როგორც გ. ქიქოძის წერილებიდან ჩანს, აეტიკური გრძობის და სუნთქავს იმ ეპოქით, რომელიც განხილულია მის ესეებში. ამდენად, გ. ქიქოძის ესეები ქართული პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-მხატვრული ცხოვრების ერთეული მატრიანეცაა. ეს მხატვრული მატრიანე მოიცავს საკმაოდ გრძელ პერიოდს — უძველესი ეპოქიდან XX საუკუნის შუახანებამდე.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული აზროვნებისათვის გ. ქიქოძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები თავისი პრობლემურობით, მრავალფეროვნებით, მართლაც, ძვირფასი შენაძენია. ამ ფაქტზე მართებულად გაამახვილა ყურადღება არ. ჯორჯაძემ.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გერონტი ქიქოძე გვევლინება როგორც არა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსი, არამედ როგორც ბრწყინვალე ანალიტიკური აზროვნების მქონე ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი, რომელიც გულისყურით აკვირდება თავისი დროის ლიტერატურული პროცესების განვითარებას, სწავლობს მწერლობის სახეს, მუშაობს კრიტიკის, როგორც ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთ დარგის თეორიულ საკითხებზე და აყალიბებს საკუთარ ნააზრეს ამ მიმართულებით.

გ. ქიქოძის ლიტერატურულ-კრიტიკული პრინციპები გამოიმდინარეობენ მისივე ესთეტიკური წერილებიდან: „ეროვნება, ენა და



ესთეტიკური კულტურა¹, „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ ლიტერატურაში“², „შეთოდები თანამედროვე კრიტიკისა“ (1914), „ესა და ეროვნული ენერჯია“ (1914), „პოეზია და სინამდვილე“ (1914), რომელთა მეცნიერული ანალიზი საშუალებას მოგვცემს, წარმოვადგინოთ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო გ. ქიქოძის კრიტიკულ ნერილებს.

1914 წელს „სახალხო გაზეთში“ (№ 1173) დაიბეჭდა გ. ქიქოძის ნერილი „შეთოდები თანამედროვე კრიტიკისა“. ავტორი დასახელებულ ნერილში განიხილავს ევროპულ კრიტიკულ აზროვნებას, მსჯელობს იპოლიტ ტენის, ბრუნეტეერის, ბრანდებისა და სხვა კრიტიკოსთა ლიტერატურულ-ესთეტიკური და კრიტიკული შეხედულებების ღირსებასა თუ ნაკლებზე და ამ ფონზე ავითარებს საკუთარ თეორიას. ევროპულ კრიტიკოსებთან კამათის პროცესში გამოიკვეთა ის უპირველესი პრინციპი, რომელიც გ. ქიქოძემ ლიტერატურული კრიტიკის წინაშე წამოჭრა: ესაა ეროვნული ხასიათის, ეროვნული ელემენტების ძიება ნაწარმოებში, რადგან „ეროვნული სული არსად არ იხატება ისე ნათლად და თვალსაჩინოდ, როგორც სულიერი კულტურის სფეროში“, – წერს კრიტიკოსი.

გ. ქიქოძემ ამავე ნერილში ახსნა კრიტიკის ბუნება: „ყოველი ესთეტიკური კულტურა არსებითად ნორმატიულია, ეს აღნიშნავს არა მარტო იმას, რაც არის, არამედ იმასაც, რაც უნდა იყოს. ის არ ემაყოფილება მხატვრულ ნაწარმოებთან ახსნით, ის ახალ იდეალებს, ახალ ნორმებს, ახალ შესაძლებლობებს უჩვენებს“³.

გ. ქიქოძე აღიარებს კრიტიკის რველ-უცურო ბუნებას, რომელიც შინაგანად მარადიული განახლებისაკენ სწრაფვის დიდ ენერჯიას ფლობს. მისი აზრით, კრიტიკოსისათვის მიუღებელია კრიტიკის დატვირთვა, შეზღუდვა რაიმე პრინციპებით, შემოქმედება თავისუფალი პროცესია, რომელზეც განვიარების შინაგანი კანონები გააჩნია. ამიტომ თავისუფალი უნდა იყოს მისი ბარომეტრი – კრიტიკა.

გ. ქიქოძე კრიტიკას ლიტერატურის, საზოგადოებრივი ცხოვრების გამოფიზლების ფუნქციას აკისრებს და მიიჩნევს, რომ კრიტიკოსის უპირველესი ფუნქციაა ახალი სინამდვილის აღმოჩენა ნაწარმოებში, ძიება იმისა, რაც არის, მაგრამ სხვათაგან შეუმჩნეველად: „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებამ უნდა შეიტანოს საზოგადოებაში ის გრძნობა მღელვარებისა, თვით მას რომ სტანჯავს; მან უნდა გამოაჰსკარავოს თავისი ინტელექტუალური მოუსვენრობა, თავისი მუდმივი ძიება, გააღიზიანოს ფრთებშეკვეცილი ფანტაზია და ცოდნის ნეურვილი შემოქმედებისადმი ღტოლვა რომ აღძრას“⁴.

საინტერესოა, როგორ ესახება გ. ქიქოძეს თვით კრიტიკოსის შემოქმედებით პროცესი?

მისთვის კრიტიკული ანალიზის დროს მიუღებელია ნაწარმოების უტყუარუნობა⁵, რადგან „უცე ურთიხელ მწვერდელზე რება მის გაღვლენას ველარ გააძლიერებს“. უფრო მართებულიად თვლის ორიოდ ზოგადი შტრიხის მოხაზვას, ყურადღების გამახვილებას ნაწარმოების მხოლოდ არსებით მხარეებზე, რადგან ანალიზის ეს ზნა მკითხველს – ფანტაზიას უღვიძებს, აჩვევს დამოუკიდებელ აზროვნებას, ხვეწს მის მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას და სხვ. გ. ქიქოძემ თვითონაც ხომ ამ პრიციპებზე აგო შენაშენავე ესეები და ესკიზები.

გერონტი ქიქოსათვის ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებისას ძირითადი კრიტერიუმი რეალიზმია; ლიტერატურული ძეგლის ღირსებას იგი, უპირველეს ყოვლისა ამ კუთხით განიხილავს. ლიტერატურის განვითარების პროცესს კრიტიკოსი ობიექტურ რეალობასთან კავშირში ხედავს: „სიტყვა-კაშპული მწერლობის განვითარება არსებითად სინამდვილის თანდათანობით დაპყრობაა“⁶, – შენიშნავს იგი ნერილში „პოეზია და სინამდვილე“.

კრიტიკოსისათვის თვით ცხოვრებაა საზრდო ქვემარტი ლიტერატურისათვის; რეალობა, რომელიც სათქმელის არაბუნებრივი სიმდიდრით გამოირჩევა: „ცხოვრების სისრულე განუზომელია, მისი მრავალფერადობა და უსრულებელი და სინამდვილის ნაღში არ არის არც ერთი ისეთი უმნიშვნელო მოვლენა, რომ ის ღრსი არ იყოს ესთეტიკურად გადმოცემისა“⁷, – წერს იგი⁸.

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: გ. ქიქოძე, როგორც ლიტერატურისმცოდნე, ხელმძღვანელობს ორი უმთავრესი პრინციპით: პირველი ესაა ეროვნული პრობლემტიკის ძიება ნაწარმოებში და მეორე – რეალიზმი. აღსანიშნავია, რომ გ. ქიქოძის ლიტერატურულ-ესთეტიკური და კრიტიკული შეხედულებანი XIX საუკუნის 90-იანი წლებისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ბუნებრივი გაგრძელებაა. ამ პერიოდში მოღვაწე არაერთი კრიტიკოსის (კ. აბაშიძე, ვ. ნერი თელი, ივ. გომართელი, არ. ჯორჯაძე, გრ. რობაქიძე) ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრები არსებითად სწორად განსაზღვრავს ხელოვნების, მწერლობის როლს.

ივ. გომართელი ესთეტიკის სფეროში ეკამათება სპენსერს „წმინდა ხელოვნების“ თეორიის საკითხებზე და ხჯერა, რომ ხელოვნება განყენებულია არ არსებობს; იგი თავის დანიშნულებას იძენს მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანის პრობლემებთან მიმართებაში: „ხელოვნების ერთადერთი მიზანია საზოგადოებრივი სარგებლობა უნდა იყოს; ყოველივე ადამიანისათვის: აი, რა უნდა იყოს ყოველი მოღვაწის და აგრეთვე ხელოვნის დევიზი“⁹.

რეალიზმის პრინციპებისადმი ერთგულია არ. ჯორჯაძემ: „ვადახედეთ, რა ვრცელია სიკაცბლე, — ნერს იგი, — რა მიუწვდომელია მისი საიდუმლოება, რა მოშობილავია მისი წარმტაცი ფერადები... თუ გაქვთ ნიჭი, თუ გაქვთ უნარი, მხატვრულად გამოსახოთ ადამიანის ფიქრი და გრძნობა, აი, დიდი მასალა შემოქმედებით მუშაობისათვის.“

არ. ჯორჯაძემ ღრმად შეისწავლა ფილოსოფიისა და ესთეტიკის პრობლემები, ქართული ლიტერატურა და მისი განვითარების გზა; განსაკუთრებით თავისი დროის მხატვრული პროცესები. შრავლისმთქმელია მისი კრიტიკული შენიშვნები. რა კუთხოვად არ უნდა აფასებდეს არ. ჯორჯაძე ლიტერატურულ ნაწარმოებს, მისი თვალთახედვის არე მაინც რეალისტურ პრინციპებზე გავლით გადის. კრიტიკოსის შეფასება პირუთენელია და მართალი.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც მარქიზმი გავრცელდა საქართველოში, იგი შეიქრა მწერლობაშიც, ე.წ. მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკა (წ. ჟორჯაძის, ალ. ნულაძის, ფ. მახარაძე და სხვ.) შეეცადა კლასობრივი ანტაგონიზმის პოზიციებიდან განეხილა ქართული მწერლობა, სახედნიეროდ, ქართულმა პროგრესულმა საზოგადოებამ, მწერლობამ არ გაიზარა მარქსისტული კრიტიკის ვულგარული პრინციპები (ე. აბაშიძე, ვ. ნერეთელი, არ. ჯორჯაძე, გრ. რობაქიძე, ვ. კოტეტიშვილი). აღსანიშნავია, რომ მათ პოზიციად აღმოჩნდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გ. ქიქოძე, რომლის ერთ-ერთ ესთეტიკურმა პრინციპებმა, განსწავლულბამ, ობიექტურმა ბუნებამ, კრიტიკულმა აღლომ, მაღალმა გემოვნებამ შტკიცე საფუძველი შექმნა ჩვენს საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების წინსვლის პროცესში.

გ. ქიქოძემ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებსა და თანამედროვე მწერალთა შემოქმედებას (დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოი, გ. ქუჩიშვილი, მ. დადიანი, დ. ქიაჩელი, ნ. იასოელი, მ. ჯავახიშვილი, ნ. ნაკაშიძე) უმთავრესად ესეები უძღვნა. ეს მცირე ფარმის კრიტიკული წერილები გამოირჩევიან ექსპრესიულობით, პრობლემურობით, თავისებურებით და განსხვავდებიან ჩვეულებრივი კრიტიკისაგან: ჯერ ერთი, კრიტიკოსი თავისი ესთეტიკური პრინციპებიდან გამომდინარე, ირჩევს მწერლებსა და ნაწარმოებებს, მეორე — ისინი (კრიტიკული წერილები — ლ.მ.) არ ხასიათდებიან პუბლიცისტური გზნებით, სიმბავლით, კრიტიკული პათოსით, ეს უფრო მშვიდი განსჯაა, დაფიქრება; ისინი ფილოსოფურნი არიან.

გ. ქიქოძე ესეებში, თითქოს, არ იძლევა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების დეტალურ, სიღრმისეულ ანალიზს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, იმას, რომ მისი ესეები

მოკლებულია აქტუალობას, კრიტიკოსი მათში ძირითად ტენდენციებს ხეწრფრტუ უყოლობს მათ ფილოსოფიურ, სოციალურ-ეკონომიკურ ახსნას და იძლევა ზოგადი ნასიათის შეფასებებს.

ჩვენ ზემოთ მითვითით, რომ გ. ქიქოძე ესთეტიკური გემოვნების მიხედვით ირჩევდა მწერალს. მისი წერილები რიცხოვნობივად ძალზე მცირეა. რითი შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი? ალბათ, იმით, რომ კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ იმ მწერლებზე, რომელთა შემოქმედება აქტუალობით ხასიათდებოდა ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში. ადრე თუ ის ღიად ებრძოდა მეფის მთავრობას, ებრძოდა მენშევიკურ მთავრობასაც და საბჭოურ სინამდვილესაც, ხშირად მისი დუმილიც ლიტერატურული კრიტიკის სფეროში თავისებური ბრძოლა იყო.

1989 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 1) დაიბეჭდა გ. ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერები“, რომელშიც ამკარად იკვეთება კრიტიკოსის დამოკიდებულება საბჭოურ სინამდვილესთან: „მინათობიქმედების კომისარიატი თითქმის წელნიდანახვეარი გავატარე და ეს ყველაზე არასასიამოვნო ხანაა ჩემს ცხოვრებაში, — ნერს იგი, — მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თანამდებობის მიღებაზე უარის თქმა საბოტაჟად ჩამთვლებოდა. ეს კი ყველაზე მძიმე ბრალდება იყო გასაბჭოების პირველ წლებში“.

გ. ქიქოძის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსისა და მისი, როგორც კრიტიკოსის, პოზიციის გასარკვევად აუცილებელია გავითვალისწინოთ მწერალი-მოღვაწის აქტიური პოზიცია ლიტერატურული გავრთიანების — „არიფიონის“ დაარსებაში. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო მასალას გვანდის დ. თევზაძე. მკვლევარი ქვეყანა ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე, არქივში დაცულ დოკუმენტებსა და თვით აღმანახის („არიფიონი“) ლიტერატურულ განცხადებაზე დაყრდნობით გამოითქვამს მოსაზრებას, რომ ლიტერატურული კორპორაცია „არიფიონის“ დაარსების იდეა თითქმის ერთდროულად (ჩანს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) მოიღებენ მ. ჯავახიშვილმა და გ. ქიქოძემ. არ შეეცდებით, თუ ვტყვიით, — შენიშნავს დ. თევზაძე, — გაერთიანება „არიფიონისა“ და ამავე სახელწოდების აღმანახის მხატვრულ-ესთეტიკური პოზიცია უმთავრესად უნდა მოეაზროთ, როგორც მ. ჯავახიშვილისა და გერონტი ქიქოძის ესთეტიკური პრინციპებიდან გამომდინარე შეხედულებები“.

გ. ქიქოძის ესთეტიკური პრინციპები შეფარვით — მიმდინარე პოლიტიკურ სინამდვილესთან ჩამოყალიბებულია დიალოგში „არიფიონის“ პერეთში“, რომელიც ავტორმა გამოაქვეყნა მითითებულ აღმანახში და გამოხატავს ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულებას ამ პერიოდის საზოგადოებრივ-



პოლიტიკურ პროცესებთან, კერძოდ, რევოლუციასთან. დიალოგში მონაწილეობს „რომანტიკოსი“ არიფიონელი, რომელიც ბოლომდე თანაუგრძნობს რევოლუციას, „სკეპტიკოსი“ არიფიონელი, რომელიც ეჭვით უყურებს რევოლუციის მოსალოდნელი შედეგების სიკეთეს და, შესაძენ — „ოპტიმისტი“ არიფიონელი.

დ. თევზაძეს მიაჩნია, სწორედ „სკეპტიკოსი“ არიფიონელი გამოხატავს გ. ქიქოძის დამოკიდებულებას ბოლშევიკურ სინამდვილესთან. კრიტიკოსი ფრთხილად, მაგრამ ცალსახად ავლენს თავის პოზიციას: „ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვინრო პოლიტიკის იარაღად ვაქციოთ. ამ მხრით დიდად განესხვავდებით იმ გულმოდგინე პოეტებთან, რომელნიც ერთმანეთს ეყობრებიან შაბლონური იდეების წერაში. ისინი თანადროულობას იმეგებენ და პგონიათ, თანადროულობა იმაში მდგომარეობს, რომ გაუზუნდელი კვიციეთი მისდით და უჭიხელი რევოლუციის ეტლს.“

„არიფიონელთათვის“ და, მათ შორის გ. ქიქოძისთვისაც, უმთავრესი წარსულთან „კულტურული ჯაჭვის“ უწყვეტობის შენარჩუნებაა. აქ ხედავს იგი ყველაზე ზნეობრივს, გმირულს, ეთიკურს, ამაღლებულს. სწორედ ამიტომ წერს ასე გატაცებით ძველი მცხეთის კულტურაზე, „თავდაპირველ ქართველზე“, რუსთაველის დროის საქართველოზე. ბოლშევიკურ, კლასობრივ იდეოლოგიას გ. ქიქოძემ პუმიანისტურ პრინციპებზე აგებული ლიტერატურა დაუპირისპირა და მას მიზნად ადამიანის პარამონოული აღზრდის ამოცანა დაუწახა.

ყურნალი „პროლეტარულმა მწერლობამ“ სწორედ ამგვარი ეროვნული პოზიციის გამო ასეთი შეფასება მისცა აღმანახ არიფიონისა“ და მასთან ერთად გ. ქიქოძის მოღვაწეობას: „აეილოთ არიფიონელებს“ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი დოკუმენტი,

მათი ფაქტორი იდეოლოგიურმა პლატფორმა. ეს არის გ. ქიქოძის წერილი დეპუტატი კრებულის ბოლოში... დაცარიელებული სულის მქონე არიფიონელები შეეცადნენ წარსულის იდეალიზაციას, გამოამჟღავნეს ძლიერი ნაციონალისტური ბუნება და ხარული სიბუკე თანამედროვეობის ათვისებაში. გ. ქიქოძის დებულებები ამ მოვლენის თვალსაჩინო ილუსტრაციაა. ამ მწერალთა ნაწილობრივი თანამგზავრული ტენდენციები გაააგვარდა აშკარა შემარჯვენე სახით.“⁶

გ. ქიქოძის კრიტიკული წერილები — ესაა შესანიშნავი ნიმუში ლიტერატურული კრიტიკის საზოგადოებრივი ინტერესებისათვის გამოყენებისა, ცოცხალი კავშირის დამყარებისა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან. თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება, — აი, რა უნდა იყოს უპირველესი მწერლისათვის, ხელოვანისათვის: „მაგრამ განუზივრებელია ხელოვანი თავისი ეპოქის მიერ თუ დევნილი, — შენიშნავს კრიტიკოსი, — მეცენატებითაა გარემოცული თუ მტრებით, — ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ნამდვილ ხელოვნად ჩაითვალოს, როდესაც გრძნობს ცხოვრების საიდუმლოებას და ხელს უწყობს მის აღსნას“.⁷

გ. ქიქოძის ეს ლიტერატურულ-კრიტიკული მრწამსი, რომელიც შესანიშნავად ავლენს მწერლის, ზოგადად, შემოქმედის უპირველეს ამოცანას, დღესაც ბევრის მომცემია თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის.

გ. ქიქოძის მეცნიერული სიღრმით, მაღალ-მხატვროლობით, შინაგანი ექსპრესიითა და ემოციურობით გამოირჩეული ესეები მჭიდროდაა და კავშირებული თანამედროვეობასთან, თანაბრად მოიცავენ ესთეტიკას, ლიტერატურის თეორიას, ლიტერატურის ისტორიას და სალიტერატურო კრიტიკას. ისინი, მართლაც, გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებენ ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიაში.

შენიშვნები

1. გაზ. „დროება“, 1909 წ. № 110.
2. გაზ. „დროება“, 1909 წ. № 105.
3. გ. ქიქოძე, წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985, გვ. 147
4. გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 152-153.
5. გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 165
6. ივ. გომართელი, ხელოვნება და მისი მიზანი, 1900 წ.
7. არ. ჯორჯაძე, ურწმუნო მწერლებს, 1908 წ.
8. დ. თევზაძე, ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანებანი, თბ., 1993, გვ. 125
9. აღმანახი „არიფიონი“, 1927 წ.
10. „კომერცია თუ რევოლუციის თანამგზავრობა?“, ყურნალი „პროლეტარული მწერლობა“, 1928 წლის ნოემბრის მიმოხილვა
11. გ. ქიქოძე, რეალიზმის საკითხებისათვის, ყურნ. „მნათობი“, 1956, № 8.

IV-V სს. ქართული ქრისტიანული კულტურის ფასეუბი

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით ქართლის სამეფოს იდეოლოგიურ-კულტურულ ცხოვრებაში არსებითი გარდატეხა მოხდა. IV-V საუკუნეებში პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-იდეოლოგიური განვითარების მხრივ ქართლის სამეფომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ვახტანგ გორგასლის მიერ ადრე რომაელთა მიერ მიტაცებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწების დაბრუნება და იქ არტანუჯის საერისთავოს შექმნა, დიდი საერო (არტანუჯი, უჯარმა, თბილისი და სხვა) და საკლესიო (ხევციციხე, ნინოწმინდა, ნეკრესი და სხვა) აღმშენებლობით საქმიანობა თუ ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური სიძლიერის მაჩვენებელი იყო, ქართლისა და ეგრისის გაერთიანებით (თუნდაც მცირე ხნით) ფარნავეაზის დროინდელი ერთობა აღდგა. ქართველთა შეგნებაში კვლავ ალორძინდა ერთიანი სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობის იდეა. და ბოლოს: საეკლესიო რეფორმით (ახალი საეპისკოპოსოების დაარსება), რომლის გვირგვინს ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მოპოვება წარმოადგენდა, რომის იმპერიიდან შემოსული ქრისტიანული რელიგია ეროვნული გახდა. ვახტანგის მეფობის ბოლო წლებში ქრისტიანობის დაცვა უკვე სამშობლოს დაცვას რომ ნიშნავდა, ეს 491 წელს „იორსა ზედა“ ბრძოლისას ქართლის კათალიკოს პეტრესადმი ვახტანგის მიმართვიდან ჩანს: „უნყოფე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათვის გუბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათვის. ან მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვრებასა ჩემსა სიკუდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრისტესსა“ (ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, „ქც“, I, თბ., 1955, გვ. 20).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პროგრესი, რასაც ქართლის სამეფომ სამწერლობო-მთარგმნელობით საქმეებში მიაღწია. ელინისტურ და ანტიკურ ხანაში „ფამითი-ფამად“ ნაწერი საისტორიო თხზულებების შემდეგ, როცა ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, დაიწყო „ქართული მწერლობის ინტენსიური განვითარება“ (ს. კაკაბაძე, რ.

ბარამიძე, „ფარნავეაზის ცხოვრება“, დაახლ. ძვ. წ. II ს-ში შექმნილ ნაწარმოებად თვლის. იხ. მისი, ფარნავეაზთან ძლიერ ჰყო ქვეყანა თვისი, თბ. 1992, გვ. 34). ქრისტიანობის გამარჯვებასთან ერთად შეიქმნა ამ დიდი მოვლენის ამსახველი თხზულება – „ნინოს ცხოვრება“ (მ. ჩხარტიშვილის შტკიცებით, ნინოს მონათხრობი მისმა თანამედროვეებმა ჩაწერეს. შდრ. ქართ. ენციკლოპედიაში ივ. ლოლაშვილის წერილი „ნინოს ცხოვრების რედაქციები“). V ს-ში კი საერო ლიტერატურაში „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“, ხოლო აგიოგრაფიაში იაკობ ცურტაველის „შუმანიკის მარტვილობის“, რაც მთავარია, ბიბლიის წიგნთა მაღალი ღირსების თარგმანების შექმნით ქართლის სამეფო იმ დროის მონიწივე ქრისტიანულ ქვეყანათა რიგში ჩადგა. V საუკუნისათვის ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურის ასეთი დანიანაურება, იმის მაჩვენებელი იყო, IV-V სს.-ში ქართულ მწერლობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია რომ ჰქონდა.

ბიბლიის წიგნთა ქართულად თარგმნა უდიდესი ინტელექტუალური სამუშაოს შესრულებას მოითხოვდა, რაც ქართველმა ხალხმა შეძლო. ავტოკეფალიის მოპოვების დროისათვის (487/8 წ.) ქართველებს, როგორც ჩანს, უკვე საკუთარი ქრისტიანული ლიტერატურა ჰქონდათ. ავტოკეფალიისათვის მებრძოლ ქართლის მეფეს, ვახტანგ გორგასალს მხოლოდ ამ არგუმენტით შეიძლება დაეერწმუნებინა იმპერატორი და, რაც მთავარია, ანტიოქიის საპატრიარქოს მესვეურები საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოს მურვეობა რომ აღარ სჭირდებოდა, ქართველებს შეეძლოთ თვითვე ემართათ თავისი ეკლესია. საქართველოში გაზრდიდნენ და სათანადო განათლებას მისცემდნენ საეკლესიო პირებს, ქართული ეკლესიის საქთიმპერობელსაც ამავე ეკლესიის წიაღიდან დანიანაურებდნენ. და მართლაც: ავტოკეფალიის მოპოვებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ფარნავეაზ მეფემ ქართლის ეკლესიის მეთაურად „მკვერი მცხეთელი“ დასაბია (საბა) დასვა.

ესება რა აღნიშნულ ფაქტს, ძველი ქართული ავტორი სიამაყით აცხადებს: „აქათგან



არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი“ (ჯუანშერი, დასახ. თხზ., გვ. 207).

IV-V სს.-ში რადგან ქართლის სამეფოში დიდი მთარგმნელობითი სამუშაო ჩატარდა, ქართველი სასულიერო პირი კათალიკოსად დასვეს, გამოდის, რომ იმხანად ქართლის სამეფოში არსებობდა სათანადო დონის სასულიერო სასწავლებლები (IV ს. ვერისში ხომ იყო განთქმული რიტორიკული სკოლა), ყოფილა რეალური საფუძვლები ბიბლიის წიგნთა ქართულად სათარგმნელად. ყოფილა ისეთი ინტელექტუალური ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა, ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა გადაეწყვიტა და იმ დროის ქართული საზოგადოებისათვის საშუალება მიეცა, მშობლიურ ენაზე გასცნობოდა წმინდა წიგნებს, ხოლო სასულიერო პირებს იგი ღვთისმსახურებაში გამოეყენებინათ.

IV-V სს. ქართლის სამეფოში მიღწეულ კულტურულ პროგრესს შორეული ფესვები ჰქონდა. ძვ.წ. 676 წლის ახლო ხანაში ქართლში მცირეხალხი-ხეთური კულტურის მატარებელი მუშკ/სმესების ნაქაბი შემოვიდა.

მუშკებს ქართლში ძლიერი ადგილობრივი კულტურა დახვდა. ეს კულტურა ძვ. წ. XII ს-ში შექმნილი დიაოხისა და კოლხას გავრთიანებებიდან მოდობდა და გენეტიკურად ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურებთან იყო დაკავშირებული.

ძვ. წ. 586 წელს ქართლის მოსახლეობას ახალი კულტურული ნაკაბი შეემატა. ქალდეური ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ, ბაბილონში გასახლებას გადაიწყვიტა ებრაელთა ნაწილმა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შეაფარა თავი, მათ შორის — საქართველოს. ამის შემდეგ ჩქარა სახელმწიფოებრიობის დიდი ტრადიციების მქონე მუშკებმა ქართველთან ერთად სახელმწიფო შექმნეს. ააგეს უფლისციხე, მცხეთა...

გავიდა ხანი, ძვ. წ. III ს. დაამდგეს „უკვე ელინისტურ ხანაში ფარნავაზმა შექმნა ახალი ქართლის სამეფო, „ქართული მნიგნობრობა“. ე.წ. არამეული „ოქროს ხანის“ დროს, როცა არამეული ენა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ებრაეთმორისო ენად იქცა, ხოლო არამეული ანბანი არაერთი ქვეყნის ოფიციალური დამწერლობა გახდა, ასურელ-არამეულმა კულტურამ ქართლშიც მოიკიდა ფეხი. ქართლის სამეფო არამეული კულტურის ორბიტაში მოექცა. შემთხვევითი არ იყო არამეული დამწერლობის ის სახეობა, რომელიც ჩრდ. შუამდგი-

ნარეთში იყო გავრცელებული, საფუძვლად რომ დაედო ძველ ქართულ ხაზგაფესქმ არსებულ არამეულ დამწერლობას (მ.წ. მახული დამწერლობა, ქართ. ენციკლოპედია, ტ. I). არამეულმა კულტურამ გარკვეულნივად შეაეწიროვა ქართული კულტურა. თუმცა ფარნავაზის მიერ შექმნილი „ქართული მნიგნობრობა“ ანტიკურ ხანაშიც განავრძობდა არსებობას. ახ. წ. I-II სს.-ში ქართლის სამეფოს პოლიტიკურმა სიძლიერემ ქართველთა ეროვნული თვითმეცნება გაზარდა. ეროვნული აღმავლობა და ქართული ენისა და მნიგნობრობის აღორძინება კი მირიანის მეფობაში დაიწყო (რ. პატარიძე). მირიანმა გამეფებისთანავე „დაიწინა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული... შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ქმნა, და კეთილად იმყრნა ქართველნი, ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა“ (ლეონტი მროველი, გვ. 66).

ახ. წ. I ს. 30-იანი წლებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულთა მოღვაწეობის შედეგად მოსახლეობაში ქრისტიანობამ მოიკიდა ფეხი — შეიქმნა ქართული ქრისტიანული მწერლობის პირველი ნიმუშები.

წარმართული ხანის ქართლის სამეფოში ქართული მნიგნობრობა რომ არსებობდა, ამ მხრივ ნაინტერესოა ერთი დეტალი „მეფეთა ცხოვრებინა“. როცა წმინდა ნინოს გადაგზავნათა და სასწავლთა აღსრულების შემდეგ „მირიან მეფე განკრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა, და მრავალგზის ჰკითხავან პურია-ყოფილსა მას აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყოველსა. და წიგნიცა, რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისა, და მასცა წიგნსა შინა პოვა ნერლი ესრეთ: „უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა... მან გიხილოს ქირსა შინა და გიხსნეს შენ“ (ლეონტი მროველი, გვ. 105).

აბიათარს რომ „ძველი და ახალი“ წიგნები ჰქონდა, შემთხვევითი არ იყო. ვარა იმისა, რომ ქართლში არსებული ებრაული თემების წევრები დაინტერესებულნი იყვნენ ქრისტეს შიროვნებითა და ქრისტიანობით (ებრაელთა მიერ მცხეთაში ქრისტეს კვართის მოტანა და სხვა), ბიბლიის — „ძველი აღთქმის“ წიგნები, როგორც ცნობილია, შეიცავს ებრაული ხალხის მითებს, გადმოცემა-თქმულებებს, მათი სოციალურ-პოლიტიკური, რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ისტორიას (კ. კეკელიძე) ამიტომ ცხადია, მისით მცხეთელი ებრაელებიც იწებოდნენ დაინტერესებულნი. მცხეთაში არსებული იმ ებრაული თემების წევრებისათვის, რომლებმაც მშობლიური ენა აღარ

იცოდნენ, გამორიცხული არაა, ბიბლიის ცალკეული ნიგნები (ალექსანდრიელ ებრაელთა მსახავად) ქართულად ეთარგმნათ.

„ძველი აღთქმის“ ნიგნების ბერძნული თარგმანი, როგორც ცნობილია, ეგვიპტის ქ. ალექსანდრიაში ძვ. წ. II ს-ში 70-მა მთარგმნელმა შეასრულა იქაურ ბერძნულად მოლაპარაკე ებრაელთათვის. თუ „შეფეთა ცხოვრების“ ცნობაში ბიბლიის ნიგნთა ქართული თარგმანი იგულისხმება, მაშინ ამ ნყაროში ბიბლიის ნიგნთა ერთ-ერთ უძველეს თარგმანზე გვაქვს მინიშნება.

რომელი ენიდან უნდა ეთარგმნათ ქართველ ებრაელებს წმინდა ნიგნები? ალბათ, ებრაულიდან, მაგრამ უფრო მოსალოდნელია სირიულიდან. მოვლსმინით აკად. ივ. ჯავახიშვილს: ბაბილონში ტყვეობაში ყოფნამ, — წერს იგი, — ებრაელებს მშობლიური ენა დააფიქსა და არამეული ასურული იმდენად შეათვისებინა, რომ მათ ერთადერთ სასაუბრო ენად იქცა. ძვ. წ. IV ს. შემდგომ, ებრაელებმა ასურებისაგან არამეული დამწერლობა შეითვისეს. ძვ. წ. II ს-ში ებრაელთა საღმრთო წერილის ნიგნებიც კი უკვე ებრაულად კი არა, ასურულად ინერებოდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 259). უფრო მეტიც, ა. რუდაკოვის თანახმად, თვით პალესტინაშიც დიდი ხანი იყო, რაც დაეინყებულე პქონდათ ებრაული და სირიულად საუბრობდნენ (ა. რუდაკოვი, ბიზანტიის კულტურის ნარკვევები ბერძნული აგიოგრაფიის მონაცემების მიხედვით, მოსკოვი, 1917, გვ. 47. რუს. ენაზე). ამიტომ იყო, პეტრე იბერი იერუსალიმში რომ ჩავიდა, „ისნავა მუნ ენაჲ და სნავლაჲ ასურებრივი“. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ებრაელთა ქართლში შემოსვლა ძვ. წ. VI ს-ში რომ ივარაუდება, აბ. წ. IV ს. დამდეგს მცხეთელ ებრაელებს შეიძლება, მართლაც, დაეინყებულე პქონდათ მშობლიური ენა, ასე რომ, აბიითარის თანადროულ ქართლში არსებული „ძველი და ახალი“ ნიგნები გამორიცხული არაა, სირიულიდან ნათარგმნი ყოფილიყო. ასევე „ნიგნი ნებროთისა“, რადგან ვახტანგ გორგასალმაც იცის (მისი სიტყვით, ეს ნიგნი „მამათა ჩუენთა დაფარულად ეპყრათ“ (ჯუანშერი, გვ. 133). ცხადია, სამეფო ოჯახში მისი ქართული თარგმანი იქნებოდა.

ეს წარმართობის ხანის ქართლში. მას შემდეგ კი, რაც 318 წელს ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქართული ლიტერატურამ (რ. ბარამიძე, რ. პატარიძე, ლ. ხანიკიძე, მ. ჩხარტიშვილი) ადვილად შეძლო ბიბლიის ნიგნთა ისეთი თარგმანების შექმნა, როგორც დღეს უძვე-

ლეს პალიმფსესტებსა (თუ სხვადასხვა ხელნაწერებში (ძირითადად ტყუილად იყვანეს ფრაგმენტების სახით შემოხაზულ მარგამ რომელი ენიდან ითარგმნა ისინი?)

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ევსტათი ანტიოქიელის (324/5-330) მიერ ქართლში გამოგზავნილმა ბრანჯმა მთავარდიაკონმა ქართლის ეკლესია ორგანიზაციულად წამოაყალიბა, ქართლის ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად იოანე (ალბათ, სირიელი) აკურთხა. ამ აქტით ქართლის ეკლესიაზე სირიის (ანტიოქიის) ეკლესიის ზემდგომობა დამყარდა.

სირიის დედაქალაქი ანტიოქია მდ. ორონტზე, ელინისტური კულტურის დიდი კერა, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშიც რომის იმპერიის აღმ. ნაწილის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრად დარჩა. ქ. ანტიოქიის ასეთმა დანიარეებამ, მისი მრევლის სიდიდემ და სიძლიერემ, იმ გარემოებაში, რომ თვით „ქრისტიანობის აკვანი“ იერუსალიმიც კი ანტიოქიის („ღვთის ქალაქის“ — „თეოპოლისის“) ეპისკოპოსის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რაც მთავარი, ანტიოქიის ეკლესიის ნიალიდან გამოსულ პირთა მრავალმხრივმა მისიონერულმა მოღვაწეობამ, ანტიოქიის ეკლესიას დიდი ავტორიტეტი შეუქმნა. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიოქიის ეკლესია პირველობდა (ე. გოლიაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 8-12), საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი სირიული კულტურა დომინირებდა (ა. რუდაკოვი, გვ. 47-48) ქართლის ეკლესიის შესვეურნიც იძულებულნი იყვნენ, ანტიოქიის ეკლესიის მოთხოვნებს დამორჩილებოდნენ. ანტიოქიის ეკლესია კი უკეთესად მიიჩნევა, ქართლის ეკლესიაში ლეთისმსახურებისათვის განკუთვნილი ნიგნები სირიული ეკლესიის ნიალიდან გამოსულიყო. რაც, მართლაც ასე მოხდა (იხ. ქვემოთ).

ქართლში ასურულ-სირიულ კულტურას ისევე დიდი ტრადიციები მქონდა და ქართულ საზოგადოებას მრავალმხრივად მნიშვნელოვანი როლი უკავია.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, არა თუ ქართლი, რომის იმპერიის მთელი აზიური ნაწილიც ანტიოქიის ეკლესიის გავლენას განიცდიდა. „პეტრე მოციქულის დროიდან, — წერდა XVII ს-ში ანტიოქიელი მღვდელი მიქაელ ბრეკი, — ანტიოქიის პატრიარქი განაგებდა ყველა ოლქს მცირე და დიდ აზიაში... ანტიოქიელი ეპისკოპოსის სამწყსო იყო სკუტრიდან (კონსტანტინოპო-



ლის გარეუბანი იყო, ე.ე.) მოკიდებული ანატოლია თეთრ ზღვამდე (კასპიის ზღვა), ქვეყნები შავ ზღვამდე და მის გარშემო, თვით იერუსალიმი და მისი შემოგარენი”.

ანტიოქიის ეკლესიის სიძლიერე ჯერ 325 წელს ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ შეზღუდა. შემდეგ 381 წელს კონსტანტინოპოლში გამართულმა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ იმპერიის აღმოსავლეთში მდებარე ეკლესიათა შორის კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს პირველი ადგილი მიაკუთვნა. პოლს, 451 წელს ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანატოლიმ (449-458) ანტიოქიის პატრიარქ მაქსიმედან (451-455) მიიღო აზიის ყველა ოლქი სკუტრიდან მალატიამდე. ამავდროულად კრებაზე მაქსიმე ანტიოქიელმა იერუსალიმის ეპისკოპოსს იუბენანს (422-458) პალესტინა დაუთმო (ე. ვოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-15).

ქალკედონის კრების დადგენილებებით, ანტიოქიის სამოციქულო ეკლესიის მრევლი, მართალია, საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ იმ დროისათვის ანტიოქიის ეკლესიას უკვე დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული. სხვა მრავალ ეკლესიათა შორის მის გავლენაში იყო ჩრდ. შუამდინარეთისა (ასურეთის, ცენტრი — ქ. ედესაში) და ქართლის ეკლესია. ქართლის ეკლესიის ასეთი მდგომარეობა კარგადაა სახსული ჯუანშერის ვახტანგ გორგასალის „ცხოვრებაში“. ჯუანშერის ცნობით, 468 წელს ირანიდან მომავალი ვახტანგი როცა მივიდა, „განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა“, კონსტანტინოპოლში იმპერატორთან, „... ნარაგლინა მოციქულ... პეტრესთვის კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა“. ჯუანშერისავე ცნობით, იმპერატორმა, თავის მხრივ, პეტრე და სამოელი ანტიოქიის პატრიარქთან გააგზავნა საკურთხეულად. პატრიარქს მისწერა: „ჰუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მავის წიღილსა საყდრისანი არიან, ვითარცა განანესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა“. წერილში „ყოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისავე“ იყო აღწერილი.

ვახტანგ გორგასალის დიდმა სახელმა და იმპერატორის შუამდგომლობამ იმ ხანად ვახტანგი უკვე საიმპერატორო იოჯახთან იყო დანათესავებული) შედეგი გამოიღო. 487/8 წელს ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე ფულიონმა პეტრე კაპადოკიელი ქართლის პირველ კათალიკოსად აკურთხა. ამ დროისათვის უძველესია, ქართლის ეკლესიას საკუთარი ქრისტიანული ლიტურგია ჰქონდა. სხვა მხრივ, გამოირჩეულია,

იმპერიის გარეთ უცხო ენაზე აღმსარებელი ეკლესიას ავტოკეფალია მოეპოვებინა.

ქართლში ქრისტიანობის განსარქვების შემდეგ, წმინდა ნიკენების ინტენსიური თარგმნა რომ დაიწყო, შემთხვევითი არ იყო. აკად. კ. კეკელიძის სიტყვით, ყოველ ქრისტიან ერს, რომელსაც თავის ენაზე სასულიერო მწერლობა ჰქონია, ეს მწერლობა „საღმრთო წერილის“ (ბიბლიის, ქართულად დაბადების) თარგმნით დაუწყია. ეს გამოწვეული იყო უფრო პრაქტიკული მოსახრებითა და საჭიროებით: საღმრთო წერილი შეადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს ლიტურგიულ პრაქტიკისას და უიმისოდ, განსაკუთრებით ძველად, როდესაც ღვთისმსახურებაში მიმწოგრავი ელემენტი ჯერ განვითარებული არ იყო, არავითარი წესის შესრულება არ შეიძლებოდა. ასე უნდა ყოფილიყო ჩვენშიც — საქართველოში, დასძენს კ. კეკელიძე (კ. კეკელიძე, ქართული ლიტურგირის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 41).

საღმრთო წერილი ადრევე რომ ითარგმნა ქართულად, კ. კეკელიძეს ამის დასტურად მიაჩნია პეტრე იბერის „ცხოვრების“ ის ცნობა, რომლის თანახმად, კონსტანტინოპოლში გამგზავრებამდე (423 წ.) პეტრემ რომ „დაისწავა ყოველივე სწავლა და გულის-ხმის ყოფით აღმოიკითხავენ წმიდათა წერილთა და ინურთის მათ დღე და ღამე“. ეს ცნობაც რომ უზარალო აგიოგრაფიულ შაბლონად და რიტორიკად ჩაეთვალით, განაგრძობს კ. კეკელიძე, მატიანეს ცნობაც რომ უყურადღებოდ დაეტოვოთ, ვითომც ვახტანგ გორგასალმა შეამყო მდიდრულად სახარება, რომელიც მეექვსე საუკუნეში ფარმან მეფემ მომღვიმის მონასტრის შესწირაო, იაკობ ცურტაველის თხზულება „მარტილობა მუშანიკისი“, ნათლად გვიმტკიცებს, რომ მეზუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულად უკვე არსებობდა ევანგელე (სახარება), პავლე მოციქულის ეპისტოლენი, საიდანაც იაკობს ციტატები მოჰყავს, და ასერგასი ფხალმუნისაგან შემდგარი დავითნი. მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ გვაქვს საბა განწმედლის ცნობა, რომ ქართველებს მის მონასტერში ნება ჰქონდათ თავის ენაზე სახარება-სამოციქულის და ფაშთა შედეგის, ანუ დავითნის კითხვისა. ამწარად, — ასკენის კ. კეკელიძე, — ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ უპირველესი და უძველესი ნაშთი ჩვენი მწერლობისა არის „საღმრთო წერილი“ (კ. კეკელიძის ამ თვალსაზრისის საისტორიო მწერლობაზე ვერ გაავრცელებთ), რასაც ურყველად ადასტურებს ახლახან ნაპოვნი პალიმფსესტები, რომელნიც ბიბლიურ

ტექსტებს შეიცავენ (კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 411-412).

IV-V სს. ქართლის სამეფოში ისეთი ძალ-ების აღზრდასა და მომზადებაში რომელთაც ხელენიფებოდათ იმ დიდი ეროვნული საქმის გადაჭრა, რასაც სირიულიდან ქართულ ენაზე წმინდა ნიკანოთარ-გმნა მოითხოვდა, ჩრდილოეთ შუამდინარეთთან საქართველოს კულტურულ კავშირებს უნდა შეეწყოს ხელი.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ჩრდილო-შუამდინარული კულტურის დიდმა აღმავლობამ ძირითადად განაპირობა ქ. ედესის (რომელიც II ს. შუახანისათვის ქრისტიანული იყო) რაიონში არამეული-კლასიკური სირიული ენის ჩამოყალიბება. ედესაშივე შეიქმნა კლასიკური ქრისტიანული ლიტერატურა. ასურულთა (სირიელთა) მიერ შექმნილი წმინდა ნიკანოთარის პირველი თარგმანები (საერთოდ, ქრისტიანული ლიტერატურა) კი ყველაზე ხელმისაწვდომი იყო IV-V სს-ების ქართველი საეკლესიო მოღვაწეებისათვის და აი, რატომ:

ასურულ ენაზე არსებულ ქრისტიანულ ლიტერატურას ქართველი საზოგადოებისათვის პირველ რიგში ხელმისაწვდომს შემდეგი გარემოება ხდოდა. როგორც კ. კეკელიძე წერს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ სწავლა-აღზრდა ჩვეუმი ჩრდ. შუამდინარეთის (ქ. ნისიბისის) სკოლის ყაიდაზე იყო აგებული (კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 80).

ჩრდ. შუამდინარეთის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ცენტრი ქ. ნისიბისი ქართველთა მონათესავე ხალხად მიჩნეული (ივ. ჯავახიშვილი, კ. ლემან-პაუპტი და სხვა) კარდუხების მიწა-წყალზე მდებარეობდა. 363 წელს ნისიბისს სასანიანთა ირანი დაეპატრონა და ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობა, მათ შორის, ადრექრისტიანული ეკლესიის ცნობილი მოღვაწე ეფრემ ასური (გარდ. 373 წ.), მეტად პოპულარული ძველ საქართველოში (ქ. წერეთელი), ქ. ედესაში გადასახლდა და იქ შექმნა ახალი სკოლა. ნისიბისის სკოლის ტრადიციებზე დაფუძნებულ სკოლებში „უმთარეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეგეტიკა — „ბიბლიური ტექსტების შესწავლა და ახსნა-განმარტება“ და პოპილეტიკა — „ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოდღერების წარმოება“ (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი. ქრისტიანულ აღმოსავლეთში ფართოდ იყო გავრცელებული „სახარების“ ტექსტის ეფრემ ასურისეული კომენტარები. იხ. ქართ. ენციკლოპედია, ტ. 4. ეფრემ ასური, ავტ. კ. წერეთელი).

ჩრდ. შუამდინარეთისადმი ქართველთა ინტერესს ამ მხარის ეკონომიკურად და კულტურულად დაინაწიურებად ქალაქები განაპირობებდა. ცნობილია (ს. მამალაძე, მცოდნის ნ. პიგულევსკაიას თანახმად, „ედესის ბაზრობებზე ხშირად ნახავდით ქართველებს იბერიიდან და ლაზიკიდან“ (ნ. პიგულევსკაია, სირიელთა კულტურა შუა საუკუნეებში, მ., 1979, გვ. 28, რუს. ენაზე) ალბათ, საქართველოდან ედესაში სავაჭროდ, სასწავლებლად თუ მუდმივ საცხოვრებლად ჩასულმა ფენამ შექმნა იქ ქართული კოლონია, რომლის შესახებაც ქვემოთ შევხება საუბარი.

ქ. ედესაში ქართული კოლონიის არსებობას ადასტურებს „ედესის ქრონიკის“ ცნობა 499 წელს „იბერიელთა აბანოსათვის სამი დღის განმავლობაში წყლის შეწყვეტის“ შესახებ (მ. ბროუს, საქ. ისტორია, ტ. I, 1849, გვ. 184, შენ. I. ფრანგ. ენაზე). იმუ სტილიტის ქრონიკა ამ ფაქტის მიზეზად მინისძვრას ასახელებს.

ქ. ედესაში რომ ქართველთა კოლონია, ქართველთა კუთვნილი სალოცავები და წმინდა ადგილები არ ყოფილიყო, და მათ ქართველებისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა, ვახტანგ გორგასალის დედა-დედოფალი საგდუხტი რვა წელი იქ არ დარჩებოდა (ჯუანშერი, გვ. 96).

სირიაში ქართველთა ყოფნის შესახებ საინტერესოა სემეონ მესევეტისა და მისი დედის, მართას, „ცხოვრებებში“ არსებული ცნობები. როგორც კ. კეკელიძე წერს, სემეონთან ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ქართველებს, რომელთაგან ბევრი იქვე, მის მონასტერში რჩებოდა საბერძნო-ზენო მოღვაწეობისათვის. მართას „ცხოვრებებიდან“ ჩანს, სემეონის მონასტერში ქართველები დიდ როლს რომ თამაშობდნენ (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88-89) (IV-V სს. ჩრდ. შუამდინარეთის მიმდებარე ტერიტორიაზე იქნებ ჯერ კიდევ არსებობდნენ ქართველურ ენაზე მოლაპარაკე ხალხები, რომელთა წარმომადგენლები ასევე ავსებდნენ ედესის ქართველური კოლონიის ცხოვრებას).

აღნიშნულის გარდა: ანდრია პირველნოდებულის „ედესე ქალაქზე“ გამოვლით აღქვანასა ქართლისასა“ მოსვლა, ადრექრისტიანული არქიტექტურის ცნობილ ძეგლში — ბოლნისის სიონში ძველი სირიული არქიტექტურის კვალი, 431 წლის ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მასალებში ნახსენები იერემია იბერიელის „დიდაქსე“ მთარგმნელ იერემია ურპაელად (ედესელად) მიჩნევა (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56), ასევე, პეტრე იბერის ურპაელად, ბოლო

იერუსალიმში მის მიერ დაარსებული მონასტრის „ურპაელთა მონასტრად“ დასახელება (თსუ შრომები, 59, თბ., 1955, გვ. 68-69), VI ს. 30-იან წლებში ეფესიდან ასურულ მამათა მოსვლა, და ბოლოს, ჯუანშერის მიერ შუამდინარეთის ნახევრის (ე.ა. ჩრდ. შუამდინარეთის) ქართლის მეფეთა კუთვნილებად მიჩნევა (ჯუანშერი, გვ. 182), ამ მხრივ ბევრის შეტყვევლია. ნისიბისი ჯუანშერთან რომელინისტური სახელით — „ანტიოქიად“ იხსენიება, იმაზე მიგვიითიუებს, V ს. ქართლში ჯერ კიდევ რომ ცოცხლობდა ელინისტური ხანის კულტურული ტრადიციები.

ედესის ქართველური კოლონიის წევრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვაჭრობითა და განათლების მიღებით არ იქნებოდნენ დაკავებულნი. იერემია ურპაელის მიერ „დდაჰეს“ თარგმნა იმის მიჩვენებულია, ედესის ქართული კოლონიის წევრები მთარგმნელობით საქმიანობასც რომ ეწეოდნენ. მთარგმნელობითი საქმიანობა V ს. ქართლშიც მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო. ქართულად ნათარგმნი წმინდა წიგნები რადგან საქირო იყო იმ დროის განათლების სისტემაში, საეკლესიო ღვთისმსახურებაში, საერთოდ, ქართლის სამეფოს მოსახლეობისათვის, ცხადია, ამ საქმეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

IV-V სს. ქართლში სწავლა-აღზრდა რომ ნისიბისის სკოლის ყაიდაზე უნდა ყოფილიყო აგებული, სკოლებში ასურულ-სირიული კულტურული სული ტრიალებდა, ქრისტიანული ლიტურატიურის თარგმნა სირიულიდან ხდებოდა, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ უცხოენოვანი ტექსტიდან გადმოღებული მასალის აღმნიშვნელად ქართულ ლექსიკაში ასირიულ-სირიული სიტყვის „თარგმანის“ დამკვიდრება. ეს ფაქტი იქნებ იმაზე მიგვიითიუებს როგორც საქართველოში, ისე ედესაში, მთარგმნელობითი სკოლები რომ არსებობდა? (იმ დროის ქართლში გარდა იმისა, რომ არამეული კულტურის ტრადიციები იყო შემონახული, ასურელებიც საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ). დასმული საკითხის შესახებ მეტად საინტერესოა პროფ. კ. დანელიას მოსაზრება. 1978 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანების ისტორიიდან“, ქართული ბიბლიის უცხოენოვანი ნყაროების დაქვემდებარება დაკავშირებით იცა წერდა: „ჩვენთვის დღემდე დაფარულია და საიდუმლო, თუ ვინ იყვნენ ბიბლიის ქართულ ენაზე პირველად მთარგმნენი, რომელი უცხოენოვანი რედაქციით სარგებლობდნენ ისინი, ან როდის უნდა

შესრულებულიყო ასეთი უზარმაზარი საქმე ელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოთა შემდეგ კ. დანელია იქვე დასძენს: „ქართულ ენაზე ბიბლიის პირველ მთარგმნელთა სახელების მოუხსენებლობას ქრისტიანულ მოკრძალებასთან ერთად, შესაძლოა, იხივ განსაზღვრავდა, რომ ამ საქმის შემსრულებელი ერთი ან ორი კაცი კი არა, მთელი კომისია უნდა ყოფილიყო“ (კ. დანელია, რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან, თსუ შრომები, არქეოლ., კლასიკ. ფილოლოგია, ბიზანტიტიკა, თბ., 1978, გვ. 111).

კ. დანელია, სარწმუნოდ თვლიდა აკად. ა. შანიძის მიერ არაერთგზის გამოთქმულ ვარაუდს, რომ ბიბლიური წიგნების შემცველ X ს. ხელნაწერებში არსებითად V ს. ქართული თარგმანებია მოღწეული და თუ მთელი ბიბლიისა არა, ზოგიერთი მისი წიგნის (სახარებები, სამოციქულო, ფსალმუნნი) ქართულ ენაზე თარგმანი IV ს. 40-იანი წლებიდან V ს. 60-იან წლებამდე უნდა შესრულებულიყო (კ. დანელია, იქვე, გვ. 115).

ფართო მუშაობამ, რომელიც უკანასკნელ დროს გაიმალა ჩვენს ცალკეული ბიბლიური წიგნების ნარწმუნაველობის გარკვევის მიზნით, ქართული ბიბლიის უძველესი თარგმანების ნარწმუნაველობის საკითხი მყარ ნიადაგზე დააყენა. როგორც ჩანს, მართალი იყო ინგლისელი ქართველოლოგი ფ. კონიბერი, ქართული ბიბლიის უძველესი თარგმანები სირიულიდან მომდინარეულ რომ მიიზნდა. იერემიას ნინასნარმეტყველების“ ძველ ქართულ ვერსიათა ბერძნულ სექტანტასთან შედარების საფუძველზე კ. დანელიამ დაასკვნა, რომ ქართული თარგმანის პირველი ნყარო ბერძნული ტექსტი არ უნდა ყოფილიყო. ტექსტში თავებისა და მუხლების სათვალავი მასორეტულს მისდევს. კ. დანელიას ანალოგიური სამუშაო ჩატარებული აქვს პავლეს ეპისტოლეთა ძველ ქართულ რედაქციებზე და მათი თარგმნა IV-V საუკუნეებით ივარაუდა (კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ძვ. ქართ. რედაქციები, „მაცნე“, ენის... სერია, 1976 წ. №3, გვ. 73).

აღმოსავლური ნარწმუნაველობისადაა მიჩნეული ყოველდღიურ საეკლესიო ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელი ისეთი ლიტურგიკული ძეგლი, როგორიცაა „ფაშნი“ (ე. კახარბიშვილი). თ. ციციტიშვილმა ებუტიელის წიგნის ქართულ ვერსიებში „აღმოსავლური ნყაროების კვალი“ დაადასტურა. და ბოლოს: ბიბლიის ისეთი ხელნაწერები, როგორებიც არიან იერუსალიმური, ათონური, მცხეთური, მოსკოვური და ჯანაშელიისეული, აკად. კ. კეკელიძემ „უმეტეს



შემთხვევაში აღმოსავლური წყაროებიდან მომდინარედ მიიჩნია* (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 419). ზემომოტანილი მასალის საფუძველზე კი აღმოსავლურ წყაროებზე* ძირითადად სირიული (ნაწილობრივ ებრაული) შეიძლება იქნას მიჩნეული.

იმთავითვე თუ რომელი ვნიდან ითარგმნა წმინდა წიგნები, ამ მეტად რთული ბიბლიოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად, როგორც კ. დანელია მოითხოვდა, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო IV-V სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა და მართლაც, როგორც ვნახეთ, ამ მხრივ წარმოებულმა კვლევამ აშკარად გამოკვეთა ძველი საქართველოს კულტურულ-ეფოლოგიური კავშირები ასურულ-სირიულ სამყაროსთან.

ძვ.წ. IV-III ს-დან ქართლში იმდენად დიდი იყო არამეული (არამეულთა შორის ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დამკვიდრდა ბერძნების მიერ მათთვის შერქმეული საბუნდოდება „სურაი“ — სირიელები) კულტურის გავლენა, რომ ქართლში შეიქმნა არამეული ანბანის სახესხვაობა — არამაზული არამეული. ალბათ, იყო საშინოოება ქართული ანბანის ადგილი მას დაეკავებინა (მზგავსი მაგალითი ისტორიამ იცის. ალ. მაკედონელის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ხალხმა ეგვიპტური ენაც და ანბანიც დაიწყო. როცა ეგვიპტეში ქრისტიანობამ გაიმარჯვა, მღვდელმსახურებამო კვლავ აღდგა კობტური ენა, მაგრამ კობტური და მწერლობისათვის ეგვიპტური ანბანი კი არა, ბერძნული იქნა გამოყენებული. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 250). მაგრამ ფარნავაზის წინა ხანაში შექმნილმა ქართულმა ანბანმა (რ. პატარიძე, ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989, გვ. 18), მიუხედავად იმისა, რომ ისიც არამეულიდან იღებდა სათავეს (ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 234; შდრ. გ. ნერეთელი, არამეული დამწერლობა, ქართ. ენციკლოპედია, ტ. I), მეფე მირიანის ღონისძიებათა შედეგად აღორძინება დაიწყო. სავარაუდებელი ერთია, ფარნავაზის წინა ხანაში შექმნილი ქართული ანბანი, ბერძნული მარტივი ანბანის ძლიერი გავლენის გამო, უფრო დახვეწილი და ჩვენი წინაპრებისათვის მისაღები იყო, ვიდრე არამაზული არამეული. ასე რომ, ამ ცდებმა „მატიანე შემეცნებათში“ „ერთსა სიავისაგან სასწაულებრივ გადარჩენილი ცნობა“ — „არა უნიგნონი იყვნენ ქართველნი უნიარესთა ერთსა მინა, ვიდრე ფარნავაზამდე“ — (რ. პატარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ქართლის ეკლესი-

აზე სირიული ეკლესიის ზემოქმედების დამყარებით, ქართულ კულტურა და სასულიერო მწერლობა რბილად ეკლესიურადაა, ისევე ასურულ-სირიული განათლების სისტემით ეხელმძღვანელა და წმინდა წიგნები ასურულ-სირიულიდან ეთარგმნა.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში საერთოდ სირიული კულტურა დომინირებდა. ზემოდასახელებულმა ეფრემ ასურმა ბერძნული არ იცოდა, ხოლო ბერძნულის მცოდნე ზოგი საკლესიო სიღრნველ ურთიერთობის უფრო შექვეყნულ სირიულ ენაზე საუბრობდა (ა. რუდაკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47). ასევე შემთხვევითი არ იყო პეტრე იბერის „კხოვერვა“ ასურულ ენაზე რომ შეიქმნა.

ედესიდან ქართლში „ასურელ მამათა“ მოსვლის შემდეგ, ედესის ქართული კოლონიის შესახებ ცოტა რამ ვიცით. 544 წელს ედესის დაცემა ირანელებისაგან ქართველი უფლისწული პერანი ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, მისი დახმარებით დაეუფლა იოანე ხელაზნელის ერთ-ერთი მოწაფე ანტიოქი სულთქმულ ზატის და იგი ქართლში ჩამოიტანა. ანტიოქ მარტოველმა ასურელ მამათაგან ყველაზე ბოლოს დატოვა ედესა.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება ასე შევაჯამოთ:

ადრეკრიტიანული ქართული კულტურის ფესვები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. მას საფუძველად უდევს: ერთი მხრივ, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XII ს-ში შექმნილი დიოპხისა და კოლხის გავრთიანებებიდან მომდინარე კულტურული ტრადიციები, მეორე მხრივ, ძვ.წ. 676 წელს ქართლში სახელმწიფოებრიობის დიდი ტრადიციების მქონე მუშკ/მესხების მიერ შემოტანილი კულტურა.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ ორიგინალურ ქართულ კულტურას არანაკლებ ასაზრდოებდა, ჩრდ. შუამდინარეთში (თითქმის ასევე ძველ ქართველურ სამყაროში) შექმნილი, ძვ.წ. VI-I საუკუნეებისათვის საერთაშორისო მნიშვნელობის არამეული კულტურა, რომელიც ელინისტური ხანის ქართლში განსაკუთრებით დანინაურდა.

ანტიკურ ხანაში, ფარსმან I-სა და ფარსმან II-ის ზეობისას მოპოვებულმა დიდმა პოლიტიკურმა სიძლიერემ, ქართველთა ეროვნული თვითშეგნება გააღვიძა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, რაც მთავარია, მეფე მირიანის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შედეგად, კვლავ აღორძინებულმა ქა-



როდესაც კულტურამ სძლია არამეულს — ქართლის სამეფოში კულტურული აღმავლობა დაიწყო.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (318 წ.) შემდეგ, ქართლის ეკლესიაზე ანტიოქიის (სირიის) ეკლესიის ზემდგომობის დამყარებამ ქართული კულტურა კვლავ ასურულ-სირიულ სამყაროს დაუკავშირა. ასე დარჩა ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებამდე.

აზლა რაც შეეხება IV-V საუკუნეებში სირიულ-ასურულიდან ქართულად თარგმნილი ბიბლიის ნიგნების შემდგომ საუკუნეებში ბერძნული სეპტანტის მიხედვით გამართვას, ეს შემდგომი უნდა აიხსნას. სანამ ქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, სირიულიდან თარგმნილი ქართული ბიბლიის ტექსტებისათვის, ალბათ, პრობლემა არ არსებობდა. მას შემდეგ კი, რაც ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა, იგი თანდათან ჩამოშორდა სირიულ-ასურული კულტურის სამყაროს.

ამ პროცესს ზედ დაერთო ტექსტურული გამარჯვება. ამ დროს, უნდა აღვნიშნავთ, რომ ქვეყნიდან, — მოხდა „გადაფასება რელიგიური-კულტურული ნარსულისა“, მოიშალა „ყოველგვარი კვალი აღმოსავლური იდეოლოგიისა და ნიადაგი მოუშადა ორთოდოქსალურ ბიზანტინიზმს“. ამის შემდეგ იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ საეპარქიოებში მოღვაწე ქართველთა ნიხამე დღის წესრიგში დადგა ქართულ ენაზე ადრე სირიულიდან ნათარგმნი ნიგნები, ახალი დროის მოთხოვნის შესაბამისად, ბერძნული რედაქციის მიხედვით გაემართათ. რაშიც დიდი გულმოდგინებით იღვანეს ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებმა.

რადგან სირიულ დამწერლობას ხმოვნები არ უქონდა, საღმრთო წერილის ნიგნების ნანაკითხის სისწორის შემოწმების აზრი VI-VII სს.-ში თვით ასურებსაც დაებადათ. ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, სირიულიდან ქართულად ნათარგმნი ლიტერატურის ბერძნულის მიხედვით შესწორებისა.



„ვეფხისტყაოსანი“ და სასულიერო საზოგადოება

რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ პირველ ცნობებს გვანვლიან ენ. ალორძინების ხანის მწერლები. ისინი თავიანთი ნაწარმოებების შესავალში სთხოვენ რუსთაველს ლექსის თქმის ნებას, რუსთაველის პოეტური სიტყვის გვერდით, თავის თავს იწუნებენ და დაასკნიან, რომ „რუსთველი ლექსის მეფეა“ (ვახტანგ VI), რომლის მიმართ თვით დავით გურამიშვილაც კი მოწინებით შენიშნავს: „მე რუსთველსა ლექსს ავ უდრი, ვით მარგალიტს-ჩაღის ძირსა“.

„ვეფხისტყაოსანმა“ უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომი ხანის მწერლობაზე – დაკანონდა რუსთველური ლექსი, მისაბაძი შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი, პერსონაჟთა საქციელი. რუსთაველის შაირს იყენებენ სასულიერო მწერლობის წარმომადგენლებიც. პირველი მწერალი, რომელსაც რუსთველური შაირის დანერგვა უცდია სასულიერო მწერლობაში, არის მე-17 საუკუნის მოღვაწე სვიმეონ დეკანოზი შოთას ძე, რომელსაც ეკუთვნის რუსთველური შაირით დაწერილი ოცდახუთსტრიქოფიანი ოდა „სადეგარის წმინდა გიორგის ქება“.

სადავოა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება სასულიერო წრის წარმომადგენლების მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ დენისა და განადგურების შესახებ. „ვეფხისტყაოსნის“ მდევნელ წმინდა მამათა შორის ზ. ჭიჭინაძე, პირველი რიგში ასახელებს რუსთაველის თანამედროვე კათალიკოს იოანეს. ზ. ჭიჭინაძე მოუთითებს არსენ ბერის ისტორიაზე, საიდანაც თითქმის უნდა მომდინარეობდეს ეს ცნობა. საქმე ისაა, რომ არსენ ბერი თამარის დროის შესახებ ზუსტ ცნობას ვერ მოგვანდობდა, რადგან იგი არ არის თამარის თანამედროვე, არამედ დავით აღმაშენებლისა და დემეტრეს თანამედროვეა.

სასულიერო საზოგადოების მხრიდან, „ვეფხისტყაოსნის“ დენაზე მოუთითებენ სხვა მკვლევარებიც: ალ. ხახანაშვილი, პ. ინგოროვეა, ი. ვართაგავა, ი. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ა. ბარამიძე, ტ. რუხაძე, დ. ჯანელიძე... ზოგი მკვლევარი (ტ. რუხაძე, დ. ჯანელიძე) ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ებრძოდნენ როგორც ანტიქრისტიანულ ნაწარმოებს, რომელიც ქადაგებდა მწვალებელურ აზრებს.

სასულიერო წრის მტრული რეაქციით ხსნიან პოემის ადრინდელ ხელნაწერთა

მოუღწევლობას. ეს მოსაზრება არ არის სწორი. სასულიერო წრის მხრიდან არავითარი მტრული რეაქცია არ განუცდია კლასიკური ხანის ძეგლებს „თამარისა“ და „აბდულმუსიანს“, მაგრამ ამ ძეგლებმა ჩვენამდე უმთავრესად მე-18-19 საუკუნეთა ხელნაწერებით მოაღწიეს; „ვისრამიანისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერიც მხოლოდ მე-17 საუკუნიდან გვაქვს. საერო მწერლობის მთელმა რიგმა ძეგლებმა საერთოდ ვერ მოაღწია ჩვენამდე, მაშინ, როდესაც მრავლად შემონახულია სასულიერო ძეგლების ძველი ხელნაწერები. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სასულიერო მწერლობის ძეგლები საქართველოს შიგნით თუ გარეთ ინახებოდა საეკლესიო დანესებულებათა ნივსაცავებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაცული იყო შინაური არეუ-დარევისა და გაუთავებელი საგარეო ომებისგან. საერო მწერლობის ძეგლებს კი ფართოდ ეწაფებოდა საზოგადოება და, ალბათ, მრავლად იღუპებოდა შინაური აშლილობის თუ საგარეო ომების დროს. კლასიკური ხანის ნაწარმოებებთან ერთად დაიკარგა თითქმის ყველაფერი ის, რაც შექმნა XIII-XV საუკუნეების ქართულმა მწერლობამ. საერო მწერლობის ძეგლთა ძველი ხელნაწერების განადგურებას, ჩანს, ხელს უწყობდა ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი საერო მწერლობისადმი. საერო მწერლობის ძეგლები და მათ შორის ყველაზე მეტად „ვეფხისტყაოსანი“ ხელიდან ხელში გადადიოდა, ინერებოდა და, რასაკვირველია, ძველი დედნები ცვდებოდა და იკარგებოდა. საზოგადოება მეტი ინტერესს იჩენდა აბალი, სუფთად გადართული ცალკე სადმო. ამას კი შედეგად ძველი დედნების განადგურება მოჰყვა და ჩვენამდე შედარებით გვიანდელმა ხელნაწერებმა მოაღწია. ყოველივე ამის გამო, „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერთა მოუღწევლობა ვერ აიხსნება მისი ავტორისადმი კლერკალური რეაქციით.

სადავოა სასულიერო წრის წარმომადგენელთაგან „ვეფხისტყაოსნის“ დევნასა და ფიზიკურ განადგურებაზე ლაპარაკი, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ალორძინების ხანაში სასულიერო მწერლობა დაუპირისპირდა „ვეფხისტყაოსანს“, როგორც საერო მწერლობის ძეგლს.

საერო მწერლობა სასულიერო მწერლობის წიაღში ჩაისახა, მაგრამ მე-11 საუკუნიდან ეს ორი სტილი ამკარად ერთმანეთს ვერ



გვება. მე-11 საუკუნეში შემოსულ ერთ ძეგ-
ლში (ადაბადებისათვის ცისა და ქვეყნისა)
საერო პოეზია, როგორც მუსიკოსების ერთ-
ერთი დარგი, ცოფდა, სიძვა-მრუშობად და
ლეთის მცენების გარდახდომად და გამოც-
ხადებული (კ. კეკელიძე). ეს თეორია მიმართუ-
ლია უმთავრესად სატრფიალო-სამიჯნურო
პოეზიის წინააღმდეგ. ჩანს, ასეთი აზრების
გავრცელებამ დასაბამი მისცა იმ შეხედულე-
ბას, რომლის მიხედვითაც სატრფიალო-
სამიჯნურო პოეზია აღიარებულია „სპარსთა
ზღაპრობად და გოგობიჭობად“.

საეკლესიო და საერო მწერლობის დაპირ-
ისპირება თანდათან უფრო მძაფრდება.
აღორძინების ხანის მწერლები ბოდიშს
იხდიან საერო ნაწარმოებთა შექმნის გამო.
ისინი (არჩილი, თეიმურაზ X, ოსანა მდივანი)
თეორიულად სასულიერო მწერლობას ანი-
ჭებენ უპირატესობას, თავად კი საერო თემ-
ებს მიმართავენ. ამ პერიოდის მძიმე
პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულ გა-
ნცდებს სედეის უკუმყრელი, სოფლის
მიდმოდებანი უფრო გვუბობდა. მკითხველი
საზოგადოების საერო მწერლობის ძეგლე-
ბით დაინტერესებას ადასტურებს კათოლიკე
მისიონერი პატრი ბერნარდი.

საერო და სასულიერო ტენდენციათა დაპირ-
ისპირება, ბუნებრივია, საერო მწერლობის
ძეგლებთან მიმართებაშიც გამოვლინდებოდა.
„ვეფხისტყაოსანი“ საერო ნაწარმოები იყო და
აღორძინების ხანამიც მას საეროდ თვლიან.
რუსთაველის პუმანიტურ მსოფლმხედველე-
ობას ამქვეყნიური ცხოვრების გაიფანტებას,
სიყვარულისა და მეგობრობის უკედავ საგა-
ღებლს, ბუნებრივია, გამოეწვია პოლემიკა საე-
კლესიო იდეოლოგიის წარმომადგენელთა
მხრივ. ეს პოლემიკა, არ გასცილებია
თეორიული ბჭობის ფარგლებს, მიუხედავად
ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმ-
ულია მოსაზრება, რომ პოემას დევნიდნენ და
ფიზიკურადაც იქნა განადგურებული (დანჯეს
თუ მტკვარში ჩაყარეს).

სასულიერო საზოგადოების მხრივ
პოემისადმი ბრძოლის ფაქტად ასახელებენ
ერთ წანართ სტროფს, რომლითაც იწყება
პოემის უძველესი და უკეთესი ხელნაწერები:

**პირველ თავი დასაწყისი, ნათქვამია ივ
სპარსულად,
უხმობო კუფხისტყაოსნობით, არსა შეიქმს
ზორეს არ სულად,
საერო, არ ახუნებს სამებას ერთ-არსულად,
თუ უყურა მონაზონან, შეიქმნების გაპარსულად.**

მეოთხე სტრიქონს აქვს მეორე ვარიანტი —

**არას გვარგებს საუკუნოს რა დღე იქნას
აღსარულად.**

ეს სტროფი სამეცნიერო ლიტერატურა-
ში მიჩნეულია მკითხველი სატრფიალო-
მადრთხილებელ, ცილისმწამებლურ მხედველ-
ებად. ნამდვილად კი ამ სტროფის ავტორი
განზილავს „ვეფხისტყაოსანს“, მითითებს
მის საერო ხასიათზე და თავისი წრის წარმო-
მადგენლებს აფრთხილებს, რომ პოემის
იდეების მიბაძვა ზიანს მოუტანს მათ სულიერ
ცხოვრებაში. თუ მონაზონი „ვეფხისტყაოსან-
ს“ მიბაძავს, ის მონაზონი ვეღარ იქნება.
მეორე ვარიანტით პოემა საიქიო ცხოვრება-
ში არ გამოგადგება.

მართლაც, „ვეფხისტყაოსანში“ გაიდ-
ელებული ამქვეყნიური ცხოვრება, პოემაში
დახატული სამყარო, შემკული „უთვალაუვი
ფერთა“, რუსთაველის სიმღერა — ეს უკედა-
ვი პიში ამქვეყნიური, მინერი სიყვარუ-
ლისა, ქალის კულტის იდეალი — შეუფერებ-
ლად აქცევდა მას ბერ-მონაზონისათვის.
ყოველივე ზემოთქმულის გაზიარება
მონაზონური დოგმების დარღვევას გამოიწ-
ვევდა. საეკლესიო იდეოლოგიის მხრივ „ვეფ-
ხისტყაოსანი“ კრიტიკას იმსახურებს,
როგორც სამიჯნურო ნაწარმოები. ამრიგად,
პოემის კრიტიკა ეხება ზნეობრივ-მორალურ
მხარეს. ეს დამაჯერებელია, თუ იმასაც გაეი-
თვალისწინებთ, რომ ეკლესია უპირველესად,
ასევეტური ცხოვრების ამ მხრის დათრგუ-
ნეას მოითხოვდა.

ამრიგად, საანალიზო სტროფი წარმოად-
გენს „ვეფხისტყაოსნის“ პირველ კრიტიკულ
შეფასებას, რომლითაც სასულიერო საზო-
გადოება აფრთხილებს თავის წრეს, რომ „ვე-
ფხისტყაოსანი“ სულიერ ცხოვრებაში არ გამო-
გადგება. ქართულ ლიტერატურათმცოდ-
ნეობაში „ვეფხისტყაოსნის“ ზელისმყოფლად
დასახელებულია დომენტკა კათალიკოსი, და
განსაკუთრებით ანტონ I.

თუ „ვეფხისტყაოსნის“ განადგურების
ფაქტი მართალია, ეს შეეხება ვახტანგისეულ
გამოცემას, რისი საფუძველიც უნდა გამზ-
დარიყო ვახტანგის კომენტარებში პოემის
საღმრთოდ გამოცხადება.

დომენტის ვერ მივიწვევთ „ვეფხისტყა-
ოსნის“ ზელისმყოფლად, თუნდაც იმ
მიზეზით, რომ ის იყო ვახტანგის ძმა და მას
შეეძლო წიგნის ბეჭდურად გამოქვეყნებამდე
გაეფრთხილებინა ვახტანგი.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში
გარკვეული პერიოდის მანძილზე განმტკი-
ცებული იყო აზრი, რომ ანტონ კათალიკოსი
იყო „ვეფხისტყაოსნის“ მტერი და მისი
ფიზიკური განადგურების ინიციატორი (პლ.
იოსელიანი, ე. სტალინსკი, ნ. ბერძენოვი, დ.
ბაქრაძე, თ. ფორდანია, ზ. ჭიჭინაძე).

ანტონ კათალიკოსი არასოდეს ყოფილა
საერო მწერლობის მტერი, პირიქით — თავის
„წყობილხატყვაობაში“ საერო მწერლებსაც

ასახელებს. რუსთაველიადმი მიძღვნილი ამ ბიკომში ანტონი რუსთაველს აცხადებს ბრძნად, ფილოსოფოსად, აღიარებს მის დიდ ნიჭს და გაოცებულია მისი მეღვქეობით:

**შოთა ბრძენ იყო, ხაბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი ხპარხთა ენის,
თუ რამ სწაღოდა ღვთისმეტყველიცა მალად,
უცხო, საყვირველ პიიტკოს მესტიხე,
მაგრამ ამაოდ დაშურა, ხაწუნ არს ესე.**

ამ იამბიკომში ანტონი მალაღ შეფასებას აძლევს რუსთაველს, თუმცა აღნიშნავს ამაოდ დაშურაო. ანტონი ამაოდ დაშურაო-მაზე მიუთითებს იმდენად, რამდენადაც რუსთაველის თემატიკა არ არის საღვთისმეტყველო და განათლებულ კათოლიკოსს არ შეუძლია „უცხო, საყვირველ, პიიტკოს, მესტიხე“ საყვედური არ უთხრას საერთო თემატიკით გატაცებისათვის, რომელიც, რომ სდომებოდა, იქნებოდა „ღვთისმეტყველიცა მალად“.

ანტონის სიტყვები შოთას ამაოდ დაშურაო-მაზე „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკას, მის სხვა ხასიათს შეეხება. ეს სიტყვები ქართული ეკლესიის საქციემპყრობელის მერ გაღებული ხარკია იმ იდეოლოგიის წინაშე, რომელსაც ის ემსახურებოდა. ეს მითუმეტეს საგულეებელია, რამდენადაც ანტონის მალაღ აზრი რუსთაველზე „წყობილსიტყვაობის“ სხვა ადგილებიდანაც ჩანს. „საქებულ პიიტკოსს“ სარგის თმოგველს რუსთაველს ადარებს. შოთას იმონშებს იოანე შავთელის შეფასებისადაც. „ღრამატიკაში“ მაგალითად მოუტანია „უნება მას გალობად შაირნი შოთასნი“.

ანტონის იამბიკო არ იძლევა საფუძველს, რომ მის ავტორს „ვეფხისტყაოსნის“ დევნა და მეტიც – პოემის ფიზიკური განადგურების ფაქტი მიეანეროთ. თუ ეს ფაქტი საერთოდ მოხდა, შეეხებოდა ვახტანგის გამოცემას. მითუმეტეს, ვერ დავნამთბ ანტონის ვახტანგის ეპიკური გამოცემის ხელყოფას თუნდაც იმიტომ, რომ იგი „წყობილსიტყვაობაში“ ვახტანგის პოეზიას მალაღ შეფასებას აძლევს და მცირედენ საყვედურსაც კი არ გამოთქვამს ვახტანგის კომენტარების მიმართ.

სასულიერო საზოგადოების მხრივ ყველაზე რეაქციული შეხედულებას რუსთაველსა და მის პოემაზე გამოუთქვამს ტიმოთე გაბაშვილს თავის „მიმოსვლაში“. იქ, სადაც რუსთაველს ახსენებს, ამიაზე მიუწერია:

„ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა“.
აქვე აკრიტიკებს ვახტანგსაც: „უმიცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“.

ცნობილია, რომ ვახტანგმა „წმინდა სამების სადიდებლად“ დაარსებულ სტამბაში ერთადერთი საერო ხასიათის წიგნი – „ვეფ-

ხისტყაოსანი“ დაბეჭდა და კომენტარებში მიუთითა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობაში საღვთო მაცნურებია უნდა დავინახოთო. სწორედ ამ კომენტარებმა აღამფოთა სასულიერო საზოგადოება. ტიმოთე გაბაშვილის კრიტიკაც პოემის ზნეობრივ-მორალურ მხარეს ეხება. მას შოთა არაქროსტიანად და მწვალებლად არგამოუცხადებია და ვერც გამოაცხადებია, რადგან ჯერის მონასტერში თავისი თვალთ ნახა რუსთაველის სურათი და შოთას თვითონვე ასახელებს ჯერის მონასტრის საუკეთესო მოღვაწეთა შორის.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ აკრძალვასა და მისი ფიზიკურად განადგურების ფაქტს – ეს ბრალდება ანტონს პირველად ნაუყენა პლატონ იოსელიანმა, თუმცა იგი იმ ცნობასაც გვანდებს, რომ ანტონს უყვარდა „ვეფხისტყაოსანი“, რაც იცის მისი თანამედროვეებისაგან.

საიდან ვაწინაა მისი აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ფიზიკური განადგურებისა, კერძოდ, დანვის თაობაზე?

ამ კითხვის პასუხად საყურადღებო მითობა დაუტყდა 1841ლის გამოცემის საგამომცემლო პროგრამის ტექსტს, რომელშიც ნათქვამია, რომ ვახტანგისეული გამოცემის ეგზემპლარები დაიწვა 1795 წელს ალა მამამად ხანის შემოსევისას.

ამრიგად, თუ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული ცალკე განადგურდა, ამის მიზეზია საქართველოს მტერი და არა სასულიერო საზოგადოება. სასულიერო საზოგადოებას, რუსთაველისა და მისი პოემისადმი ბრძოლა რომ ეწარმოებინა, XVIII საუკუნის საეკლესიო აზროვნების მეთაური და იდეური ხელმძღვანელი უარყოფით შეფასებას რომ აძლევდეს პოემას და მის ფიზიკურ განადგურებასაც არ ურადებოდა, საეკლესიო საზოგადოების წარმომადგენლები „ვეფხისტყაოსნის“ უანგარო სამსახურს როგორღა გაბედავენ?

და ბოლოს, ცნობილია, რომ არაერთ საეკლესიო პირს გადაუნერია „ვეფხისტყაოსანი“ XVIII-XIX საუკუნეებში (მაგ. იეროდია კონნიკოლოზს, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს), იოსებ თბილელს ზომ პოემის გაგრძელებანიც კი დაუნერია. რუსთაველი შაირით დაუნერია და თუნა ქეარბანს „წმინდა გიორგის ცხოვრება“ სასულიერო საზოგადოების „ვეფხისტყაოსნის“ დევნისა და განადგურების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს სასულიერო მწერლობის ძეგლებზე (ბერთას სახარება, სადღესასწაულო) და ეანის ქებათა მონასტრის კედლებზე წარწერილი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები.

დიდ შეფასებას აძლევს რუსთაველს, არჩილის სიტყვით, „ხუტურის ენით მეღვქე იაკობ დუმბაძე სამეხელი შემოქმედელი (შე-



17 ს.). მღვდელი იესე ტლაშიძე ახასიათებს რუსთაველს, როგორც რიტორს, ენატყობილს და შაქრიან მელექსეს და ჰგმობს იმ ეპიგონობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ენ. აღორძინების ხანაში.

**რიტორ რუსთველო, კარგ გამოხტქმელო,
ენა ტყბილო და შაქრიანო,
აემა მოქმელებმა, ქურდმა მელეგმა ლექსი
მრავალი მოგპარიანო.
(„კათალიკოს-შაქრიანი“)**

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ საეკლესიო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლის იონა ხელაშვილის მიერ რუსთველი და მისი პოემა შეფასებულია, როგორც „ზნეთსნაულულება“. ეს ცნობა განსაკუთრებით ფასს იძენს, რამდენადაც დღეს უკვე დადგენილია, რომ იონა ხელაშვილი თვით ანედიდა მასალებს იოანე ბატონიშვილს თავისი პირადი ცხოვრებიდან.

ამრიგად, ჩვენამდე მოღწეული ცნობების საფუძველზე არ მტკიცდება, რომ სასულიერო საზოგადოება სდევნიდა „ვეფხისტყაოსანს“ და ფიზიკურადაც ანადგურებდა მას. ის იდეური პოლემიკა, რომელსაც სასულიერო საზოგადოების ზოგი წარმომადგენელი აწარმოებდა „ვეფხისტყაოსნის“

მიმართ, საერო და სასულიერო იდეოლოგიის დაპირისპირების ანარქულმა დასასრულმა „სტყაოსნის“ წინააღმდეგე ბრძოლაში დასდევნის ხასიათი არ მიუღია; არც პოემის ფიზიკური განადგურების ფაქტი მტკიცდება დოკუმენტურად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ფაქტი ანტონს შიანერეს შურითა და მტრობით, მისდამი შურსა და მტრობას ანტონი თვითონაც აღნიშნავს „თთუნის“ წინასიტყვაობაში.

აღორძინების ხანაში „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ იდეური პოლემიკა დადასტურებულია საერო მწერლობის წარმომადგენელთა მხრივაც. ამდენად, რუსთაველთან პოლემიკას ორივე იდეოლოგია (საერო, სასულიერო) აწარმოებდა და ამ პოლემიკის საფუძველზე ვერ ვიტყვი, რომ პოემამ განიცადა დევნა. პირიქით – რუსთაველის ცხოველყოფელი პოეზია, მისი ჰუმანისტური მსოფლმხედველობა გახდა ქართველი ხალხის მანუგეშებელი დუხჭირი ეპოქების მანძილზე. რუსთაველის იდეები აიმედებდა და ახალისებდა ქართველ ხალხს. რუსთაველს შეეძლო ეთქვა და კიდევ ათქმევინებს არჩილი:

**„საქართველო ხვევ არის, ზეპი წიფნი
ვევლგან გაჰქვხს!“.**



ფენომეოლოგია და არაცნობიერი

1. რა არის არაცნობიერი?

ფროიდის მოძღვრების ფილოსოფიურ ინტერპრეტაციაში არსებობს თვალსაზრისი კანტისა და ფროიდის ანალოგიის შესახებ.¹ ანალოგია გულისხმობს, რომ თუ კანტის მიხედვით, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი სამყარო არის ე.წ. „საგანი თავის თავში“ და არ შეიძლება მისი გაიგივება ცნობიერებისათვის მოცემულ რეალობასთან, ფროიდის მიხედვით არაცნობიერის სფეროც თავისთავადი სამყაროა და არ შეიძლება მისი დაკავშირება ცნობიერების შინაგან რეალობასთან. არაცნობიერი არ არის ის, რაც იყო ან შეიძლება ცნობიერი გახდეს. არსებითი განსხვავება ცნობიერსა და არაცნობიერს შორის, ისევე, როგორც განსხვავება კანტის თავისთავად საგანსა და ადამიანისათვის მოცემულ რეალობას შორის გადაუღაბავია. არაცნობიერი, როგორც „საგანი თავის თავში“, პრინციპულად შეუცნობადია. კანტის მიმართ ანალოგიის ფარგლებში ვერ ვიტყვით, რა არის არაცნობიერი.² შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ფროიდი ისევე, როგორც კანტი, მხოლოდ დაუსუა არაცნობიერის არსებობა, რაკი დაინახა მისი ზემოქმედების კვალი ცნობიერების სამყაროში.

მაგრამ კანტის მოძღვრებით არ დასრულებულა ფილოსოფიის განვითარება და შეუძლებლადაც არ მიგვაჩნია ამ ანალოგიის შემდგომი გაგრძელება და გაფართოება.

ფიქრობთ, რომ ეგზისტენციალურმა ფენომენოლოგიამ სცადა კანტის აგნოსტიციზმის დაძლევა, მოახდინა რა თავისთავადი საგნისა და ცნობიერებისათვის მოცემული სამყაროს ერთგვარი სინთეზი. ამ სინთეზის შედეგად მივიღეთ რეალობა, როგორც ფენომენი, რომლის თავისთავადი თვისებაა ცნობიერებისათვის მოცემულად ყოფნის უნარი, მისი „ლიაობა“ აღქმისა და შემეცნების მიმართ. სამყარო, როგორც ფენომენი, ღიაა ცნობიერების წინაშე; არაფერია მასში დაფარული, რაც არ შეიძლება გახდეს გახსნილი და მისაწვდომი გრძნობა-გონებისათვის, მაგრამ თვითონ „ლიაობა“, აღქმისათვის მოცემულად ყოფნის უნარი, ის თავისთავადი თვისე-

ბაა, რომელიც მიუწვდომელია შემეცნებისათვის. ფენომენი ყოველმხრივ აღქმადი და შემეცნებადია, მაგრამ მისი შეცნობადობის ეგზისტენციალური ძირი შეუცნობადია. საიდუმლოებითაა მოცული, თუ რატომ არის ის ხილული და აზრით მისაწვდომი, როგორ მკვიდრდება მის „ლიაობაში“ მისი თავისთავადი არსებობა, მისი დამოუკიდებლობა იმ ცნობიერებისაგან, რის მიმართაც ის არის ღია.

ამრიგად, ფენომენი, ერთის მხრივ სრულიად გახსნილია ცნობიერებისათვის, ის შეიძლება შემოვიდეს აღქმისა და გააზრების სფეროში, მეორეს მხრივ კი, როგორც საგანი თავისთავად, როგორც არსებობა აბსოლუტურ ლიაობაში³ მუდმივად რჩება ცნობიერების მიღმა და პრინციპულად მიუწვდომელია.

გავისხენოთ, რომ კანტის მიხედვით, მსჯელობა თავისთავად არსებული, შეუცნობადი საგნის შესახებ ყოველთვის ანტინომურია. მის შესახებ თანაბრად შეგვიძლია ვამტკიცოთ თეზად და ანტითეზად; აქაც, ჩვენს შემთხვევაში, ფენომენის ინტერპრეტაცია წინააღმდეგობრივია. ერთის მხრივ, ფენომენი სრულიად შემეცნებადია მოვლენა, მეორეს მხრივ, კი აბსოლუტურად შეუმეცნებადია არსი. შემეცნებადობა და შეუმეცნებადობა ფენომენის ორი განსხვავებული მხარე კი არ არის, ერთი განუყოფელი მთლიანობაა; რაც შეტად ცნობიერდება ფენომენი, მით უფრო გაურბის ის ცნობიერებას ხელიდან, რაც შეტად შემოდის ის აღქმის ფარგლებში, მით უფრო ვუჯახებით იმ ზღვარს, რომლის იქითაც ის მარადგაუფანტაური წყვილია დითაა მოცული. სწორედ თავისი ლიაობის, თავისი შეცნობადობის გამო ის მოუხელთებელი და მიუწვდომელია.

ასევე შეიძლება ვთქვათ, რომ ფენომენი, როგორც თავისთავად არსებული, თავისუფალია ყოველგვარი დეტერმინიზმისაგან, მაგრამ რაკი მისი არსებობა ცნობიერად ყოფნაში მდგომარეობს, რაც სრულ მიზეზობრივ ან მოტეაკიურ დეტერმინაციას წინშავს, გამოდის, რომ თავისუფლება და აუცილებლობა ერთმანეთით არსებობს ერთი, მთლიანი ფენომენის სისტემაში.

ფენომენის ეს ანტინომიური აღწერები შორს წაგვიყვანს. დაუბრუნდეთ ჩვენს ანალოგიას.

1. იხ. ვ.მ. ლეიბნი, „ფროიდი და იუნგი; არაცნობიერის პრობლემის ფსიქოანალიტიკური გადაწყვეტის მცდელობები“, კრ. „არაცნობიერი“, ტ. 1, გვ. 358-370, „შეცნობა“, 1978.

2. იხ. ვ.მ. ლეიბნი, დასახ. ნაშრომი, «Классический психоанализ оказался не в состоянии дать ответ — что такое бессознательное и каким образом можно познать бессознательное».



დავუშვათ, რომ არსებობს არაცნობიერი – ის, რაც ცნობიერების მიღმა, მისგან დამოუკიდებლად და თავისთავად არსებობს. თუ ამ არაცნობიერს განვიხილავთ, როგორც ფენომენს, მაშინ გამოდის, რომ არაცნობიერის თავისთავადი არსებობა მდგომარეობს მის „ლიაობაში“ ცნობიერების მიმართ. არაცნობიერს არ შეუძლია ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, თავისთავად ყოფნა, თუ მან არ მოახდინა თავისი ეგზისტენციალური თვისების – შემეცნების მიმართ ლიაობის რეალიზაცია. ამ თვითგანხორციელების პროცესში ის აღქმისა და სრული გააზრების საგნად აჩვენებს საკუთარ თავს, მაგრამ, რაკი ამ თვითჩვენებით ის, ფაქტობრივად, „თავის თავს მალავს“ და თავის შეუცნობად არსს ამკვიდრებს, ამდენად, მთლიანობაში ეს პროცესი შეუმეცნებადი რჩება. ცნობიერებისაგან დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის დაკარგვის ფაქტით ინარჩუნებს არაცნობიერი თავისთავადობას და დამოუკიდებლობას. ამიტომ მისი ცნობიერებაში გადასვლის პროცესი პოტენციურად დაუსრულებელია; ეს პროცესი არაცნობიერს კი არ სპობს, უფრო და უფრო ამკვიდრებს. ამ დაუსრულებლობიდან ჩნდება ილუზია, რომ თითქოს არაცნობიერის საშყარო ცნობიერების სფეროსთან შეუდარებლად დიდია, იმდენად დიდი, რომ ფაქტიურად ამოუნურავიც კი; სინამდვილეში კი აქ არაეითარი რაოდენობრივი მიმართება არ გვაქვს. უბრალოდ, ცნობიერების სფეროს შესვლის ხარჯზე ინარჩუნებს არაცნობიერი თავის დამოუკიდებელ და ირაციონალურ არსებობას და რაც შეტად უძლევა ცნობიერებას, მით უფრო მეტად გაურბის მას ხელიდან და ეს მოვადგობელი ნრე ქმნის უსასრულობის ილუზიას.

ასე რომ, თუ დავუშვებთ, რომ ცნობიერებისათვის ღია ფენომენად ყოფნა, მისგან დამოუკიდებელი, თავისთავადი პროცესია, რაც დაფარულის გახსნისა და აღქმა-აზროვნებაში გადასვლის დაუსრულებელ დინებაში ქმნის, მაშინ არაცნობიერი გვესახება, როგორც თვალსაჩინო, რომელსაც უსასრულოდ ესწრაფვის ცნობიერების ნაკადი.

საგულისხმოა, რომ თუმცა ეს ზღვარი პრინციპულად მიუწვდომელია, ის მაინც ცნობიერების კუთვნილობაა, რადგან ამ ზღვრული ფენომენის არსებობა მისი დაუსრულებელი ნდომისა და გაცნობიერების გზით არის შესაძლებელი. ანუ ცნობიერება თავის თავშივე მოიცავს არაცნობიერს, როგორც თავისი შემეცნებითი მოძრაობის დაუსრულებელ ნყაროს. მისი თვისებებია – მთლიანობა, „ლიაობა“, უნიკალურობა და თავისუფლება. რა შეიძლება იყოს ასეთი თავისთავადი ფენომენი, რომელიც თავის თვითმყოფადობას, ცნობიერებისაგან დამო-

უკიდებლობას, ცნობიერშივე შემოხვლის გზით ამკვიდრებს? ასეთი არაცნობიერი არის თვითონ ცნობიერება, აღებულად დაქრის ფენომენალურ მთლიანობაში, როგორც სრულიად თავისუფალი და უნიკალური არსი. ცნობიერება სულიერ მოვლენათა თვითშემეცნების პროცესში ეჯახება საკუთარ თავს – მთლიან, თავისუფალ და უნიკალურ თავს – სწორედ ეს თავისუფალი მთლიანობა არის არაცნობიერი, რომელიც სულ მუდამ „ცოცხლობს“ ცნობიერებაში რეალიზაციის ხარჯზე და ამ მარადიული სიცოცხლით ინარჩუნებს თავის პრინციპულ დამოუკიდებლობას ცნობიერებისაგან.

ახლა შევხილვით, გავცეთ პასუხი კითხვაზე „რა არის არაცნობიერი?“ არაცნობიერი არის იგივე ცნობიერება, აღებული თავის ეგზისტენციალურ მთლიანობაში, როგორც თავისუფალი და უნიკალური ფენომენი, რომელიც ნარმოადგენს ცნობიერებაში მიმდინარე პროცესთა დაუმრეტელ ნყაროს.

2. ოიდიპოსის კომპლქსი

ეთანხმება თუ არა ასეთი განმარტება ფროიდის თვალსაზრისს, რომ არაცნობიერის გამოხატულება არის ოიდიპოსის კომპლქსი? ვფიქრობთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაედგებით პრობლემის ფენომენოლოგიური განხილვის პოზიციებზე.

ფენომენოლოგიური მეთოდის თანახმად, ოიდიპოსის კომპლქსი უნდა განვიხილოთ არა რეალობაში არსებობის თვალსაზრისით, არამედ განყენებულად, თავის იდეალურ არსში. რეალობის არსებობის განსაზღვრულობიდან ოიდიპოსის კომპლქსის „ამორთვა“ ნარმოადგენს მეთოდს, რათა გაავრკვიოთ ამ კომპლქსის ქეშმარიტი არსებობის აზრი. ასეთი ზეანულო და განურჩეველი პოზიცია სინამდვილის მიმართ ნიშნავს კომპლქსის არგანხილვას მიზეზობრივი ნარმოობის მიხედვით; ასევე მის არმეფასებას მორალის თვალსაზრისით, რადგან ორივე ეს მომენტი – ფიციკური-მისეზობრივია და ეთიკურიც – მოცემული კომპლქსის მიმართ გარეშე ფაქტორებია, ისინი შინაგანად არ გამომდინარეობენ საკუთრივ ამ კომპლქსის არსიდან, ისინი ნარმოადგენს მის განსაზღვრულობებს გარედან, გარე საშყაროს მხრიდან.

ამრიგად, ფენომენოლოგია მოითხოვს, რომ ოიდიპოსის კომპლქსი განვიხილოთ ენ. ნშინდა სახით, თავის თავში, მისი ფსიქოფიზიკური ნარმოობის შემეცნებისა და ეთიკური შეფასების გარეშე. რაღა გვრჩება? თუ ჩვენ არ გვაინტერესებს ის, როგორც რეალური მოვლენა, რომელიც მიზეზობრივად უნდა ავხსნათ და მორალის მიხედვით განვსაჯოთ, მაშინ ოიდიპოსის კომპლქსი

ყოფილა იდეალური ფენომენი, რომელიც თავის თავში მოიცავს საკუთარი არსებობის საფუძვლსა და იდეას. მამასადამე, იდეის დონეზე ოიდიპოსის კომპლექსი უნდა განვიხილოთ, როგორც ნიშანთა სისტემა, როგორც შინაგანი აზრის გამოხატულება, რომელი აზრითაც ეს კომპლექსი არსებობს.

დედის მიმართ ნექსუალური ლტოლვა შეიძლება გამოხატავდეს იდეას არსებობის თავისთავადობის შესახებ – რომ ადამიანი მიისწრაფვის, თვითონვე იყოს საკუთარი თავის საწყისი.

ამ მიისწრაფვის გზაზე ხდება კონფლიქტი მამასთან, რომელიც, მისი არსებობის გარეშე, რეალურ საწყისს წარმოადგენს.

ადამიანს, როგორც იდეალურ არსებას, როგორც სულიერ ფენომენს, სურს, თავი დააღწიოს თავის რეალურ-ნიშნობრივ განსაზღვრულობებს, რათა მას არსებობა მიეცეს არა გარედან, სხვის მიერ, არამედ შიგნიდან, თავისივე თავის საფუძველზე.

ამრიგად, ოიდიპოსის კომპლექსი ჩვენს ინტერპრეტაციაში სხვა არაფერია, თუ არა ფენომენოლოგიური განხილვის პირობით-სიმბოლური განსახიერება, როცა ხდება რეალური მოვლენის „ამორთვა“ სინამდვილის აუცილებელი კავშირებიდან და მისი გარდასახვა იდეალურ ფენომენში, რომელიც თავის საწყისს საკუთარ თავშივე მოიცავს.

მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ოიდიპოსის კომპლექსი რეალურად არსებობს. რეალურად არსებობს არა მხოლოდ ფიზიკური ლტოლვებისა და საბედისწერო კონფლიქტების სახით, არამედ იმ იდეური შინაარსითაც, რომელიც აშკარად ვერ გეტყვა ამ მოვლენის სინამდვილის ფარგლებში. და აქ წამოიჭრება კითხვა – შეიძლება თუ არა რეალურად არსებული აღემატებოდეს თავის რეალობას იმით, რომ გააჩნდეს მას პირობით-სიმბოლური პლასტი და იყოს იუროგლივი, რომელიც თავის სიმბოლურ კითხვას რეალური არსებობის მიღმა? ოიდიპოსის კომპლექსი სწორედ ასეთი, რეალურ-ირეალური ფენომენია. არ შეიძლება მისი აღქმა-შეფასება პირდაპირი აზრით, არამედ მხოლოდ გადატანით შინაშეხილვით. კომპლექსის ამოცნობის მთელი სიერთულე ისაა, რომ მასში შერწყმულია ორი შუთავსებელი პლასტი; სინამდვილის ფენა, სადაც ბედისწერად ქცეული ოიდიპოსის ლტოლვა უპირისპირდება ცხოვრების ნორმას და შებოჭილია ობიექტური დეტერმინიზმით და პირობით-სიმბოლური შრე, სადაც კომპლექსი მაინიშნებს ადამიანის ირეალურ სწრაფვაზე – განთავისუფლდეს გარე სამყაროს დეტერმინიზმისაგან და თვითონ იქცეს საკუთარი თავის საწყისად. ამ

პირობით პლასტი ხდება რეალური კომპლექსის ფენომენოლოგიური დეტერმინიზმი – მისი „ამორთვა“ სინამდვილიდან და გარდასახვა წმინდა, თავისთავად ფენომენში...

ყოველივე აქედან შეიძლება დაედასტუროთ ფრაოდის მოსაზრება, რომ ოიდიპოსის კომპლექსი არის არაცნობიერის სიმბოლო. არაცნობიერი ჩვენ მოვნიშნეთ ორბიშნულვანი, ანტინომიური მთლიანობის სახით – ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ნივთი თავისთავად და ცნობიერისათვის ღია ფენომენი.

სწორედ „ღიაობის“ თვისება აქცევს ვრთ არსად ამ ორ ბუნებას; ღიაობა თავისთავად არის რაღაც აბსოლუტური, მიუნდომელი არსი და ამავე დროს არის ყოველმხრივ მისაწვდომი შემეცნებადი მოვლენა. ოიდიპოსის კომპლექსი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ლტოლვა დედისადმი პირობითად, გადატანით აზრით ნიშნავს საწყისის თვითდატყუების ირეალურ სწრაფვას, ანუ იდეალურ არსებობას თავისთავადი ნივთის სახით, მაგრამ რაკი ამავე დროს ეს ლტოლვა სავსებით რეალურია, გამომდის, რომ თავისთავადი არსებობის პოტენცია არის ამავე დროს ღია შემეცნებადი რეალობის მიმართ; რეალობაში შემოსვლით და დეტერმინაციით მკვიდრდება ის, როგორც ირეალური, ინდეტერმინირებული ფენომენი.

ოიდიპოსის კომპლექსი „თან ერთის“ ადამიანის რეალობას, როგორც მისგან განსხვავებული და თვითმყოფადი არსი, ისევე, როგორც არაცნობიერი შემოღის ცნობიერში და მაინც რჩება მისგან განსხვავებულ, თავისუფალ ინსტანციად. ასეთი დუალიზმის გამო, ოიდიპოსის კომპლექსი, როგორც არაცნობიერის სიმბოლო, რეალობის ისეთ სფეროს იპყრობს, სადაც შეუძლებელი არაა დეტერმინიზმის უგულებელყოფა თავისუფლების ნიშნით; ასეთი სფეროა სიზმარი – სადაც დარღვეული, ობიექტურ საფუძველსა და ნსრიგს მოკლებული სინამდვილე ფუნქციონირებს და შინაშეხილვას თავისუფალ ასოციაციათა სახით.

ასეთივე სიტუაციაა ენ. „განდევნის“ დროს; როცა ცნობიერება ფსიქიკური მოვლენის დეტერმინანტებს თავისი შინაგანი რეალობიდან არაცნობიერში განდევნის. ამიტომ დიდი ალბათობაა, რომ მსგავსი სპონტანური ფსიქიკური მოვლენის (კერძოდ კი ფსიქიკური გადახრის) ძირისძირში სწორედ ოიდიპოსის კომპლექსი იყოს ჩადებული.

ამრიგად, ოიდიპოსის კომპლექსი არის არაცნობიერის სიმბოლო, რადგან პირველი შინაგანად მოიცავს და გამოხატავს იმ ანტი-ნომიურობასა და მთლიანობას, რაც ჩვენ მეორეს მივანერეთ. არაცნობიერის არსებო-



ბასა და მის სიმბოლოს შორის არის განსხვავება და იგივეობა. განსხვავება იმის გამო, რომ ოიდიპოსის კომპლექსში მხოლოდ გათამამებულია, მოვლენებად და სახეებად პერიფრაზირებულია არაცნობიერის მიუწვდომელი არსი და ამდენად მის მხოლოდ პირობით აღნიშნულებასთან გვაქვს საქმე; იგივეობა კი არის იმიტომ, რომ არაცნობიერი, როგორც ფენომენი, არც არსებობს ამ პირობითი განსაზღვრებისა და ცნობიერებაში გარდასახვის გარეშე. თვითონ პერიფრაზირებისა და სიმბოლიზაციის აქტივი პოულობს ის თავის საკუთრივ ფენომენალურ არსებობას. აქედან დასკვნა: ოიდიპოსის კომპლექსი არის არაცნობიერისაგან განსხვავებული და ამ განსხვავების გამო მისი მსგავსი ფენომენი.

განსხვავებად და მსგავსებად არაცნობიერსა და მის კომპლექსს შორის ნიშნავს, რომ ოიდიპოსის კომპლექსი არ არის არაცნობიერის ერთადერთი სიმბოლი, რომ შესაძლებელია მისი სხვა სიმბოლოებიც, სხვა კომპლექსები. ისინი ემატებიან და ავსებენ ოიდიპოსის კომპლექსს, რომელიც თავის არაცნობიერ სისრულესა და მთლიანობაში კიდევაც გულისხმობს მათ, როგორც თავის ნიშნად შესაძლებლობებს. მაგრამ ეს უაღრესად რთული (იქნებ პარადოქსულიც კი) ურთიერთობები დასაშვებია მხოლოდ ერთი პირობით. თუ ყოველი (მათ შორის ოიდიპოსის) კომპლექსი განხილული იქნება, როგორც წინადად ფენომენი, ანუ რეალობიდან „ამორტულ“, გარე განსაზღვრულობებს მოკლებულ, თავისუფალ მდგომარეობაში.

ასეთი ფენომენოლოგიური მდგომარეობა ძეგლებს, რომ ოიდიპოსის კომპლექსს ჩამოვამოროთ ყველაფერი, რაც მის განსაზღვრულობას შეადგენს რეალობის მხრიდან; უპირველეს ყოვლისა კი, სექსუალური მოტივი, უფრო სწორად, ამ მოტივის ფიზიკურ-რეალური ასპექტი, რომელიც კომპლექსს დეტერმინირებულ მდენად აქცევს.

ამრიგად, ოიდიპოსის კომპლექსი არის არაცნობიერი თავის წინადა, სიმბოლური სახით, სექსუალური მოტივის გარეშე, რომელიც ავიროვებს, გარედან განსაზღვრავს და ამდენად სპობს კიდევაც ამ ფენომენს.

3. ცოდვითდაცემის განცდა

ფენომენოლოგიური განხილვის მეორე ეტაპს ეწოდება შესაძლებლობათა პორიზონტის გახსნა.

როგორც ვნახეთ, ოიდიპოსის კომპლექსი – არაცნობიერის სიმბოლო – დაკავშირებულია სხვა პირობით კომპლექსებთან. ამიტომ

მისი ფენომენოლოგიური ანალიზით შესაძლოა გავხსნათ არაცნობიერის რეალურ მდგომარეობას სხვა შესაძლებლობაც. **კომპლექსი ეტაპს**

ოიდიპოსის კომპლექსი მინაგან ნინაალ-მდგომარეობას მოიცავს: ადამიანის ამაღლებული სწრაფვა – ეზიაროს საკუთარ სანყისს და ემსგავსოს ღმერთს – რეალურ ცხოვრებაში გარდაიქმნება მის დამამცირებელ, სექსუალურ ლტოლვად. რატომ ხდება ასე? რატომ იქნეს სრულყოფისაკენ მოძრაობა ასეთ მახინჯ სახეს ოიდიპოსის კონტექსტში? ერთადერთი მიზნით – აჩვენოს რეალურ და იდეალურ სამყაროთა შუთავსებლობა, ცხადყოს წუთისოფლის ამოცხება ცათა სასუფეველს მიმართ. ოიდიპოსის ბედისწერაში ჩაქსოვილია კონფლიქტი სულიერსა და სხეულებრივს შორის, რის გამოც სულის ამაღლება აბსოლუტური სანყისისაკენ მის დამამცირებელ ხორციელ ლტოლვად და აგრესიად შეიძლება გარდაეხსნოს ადამიანს. ამიტომ გზა სისრულისაკენ არასრულყოფილების განცდით იწყება და ამ განცდასთან გამუდმებულ ბრძოლაში გამოიკვეთება. ცოდვილობის უმძიმესი განცდა არ ასვენებს ოიდიპოსს და დაატარებს ქალაქიდან ქალაქში, რადგან ეს განცდა ვერ შემოიფარგლება ამ ქვეყნის თეალსანიერთად და მიმართულია ყველაზე და ყველაფრის მიღმა, იდეალური სამყაროსაკენ.

ცოდვილობის განცდა, როგორც სტიმული სისრულისაკენ – აი, ის ახალი ვარიანტი, რომელსაც ოიდიპოსის კომპლექსი შესაძლებლობის სახით მოიცავს. თუ ოიდიპოსის მთავარი თემა ბედისწერაა და ამ ბედისწერის ავტორად ფროიდი მისივე მსხვერპლის არაცნობიერს მიიწნევს, ცოდვილობის მოტივი თავისუფლება და ცოდვითად-ცემის კომპლექსში ახალი აღქმით გახსნილია ბედისწერაზე გამარჯვების შესაძლებლობა. შესაძლებლობის ეს ახალი პორიზონტი იხსნება სინანულის განცდით. სინანული უსასრულოდ უკუფენილია ნარსულში, როგორც სინანული დაკარგული სისრულის მიმართ, უერთდება ამჟღავნ, როგორც ცოდვილობის აღიარება და განცდა და წარმართულია მომავლისაკენ, როგორც რწმენა და ღმერთის შემწეობის იმედი სრულყოფისაკენ.

გავარჩიოთ მონანიების ეს სამივე დროითი ფორმა ცალ-ცალკე.

უხსოვარი წარსულისკენ უკუფენაში სინანული მისტიკის დაკარგულ სამოთხეს, მაგრამ ეს ნოსტალგიური უკუქცევა არ ხდება პირდაპირი აზრით – ხდება მისი გადატანა და ტრანსფორმირება სხვა განცდაში. სინანული რომ პირდაპირ უკუქმირდება თვითონ თავის ფესვებს, მაშინ იარსებებდა რაღაც ფატალური, წარსულის უსასრულობაში გამჯდარი აუცილებლობა და

სინანული აღარ იქნებოდა სულის თავისუფალი შემოქმედების შედეგი. არადა, მონანიება თავისუფალი ქმედებაა მის სამივე ფაზაში. ამიტომ მონანიების მეტამორფოზის მიზანია სინანულის გამოთავისუფლება ცოდვითდაცემის საბედისწერო დეტერმინიზმისგან, ბიბლიური სინანულის განსხვავება და ნებაყოფლობითი გადატანა სხვა მიმართებებზე. ამგვარად, მარადისობაში განფენილი განცდა სახეს იცვლის და ადამიანის რეალურ ცხოვრებას მიენერება, მაგრამ რეალობაში ვერნატეული, თავისი ობიექტის იდეალიზაციას ახდენს.

ასე ხდება ნარსულის იდეალიზაცია; უსაზღვროა მარსელ პრუსტის ნოსტალგია გარდასული დროის მიმართ, მაგრამ შეუძლებელია მეხსიერებაში ასე წერილად, ასე გაფაქიზებულად არსებობდეს მისი ბავშვობა. მერაბ მაშარდაშვილი შენიშნავს, რომ მწერალი იგონებს არა თავის ბავშვობას, არამედ ქმნის ნარსულის ექვივალენტურ ახალ რეალობას. რა თქმა უნდა, ყოველი მოგონება, როგორც მხატვრული მოვლენა, შემოქმედებაა; კი არ ასახავს გარდასულს, არამედ როგორც თვითნაბადი ფენომენი, პირობითად შეესატყვისება მას, მაგრამ მარსელ პრუსტთან ეს შესატყვისობაც დარღვეულია. მისი „მოგონებების“ ნარსულთან შესაბამისობა თითქოს არის და არც არის. თხრობის მიხედვით არის, თხრობის მანერის მიხედვით კი – როცა ხდება აღწერის უსასრულო დეტალიზაცია და ურთიერთობათა ზღვარდაუდებელი რეფლექსია – ჩნდება ეჭვი, რომ აქ რაღაც სხვა სულიერ მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქვე; იქნებ არც არასოდეს ყოფილა ის, რასაც მოგონება ასე მონდომებით გვიხატავს? ნარსულს ხომ ანშყოს გადასახედვიდან ენიჭება განსაკუთრებული აზრი და ხიბლი, ის მისი ძიების, მისკენ უკუქცევის ძალით იტივრება ახალი მნიშვნელობებით და თუ ეს ძიება დაუსრულებელია, მაშინ ნარსულის სამყაროდ უსასრულოდ ფართოვდება.

სწორედ ასეთი გაფართოება ხდება პრუსტთან; ხდება იმიტომ, რადგან მწერალი გარდასულის ძიებას უსასრულოდ მიიჩნევს, სადაც ზღერა იკარგება მოგონებასა და გამოგონებას შორის; ძიება დაუსრულებელია, რადგან ნარსული ერთხელ ჩავლილი მდინარეა; მისი განმეორება, სიტყვაში მისი აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ მწერალი ესწრაფვის ამ შეუძლებლობას, რათა დაკარგული დროის ამოძიებაში მოგონება გამოგონებად აქციოს, გარდასულით დეტერმინირებული ხსოვნა „ახალი ნარსულის“ თავისუფალი შემოქმედებად გარდაქმნას.

როგორც ვხედავთ, აქ სულის ისეთივე ფერივლება ხდება, რაც მონანიების ეამს, როცა ცოდვითდაცემით გამოწვეული სინანული თავისუფლდება დეტერმინიზმისგან და სხვა ცხოვრებისულ განცდაზე გადადის; დროის დინებიდან ამოვარდნილი ნარსული თავისუფლდება საკუთარი რეალობისგან და იხსნება, როგორც მინიშნება, როგორც იდეა, სულ სხვა ნარსულის შესახებ.

რა არის ეს სხვა ნარსული? ეს არის ცოდვითდაცემით დაკარგული სამოთხე; მისი გაუცნობიერებელი მოგონებაა სინანულის განცდა უხსოვარი სისრულისა და ბედნიერების მიმართ. ქრისტეს მოვლენამ განდევნა ეს ფატალური აუცილებლობა, რომლის ძალითაც სინანული დეტერმინირებული იყო ცოდვითდაცემის ფაქტით. სინანულის იდეა იგივე დარჩა, მაგრამ თვითონ განცდა იქცა არადეტერმინირებულ, თავის თავად ფენომენად და ამ თავისუფლებისათვის საჭირო გახდა მისი გარდასახვა, მისი სიმბოლიზაცია სხვა კონკრეტულ განცდაში.

ასეთივე ტრანსფორმაცია ხდება მონანიების მეორე საფეხურზეც; ისევე, როგორც დაკარგული სამოთხე პირობითად გარდაისახება კონკრეტული ნარსულის იდეალიზაციაში, ასევე პირველადი ცოდვითდაცემაც განიცდის სიმბოლიზაციას ადამიანის კონკრეტულ ცოდვათა აღიარების გზით. სიმბოლიზაციის ამ რიტუალური მნიშვნევა ყოველგვარი დეტერმინიზმი.³

3. მონანიების აქტში ცოდვილობის თანდაყოლილი განცდა პირობითად უნდა მოწყდეს პირველ ცოდვითდაცემის შემკვიდრებას და სიმბოლიურად გარდაისახოს ადამიანის კონკრეტულ ცოდვათა აღიარებაში. მონანიებას თავისუფლებაში ეს პირობითი სიმბოლიზაცია ასხვრებს ადამიანს გენეტკურად განსაზღვრულ დეტერმინიზმს და თანდაყოლილ ცოდვილობას ამყოფებს განსაზღვრულ თავისუფლებაში, როგორც უპირობო, თავისთავად საწყისს, რომელიც წინ უსწრებს ამ „საწყისის განცდის“ გადატანას ფაქტობრივ ცოდვებზე. ეს გარდასახვა გადატანა სულ უნდა ხდებოდეს, რათა აპრიორულად მოცემულმა განცდამ საწყისად ყოფნის მნიშვნელობა არ დაეკარგოს, არ აღადგეს დეტერმინიზმის დასაბამიდან თავსმოხვეული ფაქტი და ისევე არ განახლდეს სასჯელი უხსოვარი ცოდვითდაცემის გამო. ამიტომ მონანიების პროცესი დაუსრულებელია – შეუძლებელია უპოდველად ყოფნა, რაკი ასეთი მდგომარეობა სპობს აპრიორული ცოდვილობის კონკრეტული სიმბოლიზაციის თავისუფლებას და ამ მხრივ რეალიზაციას მოკლებული განცდა უზრუნველბა თავის პირვანდელ მდგომარეობას, იქცევა დასაბამიდან განსაზღვრულ საბედისწერო ლტოლვად. „ოლიპოსის“ კომპლექსი ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა. „არაცნობიერი დამნაშავეობის“ ფატალურ დეტერმინიზმს ეანუდებით აგრეთვე ფრანკ კაფკას რომანში „პროცესი“.



აღსარების დროს ადამიანი თავს არ იმა-
რთლებს; ის გარემოებათა მსხვერპლად არ
მიიჩნევს საკუთარ თავს — რომ თითქოს ბედის-
წერამ ჩაადგო ცოდვაში — პირიქით, აღსარე-
ბის მოქმედი პირადი პასუხისმგებლობით
თავის თავზე იღებს იმას, რაც მის სულს ამძი-
მებს და რაც მას ბედისწერის ძალით ემართე-
ბა, რადგან მხოლოდ თავისუფალ პიროვნებს
ხელუნიფება, წარსდგეს უზენაესი სამსჯერ-
ოს წინაშე, მხოლოდ მას შეუძლია, მიიღოს
ცოდვათა ამნისტია და შევიდეს მონანიების
შესაშვად, გადაწყვეტ ფაზაში — რწმენის თავი-
სუფლებად.

რწმენა, როგორც სულის თანდაყოლილი,
ზეცნობიერი მარცვალი, სრულ თავისუფლება-
ში არსებობს. ვერც ვარე იბულება და ვერც ში-
ნაგანი აუცილებლობა ვერ განაპირობებს რწმ-
ენის არსებობას. რწმენა გამოიჩრება სულის
სხვა, გაუცნობიერებელი მოვლენისგან, სადაც
ფარულად მინაც „მიზეზობს“ ანონიმური
დეტერმინანტი. რწმენის მიმართ ასეთი
დეტერმინანტი დაუშვებელია. მართალია, რწმ-
ენის არსი არის რწმენა აბსოლუტის შესახებ,
მაგრამ ღმერთისა და ადამიანის თავისუფალი
მიმართება უფლებას არ გვაძლევს, ვეფულისხ-
მოთ დეტერმინისტული კავშირი რწმენასა და
მის ობიექტს შორის. რწმენა წინ უსწრებს მის
ყოველგვარ მოტივაციას. იმიტომ კი არ მწამს,
რომ ღვთის მემწია, ან სასწაულის იმედად ვარ,
პირიქით, შიშო და იმედო იმიტომ მატებს, რომ
უკვე გამაჩნია ღმერთის არსებობის რწმენა.
იმიტომ კი არ ირწმუნეს, რომ ქრისტემ
სასწაულები მოახდინა, პირიქით, სასწაულები
იმიტომაც მოახდინა, რომ უკვე სწამდათ მისი.
მართალია, რწმენის გაღვივება, აღმოცენება და
მომწიფება ცნობიერების შინაგანი აუცილებლ-
ობის ნიადაგზე ხდება, მაგრამ მისი მარცვალი,
მისი ენერგეტული ფესვი ყოველგვარი აუცი-
ლებლობის მიღმა, უპირობოდ არსებობს და
არანორ დეტერმინიზმს არ ექვემდებარება.

როგორც ვხედავთ, მონანიების სამივე
ფაზაში — სინანულში, აღსარებაში და რწმე-
ნაში — არსებობს დეტერმინიზმის დაძლევა
და თავისუფლების დამკვიდრება თან-
დაყოლილი ცოდვის სიმბოლური გარდასა-
ხვისა და აბსოლუტის მიმართ რწმენის
მოპოვების მიზნით.

4. არაცნობიერის ფენომენი

ამრიგად, ფენომენოლოგიური განხილვის
მეორე საფეხურზე — ე.წ. შესაძლებლობათა
პორიზონტზე — გამოიკვეთა არაცნობიერის
ორი შესაძლო ვარიაცია: ცოდვითდაცემისა
და ოიდიპოსის კომპლექსი.

გადავიდეთ ახლა მესამე საფეხურზე —
დავადგინოთ ინვარიანტი ფენომენის განსხვ-
ავებულ ვარიაციებს შორის.

რა შეიძლება იყოს ოიდიპოსისა და ცო-
დვითდაცემის კომპლექსთა ინვარიანტი? ანუ
ის საერთო მომენტი, რაც ზმ ზრ ქმრეაქის
ერთ, ზოგად არსში გაამთლინებდა?

ფენომენოლოგია მოითხოვს, რომ ეს
ზოგადობა დავადგინოთ მისი ელემენტების
განსხვავების გზით; ანუ თითოეული
კომპლექსის განსაკუთრებულ, საქციელოურ
არსში ჩაწვდეთ მათი განუყოფელი ერთიან-
ობის იდეას.

როით განსხვავდება ოიდიპოსისა და ცო-
დვითდაცემის კომპლექსი ერთმანეთისა-
გან? ორივე ვარიაციებში ჩაქსოვილია მისწ-
რაფება სისრულისაკენ (საკუთარი საწყისის
დაუფლებისაკენ), მაგრამ გზები ამ მიზნის
მისაღწევად პრინციპულად განსხვავებულია.

ოიდიპოსის შემთხვევაში ეს ამაღლებული
სწრაფვა გარდასახულია საბედისწერო, სექსუ-
ალურ-აგრესიულ ლტოლვად, რომელიც
აჩვენებს ამქვეყნური რეალობის შეუთავსე-
ბლობას იდეალურ სამყაროსთან.

ცოდვითდაცემის კომპლექსი კი აღძრავს
სინანულსა და თავისუფალ მისწრაფებას ღე-
თაებრივი სისრულისაკენ. მონანიება და
სრულ არსთან ზიარება ადამიანის თავისუ-
ფალი არჩევანია, რაც მის რეალურ ცხოვრე-
ბაში ხდება. ამდენად, მონანიების აქტში ჩად-
ებულია იდეა რეალურისა და ირეალურის,
სულისა და ხეულის თავსებადობის შესახებ,
იმ თავისუფლების შესახებ, რომელიც ბედის-
წერად აღარ გარდაისახება.

ქრისტეს ფენომენი ამ ორი საპირისპირო
პოზიციის ერთიანობაა მათივე განსხვავების
შენარჩუნების გზით. მაცხოვარი არც გაურ-
ბის და არც ექვემდებარება, არამედ თავისუ-
ფალი ნებით ირჩევს საკუთარ ბედისწერას,
როგორც თავისი ცხოვრების შესატყვისობას
წმინდა წერილის წინასწარხედვასთან.
პირადი პასუხისმგებლობა ბედისწერის წინა-
შე ნიშნავს საკუთარ ცოდვად იტვირთო
ბედით თავდატუბილი სიავ. ქრისტეს ნებით
მიიღოს, რაც მას ეწერა და ამით აუცილებ-
ლობა დაუკარგა ბედისწერას. ის, რაც იყო
საშიში და გარდაუვალი, ქვემარტივ გზის
არჩევანის თავისუფლებად იქცა. ამით სი-
კვდილსაც შეეცვალა აზრი — სიცოცხლის
აღსასრული, ახალ ცხოვრებაში გარდაცვალ-
ება აღმოჩნდა.

გეთსიმანიის ბაღში ქრისტემ წინასწარ
უკვე მიიღო ჯვარცმა, როცა დათრგუნა სი-
კვდილის ადამიანური შიში და გააკეთა არწვე-
ანი უზენაესი ნების მიხედვით. აქ მან გადააბი-
ჯა ბედის საზღვარსაც (ბედისწერა თავისუფ-
ლებად აქცია) და შინაგან აუცილებლობასაც
— დასძლია მონამეობრივი სიკვდილის უსა-
სრულო შიში. ამ გადაწყვეტი ნაბიჯით მოხდა
ის, რაც ჩვენ არაცნობიერის თვითდამკვიდრ-
ებად დაესახეთ — სრულ თავისუფლებაში დაი-

რღვა ყოველგვარი დეტერმინიზმი – როგორც ბედის გარდაუვალობა (დეტერმინიზმი გარედან), ასევე შინაგანი აუცილებლობა.

ის, რომ მაცხოვარმა გამოსიყვინდა ადამის ცოდვა და გაათავისუფლა ადამიანი ცოდვითდაცემისაგან, ცნობილი ქვეშაირიტებაა და ჩვენი მხრიდან კომენტარს არ საჭიროებს.

მაგრამ ქრისტეს შენირულობამ ოიდიპოსის კომპლექსიც მოხსნა. ქრისტეს ფენომენი ამაღლებული, განწმენდილი სახით მოიცავს ოიდიპოსის კომპლექსის იდეას – მისწრაფებას საკუთარ სანყისად ყოფნისაკენ. ქრისტე, ზეციური მამის ერთარსი, თვითონვეა საკუთარი თავის სანყისი. სანყისად ყოფნა მას ნინასნარ, არამოტივირებულად აქვს მოცემული. როგორც თავისთავადობის წმინდა იდეამ, მაცხოვარმა განწმინდა და მოხსნა ოიდიპოსის კომპლექსი, რაკი სამარცხეინო ბედისნერის ტყვეობიდან იხსნა ადამიანი და მისი ცოდვილი ბუნება ღვთაებრივი სისრულის პერსპექტივაში განათავსა.

ამრიგად, ჩვენ დაეასრულეთ ფენომენოლოგიური განხილვის ბოლო, მესამე ეტაპი – აღმოვაჩინეთ ინვარიანტი განსხვავებულ კომპლექსთა ვარიაციებს შორის.

რაკი ეს კომპლექსები არაცნობიერის სიმბოლოებს შეადგენენ, აღნიშნული ინვარიანტიც შეიძლება არაცნობიერს მიეანეროს, როგორც მისი სრული (სხვადასხვა შესაძლებლობათა მომცველი) ფენომენი.

რა არის არაცნობიერის ფენომენი თავისი სრული სახით? ანუ, ჩქაროსიტუმატაციის თანახმად (იხ. I ექვემდებარება ცნობიერება თავის სრულ, ფენომენალურ მთლიანობაში? ეს არის წმინდა სამება – მამალმერთი, სულიწმინდა და ქრისტე. ადამიანის ცნობიერებაში არსებული ეს განუყოფელი მთლიანობა საესებით შეესაბამება არაცნობიერის ფენომენოლოგიურ გაგებას.

მამისა და ძის ერთიანობა თავისთავადი არსისა და ფენომენის (სამყაროს მიმართ ღიანობის) განუყოფელი მთლიანობაა. საკუთრივ ღიანობის თვისებას კი განასახიერებს სულიწმინდა – მისი მადლის მოფენით თავისთავადი არსი იხსნება მის მიერვე შექმნილი სამყაროს ნინაშე.

ასე წარმოგვიდგება არაცნობიერი ფენომენოლოგიური ინტერპრეტაციაში – ცნობიერების მიღმა მყოფი, მისგან დამოუკიდებელი არსი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა თვითონ ცნობიერება, აღებული თავის აბსოლუტურ მთლიანობაში. ეს არის აბსოლუტური სული, რომლის თავისთავადი არსებობა იმაში მდგომარეობს, რომ ის დაუსრულებელი იხსნება, როგორც ფენომენი ცნობიერების ნინაშე. ასე გაგებულ არაცნობიერს კი ზუსტად შეესატყვისება აბსოლუტის ქრისტიანული მოდელი – წმინდა სამება.

პოსტმოდერნიზმი ღღაპანდლოვის კონტაქტში

პოსტმოდერნიზმის წარმოშობას, როგორც წესი, 70-იან წლებთან აკავშირებენ, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარად იმ მოვლენების „შოპიომაფალია“, რომელთაც ადგილი ჰქონდა 60-იან წლებში. ამ ფაქტს, საგანგებოდ წარმოვანენ, რადგანაც 60-იანი წლები მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია დასავლური და არა მარტო დასავლურისამყაროსთვის. სწორედ ამ პერიოდში მოხდა გადაწყვეტი გარდატეხა, ყველა ძველი კავშირების რღვევა, ღირებულებების გაუფასურება. ეს პერიოდი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ახალგაზრდული გამოსვლებით, რომლებმაც მოიცვეს მთელი ცენტრალური ევროპა – გერმანია, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია. თითოეულ ქვეყანაში ამ მოძრაობას თავისებური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მთლიანად მღვდვარებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და „შეცვალა“ მთელი დასავლურად წოდებული სამყარო. თავისი მონოდეტებითა და მოთხოვნებით, ახალგაზრდულ ამბოხებას უფრო მემარცხენე ხასიათი ჰქონდა, რაც გასაგებია, მაგრამ ამასთან ის მეტად მრავალფეროვანი და მრავალსახა იყო. თითოეული ჯგუფი თუ პიროვნება თავისი საკუთარი მონოდეტებით გამოდიოდა, გამოფენილი იყო კომუნისტური, სოციალისტური, მარქსისტური და უბრალოდ, პაციფისტური ლოზუნგები. გერმანიაში აღნიშნულ მოძრაობას მოჰყვა ექსტრემისტულ-მემარცხენე მოძრაობების გაძლიერება, რაც შეეხება საფრანგეთს, აქ თითქოსდა ყველა ძლიერმა მიმდინარეობამ თუ მოძრაობამ ერთად იჩინა თავი, ეს იყო ყველა „ზმის“ ერთდროული აღმოფთვება და ერთდროული ჩაქრობა, გაუფასურება. ამ დიდი შფოთვის შემდეგ საფრანგეთში, და ფაქტობრივად, დასავლეთ ევროპამ მთლიანად დიდი პოლიტიკური გამოსვლებისადმი, რევოლუციებისადმი მისწრაფება დაკარგა. მასის, ჯგუფის, ხალხის ღირებულებას შეეცვალა ერთი ულის, – პიროვნების, სუბიექტის, უმცირესობის ღირებულება, რამაც თანდათანობით თავისი ასახვა პპოვა მთელ რიგ მოვლენე-

ბში, ახალი ტიპის მიდგომებში და, რასაკვირველია, ხელოვნებაში.

აქვე მინდა გავიმეორო, რომ ხსენებული ახალი მოვლენები ცარიელ ადგილას არ წარმოშობილა, არსებობდა წინაპირობანი, ფილოსოფიური მოძღვრებები თუ ხელოვნებაში გავრცელებული თვალსაზრისები (ეგ ზისტენციალიზმი, აბსურდი). სწორედ ამ ახალ, და არა მარტო ახალ თავისი რომელობით, არამედ რაობით ხელოვნებაში თავს იჩენს ამოხების განცდა და ძველი იდეალების გაუფასურება. ჩნდება ახალი რითში, მოკლდება რომანი და საზოგადოდაც სახეს იცვლის. მეტად თავისებური და სრულიად ახალი ინტონაციები შემოიტანეს ბორის ვიანმა და ანტონენ არტომ. თითქოსდა კლასიკურ პოეზიაზე აღზრდილმა პოეტებმა – პრვერმა, მიომი, ელუარმაც კი ახალი თემები, ახალი ლექსი დაამკვიდრეს. ამგვარად, მეორე მსოფლიო ომით „განყვეტილმა“ მოდერნისტულმა ტალღამ ხელოვნებაში 50-60-იან წლებში სრულიად მოულოდნელი ხასიათი მიიღო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სულ ათიოდე წელიწადში აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია ცხოვრება ძველი იდეალებით, ძველი ხედვით, ძველი ფორმებით. ალბათ, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მეორე მსოფლიო ომში ევროპაში შეერთებული შტატები შემოიყვანა თავისი სამყაროთი, თავისი ჯახით (დროულია გავიხსენოთ ვიონის კავშირი ჯახთან). ომში გამარჯვებამ და ფაშისმის დაძლევა სიხარული და სიმტკიცის, ერთობის გრძნობა დაბადეს, მაგრამ ამასთანავე ამ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტამ, ადამიანის გველურების და გაბოროტების ასეთმა დონემ ბევრ პიროვნებაში გამოიწვია გულაცრუება, გააძლიერა ამოხების და დაუცველობის განცდა, რომლის გამოშატვლები ვახდენ მაგ, სელინი, კამიუ და უამრავი სხვა (სელინისა და კამიუს ერთად ხსენებით, სრულებითაც არ მინდა მათი გაიგვება).

ომის შემდგომი მსოფლიო (ეგული-სხმობ დასავლეთ ევროპას, თუმცა თამა-

მად შეიძლება გაეავრცელოთ იგივე მტკიცება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაზე) ამ პერიოდში ილუზიებმა და ეიფორიამ შეიპყრო. კომუნისმი კეთილი გმირი იყო ბევრის თვალში, როგორც ფაშისმის მტერი, მისი გამანადგურებელი. მაგრამ შესაძლოა, სწორედ ამიტომ შეწყდა მსოფლიო მნიშვნელობის საყოველთაო მასშტაბის შემოქმედებითი ტილოების შექმნა ნებისმიერ სფეროში. ხელოვნების ყველა დარგმა, თუ შეიძლება ითქვას, ნელ-ნელა „კამერული“ ხასიათი მიიღო. დამთავრდა დრო, როდესაც მწერალი თუ მუსიკოსი, მხატვარი თუ ნებისმიერი სხვა შემოქმედი მსოფლიოს სახელით და მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკობდა (წერდა, ხატავდა, მოქმედებდა, მოღვაწეობდა). განსაკუთრებით ეს შესაძლებელია, აშკარა გახდა სწორედ 1968 წლის სტუდენტური გამოსვლების შემდეგ. 1968 წლის შემდეგ სწორედ ის მწერლები და მოღვაწენი გამოჩნდნენ ასპარეზზე, რომლებიც ზემონახსენებ ახალ ტალღას წარმოაჩენდნენ, განსაკუთრებით, სატრი და სტრუქტურალისტები (კ. ლევი-სტროსი, ლაკანი, ფუკო, დერიდა, ლევინასი...). ამ პერიოდს ეკუთვნის ახალი მიდგომა ხელოვნებისადმი, დაინტერესება პირიქითებით და არა მასით, ავტორით და ნაკლებად მისი ნაწარმოებით, კომენტარით და გადმოცემით და არა ორიგინალით, რაც შემდგომში განვითარდა ე.წ. ინტერტექსტულების გაჩენით ხელოვნების ყველა სფეროში, ციტირებებით, ჩართვებით. თანდათანობით ტექსტის დიდი ნაწილებიც კი ქრება და მათ ადგილს იკავებს ეპითეტი, რემარკა, ეს მოვლენა განსაკუთრებით თვალშისაცემად გამოჩნდა კინოში. ამდროინდელი თითქმის ყველა დიდი რეჟისორის ფილმები – ვისკონტი, რენე, გოდარი, ფელინი, ალენი... – სახეა ციტირებებით, ირონიული მინიშნებებით კლასიკაზე ან სხვა თანამედროვე ავტორებზე. უნებლიედ მახსენდება ოლენას მოსწრებული გამონათქვამი, რომელიც ასრულდა და რომელიც უქვეყლად მის ნიჭზე მიუთითებს – „მხატვრული ნაწარმოებიდან არაფერი რჩება, შესაძლოა მარტოოდენ მეტაფორა“. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ისიც არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ამ პერიოდში ცალკე მეცნიერულ თეორიად ვითარდება მეტაფორის თეორია. თუმცა ეს ეს ფაქტი დაკავშირებულია სტრუქტურალიზმის განვითარებასთან, რამაც თავის მხრივ, ბიძგი

მისცა ენასთან დაკავშირებული დიდი კლინების განვითარებას, პრადის სკოლა, ლაკანი, ბარტი, მოგვიანებით მანუსკი, დერიდა, ყველა მათგანი მსოფლიო მწერლებს, მაგრამ მაინც თავისი კვლევის ძირითად ობიექტად ენას მიიჩნევდა და ამასთან წარმოადგენდა თავისი დროის ფილოსოფიის სახეს.

ამგვარად, 1968 წლის მასობრივმა გულაცრუებამ, ან თუ გნებავთ, XX საუკუნის უკანაწელმა რევოლუციამ მოახდინა ძველი მთელი მსოფლიოს სულიერ ცხოვრებაში. მისი შედეგია ახალი მსოფლიო, რომელიც პომპიდუს თქმით, „ლარასოდეს იქნება ისეთი, როგორც იყო უნი“. ეს იყო ამბოხება ყველასი ყველას წინააღმდეგ, ყველაფრის დასამკვიდრებლად, ყველას უფლებებისთვის. სწორედ ამ მოვლენების შემდეგ ვითარდება და უდიდესი უღერადობას იძენს ისეთი ცნებები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, თავისუფლება, სამართლიანობა, შემყნარებლობა, უმცირესობა, მარგინალი, და რაც მთავარია, სხვა, უცხო. რასაკვირველია, ეს ტერმინები ადრეც არსებობდნენ – ძმობა, თავისუფლება, თანასწორობა ფრანგული რევოლუციის ლოზუნგია, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია 1948 წელს შეიქმნა კიდევ უფრო ძველ დოკუმენტებზე დაყრდნობით, დემოკრატია ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა მოიგონეს და ტოლერანტობაც შუა საუკუნეებში უკვე ფიგურირებს, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიურ-რელიგიური კონცეპტი; მაგრამ პირველად კაცობრიობის ისტორიაში ეს ცნებები გახდნენ ძირითადი, უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული, ვიდრე სახელმწიფო, ხელისუფლება, ერი ან თუნდაც ისეთი საყოველთაო ცნება, როგორიცაა ხალხი. ამიტომაც, ამ დროს ხმას იმაღლებენ სხვადასხვა სახის უმცირესობები – ჰომოსექსუალისტები, 70-იან წლებამდე უმადკარგული ყოქმედი მემარჯვენეები, ფაშისმის ეყოფილი მხარდამჭერები, ქალები, უცხოელი მუშები და სხვ. ყველა თავის უფლებას მოითხოვს და ცდილობს დაიცვას ის. ყველას ეძლევა ხმის უფლება, თანასწორად არსებობის უფლება, ახლებურად გაიზრება მასობრივი ხელოვნება. მასობრივი ლიტერატურა, ლიტერატურის ერთ-ერთი რიგითი სახეობად იქცევა, როგორც მაგ. „პოლიციური რომანი“, „ქალის ლიტერატურა“, „კლასიკა და ე.წ. ახალი რომანი“. განსაკუთრებით



პოპულარული ხდება მცირე ფანრის ნაწარმოებები, მოთხრობა, ესეე, დოკუმენტური ისტორია, დოკუმენტალი-სტიკა, ფოტოგრაფია დიდი პოპულარობით სარგებლობენ. რომანშიც კი შეიძინა მკაცრი, „დოკუმენტური“ სტილი, განსაკუთრებით, ამ მხრივ საინტერესოა ამერიკული და გერმანული რომანი, კერძოდ, პ. ბიოლის („ჯგუფური პორტრეტი ქალითურთ“), ფრანგული კინო (გოდარის ფილმები).

ამგვარად, როგორც ითქვა, 1968 წლის მოვლენებმა „დაამხეს“ ბელადები, ღმერთები, იდეალები. ყველა გათანაბრდა თავისი უფლებით და მნიშვნელობით – დიდი და პატარა, ქვეიანი და სულელი, განათლებული და უმეცარი... და მითუმეტეს, მოიხსნა განსხვავება ენის, ერის, სქესის, რასის მიხედვით. არცერთ ერს, არცერთ ენას, არცერთ კულტურას არა აქვს უპირატესობა, უზენაესობა სხვასთან შედარებით (ცხადია, ლაპარაკია თეორიის, მიდგომის, ზოგადი განაზრების დონეზე). ყველა გამოდის თავისი თავის სახელით და ლაპარაკობს თავის თავზე; თითოეული ადამიანი გადაიქცა ერთ ცალკეულ ინდივიდად, სუბიექტად და სამყაროდ, რომელიც დამოუკიდებელია სხვებისგან, უნიკალურია, მაგრამ ამით ის არაფრითაა სხვაზე უკეთესი. ინგმარ ბერგმანის სიტყვით, „ყველანი ვდგავართ ერთ ფარეხში და ვღრიალებთ ჩვენს უნიკალურობაზე“.

სწორედ ამ პერიოდში თითქოსდა წარუმატებლად „ამბოხის“ პასუხად და მის ერთგვარ გააზრებად ძალას იკრებს ახალი ტალღა ფილოსოფიასა და ხელოვნებაში, რომელიც უფრო გვიან, 80-იან წლებში ძირითადი მიმართულების, ნამყანი ტენდენციის სახეს მიიღებს პოსტმოდერნიზმის სახელწოდებით. სანამ გადავიდოდეთ მის ზოგიერთ თავისებურებებზე, აღვნიშნავ, რომ თავიდან და ნაწილობრივ დღესაც ის მწვავე კრიტიკისა და დებატების ობიექტია. ის, რომ ნებისმიერი ახალი სტილი, ახალი ხელოვნება ყოველთვის დიდ წინააღმდეგობას აწყდება, სიახლე არ არის. ახალი ხელოვნება უპირისპირდება მასებს, ის თავისი ბუნებით წარუმატებლობის აუცილებელი მატარებელია. ორტეგას თანახმად, ის ანტიკალბურთუკი არის,¹ მაგრამ ამასთან აუცილებლობით გამოიყოფა ადამიანთა ჯგუფი, თუნდაც მცირე (დასაწყისში ეს ჯგუფი ყოველთვის მცირეა), რომელიც კეთილგანწყობილია ამ

ხელოვნებისადმი, მასში ხედავს პერსპექტივას და მხარს უჭერს მას. [ქნესული]

პირიქით, მოგვიანდელ პოსტმოდერნიზმს ტულად წოდებული ხელოვნება და ფილოსოფია თავისი დამკვიდრების პროცესშივე სარგებლობდა საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერითა და ინტერესით. როგორც ითქვა, ეს ძირითადად ის ხელოვნება და ის ფილოსოფია იყო, რომელიც გაჩნდა და ერთგვარად ჩამოყალიბდა 50-იან წლებში, მაგრამ მისი საბოლოო აღიარება და დამკვიდრება მოხდა 1968 წლის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ ის მყარად ფესვგადებული მიმართულებაა, რომელიც არა მარტო ქმნის ახალ ხელოვნებას, არამედ ახორციელებს მის გააზრებასაც.

ახალი „პოსტმოდერნიზმი“ ხედავს, ბევრი მკვლევარის აზრით, ამოდის (გლოქსმანი, სიმერი, ბალმე) სამი დიდი ფილოსოფოსის კვლევებიდან, რომელთაც ეჭვი შეიტანეს, შეარყიეს ძველი პარადიგმები, საფუძვლები. ესენი არიან: მარქსი, ნიცშე და ფროიდი, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით, ენიჭება ნიცშეს, რომელმაც დაამკვიდრა რადიკალური ათეიზმი და უარყო ძველი უმალესი ქემპარიტება, შეიძლება ითქვას, ქემპარიტების უზენაესობა. მრავლობითობის ონტოლოგიები შეენაცვლა ძველ ონტოლოგიას. არსებობა არ ვლინდება ერთეული არსებობით, არამედ მრავალწარად.

მეორე საფუძველი, თუ ხელშემწყობი პირობა, რომელსაც იხილავენ და თავისი განსჯის ობიექტადაც აქცევენ, არის ცოდნის სტატუსის ცვლილება.² მეცნიერული ცოდნა გამოცხადდა დისკურსის სახეობად. ამიტომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მთელი რიგი განვითარებული მეცნიერებები და ტექნიკის სახეები დაკომპირებული არიან ენასთან: ფონოლოგია, ლინგვისტიკა, კომუნიკაციისა და კომპლემენტის პრობლემები, ინფორმატიკა, გამოთვლითი მანქანები და მანქანური ენები, თარგმანები და მონაცემთა ბაზები და უამრავი სხვა. ასეთი საყოველთაო ცვლილებებისა და ტრანსფორმაციების პირობებში ცოდნაც ვერ დარჩებოდა ძველ დონეზე. თანდათანობით ამ ცოდნის გამოხატვლივი გახდა მისი რიცხობრივი მახასიათებელი. ნებისთ თუ უნებლიედ, ის დაექვემდებარა დროის მოთხოვნას და იძულებით უნდა მიეღო მანქანაზე (კომპიუტერში) წარმოდგენილი სახე.

ძველი შეხედულება, რომლის თანახმადაც, ცოდნის მიღება განუყოფელია გონების განვითარებისგან და პიროვნების სრულყოფისგანაც კი, მოძველდა. ცოდნა წარმოიქმნება და ვითარდება იმისთვის, რომ გაიყიდოს, პიროვნება პრაქტიკული გამოყენება, რაც ერთგვარად გაიყიდვის ტოლფასია, მას აქვს შესაბამისი ღირებულება, ის თითქმის აღარ წარმოადგენს თვითმიზანს. დაახლოებით იგივეს ნერდა მარქსი თავის ხელნაწერებში (1857-1858 წ.წ.) – „წარმოებისა და სიმდიდრის საფუძვლად იქცევა გონება და ბუნების ბატონობა ადამიანის არსებობაში სოციალური სხეულის სახით“, ასე რომ, „ზოგადი სოციალური ცოდნა, knowledge ხდება უშუალო მწარმოებელი ძალა“.²

აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციას. ისევე როგორც სახელმწიფოები იბრძოდნენ (და იბრძვიან) ტერიტორიის დასაპყრობად, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისათვის, ისინი დღეს იბრძვიან ინფორმაციის მოპოვებისთვის, ინფორმაციის ათვისებისთვის. ამ პერიოდში სახე შეიცვალა არა მარტო ცოდნამ და, შესაბამისად, ცოდნის ძირითადმა „მწარმოებელმა“ მეცნიერებამ, არამედ, აგრეთვე, ხელოვნებამ, რომელიც იძულებულია გაითვალისწინოს ურთიერთობის და კავშირის დღევანდელი გაერცხლებული ფორმები და მათთვის მისაღები სახით წარმოადგინოს საკუთარი „პროდუქცია“.

ინფორმაციის და კომპიუტერზაციის ასეთი მოძლიერება და განვითარება თავისთავად ახდენს ყველა შესაძლო ცოდნისა თუ ხელოვნების ნიმუშის ერთგვარ უნიფიკაციას, განსაზღვრული მოთხოვნილებებისადმი დაქვემდებარებას. მოხდა ყველა სახის ცოდნის, ხელოვნების, ისტორიული ფაქტების, რელიგიისაც კი ერთ „ყოლაბაში“ თავმოყრა, საიდინაც თითოეული „ეკსპონატი“, თითოეული მოვლენის „საეიზიტო ბარათი“ თანაბარი მნიშვნელობით არსებობს. კულტურა, თუ მასში გავაერთიანებთ ადამიანის მიერ წარმოქმნილ, შექმნილ სამყაროს, ერთიანი კოლაჟის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომელზედაც ელემენტების ცვლილება, გადაადგილება ნებისმიერად შეიძლება, რის შედეგადაც ყოველთვის თანაბარი მნიშვნელობისა და ღირებულების საერთო სურათს ვღებულობთ. ამასთან თითოეული ეს სურათი დროებითია და არანაირ ეთიკურ თუ გრძნობისმიერ შეფასე-

ბას არ ექვემდებარება, თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეჭვგარეშე ვრცელდება რწინებას და უპირატესობებს მნიშვნელობას. ყველაფერი და ყველა თანასწორუფლებიანი და თანაბრად კარგია. „ცოდნა“ მარტო ის, ვისაც ჰგონია, რომ ვინმეს ან რაიმეს მეტი უფლება ან ღირებულება აქვს სხვაზე.

როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთი მიდგომა შეიძლება დაეკავშიროთ მემარცხენობასთან, ახალ მემარცხენებთან, რომლებიც მარკუსს თეორიას ეფუძნებიან, მაგრამ, თუ მარკუსზე და მისი მიმდევარი თეორეტიკოსები ეწ. რეპრესიულობას უკავშირებდნენ ბურჟუაზიულ წყობილებას, სოციალურ ფაქტორებს, ახალი დროის ექსტრემისტები, პოსტმოდერნისტები მას ავრცელებენ ადამიანის მოქმედების, მოღვაწეობის სულიერი ინტელექტუალურ საფუძველზე. ამგვარად, ეს განსხვავება თავს იჩენს კრიტიციზმის, იერარქიზაციის და რელატივიზმის მხილებაში. თავის უკიდურეს გამოვლილებაში ის კრძალავს რეალური კონტრასტების დაფიქსირებასაც კი და გველინება როგორც ღირებულებრივი შეფასების უარყოფა. პოსტმოდერნიზმი უარყოფს კეთილის და ბოროტის, ქვემარტის და მცდარის განსხვავებას, ხდება რელატივიზმის აბსოლუტიზირება, რასაც ეწოდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პლურალისტური, მრავლობითობის პარადიგმა. შესაძლოა ცოტა უტრიალებულადაც ვთქვამდეს, მაგრამ 1968 წლის მოვლენების შემდეგ ნამოხული „სექსუალური რევოლუცია“, უმცირესობათა და მარგინალთა ლეგიტიმაცია და უფლებებში გათანაბრების მოთხოვნა გავრცელდა მენტალობაზეც და ასეთივე რევოლუცია მოახდინა ადამიანთა გონებაში. ზნეობრივი ცვლილებები, უფლებების ზრდა გადაიქცა აგრეთვე გონებრივი დაშვებების შეუზღუდავად. სწორედ ამ მნიშვნელობით ლაპარაკობენ ახალ ნიჰილიზმზე, პუშანიზმის მსხვრევაზე და ა.შ. თუმცა, ჩემის აზრით, სწორედ ნიჰილიზმმა და პუშანიზმის იდეებისაგან გადახვევამ წარმოუვა პოსტმოდერნიზმი.

პოსტმოდერნიზმი ისეთი მოვლენაა (მიუხედავად სახელწოდების პირობიანობისა), რომელიც ახასიათებს მთლიანად თანამედროვე მსოფლმხედველობას. ადამიანის არსებობისა და მოღვაწეობის ყველა სფერო ატარებს მის ნიშნებს, განიცდის მის გავლენას – პოლიტიკა, სოციალური ცხოვრება, მეცნიერება (ცოდნა),



ხელოვნება და მთლიანად კულტურა, რელიგიის ჩათვლით (თუ არადა, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთის ეკლესიამ ნება მისცა ქალს, დაიკავოს უმაღლესი საკლესიო თანამდებობები და უხელმძღვანელოს კიდევ მამაკაცებს ამ სფეროში). უნდა გავარჩიოთ პოსტმოდერნიზმი როგორც მხატვრული მიმართულება და პოსტმოდერნიზმი როგორც თეორია, ფილოსოფიური რეფლექსია. პოსტმოდერნისტული კრიტიკა, თეორეტიზაცია მართლაც მამაკაცს და მოუკიდებელი მოვლენა, როდესაც გაცდა ახალი ლიტერატურის ან ხელოვნების სხვა დარგების სპეციფიკური ნიშნების გამოვლენასა და დაფიქსირებას და ახალი, საერთო მეთოდიკა ჩამოაყალიბა პოსტმოდერნისტული ტექსტების და მხატვრული ნაწარმოებების განსაზღვრელობად და შესაფასებლად.

მოუხდებლად იმისა, რომ ტერმინ „პოსტმოდერნიზმის“ შემოტანას ამერიკელებს მიაწერენ, როგორც მოვლენა ის მაინც საფრანგეთში წარმოიშვა და განვითარდა, თუმცა კი დიდწილად იმ ტექნოლოგიური და წარმოებითი ცვლილებების შედეგად, რომელშიც ნამყვანი როლი ამერიკას უკავია. ინფორმაციული საზოგადოება ამერიკის განვითარებული მრეწველობის, გლობალიზაციის თანამდევ ფაქტია, რომელმაც თავისი გამოხატულება პპოვა პოსტმოდერნისტულ ხელოვნებასა და ფილოსოფიაში. იმის შემდეგ, რაც პოსტმოდერნიზმი განმტკიცდა და დაფუძნდა საფრანგეთში თითქმის მთლიანად ფრანგული კულტურის და განსაკუთრებით ლიტერატურის მასალების განხილვის მეშვეობით, 80-იანი წლებისათვის ის გადაიქცა საყოველთაო მიმართულებად, მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტად (ყოველ შემთხვევაში, დასავლური კულტურის ჩარჩოებში): განვითარებული ფილოსოფიური პოსტმოდერნიზმი გადაიქცა თანამედროვე ხელოვნების საერთო თეორიად, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს დღეს არსებულ თეორიებს შორის. პოსტმოდერნიზმი განიხილება როგორც თანამედროვეობის გამოხატველი მიმართულება, რომელიც, როგორც ითქვა, ყველა სფეროში იწენს თავს.

ინფორმაციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პოსტმოდერნისტული უნივერსალიზმის შედეგად მოხდა არა მარტო უფლებრივი და ღირებულებრივი

გათანაბრება, რის შედეგადაც ჯერ კიდევ ამ საუკუნის შუა წლებში სწავლებლები ღირებულებები და მნიშვნელობები გაუფასურდნენ, ან ყოველ შემთხვევაში უპირატესობა დაკარგეს, არამედ „უფლებო“, ნეგატიურად შეფასებული და ხშირად დაგმობილი მოვლენები, ფაქტები, მსოფლმხედველობები გათავისუფლდნენ მათზე დადებული ვეტოსაგან, უფლება და ხმა მოიპოვეს. სიმბინიჯე გაუტოლდა სილამაზეს, მშვენიერებას (ძველი გაგებით სიმბინიჯე და სილამაზე), ჭეშმარიტება სი-მადარეს, დიდი პატარას, ბევრ შემთხვევაში უზენოვად ჩათვლილი ზნეობრივს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდში ხმას იმალევენ ისეთი ფრანგი მწერლები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ტაბუ-დადებული იყვნენ ფაშიზმთან თანამშრომლობისა და მისდამი სიმპათიის გამო. ამავე დროს იმალევენ ხმას სექსობრივი უმცირესობები, ქალები, რომლებიც მართლაც ერთობ შელახული უფლებებით სარგებლობდნენ (და სარგებლობენ), ეთნიკური უმცირესობები და სხვა. განსახილველი აზრით, პოსტმოდერნიზმი შეიძლება დახასიათდეს როგორც მარგინალიზაციის ფენომენის გამოვლენა. მარგინალიზმი წარმოადგენს ბევრ მკვლევარის აზრით, XX საუკუნის ინტელიგენციის თვითგანცდას, თანამედროვე აზროვნების მოდუსს. პოსტსტრუქტურალიზმიდან დაწყებული მარგინალიზაცია გადაიქცა უკვე გააზრებულ თეორიულ რეფლექსიად და ცენტრალური იდეის სტატუსი შეიძინა. ამავე დროს ეს მარგინალიზაცია როგორც გაცნობიერებული განწყობა (არა უზნაძი-სული გაგებით) პერიფერიაზე თანაბრად შეეხო ზნეობრივ საკითხებსაც. ზოგიერთი ავტორი ამით ხსნის განსაკუთრებულ ინტერესს მარკიზ დე სადის მიმართ. მარგინალიზაცია გამოიხატა აგრეთვე ახალი რომანი, საზოგადოდ, ახალი ხელოვნების მიერ არჩენილ სიუჟეტებში (თუკი შეიძლება ამას სიუჟეტი ეწოდოს ტრადიციული გაგებით), ენაში; მოდერნიზმში, ან უფრო ზუსტად, უკვე ავანგარდში, უმაღლესი, ნამყვანი ადგილი დაიკავეს ახალი ტიპის შემოქმედებმა, რომლებიც გამოხატავენ და ამკვიდრებენ რადიკალური საზოგადოებრივი ტიპის ზატს. აქვე უნდა ითქვას, რომ პოსტმოდერნიზმის ინტერესი და „ზრუნვა“ მარგინალიზების გათანაბრებისათვის დღეს ნაკლებად აქტუალურია და მწვავე, ვინაიდან დღეს დასავლურ სამყაროში მარგინალური კულტურული



ფენომენების რეაბილიტაციის უფლება არ არის საკამათო და არც განსაკუთრებულ დასაბუთებას მოითხოვს. ამიტომ „მარგინალიზაცია მარგინალიზაციისათვის“ დღეს უკვე ნაკლებად იჩენს თავს და მოხდა ერთგვარი დაქსაქსვა – ყველა თავის კერძო ამოცანებს ახორციელებს: ფემინიზმს, ეთნიკური თუ სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვას, ემიგრანტების ინტერესებს და ა.შ.

ერთგვარად პოსტმოდერნიზმის მარგინალიზაცია ქმნის პრობლემებს იმ საზოგადოებებში, რომლებიც თავისი პოლიტიკური და სოციალური განვითარებით, პოლიტიკური წყობით არ წარმოადგენს პოსტმოდერნისტულს, თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ცნობიერ მატარებელს (პოსტსაბჭოური სამყარო, ფუნდამენტალისტურად ორიენტირებული საზოგადოებები). ასეთ კულტურაში პოსტმოდერნისტული რეაბილიტაცია, მარგინალიზაცია თავს იჩენს როგორც აგრესიული ანტიმოდერნისტული რიტორიკა, დემაგოგია ნინა-მოდერნისტული (პრემოდერნისტული) პოზიციებიდან.

პოსტმოდერნი და მასობრივი კულტურა

ისევე როგორც ნებისმიერი ახალი მიმდინარეობა, პოსტმოდერნიზმი (პოსტმოდერნი) აღიარებული იყო მოყვარულთა მეტად მცირე ჯგუფის მიერ. ფაქტობრივად ის მისანდლოში და მისაღები აღმოჩნდა შეზღუდული ელიტარული კულტურული წრისთვის, შემოქმედთა მცირე ნაწილისთვის. ამასთან აბსურდული და შემდგომში პოსტმოდერნისტული მწერლების სიუჟეტის სიმარტივემ, სიცხადემ, დეტალთა სიმწირემ, წარმოდგენის განსხვავებულობამ „უცხოობამ“ ძალე მიიზიდა მკითხველი და მასურებელი. განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა, ჩემი აზრით, ამ ნაწარმოებების აპოლიტიკურობა. ამდენი ომის, გადატრიალების, ამბოხების შემდეგ ადამიანი თავს დაუცველად და მიუსაფარად გრძნობდა, ისევე როგორც ბეკეტის, იონესკოს, ბლანშოს გმირები.

თანდათანობით გახლეჩა ელიტასა და მასას შორის პოსტმოდერნის ატმოსფეროში მცირდება და გადაიქცევა საკმაოდ მჭიდრო ურთიერთკავშირადაც კი; იმით, რომ პოსტმოდერნისტული ხელოვნება შლის ნებისმიერ რჩეულობას, ელიტარუ-

ლობას, გარიყულობას, მას ხდის ერთგვარად მასების ინტერესებს და მცდელობად. მას არავითარი პრეტენზია არა ქვია ვინაშე შეცვალოს, ვინაშე აუკრძალოს არსებობა ან პირიქით, ვინაშე წამოსწიოს, გააფეტქოს. სწორედ ამ ახალი მიდგომით, ახალი პარადიგმით ის მეტისმეტად ბევრს ცვლის ადამიანთა ცნობიერებაში და შესაბამისად საზოგადოებრივ ცხოვრებაში (რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ).

ახალი ნესრიგის, პოსტმოდერნისტული ნესრიგის დამყარება, რომლის ძირითადი ამოცანაა არ მოხდეს ვინმეს უფლებების შელახვა იმის გამო, რომ ის უფრო სულელია, უშნოა ან უმეცარი, განსაკუთრებული ფერის კანი აქვს ან სექსუალური მიდრეკილებები, ინვევს, როგორც აღინიშნა, უდიდეს ცვლილებებს ესთეტიკურ პლანში. შემოქმედება, ხელოვნების ნაწარმოები აღარ ატარებს შეფასებით ფუნქციას, მას არა მარტო არ ეკისრება, არამედ ეკრძალება რაღაც აზრით, განათლება, ქულის სწავლება, დარიგება, იდეალის დასახვა, ან თუნდაც სხვისი სახელით ლაპარაკი. ეს გარემოება ახალ ამოცანებს უსახავს ნაწარმოებს, ის უნდა წარმოჩნდეს რაღაც სხვა ნიშნით, ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური შეგრძნებების გალიზიანებით – ძლიერი ხმაურით, მეტისმეტად უცნაური ფორმით, სიჭრელით, და ა.შ. რაც ბევრ შემთხვევაში აახლოებს ე.წ. ხელოვნების ნაწარმოებს მასობრივი კულტურის ნაწარმოებთან. და მართლაც, ხშირია შემთხვევები, როდესაც მწერლის რომანი აღიქმება როგორც მასობრივი კულტურის პროდუქტი და ის ქმნილებებიც კი, რომლებიც მიეკუთვნება კლასიკას, ან ელიტარულ ხელოვნებას, დღეს შეწყვეტდა არსებობას, რომ არა მათი ადაპტირება მასობრიობასთან. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, თუნდაც ოპერების შემოკლებული ვარიანტები თანამედროვე ცხოვრებასთან მისადაგებით, ცნობილი ოპერის მომღერლების ერთობლივი კონცერტები პოპ და როკ-მომღერლებთან (კაბალიე და მერკური, პავაროტი და ელტონ ჯონი). ეს სულაც არ ნიშნავს „მაღალი“ ხელოვნების გაუფასურებას, ყოველ შემთხვევაში, მე ამის თქმა არ მსურს და შეფასების უფლებასაც არ მივცემ ჩემს თავს. და თუნდაც ჩავთვალოთ, რომ ხდება ამ მაღალი ხელოვნების გამასობრივება, მაინც აქვე უნდა ითქვას, რომ ხდება მასობრივი კულტურის, მასო-



პრივი „ხელოვნების“ ამალელებაც, მისთვის განსაზღვრული სულიერების მინიჭება.

რასაკვირველია, სამართლიანია ისიც, რომ სულიერი იერარქიის მოსპობამ ერთგვარად ტალანტი და უნიჭო პიროვნება ერთმანეთს გაუტოლა, რაც დიდ გასაქანს აძლევს მასობრივ ადამიანს, რომელსაც ნიჭის ნაცვლად მოხერხება და დიდი ენერჯია აქვს, მაგრამ მაინც ცალსახად ამის მტკიცება აღბათ არ შეიძლება. შესაძლოა ხელოვნება ჯერ კიდევ არ გახდა მასობრივი, მაგრამ ხელოვნებაში მოღვაწეობის უფლებამ ნამდვილად საყოველთაო ხასიათი მიიღო და აღარ იზღუდება ისეთი მოთხოვნით, როგორცაა განსაკუთრებული ნიჭი, უნარი, ცოდნა და ა.შ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ვარსკვლავს ქმნიან არარაობიდან.

კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც ხელს უწყობს იმას, რომ პოსტმოდერნიზმი გახდეს მასობრივი. ეს არის მისი კომიკურობა. როგორც ცნობილია, ირონია უფრო ძნელად გასაზიარებელი ფორმაა (გაცილებით მეტად პოპულარულია და ყველასათვის გასაგები კომედიები, რომლებშიც ერთმანეთს უბათქუნებენ, დასდევენ, აწვალავენ, ვიდრე ისეთი ფილმები ან ნიგნები, რომლებშიც ირონია, მინიმუმები, ილუზიები).

პოსტმოდერნიზმი ხელს უწყობს სრულიად არ არის ირონიული. ირონია დაშახასიათებელია რომანტიზმისათვის, მოდერნიზმისათვისაც კი ნაწილობრივ, მაგრამ არა პოსტმოდერნიზმისთვის. პოსტმოდერნიზმი ხელს უწყობს კონტექსტუალურია. ინდივიდუალური მხატვრული შემოქმედება გარეშე კულტურული ველის კონტექსტში დგება, არ კონტროლირდება სუბიექტის მიერ. თუმცა ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ პოსტმოდერნიზმი ახასიათებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ირონიას აკავშირებენ და აიგივებენ კიდევ ეპატიფთან.⁵

კიდევ ერთი ნიშანი, რომელმაც მრავალი პოსტმოდერნიზმის ნაწარმოები მასობრივად აქცია და საზოგადოდ საშუალებას გააძლევს პოსტმოდერნიზმთან მიმართებაში მასობრივი ლიტერატურა, მასობრივი ხელოვნება გაეხსენოთ, არის ადრე ნახსენები მარგინალიზაციის თემა. მასობრივი ლიტერატურისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს მარგინალური ჯგუფების, მარგინალური ადამიანების ყოფა და ცხოვრება. ამასთან მასობრივი ლიტერატურის მარგინალიზმი

სოციალური კრიტიციზმის სახეს ატარებს. „გარიყულთა“ სოციალური მსჯელობის წარმომადგენელთა სამყარო, დამსახურება, ხელისუფლების კორუფცია და ა.შ. ამკარად დიდაქტიკური ხასიათისაა, რაც უცხოა, როგორც ითქვა, პოსტმოდერნიზმული ლიტერატურისათვის, რომლისთვისაც მარგინალი არანაირად არ ფასდება — ეს არის უცხო, ისეთივე უცხო, როგორც ნებისმიერი ჩვენგანია ხევისთვის და თვით საკუთარი თავისთვის, თუ ოდნავ მაინც ჩაფიქრდება ან თუნდაც ვაცხდება ჩვეულ საზღვრებს. პოსტმოდერნიზმი თავისებურება ის კი არაა, რომ მისი ლიტერატურა ან ხელოვნება ერწყმის, ენაცვლება ან იგიური ხდება მასობრივისა, არამედ ისაა, რომ მასობრივი ხელოვნება ერთ-ერთი რიგითი, თანასწორი და სრულყოფილიანი ელემენტი ხდება ხელოვნების.

ლიტერატურის (ხელოვნების) დაყოფა „ელიტარულად“ და „მასობრივად“ ახალი დროის ფენომენს წარმოადგენს და თანადროულია ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების. მასობრივი ლიტერატურა ძირითადად იმ საზოგადოებებში ვითარდება, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განათლებულია, ყოველ შემთხვევაში იცის კითხვა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, სწორედ პოსტმოდერნიზმის დამკვიდრების პარალელურად ელიტარულის და მასობრივის დაპირისპირებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და აქტუალობა. მასობრივი ხელოვნების გატოლებამ ხელოვნების სხვა ფორმებთან, თუნდაც ელიტარულ ხელოვნებასთან კარგად წარმოაჩინა ამ დაყოფის ფარდობითობა, აღმოჩნდა, რომ ორივე მათგანს უყავს თავისი გამოჩენილი ავტორები, გამოჩენილი ნაწარმოებები. საინტერესოა კიდევ ის ფაქტი, რომ ბევრი ე.წ. შემოქმედი (მწერალი, რეჟისორი, მუსიკოსი) ხშირად მასობრივი ხელოვნების სიუჟეტით თუ ფორმით ცდილობს თვითგამოხატვას, ექსპერიმენტირებას (თუნდაც უმბერტო ეკო, გრენუევი).

ხშირია შემთხვევები, როდესაც მასობრივი ხელოვნების ნაწარმოებები ელიტარულის სახეს იღებს გამოცემის ტიპის გამო. ასე ხდება ავტორის პირველად გამოცემის დროს, ასეთივე იერი უკონდა საბჭოთა პერიოდში ფანტასტიკური ლიტერატურის გამოცემას, მაგ., სტრუგაცკების ნიგნებს. ამგვარად, ეს შეფასების საკითხად იქცევა. გარდა ამისა, ეს არის კონტექსტის პრობლემა, რომელშიც ნაწარმოები არსე-

ბობს. ვივალდის მუსიკის თანხლებით ყინულზე შესრულებული ცეკვა მასობრივ კულტურას მიეკუთვნება, ალბათ, ისევე, როგორც მიქელანჯელოს ნაბატში გახვეული ნამცხვარი.

პირიქითაც ხდება, როდესაც „მაღალი“, „ელიტარული“ ხელოვნების ნაწარმოებად იქცევიან ბალაგანური, ქუჩური, მასობრივი ხელოვნების ნიმუშები. საკმარისია გასახსენებლად რპერაში შესრულებული დიდი მომღერლების მიერ ცნობილი „შლაგერები“, კინოშედეგებში გამოყენებული საცირკო ნომრები და მოედნის სანახაობები, ასე რომ უყვარდა ფელინის.

დასკვნა

ძალიან ძნელია რაიმე ცალსახა მტკიცე და სარწმუნო დასკვნის გაკეთება, იქნება ეს თემის თაობაზე, თუ თემის გასახსენებლად აღებული პოსტმოდერნიზმის თაობაზე. ჩემის აზრით, აღებული პერიოდი კარგად წარმოაჩენს ხელოვნების და საზოგადოების ურთიერთგაპირიპობულობას. თანამედროვე ხელოვნების და დიდნილად ფილოსოფიის თავისებურება ეხმიანება საზოგადოების, თანამედროვე საზოგადოების როგორცაა.

ჩვენი წერილის ნინა თავებში აღვნიშნე, რომ ბევრი ავტორი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი თანამედროვე პოსტმოდერნისტულად ნოდებულ ხელოვნებას უკარგავს ღირებულებას და ითვლება, რომ ეს მიმდინარეობა სრულიად ამორალურია, იმ აზრით კი არა, რომ ამორალურია, არამედ იმ გაგებით, რომ მორალური შეფასება მისთვის უცხოა. თვითონ ეთიკური შეფასების (ისევე როგორც ესთეტიკურის ან ნებისმიერი სხვა) მისდამი მიყენება უადგილოა და აზრს მოკლებულია. აქ „კარგი“ და „ცუდი“, „ღამაზი“ და „მახინჯი“, „მოსაინი“ და „დასაგმობი“ არ არსებობს. მისი შედარება შეიძლება მარტო რეფერატთან, რომელიც მოკლებულია ნებისმიერ შეფასებებს. იქვე აღვნიშნე, რომ ასეთი დახასიათება პოსტმოდერნიზმისა არ უნდა იყოს მართებული.

თუ ხელოვნების მისამართით ზემოთმოყვანილი მსჯელობა სამართლიანი და სანდო ჩანს, როგორც კი იგივე მახასიათებლებს განვიხილავთ საყოველთაო ცხოვრებაში, პოლიტიკაში, სოციალურ ურთიერთობებში, მაშინვე ჩანს მსგავსი მიდგომის ცალმხრივობა. პირველ რიგში

ამგვარად, პოსტმოდერნისტული ხელოვნება, რომელიც ურთიერთდაწინააღმდეგენს თანამედროვე კულტურული დემოკრატიის ქვეყნებში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებების გასაზრდელს, ხასიათდება არა მარტო ყველა კულტურისთვის ჩვეული დაყოფით ელიტარულ ხელოვნებად და მასობრივად, არამედ აგრეთვე ხელოვნების ამ ორ ტიპს შორის საზღვრების მოშლით და ურთიერთშეხამებით. ბევრ შემთხვევაში სწორედ ეს ელიტარული ატარებს მასობრიობის ნიშნებს, ხოლო მასობრივი მარტოდენ ტრადიციული „მომხმარებლის“ ვინაობა უნდა იქნას.

უნდა ითქვას, რომ განსხვავებების გათანასწოება და იერარქიის მოშლა, რაც ხელოვნებაში თითქოსდა ამორალურობის სახეს იღებს, რის გამოც ბევრი კრიტიკოსის საყვედურს იმსახურებს, პოლიტიკურ ცხოვრებაში და საერთაშორისო ურთიერთობებში ვლინდება როგორც ყველა ადამიანის უფლებების თანაბარი დაცვა მისი განსხვავებულობის მიუხედავად, იქნება ეს კანის ფერი, თუ წარმოშობა, ენა თუ ეროვნება. ასეთივე ვითარებაა მარგინალიზების მიმართაც. სწორედ მარგინალიზაციის ხაზგასმამ და მისი უფლებების აღდგენამ მოიტანა ის ძვრები, რომლებიც მოხდა სექსუალური უმცირესობების ლეგალიზაციით, ქალთა უფლებების გაზრდამ, ერთა თვითგამორკვევაში და ა.შ. რაც უჭქველად პროგრესულ და დადებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ცალკე აღსანიშნავია, ალბათ, „უცხო“ ცნება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია პოსტმოდერნისათვის და რომელიც ამ ტერმინით, თუ განსხვავებული დეფინიციით თავს იჩენს თითქმის ყველა პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსის და კრიტიკოსის ნაწარში – ლეინა, დერიდა, კრისტევა, ბურდიე... ზოგიერთი კრიტიკოსი უცხოს აღზევებას და მის გამახვილებას მიშით აღწერს და აკავშირებს რა ემიგრანტთა მოძრაობასთან და ემიგრანტთა ინტერესებთან, თვლის, რომ ის ფაქტობრივად ლახავს მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს და ხელს უწყობს ეროვნულობის ნიშნების ნაშლას, ფაქტობრივად საზღვრების მოსპობას და ერთ მთლიან მასად, კოსმოპოლიტთა უხახო



გროვად გადაქცევას. ძნელია დაბარალო პოსტმოდერნისტ შემოქმედებს პოლიტიზირება, თუმცა პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსები უქველად ეხებიან პოლიტიკას, ძალადობას, სამართლიანობას და სხვა ცნებებს. რასაკვირველია, უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად კეთილშობილი და სამართლიანი სულისკვეთებით შექმნილი ცნებები დამოუკიდებლად იწყებენ რა არსებობას, მოულოდნელ და საპირისპირო იერს იღებენ. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ამ ახალი მსოფლმხედველობის (და ეს სწორედ მსოფლმხედველობაა) შედეგია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შემართება დამოუკიდებლობისაკენ და ბრძოლა თვითგამორკვევისათვის. აქ იმას კი არ ვგულისხმობ, რომ იდეამ ომი გამოიწვია, მაგრამ ასეთი იდეების გავრცელებამ ამ ბრძოლის ერთგვარი ლეგალიზება მოახდინა.

თუ დავუბრუნდებით პირიქით, საზოგადოების და სამყაროს გავლენას ხელოვნებაზე, უნდა აღინიშნოს მისი რამდენიმე ახალი მხარე. მონდიალიზაცია, რაც გულისხმობს იმას, რომ ლიტერატურა, ხელოვნება შეიძლება იყოს გართობის, გაყიდვის ობიექტი, რაც ხშირად მისი სხვადასხვა ენაზე წარმოდგენის აუცილებლობას იწვევს სხვადასხვა ქვეყანაში. ერთის მხრივ, მწერალს თუ მუსიკოსს აღარა აქვს უფლება და აუცილებლობა, ისაუბროს, გამოვიტყოს ადამიანთა დიდი ჯგუფების სახელით და პრეტენზია აქონდეს მიიპყროს ყველას ყურადღება, მაგრამ

მეორეს მხრივ, ყველა დიდი და უბრალოდ შესაძენევი, წარმატებული ნაწარმოები, იქნება ეს ლიტერატურული თუ მუსიკალური, სხვა სფეროში, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ხვდება.

მეორე თვისება, რომელიც შეიძინა ხელოვნებამ საზოგადოების ახალ თვისობრიობასთან დაკავშირებით, არის მისი აგების, ფორმირების ძველისაგან განსხვავებული წესი, რაც აიხსნება, კინოხელოვნების, შემდგომ ტელევიზიის და საერთოდ მასკომუნიკაციო არხების განვითარებით. ეს თავს იჩენს ხელოვნების (მაღალი ხელოვნების) ახალ სახედ ჩამოყალიბებაში, საზოგადოდ მთელი ხელოვნების ახლებურ სტრუქტურირებაში, ახალი ენის შექმნაშიც კი, სურათის, გამოსახულების როლის გაზრდაში.

ამგვარად, პოსტმოდერნის ეპოქა მთლიანად ცვლის კულტურის შინაარსს. საინტერესოა, რომ მისთვის დამახასიათებელი კულტურის დიფერენციაცია მცირედ დამოკიდებულ ან სრულიად დამოუკიდებელ კულტურულ სტილებად, ფორმებად და ა.შ. იწვევს ახალი საკვლევი სფეროების გაჩენასაც, რომელთა შორისაც აღსანიშნავია კულტურის, ხელოვნების სოციოლოგია, რომელსაც გვერდს ვერ უვლის თითქმის ვერცერთი თანამედროვე ფილოსოფოსი – ბოდრიარი, დელიოზი, რორტი, ბურდიე. ასეთი საკვლევი მეცნიერული დარგის გაჩენა მონიშნავს, რომ ხელოვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება უთუოდ ფართო კვლევის საგანს წარმოადგენს.

შენიშვნები

1. ხოსე ორტეგა-ი-გასკეტი, „ხელოვნების დეპუმანიზაცია“, მოსკოვი, 1991 წ.
2. ვან-ფრანსუა ლიოტარი. პოსტმოდერნის მდგომარეობა, მოსკოვი, 1998 წ.
3. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 49 (რუს. ენაზე)
4. ილია ილინი, პოსტმოდერნიზმი – სათავეებიდან ასწლულის დასასრულამდე, მოსკოვი, 1998 წ.
5. ლევ აიშინსკი. შეიძლება კი ფონს გასვლა პოსტმოდერნიზმის გარეშე? კონტინენტი № 89, მოსკოვი, 1996 წ.





მონოგრაფია „შაპ-ნამეს“ შესახებ

სარეცენზიო წიგნი გამოცემულია ირანში, სპარსულ ენაზე, გილანის უნივერსიტეტის გრიფითა და გერბით.

„თხუთმეტი სარკმელი“, ბუნებრივია, ამ მონოგრაფიას შემთხვევით არ ეწოდება. აქ განხილულია ფირდოუსთან და მის პოემასთან დაკავშირებული თხუთმეტი ძირითადი საკითხი. ესენია: 1. „შაპ-ნამეს“ შექმნის ამბავი. ფირდოუსის ცხოვრება, 2. „შაპ-ნამეს“ შედგენილობა, 3. „შაპ-ნამეს“ წყაროები და ფირდოუსის წინამორბედები, 4. ფირდოუსი და დაყვი, 5. ციტატები, 6. ლირიკული ნიაღვრები, 7. ფირდოუსის მსოფლმხედველობა, 8. სამშობლო, 9. მეფე, 10. გმირი, 11. ომი, 12. ყოფა, 13. „შაპ-ნამეს“ ზოგი მხატვრული თავისებურების შესახებ, 14. შინაარსობრივი შეუსაბამიანი, 15. პარალელები თავისთავად ის ფაქტი, რომ მოუხედავად იმისა, რომ „შაპ-ნამესა“ და მისი ავტორის შესახებ სპარსულ და ევროპულ ენებზე უამრავი ლიტერატურა არსებობს (მათი ავტორები კი არიან ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: ქრისტენსენი, თავიზაფი, ბოლდირევი, სტარიკოვი, ბერტელსი, ი. მარი, ბროუნი, ბრაგინსკი, საფა, მახე), ირანში საჭიროდ ხცნეს ქართველი მეცნიერის ამ მონოგრაფიის სპარსულ ენაზე გამოცემა, ეს კი უკვე მოუთხოვს იმაზე, რომ აკად. მ. თოდუას ნაშრომში არაერთი და ორი საკითხია პირველად დასმული ან ახლებურად გადაჭრილი.

ცნობილია, რომ როცა რაიმე მეცნიერულ შრომას აქვეყნებს, მის ავტორს, თუ ის საკითხს ღრმად სწავლობს, უწინდება მის მიერ უკვე გამოთქმული ზოგი მოსაზრების შეცვლისა თუ ნაშრომის სრულყოფის სურვილი. მ. თოდუას მისცემია შესაძლებლობა, როცა მისი მონოგრაფიის სპარსულ ენაზე გამოცემის საკითხი დამდგარა, სარეცენზიო შრომის ქართული ვარიანტისთვის „ფირდოუსი და მისი „შაპ-ნამე“ ამ თვალსაზრისით გადაეხედა. მას კი არ უთარგმნია თავისი მონოგრაფია, არამედ იგი ხელახლა დაუწერია, ოღონდ უკვე სპარსულ ენაზე. ამიტომ „თხუთმეტი სარკმელი“ ქართველი ავტორის მონოგრაფიის შევსებულ, შესწორებულ და ახალი საკითხებით სრულქმნილ გამოკვლევას წარმოადგენს.

„შაპ-ნამე“ მსოფლიო პოეზიის შედევრია, ამავე დროს, როგორც სამართლიანად წერს სარეცენზიო შრომის ავტორი, ამ ქმნილებას იგივე ფუნქცია აქვს ირანულ სამყაროში, რაც „ეფთხისტფაოსანს“ ჩვენში, იგია ირანელი კაცის ქირისა და ღზინის წიგნი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წიგნის ტექსტი ისე, როგორც შუა საუკუნეების კლასიკურ ძეგლთა უმეტესობა, სათანადო დონეზე არაა შესწავლილი და გამოქვეყნებული. უნდა დავეთანხმოთ მ. თოდუას იმ მკაცრ შეფასებაში, რომელსაც იგი „შაპ-ნამეს“ ე.წ. მეცნიერულ გამოკვლევებს აძლევს, რადგან „საუკეთესოდ მიჩნეული მისი ტექსტები კოლექტიური შრომის ნაყოფია, თანაც ერთ ტომს ერთი კაცი ადგენს, მეორეს – მეორე, მესამეს – მესამე და ა.შ.“. ამავე დროს, ისინი შედგენილია უძველესი წიგნებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპით, რაც ყოველთვის გამართლებული არაა.

„შაპ-ნამეს“ ავტორზე უტყუარი ცნობები არ მოგვეპოვება. მიზი სახელიც კი არ ვიცით. ნაშრომში განხილულია როგორც „შაპ-ნამესთან“, ასევე მის ავტორთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ირანისტიკაში ფირდოუსის ფსევდონიმისა და ზედწოდების (ლაყაბი) შესახებ დავაა ატეხილი. აბულ-ყასემი არაბული ფრაზაა და, თუ მას პირდაპირი წინმენლობით გაევიკვებ, აყასემის მამას ნიშნავს. მაგრამ ყველაზე ნაკლებად ეს ვარაუდია სარწმუნო, რადგან „აბუ“ ფორმის მქონე წოდებანი, პრაქტიკულად არასოდეს გულისხმობდა, რომ ამის მატარებელი პირი მავანის მამა იყო (ასეთი წოდება მქონდა მუჰამედსაც, მიუხედავად იმისა, რომ მას ყასემის სახელის მქონე შვილი არ უყოლია). უფრო საფიქრებელია, რომ ეს ფრაზა ნიშნავდეს „გასაჩუქრების თვისების მქონეს“, გულუხვს და წარმოგვიდგებოდეს არა როგორც წოდება, არამედ როგორც ლაყაბი. „არ არის გამორიცხული, – წერს სარეცენზიო მონოგრაფიის ავტორი, – პოეტს ვინმეს, კერძოდ კი, სულთან მაჰმუდის, პატივისცემის ნიშნად აეღოს ეს ლაყაბი“. „ფირდოუსი მოიქცა ისე, როგორც შემდეგში – სადი შირაზელი, რომელმაც ლაყაბი სადი აიღო ფარსის პატრონის სადი ბენ ზენგის-



ადმი პატივისცემის ნიშნად. მართალია, სულთანის მაკმუდი ხორასანში რომ გამეფდა (998 წ.), ფირდოუსი ქარმაგი კაცი იყო, მაგრამ არც სადი ყოფილა ახალგაზრდა, როცა ასეთი ლაყავი აირჩია. გონებამახვილურად აკრიტიკებს მ. თოდუა თავის ევროპელ და ირანელ კოლეგებს, როდესაც ისინი „ფირდოუსის“ სწორად აკავშირებენ რა ბერძნულ სიტყვა „ფერდაუსთან“, გვიხსნიან: ინის დამატებით ეს სიტყვა სამთხელს ნიშნავს. მაგრამ, წერს მ. თოდუა, „შაპ-ნამეს“ ავტორი მართლაც სამთხელი ხომ არ იყო და ემხრობა მოსაზრებას, რომ პოეტის ფსევდონიმი „ფერდოუს“ ტოპონიმს (ასეთი კი მართლაც არსებობდა მის სამშობლო კუთხეში) უკავშირდება.

როგორც ცნობილია და თავად ფირდოუსიც გვამცნობს, მან მოაგროვა და გამოიყენა საშუალო და ახალ სპარსულ ენებზე არსებული როგორც ისტორიული ქრონიკები, ასევე მხატვრული ძეგლები, რომელთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია დღემდე შემორჩენილი. მკვლევარი წერს: „შაპ-ნამეს“ ირანის გალექსილი ისტორიაა, მასში მითები არის მოქცეული და ნამდვილი ამბებიც. და იმით, რომ ფირდოუსიმ მითებიც გალექსა და ისტორიაც, ფრედერიკო მაიორის მოხდენილი შედარება რომ ვინმართ, იგი ხან პომპროსს ჰგავს, ხან კიდევ — პეროდოტესო.

ესება რა ფირდოუსის მიერ გამოყენებულ წყაროებთან „შაპ-ნამეს“ ურთიერთობის საკითხს, სარეცენზიო შრომის ავტორს მოაქვს ა. გვაზარაის მოსაზრება: „ფირდოუსი დიდოსტატურად უკავშირებს ერთმანეთს ქრონოლოგიური ჯაჭვის რგოლებს... ყველას უხილავად აერთიანებს საგმირო ეპოსისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და ხერხები“ და განაგრძობს: „ამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მასალებს, ჯერ ერთი, მოძიება უნდოდა, შემდეგ აუცილებელი იყო მათთვის ადგილის მიწევა ეპოპეაში და ბოლოს, როცა ქურამი ენყო მადანი, საჭირო იყო მთავარი რამ: მაღალი ტემპერატურის პოეტური ცეცხლი, რათა ყველაფერი ეს ერთად გადამდნარიყო, ვინძლო თვისობრივად ახალი მონოლითი მიგველო... ფირდოუსის კიდევ ერთი დამსახურება კაცობრიობის წინაშე ისაა, რომ მან და მხოლოდ მან გადავიწიწინა ირანული მხატვრული და მეცნიერული აზროვნების უამრავი შედეგი. მართალია, როგორც შენიშნავენ, ფირდოუსიმ მემკვიდრეობით მიიღო (თუნდაც დაყოფისაგან) „შაპ-ნამეს“ არა მარტო წყაროები, არამედ მისი ერთგვარი ქარგაც კი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას თავისი, საკუთარი

მოდელი უნდა შეექმნა. მან ის შექმნა და ეს მოდელია დღეს ერთადერთი და გენიალური“.

მ. თოდუას გამომთქმელი სიტყვებით კერძო მოსაზრება, რომელსაც ძნელია, არ დაეთანხმო: „საერთოდ, ყველა ძველი წყარო, რომელშიც მემატინან ესა თუ ის ამბავი აქვს აღწერილი, ობიექტური და ხანდოროდია. უნდა გვახსოვდეს, რომ უმრავლესობა თუ არა, დიდი ნაწილი მაინც კარის მემატინანებისა მიკერძოებულნი იყვნენ და ფაქტურად თავიანთი პატრონის ქებას წერდნენ“.

„შაპ-ნამეს“ წერის დროს, როგორც აღენიშნეთ, ფირდოუსის გამოუყენებია ბევრი წყარო, მრავალი ავტორის ქრონიკა თუ თხზულება. მათ პოეტი ასახელებს კიდევაც. ეს ფირდოუსის მეოხებითაა, რომ ამ პირთა სახელები შემოგვრჩა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწერები დროთა ვითარებაში დაკარგულა. მ. თოდუა ყურადღებას მიაქცევს პოეტის ერთ სტრიქონს „შაპ-ნამესში“, რომლისთვისაც ირანისტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა არავის მიუნიჭებია: „ბულბულისაგან გამოვიღია ერთი ამბავი“. მ. თოდუამდე ყველა თვლიდა, რომ აქ „ბულბულისაგან გამოვიღია“ პოეტური გამოთქმაა. სარეცენზიო შრომის ავტორის აზრით კი, „ბულბული“ აქ ფირდოუსის რომელიღაც წინამორბედი ირანელი პოეტის ფსევდონიმი უნდა იყოს, რაკი ბულბული ერქვა, იგი პოეტი, ე.ი. ფირდოუსის წინამორბედი და „შაპ-ნამეს“ გამლექსავი უნდა ყოფილიყო და არა ისტორიული ქრონიკის ავტორი. ამიტომ ჩვენ ფირდოუსამდელ სპარსულ პოეზიაში ასეთი პოეტი უნდა ვიგულებოთ და მიზი სახელი შეტანილ უნდა იქნეს „შაპ-ნამეს“ გამოცემების საკუთარ სახელთა საძიებელში (აღმოსავლეთში ასეთი ფსევდონიმითაა ცნობილი უფრო გვიანდელი ხანის ოთხ პოეტი).

საყურადღებოდ მიგვაჩნია მ. თოდუას მოსაზრება ფირდოუსის პოემისა და ძველი ისტორიული ქრონიკებისა და მხატვრული ძეგლების ურთიერთმიმართების შესახებ. ფირდოუსის მიერ გამოყენებულ წყაროთა ერთი ნაწილი მხატვრული ნაწარმოები იყო. ზოგი მათგანი, საბედნიეროდ, შემორჩენილია, მაგალითად, „ქარნამაქი არდაშირი პაპაქან“ („არდაშირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნი“). მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა, იმის გასარკვევად, თუ რა მიმართებაშია ფირდოუსის პოემა თავის წყაროებთან, „შაპ-ნამეს“ შესაბამისი თავი დასახელებული თხზულებისათვის შეგვედარებინა, რადგან არ არის გამოცემული,



არსებულყოფი არა ერთი, არამედ რამდენიმე თხზულება არდაპირის შესახებ და ფირდოუსის სწორედ ის ძველი გამოყენებინოს, რომელიც დღეს დაკარგულია. ასეთ შედარებებს მიმართავენ ისეთი თვალსაჩინო ირანისტებიც კი, როგორც იყო ან განსხვავებული დიდი რუსი მეცნიერი ე. ლუკონინი.

ირანისტკაში მწვავედ დგას საკითხი: იცოდა თუ არა ფირდოუსიმ ფალაური (საშუალო სპარსული) ენა. მწვავედ იმტკომ, რომ პოეტი თავისი თხზულების წერისას ძირითადად ფალაურ ენაზე შექმნილ ქრონიკებსა და მხატვრულ ნაწარმოებებს ეყრდნობოდა. ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, იცოდაო, ზოგი ფიქრობს — არაო. თუ არადა, პოეტი ერთგან პოემამი გვაუწყებს: ხარჭამ ერთ ღამეს ფალაური ამბავი წამიკითხაო. თუ მისმა ხარჭამ იცოდა ფალაური ენა და ამ ენაზე წერა-კითხვა, თითქოს ფირდოუსის რატომ არ უნდა ცოდნოდა იგი. მაგრამ მ. თოდუა იგონებს, თუ ერთხელ, როცა მან პოეტი ი. გრინაშვილს, რომელიც სომხების უბანში იყო გაზრდილი, უკო რა ოვანეს თუ-შანანის მისეული თარგმანები: უთხრა, სომხური ალბათ იციოთ, პოეტი უშასუხია: სომხური როგორ არ ვიცი, მაგრამ წერა-კითხვა არ ვიცი სომხურიო. მეცნიერი ასკვნის: საკვრეველია, სომხური თუ იცოდა, სომხური წერა-კითხვის შესწავლას რალა უნდადა, ასე რომ, ეს ფაქტი საგულისხმოაო.

როგორც ცნობილია, ფირდოუსიმ თავის პოემამი შეიტანა მისი თანამედროვე პოეტის, ადრე დაღუპული დაყიყის მიერ შექმნილი „შაჰ-ნამეს“. მაგრამ რა მოცულობით ჩართო მან თავის თხზულებაში მისი წინამორბედის (იყო კი წინამორბედი? იქნება, პარალელურად მუშაობდნენ ისინი ამ თემაზე) პოემა, გარკვეული არ არის. მართალია, ფირდოუსი ასახელებს დაყიყის სტრიქონთა რაოდენობას, მაგრამ სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა მაჩვენებელი გვაქვს. დაყიყის ნაწილი ირანში ზორიასტრიქონების დაყოფებით იწყება და არა ძველ წყაროებში ფიქსირებული ქვეყნის გაჩენის მითით (როგორც ეს ფირდოუსის პოემამი), რაც მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ ფირდოუსის დაყიყის პოემის დასაწყისი არ მოუტანია, თორემ ისე ამ უკანასკნელსაც პოემა ქვეყნის გაჩენის მითისის გალექსებით უნდა დაეწყო. მ. თოდუა საკითხს ახლებურად სვამს. მისი აზრით, სავალდებულო არ იყო, დაყიყის თავიდან დაეწყო ირანის ისტორიის ვალექსვა და მას აქ მოაქვს პომეროსის მაგალითი. „პომეროსმა... მთელი ტროას ომი და მასთან დაკავშირებული პერიპეტები კი არ ვალექსა

თავის „ილიადაში“, არამედ — მისი ერთი, კერძოდ, აქილევსის გაბრაზების ეპიკოდი“. ბარემ აქვე შევნიშნავთ, რომ სპარსულში შრომის ავტორის თვალსაზრისით სპარსული დაყიყის ლექსის განსხვავებული სტილი (მას მოაქვს სათანადო მაგალითები) და განსაკუთრებით კი ის, რომ ზმირად დაყიყისა და ფირდოუსის მიერ დახატული ერთი და იგივე გმირები (მაგ., თუსი) რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სარეცენზიო ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართველოლოგიისთვისაც. აქ ამის მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეზე შევამჩნიებთ ყურადღებას. ენება რა ფირდოუსის მიმბაძველებისა და მისი პოემის გამგრძელებლების მიერ ირანულ წიაღში გავრცელებული სხვადასხვა მითისა და ლექსების (რომლებიც ფირდოუსის არ გაუღეს) არსებობის საკითხს, მ. თოდუა პარალელს ავლებს „ეფესისტყაოსნის“ შექმნის ისტორიასთან. მისი აზრით, „უნდა ვიფიქროთ, რომ ფირდოუსიმ მხოლოდ გარკვეული მასალები გამოიყენა და უამრავი ამბავი დარჩა (თუ დატოვა). ეს საკითხი „ეფესისტყაოსნის“ კვლევის დროსაც დგას. ეტყობა, რუსთაველმაც გარკვეული ამბები აიღო იმ ციკლიდან, რომელიც მის დროს იყო გავრცელებული საქართველოში ტარიელის შესახებ. ამდენად, რუსთაველის პოემის გამგრძელებლებმა თავად კი არ შეთხუეს თავიერთი თხზულების ამბავი, არამედ შემკვიდრებით მიიღეს იგი ქართული მითებისა თუ ფოლკლორის საწყაოდან.

მ. თოდუას სარეცენზიო შრომის დასახურება ისიცაა, რომ ამ მონოგრაფიით პირველად არის სპარსულენოვან სამყაროში გატანილი ქართველი მეცნიერების დიდი ნვლილი, ქართული ენის არმცოდნე სპეციალისტებს ეძლევათ ძვირფასი ინფორმაცია ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილ შრომებზე. ფირდოუსის პოემის შესახებ მოხმობილია ი. მარის, ა. ბარამიძის, ლ. ლომიძის, კ. კეკელიძის, ა. გვახარიას, თუმშიშვილის და სხვათა მტკადა საინტერესო და ირანისტკისათვის მნიშვნელოვანი მოსაზრებები „შაჰ-ნამეს“ ამა თუ იმ კარდინალურ საკითხზე.

სარეცენზიო ნაშრომში ზაზგასმით არის აღნიშნული ის უყურადღებობა, რასაც ფირდოუსის პოემის ძველი ქართული თარგმანების მიმართ იშენენ ირანისტები, როგორც ვეროპაში, ისე ირანში. არადა, „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი პირველი მთარგმნელები სწორედ ჩვენ, ქართველები, ვართ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ მ. თოდუას მტკადა საინტერესო მოსაზრება ამ საკითხზე.



თბუ. ქართველ მეცნიერებს (ნ. მარი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე) მიაჩნიათ, რომ „შაპ-ნამე“ შეიქმნა XII საუკუნეში ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს თარგმნილი. მ. თოდუას აზრით, „შაპ-ნამეს“ გმირების მოხსენიება ქართულ ძეგლებში ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აქ თარგმანის კვალი ჩანდეს, რადგან არ არის გამორიცხული, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართლის ცხოვრების“ ავტორებს ორიგინალში ეკითხოთ ფირდოუსის პოემა. სავარაუდოა, რომ ჩვენს ძეგლებს უფრო ადრეც ცნობოდათ ფირდოუსის თვით ნაწარები, „ხვადაი ნამაკის“ ციკლი, მით უმეტეს, რომ მისი გმირები ქართულ მატრიანეში სწორედ რომ ფალაური ფორმებითაა ნახსენები. მაგ., იკითხება ქეკაპოს (ქექაოსის ნაცვლად), შიომ (სიაუმის ნაცვლად), ვაშტაშაბ (გომთასფის ნაცვლად), სპანდიატ (ესფანდიარის ნაცვლად) და ა.შ. „მონოგრაფიამი ირანელი მკითხველსაბათვის პირველად არის აღდგენილი სამარაალი, ამ მონოგრაფიის საშუალებით ის პირველად მოახდევს საქართველოსკენ და ამცნეს, რომ მათი ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელები სწორედ ჩვენ, ქართველები ვართ. ყველაზე მტიკ ჩვენ ვთარგმნეთ. XV საუკუნიდან იწყებენ ჩვენი ძეგლები არა მარტო „შაპ-ნამეს“, არამედ მისი მიზაძეების თარგმნას. ასე შეიქმნა ჩვენში საბაშვილი-კედელაურის, ხოსრო თურმანიძის, მამუკა თავაქალაშვილის, ბარძიშ ვაჩნაძის ლექსითი თუ პროზაული ეერსიები: „როსტომიანი“, „ზააქიანი“, „უთარუთიან-საამიანი“, „ნიგნი საამ ფალაინასა“ და სხვა.

ჩვენი წინაპრები „შაპ-ნამეს“ დედანსაც კითხულობდნენ და თარგმანებსაც. იგი გაუნელებელი ინტერესით თარგმნებოდა და იკითხებოდა. იმდენად დიდი იყო „შაპ-ნამეს“ გავლენა საქართველოში, რომ მიუხედავად ქრისტიანობის ჩვენში მტიკედ ფების მოკედებისა, სპარსულ საკუთარ სახელთა უმეტესობა გარკვეულ ხანებში მაინც, თუ არ დომინირებდა, ფართოდ მაინც იყო გავრცელებული ჩვენში. რალა გარკვეულ ხანებში, განა დღესაც ყოველი ფების ნაბიჯზე არ გვხვდება „შაპ-ნამეს“ გმირების სახელები: გივი, გოდერძი, როსტომი, ქეთევანი, ბეგანი, თემური, მორიანი, როინი, არჩილი, თემურაზი, ომანი, გულნარა, ფრიდონი, ზაალი, მერაბი, ნოდარი, თამაზი, ზურაბი, ნაშრევანი, ფორუზი, შამუზარი, გულბათი, ვახუშტი და მრავალი და მრავალი სხვა. მ. თოდუა, აღნიშნავს რა ახალ ხანაშიაც „შაპ-ნამეს“ ქართული ეერსიების პოპულარობას ჩვენში, ნერს: „კინ დაიჯერებს დღეს, რომ ამ სტრი-

ქონების ავტორიც ეზოში გარბოდა და იქ ტროდა, როცა მისი ძმა ქართველ უმბრ გლებებს „როსტომიანს“ უკმეცხეა, „ამ ტრავიკულ ადგილას (ლაპარაკია როსტომის მიერ საკუთარი შვილის, ზურაბის მოქელაზე – რეცნუ. ავტ.) მიუახლოვდებოდაო“.

სარეცნუზიო ნაშრომში მოხმობილია პარალელური მასალები საქართველოს ისტორიიდანაც, მაგალითად, ერთ-ერთი ბრძოლის აღწერის დროს გახსენებულია ტიპიური ხერზი დიდგორის ბრძოლის დროს დავით აღმაშენებლის მიერ თავისი ჯარისათვის უკან დასახევი გზის მოჭრისა (ზეობის ჩახერგვა ხის მორებით).

საქართველოს ისტორიასთან კავშირში განიხილავს სარეცნუზიო შრომის ავტორი „შაპ-ნამეში“ აღწერილ სამეფო ტახტის დაჭერის ერთ შემთხვევას. მკვლევარი ნერს: „შაპ-ნამეში“ საინტერესო აზრია გამოთქმული მეფის ინსტიტუტის ლეგიტიმურობის შესახებ: „მეფე, ვისაც მსურს (ე.ი. ვინც მას მეფედ უსურს), მას მისცემს ტახტს და კანონიერი ხელმწიფე იხილება“. ასეთი შეხედულება არაიმევიათად იწვევდა გაუგებრობას და ტახტის უშუალო მემკვიდრეების უკმაყოფილებას როგორც ირანში, ისე სხვაგან, მათ შორის, საქართველოში. ეს პრობლემა არეკლიდა ზაყანის ერთ ნერლობიც და იგი შეეხება გარკვეული ნრეების დრტიუნვას ჩვენში გიორგი III-ის მიერ ტახტის დაჭერის თაობაზე“.

ეხება რა ფირდოუსის უდიდეს დამსახურებას სპარსული ლიტერატურის წინაშე და მიუთითებს რა მის ერთ-ერთ დიდ როლზე, მ. თოდუა აღნიშნავს: თამას მანი ნერს: „გამოთქმა: „ჩვენ ეს უკვე ვიცით“ სულელური ნათქვამია. ამ ისტორიის ცოდნა ყველას ძალუძს. მისი მოწმედ ყოფნა – აი, რა არის თავი და თავი. მკვლევარი განაგრძობს: ფირდოუსიმ მკითხველი გახადა ირანის ისტორიის და, რაც მთავარია, თვით ირანული მითების მოწმედ. ფირდოუსიმ მეცნიერის სამუშაოდ შეასრულა და მწერლისაც: როგორც მეცნიერმა, მან შეკრიბა ირანის ისტორიის ძველი მასალები... შეუხამა ისინი ერთმანეთს და ქრონოლოგიურად დაალაგა; ხოლო როგორც მწერალმა, თავის ქურაში გადაადნო ისინი, დახვენა, განუახლა სტილი, ენა და, რაც მთავარია, მას ახალი სული შთაბერა. ამამია ფირდოუსის დამსახურება კაცობრიობის წინაშე... ფირდოუსიმ შექმნა პოემის ის მოდელი, რომელიც მას აქეთ შე-19 საუკუნემდე შენარჩუნებული იქნეს სპარსულ და თურქულენოვან ეპიკას: პროლოგი+პოემა+ეპილოგი. მანვე შეიმუშავა ეპიკურ ტილოში ლირიკული ნიღალ-

ვლები იმ დროს და იმ სახით, როგორც ის დღესაც გვაქვს“.

იმ მიზნით, რომ სრულყოფილი და უფრო დამარწმუნებელი გახადოს მის მიერ გაზიარებული საყოველთაო მოსაზრება „შაპ-ნამეს“ გენიალური უბრალოების შესახებ, მ. თოდუას მოაქვს აკაკი წერეთლის პოეზიის იაკობ გოგებაშვილისეული შეფასების, ეიტკოვადით, ბრწყინვალე მაგალითი: „უნებლიეთ გვაგონდება ი. გოგებაშვილის მეტად გონებასაბილური შედარება, მისი გამოხატვაში აკაკის შემოქმედების შესახებ: ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად ჩანს ყველაფერი, რომ თითოეულს ექნება ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სინამდეს და სიმჭიდვრეალეს მოტყუებაში შეჰყავხარ: შენ ეს მორევი თხელი გგონია, მაგრამ... მორევი მეტად ღრმაა“.

ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა სარეცენზო შრომის ერთ-ერთ თავზე, რომელშიც ფირდოუსის პოემის მეტად ორიგინალური მხატვრული ანალიზია მოცემული, მაგრამ რეცენზია რომ არ გაგვიგრძელდეს, მ. თოდუას ერთ შეხედულებას მოვიტანთ: ფირდოუსი „თავის ნიჭსა და ლექსის საზომის შესაძლებლობებს ბოქოსტად არ იყენებს და ლექსს პოეტური ხატებით ზედმეტად არ ტვირთავს. მან მშვენიერად იცის ძველი ჭეშმარიტება, რომ ლექსის ტექნიკის ვირტუოზულობა მკითხველში იწვევს გაოცებას და არა ალტაცებას“.

როგორც ცნობილია, მ. ნუცუბიძემ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ რენესანსის ეპიცენტრი აღმოსავლეთშია და მის წარმოქმნაში ლომის წილი ქართულ კულტურას ეკუთვნის. მაგრამ თვითონ მ. ნუცუბიძის ანალიზშია მისცა ბიძგი მეცნიერებას, რენესანსული ხანისებები საქართველოს გარეთაც, ქართული სახელმწიფოსა და კულტურის არეალში შემავალ შირვანშიაც, კერძოდ, ნიზამის შემოქმედებაშიც ეძიათ. ამ ფონზე მეტად საინტერესოა სარეცენზო შრომის ავტორის მიერ ჩატარებული „შაპ-ნამეს“ მეტად ფაქიზი ანალიზი. „შაპ-ნამეს“ პირველი ნაწილი მითებს შეიცავს. „მითებისთვის დამახასიათებელია კოლექტიური ყოფის დაუნანვერებულობა, მითში ჯერ კიდევ იგნორირებულია ინდივიდი, მისი კონკრეტული თავისებურებანი. „შაპ-ნამესში“ უკვე იგრძობა ამ მითური ერთიანობის რღვევა, ჩნდება კონკრეტული, სტანდარტულ ჩარჩოებში ჩაუტყველი ხასიათები და ქმედებანი. აქვე გვაქვს ისტორიული ქრონიკები და სატრფიალო სიუჟეტები. აქ კი ავტორს ხელები გახსნილი აქვს და

ფირდოუსი თავისი ნების შესაბამისად აფერადებს შემკვიდრებით მთელს და ქვეთერ პანოს. ეს ფირდოუსის შეფასებაა, რომ უკვე რენესანსის აღიონში შეღებია აღმოსავლეთი.

შევეხებით სარეცენზო ნიგნის დამსახურებას ლიტერატურის ერთი ფუნდამენტური საკითხის კვლევის არეში ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ შემოტანის და ამით ამ პოემის ერთ დიდ საკითხში როგორც ირანელ, ისე ევროპელ მეცნიერთა გაურკვევლობისთვის სინათლის შეტანის საქმეში. ჯერ კიდევ ი. მარი წერდა (უბეზოდ რა „შაპ-ნამეს“): „ერთი აიხსნება გაჭიანურებათა, გადამღერებათა და პოემის ბოლო ნაწილებში თვით ბეითთა პირმზინდად განმეორებების სიმრავლე? იმით, რომ ავტორი მოხუცდა თუ იმით, რომ ეს ბეითები რედაქტორთა შრომის ნაყოფია? მეტ თუ ნაკლებ გონებასაბილობაზე დაფუძნებული ვარაუდების გარდა, ჯერჯერობით არაფერს არ უნდა ველოდეთ“. მ. თოდუამ ეს საკითხი პირველმა გადაწყვიტა რუსთაველის მიმართ 1973 წ. გამოსულ მის მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის ნახტომი, ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს“, სადაც ის ცნობილი ავტორიტეტების (დ. ლინაჩოვი, მ. შიდფარი, ი. ლოტმანი და სხვ.) მომხრეობით აგვიხსნის, რომ აქ გვაქვს ენ. ნაცნობის ესთეტიკა“ და ეს მოვლენა ტაპიური იყო როგორც ანტიკური, ასევე შუა საუკუნეების ლიტერატურისათვის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა პოეტის სიბერით (გავისხროთ: პოემაზე 30 წელსადაი მუშაობდა ფირდოუსი) გამონეველ ეპიზოდთა და პოეტურ სახეთა განმეორებებთან, არამედ პრინციპთან: „ურსონაფები, ამბები და მხატვრული ხერხები ნაცნობი უნდა იყოს“. თანამედროვე მეცნიერებმა დაივიწყეს ის, რაც იცოდა ჯერ კიდევ XIII საუკუნის ლიტერატორმა აუფიმ.

სარეცენზო ნაშრომის თავში „მეფე“, რომელშიც ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული მრავალი საკითხია განხილული, ჩამოთვლილია „შაპ-ნამესში“ გამოყვანილი მეფეები და მოკლედ აღწერილია მათი საქმიანობანი. ამით ფაქტობრივად გადმოცემულია ამ ვებებერთელა პოემის მოკლე შინაარსი. ამდენად, დაინტერესებულ პირთათვის ეს ნაშრომი ამ მხრივაც შეიძლება ერთგვარ სამაგიკო ნიგნადაც მივიჩნიოთ.

„შაპ-ნამეს“ ერთ-ერთი პირველი სპარსული პოემაა, რომელშიც იკითხება ლირიკული ნიაღვრეები. ეს თემა სპარსულ ლიტერატურაში საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა (შხოლოდ მ. თოდუას ხელმძღვანელობით მისმა მოწაფემ მ. მიქაშაიძემ და-



ამუშავა ეს საკითხი ნიხაის მაგალითზე). სარეცენზიო ნაშრომში ავტორი საგანგებოდ ჩერდება „შაპ-ნამეს“ ლირიკულ ნიაღვრებზე, არკვევს მათ ხასიათს და მნიშვნელობას პოეტის პიროვნების, მისი დროის ყოფისა და სხვა, მეცნიერებისთვის მეტად საინტერესო საკითხებისათვის შუქის მოსაფენად.

მ. თოდუა ირანისტიკაში პირველად ნამოჭრა ერთი საკითხი, რომელიც ფირდოუსისა და მაჰმუდ ლაზნელს შორის მომხდარ მეცნიერებაში მეტად ფართოდ გახმაურებულ ინციდენტს უკავშირდება. ჩვეულებრივ ფირდოუსის ბიოგრაფები ამ ინციდენტზე ხსნიდნენ იმით, რომ მეფე პოეტს „შაპ-ნამეში“ დიდ ჰონორარს დაჰპირდა და ბოლოს პირი უშალა, ფირდოუსმა კი მეფის გასათრევი სატირა დაწერა და გაიქცა. მ. თოდუა ამ ლეგენდას, რომელსაც მეცნიერები აღარ იზიარებენ (ძირითადად იმ მოტივით, რომ როცა ფირდოუსმა „შაპ-ნამეს“ წერა დაიწყო, მაჰმუდი მეფე ჯერ კიდევ არ იყო და რაიმე გარიგებაზე ლაპარაკი შეუძლებელია), ანგარიშს უწევს, მიიჩნევს, რომ შეიძლება გარიგება არ იყო, მაგრამ იყო ჰონორარზე უარის თქმა, რამაც იწებდა პოეტი მართლა გააღიზიანა. მ. თოდუას კიდევ ორი საკუთარი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით: „შაპ-ნამე“ რამდენიმე პოემისგან შედგება, ამ პოემებს დამოუკიდებელი ნაწარმოების ფორმა აქვთ მიცემული იმდენად, რამდენადაც გააჩნიათ შესავალი. ჩანს, იმ 30 წლის განმავლობაში, რომელიც „შაპ-ნამეს“ შექმნას მოჰდა, პოეტი გზადაგზა ცალკე აქვეყნებდა კიდევაც ამ პოემებს (გადაანერინებდა და აერცვლებდა). ამ პოემებში ირანი კეთილ ძალადაა გამოყვანილი, თურანი კი – ბოროტ ძალად, ბოლო მაჰმუდი თურანელი (თურქი) იყო. იგი, სუნიტი მეფე, შიიტობას კრიქაში ედგა. „შაპ-ნამეს“ ავტორი კი თავგადაკლული შიიტი იყო. ისლამის პრიმატი არის გრძობა და არა გონება. გონებით ჭეშმარიტება (უხენაესი) არ შეიცნობა. ფირდოუსი კი პოემის შესავალში უფლისადმი მიმართვის შემდეგ აღაველნს არა მუჰამედის ქებას (როგორც ეს საერთოდ იყო დაკანონებული), არამედ გონების (ხერად) შესხმას. მ. თოდუას აზრით, ეს თვალში საცემი ფაქტი, რომელიც მხედველობიდან გამოჩნათ ირანისტიკას, ეტყობა, არ გამოპარება ფირდოუსის თანამედროვე სხულის მოძღვართ. არ არის გამორიცხული, ეს ქმედება პოეტისთვის ერესად ჩაეთვალოს და, ამდენად, შაპ-მაჰმუდთან პოეტის განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს. მეორე მიზეზი მ. თოდუას ვარაუდით: ცნო-

ბილია, რომ ფირდოუსი შაპ-მაჰმუდის თავგამოდებული მებოტბეარ ყოფილა, მაგრამ პოემში იგი მოვალეობას ანგარიშს უწევს და აქა-იქ მინც შეაქვს მაჰმუდს. შეაქვს, მაგრამ ვაი ამ შექებას: პოეტი მაჰმუდის ხოტბას სწყევტს და საკუთარი თავის ქებაზე გადადის. ასეთი საქციელი კი, დიხაჯ რომ, იყო მკრებელობა არათუ მრისხანე და პატივმოყვარე მაჰმუდს, არამედ იმ დროის მკითხველთა თვალში.

ჩვეულებრივ ირანისტიკაში „შაპ-ნამეს“ თავისი ხასიათის მიხედვით სამ ნაწილად ყოფდნენ: მითოლოგიურად, საგმიროდ და ისტორიულად. რუსმა მეცნიერმა ი. ბრაგინსკიმ მეოთხე ნაწილად გაიზარა. მისი შეხედულებით, უნდა გვაჩინოთ ერთგვარი მეოთხე შრე საგმირო და ისტორიულ ნაწილებს შორის. მ. თოდუა საერთოდ ასეთ დაყოფაში ლოგიკას ვერ ხედავს, რადგან გმირობა სამივე ნაწილში დომინირებს. ამდენად, პოემში მხოლოდ ორი ნაწილი უნდა გავიჩინოთ: მითოლოგიური და ისტორიული, – გამოთქვამს თავის მოსაზრებას მკვლევარი.

ირანმა, ისე, როგორც საქართველომ, გაიარა ასტრალური კულტების თავყვანის ცემის ხანა. სარეცენზიო შრომის ავტორი პარალელურად ავლებს „შაპ-ნამესა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის მათი გმირების ამ კულტებთან მიმართების თვალსაზრისით. ფირდოუსის თავისი პოემის შესავალში საგანგებო თავები აქვს „შისი შექმნის შესახებ“ და „მთვარის შექმნის შესახებ“. ეს თავები, რა თქმა უნდა, უფლის შესხმის შემდეგ მოდის, მაგრამ არც ისაა დასაიყენებელი, რომ ამ პოემებში შინც ყოფილა იმის საჭიროება, რომ თავისი მიუზღოს ასტრალურ კულტებს. „ვეფხისტყაოსანში“, ისე, როგორც „შაპ-ნამეში“, მთვარეს ღმერთი შყავს („მთვარეს ეტყვის: აფუცე სახელი ღმრთისა შენისა“). ე. ი. ის უკვე უცთავა ალა-რაა, რადგან შექმნილია. მაგრამ მისადმი ლოცვა შინც საკალდებულოდ მიიჩნიათ როგორც ფირდოუსის, ასევე რუსთველს.

ნაშრომში გაანალიზებულია ფირდოუსის ეპოპის და მასში შემავალი პოემების არქიტექტონიკაც. ის ფაქტი, რომ ეს, ასე ვთქვათ, შიდა პოემები შეიცავენ შესავალს (რომელიც თავისთავად ქვეთავებად იყოფა), მეცნიერს შესაძლებლობას აძლევს იფიქროს, რომ ამ 30 წლის მანძილზე ეინემის თავის უკედაე ეპოსს დაასრულებდა, ფირდოუსი ცალკე აღიქვამდა რა ამ ეპიზოდებს პოემის სახით, სათანადო ატრიბუტებით წარმოადგენდა მათ, ურთავდა შესავალს და ა. შ. როგორც აღვნიშნეთ, ამით მეცნიერი ვარაუდობს, რომ ფირდოუსი დაამთავრებდა თუ არა პოემა-ეპიზოდს, გადა-

ანერინებდა მას და როგორც ერთგვარად დამოუკიდებელ თხზულებას, ვხას აღძვევდა მკითხველისაკენ. მკვლევარი თავად „შაპ-ნამეს“ არქიტექტორიკაზე კი კერძოდ წერს: „შაპ-ნამე“ არის ერთ-ერთი პირველი (თუ პირველი არა. შემონახვა უნდა) პოემა სპარსულ ლიტერატურაში, რომელსაც უძღვის ასეთი მრავალნაწილიანი და მრავალთემიანი შესავალი. ამ მხრივ მას წინამორბედი არა ჰყავს და ახლო მდგომარეობაში ნიხამი უფრო მისდევს... „შაპ-ნამეს“ შესავალი თერთმეტ განყოფილებას შეიცავს: 1) ბისმილ-ლამ (უფლისა მიმართ) 2) გონების ქება. 3) ქვეყნის შექმნის შესახებ. 4) მზის შექმნის შესახებ. 5) მთვარის შექმნის შესახებ. 6) მოციქულის ქება. 7) „შაპ-ნამეს“ წარმოშობის შესახებ. 8) დაყოფის შესახებ. 9) პოემის შექმნის თაობაზე. 10) აბუ მანსურის ქება. 11) სულთან მაჰმუდის ქება“.

საგანგებოდ გვიჩვენებს შევჩერდეთ „შაპ-ნამეს“ კვლევისთვის ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც რატომღაც ირანისტების ყურადღების საგანი დღემდე არ ყოფილა და რომელზედაც მ. თოდუა პირველად ჩერდება. საქმე შეეხება „შაპ-ნამეში“ მოტანილ ციტატებს: მკვლევარი წერს: „ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ციტატები, რომლებშიც გამოთქმული აზრები მივხერხება ცხოველებს: „ამაზე ერთი რამ თქვა ვეფხვმა, როცა ბრძოლის დროს ჭანგი გაიშავა: ჩემი სურვილი ბრძოლაა, ჩემს მამას პაპიჩემისგანა პქონდა მიღებული ასეთი ბუნება...“ ასე უთხრა თავის ლეკვს მებრძოლმა ვეფხვმა: პეი უნარიანო, ბასრი ბრჭყალების მქონე შეილო...“; „მძინვარე ლომმა თქვა: როცა ირემს სიცოცხლე უთავდება...“; „ნიაშორს უთხრა გაბრაზებულმა ვიხვმა...“ და ა.შ. თუ როგორ ფაქტობრივად მკვლევართან გვაქვს აკად. მ. თოდუას სახით საქმე, ჩანს იქიდან, რომ ის ფაქტებზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანას არ ჩქარობს. თითქოს ნათელია, რომ რაღაც ჩვენამდე მოუღწევს ცხოველთა ეპოსთან (თუ ეპოსებთან) გვაქვს საქმე. მაგრამ სარეცენზო ნაშრომის ავტორი ფრთხილთა და წერს: „ხომ არა გვაქვს აქ ცხოველთა ხასიათთან დაკავშირებული გასიუგებებული ანდაზეტი თუ გამოთქმები, ვთქვათ, ისეთი, როგორცაა ქართული ანდაზა: „თევზმა თქვა: სათქმელი ბევრია, მაგრამ პირი წყლითა მატებს სახსევო“... ანდა: „ჯორს კითხვს: მამამენი ვინ არიო? და ჯორმა უპასუხა: დედაჩემი ცხენიო“.

საყურადღებოა მ. თოდუას კამათი ირანულ მცენიერებთან „შაპ-ნამეს“ გმირი ქალების ხასიათის თაობაზე. სარეცენზო ნაშრომში ვკითხულობთ: „ზოგი ირანელი

მკვლევარი უთუოდ აქარბებს, როდესაც „შაპ-ნამეს“ ქალებზე წერს: „ქვეყნის მთელი ნაწილი მის სახეს თვინიერ კვლევით დადგინდა და სისპეტაკისა, მის ფიქრს თვინიერ სიღრმისა და შორსმჭვრეტელობისა, მის საქმეს – თვინიერ სიშართლისა და რიგისა, მის საქციელს – თვინიერ თავშეკაეებისა და მოთმენის“. ამის პასუხად მ. თოდუა იქვე წერს: „შაპ-ნამეში“ გამოყვანილი ყველა გმირი ქალი, ირანელი იქნება იგი თუ თურანელი თავშეკაეებული სწორედ რომ არ არის, ბევრ სახიფათოლო წველიში ქალი აქტიურობს. მანამდე პირველმა გადადგა ნაბიჯები ბუნებისაკენ ამ სიტყვის როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით; თამბინა თითონ შეუვარდა საწოლში როსთამს, – შენგან შეილი მინდა მეფელოსო; – ისე, რომ ეს უკანასკნელი არც ელოდა და არც იცნობდა მას; სუდაბე ორმაგად არღვევს ზემოთ მოტანილ მოსაზრებას; იგი თითონ აქტიურობს ადამიანთა აკრძალულ სიყვარულში, შემდეგ კი ცალს ნამებს უფანამაულუ კაცს, რითაც სასიკვდილოდ სწირავს მას“.

ეხება რა ქალის სახეს სპარსულ ლიტერატურაში მ. თოდუა, გამოთქვამს ერთ, შეიძლება ითქვას, დელიკატურ მოსაზრებას. იგი წერს: „როგორც მოხდენილად გამოთქვა თ. კოვალსკიმ, სპარსულ ლიტერატურაში ქალზე ორი თვალსაზრისია გამოხატული: ლირიკაში იგი მშვენიერების ტილონი იყო, ხოლო დიდაქტიკურ პროზაში – ცოდვის წყარო და ეშმაკის ზიარი. მაგრამ, – განაგრძობს სარეცენზო ნაშრომის ავტორი, – ყოველთვის იყო კი ქალი სპარსული ლირიკის გმირი? თუ აქ ღაზელების (სპარსული ლირიკული ჯანრის დომინირებული სახეობა – რეცენზ. ავტორი) გმირი იგულისხმება, მაშინ ასეთი შეხედულების გაზიარებისაგან თავის შეკავება გემართებს, რადგან ამ ჯანრის ე.წ. შაშუყი (სატრფო) სუფიური ლეთაების ემანაციაა და იგი შეიძლება კაცის ყოფილ კო (მწდე ბიჭის სახით) და იყო კიდევაც (მაგალითად, პაფეზის „დეიანში“).

ირკვევა, რომ „შაპ-ნამე“ თუ პირველი არა, ერთ-ერთი პირველი მხატვრული ძეგლია სპარსულ ლიტერატურაში, სადაც ფიქსირებულია სადღევრძელოები. სარეცენზო ნაშრომის ავტორის ცნობით, აქ წარმოთქვამენ ერთ, ორ და მრავალ სადღევრძელოებს. სეამბე ე.წ. თავისუფალ სადღევრძელოებს. ამით მკვლევარი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ ირანისა და საქართველოს ისტორიული ყოფა ერთმანეთთან კავშირში უნდა იქნეს განხილული.



მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სარეცენზიო შრომის თავი „შინაარსობრივი შეუსაბამობანი“. ამ თემაზე მ. თოდუას სხვა ადრინდელ შრომებშიც პქონდა შესაძლებლობა გამოეთქვა მოსაზრება, რომ, როდესაც მოარულ ფაბულებს ამუშავებენ ან ერთხელ უკვე შეთხზულ ნაწარმოებს გადააკეთებენ, შუა საუკუნეების მწერლები ყოველთვის ბოლომდე როდი ახერხებენ მის ხელთ არსებულ მასალების ტრანსფორმირებას, რჩება ძველი მასალის „კუდები“ და ჩნდება ერთგვარი შინაარსობრივი შეუსაბამობანი. ასეთი „კოდებისაგან“ დაზღვეული არ არიან, სხვა ავტორთა შორის გენიოსებიც კი, მათ შორის: გორგანი, რუსთველი და ფორდოუსი.

სარეცენზიო შრომის ავტორი სამართლიანად მოუწოდებს თავის კოლეგებს სიფრთხილისაკენ, როცა იხინი ფორდოუსის დროის ყოფით მომენტებსა და ელემენტებს განიხილავენ ან მას სხვა ხანის ყოფას უდარებენ, რადგან, მისი აზრით, ჩვენ არცერთ ის სურათი, რომელსაც „შაპ-ნამეს“ ავტორი ამა თუ იმ (ეთქვათ, სასანური) ხანის ყოფის წარმოსადგენად იძლევა, იმ დროის რეალიაა, რომელსაც ხატავს, თუ თავად ფორდოუსის ხანისა. აქ სარეცენზიო ნაშრომის ავტორს მოაქვს საინტერესო და ამ ეჭვის გამაღრმავებელი მაგალითი, როცა ყაჯარბა ხანის (XVIII-XX სს.) მინიატურისტები „შაპ-ნამეს“ მითოლოგიურ გმირებსა და გარემოსაც კი თავიანთი დროის აქსესუარებით გვიხატავენ.

ფორდოუსის პოემის სახელწოდებებზე ირანისტებს საეჭვო და საკამათო არასოდეს არაფერი პქონიათ. მ. თოდუამ მეცნიერებაში პირველად დასვა ეს საკითხი. ერჭვა კი პოემას „შაპ-ნამე“? მკვლევარი დააეჭვა იმან, რომ თავად პოემაში მისი სახელი არაერთგანის აქვს მის ავტორს მოტანილი, მაგრამ იგი თავის თხზულებას არასოდეს არ იხსენიებს „შაპ-ნამეს“ ფორმით, არამედ ფორმებით: „ნამე-იე შაპრიარან“ („მეფეების (შესახებ) ნიგნი“) ან „ნამე-იე შაპრიარ“ („მეფის (შესახებ) ნიგნი“). ზოგმა მკვლევარმა ამას ყურადღება კი მიჰქცია, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ეს იძულებითი ქმედებაა, რადგან სიტყვა „შაპ-ნამე“ პოემის შემთხვევითად ვერ ვხვდებით. მ. თოდუამ მიუთითა, რომ ის მოსაზრება მიუღებელია, რადგან სიტყვა „შაპ-ნამე“ პოემის ზომში ძალდაუტანებლად ვხვდება.

სარეცენზიო შრომის ავტორი საყვედურს ვეროპულ მეცნიერებს იმის თაობაზე, რომ, როცა იხინი სპარსული ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოების მიბაძვებზე ლაპარაკობენ, ერთმანეთისგან ვერ ან არ არჩევენ მიბაძვების სახეობებს, ყოველ შემთხვევაში,

მათ შორის ორ უმთავრესს: ნაზირაა და ჯავაბს. ეს შეგება ფორდოუსის პოემის მიმბაძველთა შესახებ შექმნილ სამეცნიერო შრომების ავტორთა უმეტესობასაც. ფორდოუსის „შაპ-ნამეს“ მიმბაძველების ყოველ თხზულებას ზუსტად უნდა მიეცეს კვალიფიკაცია, ნაზირაა იგი თუ ჯავაბი, რადგან აქ მარტო ტერმინთან კი არა ვაქცევს საქმე, არამედ მიბაძვის დიპაზონთან.

ფორდოუსის მიანერვენ პოემა „იოსებზილიხანიანი“ ავტორობასაც. ბევრი ირანელი თვალსაჩინო მეცნიერი (ფორული, ყარიზი, მინოვი, ხაიამფური, საფა და სხვები) უარყოფენ ფორდოუსის ავტორობას, ზოგნი კი (ეთ, ნოლდეკე, ბროუნი) ძველ წყაროთა ცნობას იმის შესახებ, ეს პოემა ფორდოუსის ეკუთვნისო, სარწმუნოდ მიიჩნევენ. მ. თოდუა ამ საკითხის გასარკვევად მეცნიერებას სთავაზობს ახალ ლიტერატურათმცოდნეობით მეთოდს, ტექსტის კვლევას კომპიუტერული საშუალებებით.

მ. თოდუას მეთოდი მონოგრაფია, მოუხდავად მასში დასმული საკითხების სირთულეებისა, დაწერილია სახიამოვნო სტილით (რომელიც მის ირანელ რედაქტორს ასევე მაღალ დონეზე შეუნარჩუნებია). საამისოდ აქ მხოლოდ ქართული ვარიანტის ერთ ადგილს მოვიტანთ, რომლისაც ფორდოუსის პოემა შესაბამისი პათოსით არის დახასიათებული: „მთელი ამხელი ეპოპეა ადამიანური ქმედებებით არის გაჯერებული. აქ ერთმანეთსაა შეხამებული სისხლისმღვრელი ბრძოლები და ქიფები, ნადირობები და სასიყვარულო პაემნები, დიდი პოლიტიკით გამართლებული ახლობლის სასიკვდილად განწირვა და ყარიზთა გამოსარჩლება. ნიგნიში ისმის მამულების ყიფილი, ტოროლების გალობა, ბულბულთა ყეფა, ცხენთა ქიხინი, ისართა ნიფლი, ხმლების ჩახაჩუხი, სპილოების ძვარაძგური, ქოსების ბაგუნი... დულს ცხოვრება და გადმოდულს. ამ დიდტანიან ნიგნი რომ შეხედავთ, ერთი შემინება შეგეშინდებათ, ამას ბოლომდე რა ჩამაკითხებო! მაგრამ რომ ჩაიკითხავთ, უკმარისობის გრძობა გიჩნდებათ, რატომ კიდევ არ გაგრძელდაო! ასე ემართებათ „შაპ-ნამეს“, „ომი და მშვიდობის“, „იოსები და მინი ძმების“, „დავით ალ-მამუნებლის“ მკითხველებს“.

ზემოთ ვთქვით, რომ სარეცენზიო შრომის სპარსული ვარიანტი ხშირ შემთხვევაში ახალი მოსაზრებებით შევსებულ გამოცემას წარმოადგენს. მაგრამ, საშნუხაროდ, მომხდარა პირიქითაც. ალბათ, დღევანდელ ირანში გამეფებული ანტიმონარქიული ტენდენციების გამო თუ მოხდა, რომ სპარსულ მონოგრაფიაში ამოღებულია ავტო-

რის მიერ ქართულ ვარიანტში მოხმობილი ზოგი შრომა და დაკვირვება შაპის ინსტიტუტის შესახებ (ნ. ნადერფურის, მ. ქურდიანის, ნ. დიაკონოვის, ნ. ნიკოლსონის მოსაზრებები). განსაკუთრებით დასანანია მ. ქურდიანის ორი შეხედულება, რომელიც მას ავტორისათვის მისი ხელნაწერის გაცნობის შემდეგ მიუწოდებია: 1) „შაპ-ნამეს“ მთავარი გმირის, როსტომის ტრაბახი იმით, რომ იგი, უზურპატორი და მტარვალის (თანაც გველეშაპური წარმოშობის მქონე) ზაპაქის ჩამომავალია, გამართლებულია იმ მოტივით, რომ ზაპაქი მუფე იყო, მეფის სისხლის ქონა კი საამაყოდ ითვლებოდა. 2) არ არის გამორიცხული, რომ ქაიანთა დინასტიის უკან იმალებოდეს აქემენიანთა დინასტია. ხომ შეიძლება, რომ ბუპისთუნის წარწერებში აქემენიდები თავიანთი ნა-

მდვილი სახელებით იყენენ წარმოდგენილი, „აქემენური“ ტექსტებში კი თეოფორულ სახელებით“.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ სარეცენზიო მონოგრაფიას ახლავს არა მარტო საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, არამედ წიგნში მოხმობილი საყოფაცხოვრებო ლექსიკის ინდექსიც.

სარეცენზიო წიგნში გამოთქმული ახალი მოსაზრებები კიდევ შეგვეძლოს მოგვეტანა და ამ წარმომის ღირსებებზე კიდევ განგვეგრძო საუბარი, მაგრამ ამჯერად ამით დავკმაყოფილდეთ.

მ. თოდუას მონოგრაფია: „თხუთმეტსარკმელი“ (ფირდოუსისა და მისი „შაპ-ნამეს“ შესახებ) ირანისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენია.





გამორჩეული პოეტი და პიროვნება

გივი გეგეჭკორი იმ პოეტთა-განია, ვისი შემოქმედებაც თავის კუთვნილ, გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართულ ლიტერატურაში. ღრმა შინაგანი გამოცდილება მის ლექსებს თანამედროვეობის დრამატიზმით აღსაესესულისკვეთებას შთაბერავდა. სწორედ თანამედროვეობის შეგრძნება, ფორმის ოსტატური ფლობა, ნატიფი კულტურა გამოარჩევდა გივი გეგეჭკორს - პიროვნებასა და მწერალს. მან თავისი შემოქმედების დასაწყისშივე მიაგნო საკუთარ ინტონაციას, რომელსაც ნლების მანძილზე ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა.

გივი გეგეჭკორი თავისი სულიერი წყობით ნამდვილი შემოქმედი იყო. მისი მხატვრული ძიებანი თვალსაჩინოდ გამჟღავნდა შესანიშნავ ნერილებში. ვინც საფუძვლიანად გაეცნო მის ნერილებს, დარწმუნდება, თუ რა წვა და გარჯა უძლოდა პოეტის პროფესიულ დონეს, განსწავლულობასა და გემოვნებას. იგივეს ადასტურებს ფრანგული პოეზიის გივი გეგეჭკორისეული თარგმანები. უსაზღვროა ახლობლების, ნაცნობ-მეგობრების, მკითხველების გულისტკივილი და ასევე უსაზღვროა ის მადლიერების გრძნობაც, რომელიც გვაქვს და გვექნება ყველას.



თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61
პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასაწყობად, 11.05.2000 წ. ხელმონერილია დასაბეჭდად, 18.07.2000 წ.
ანაწყობის ზომა 7 1/4 x 12, ფორმატი 70x108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი
11,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,1. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 12,89
ტირაჟი 400. შეკვეთა №31.

გამომცემლობა "მერანი", რუსთაველის გამზ. №42



1-2000

5184/2

2000-



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ინტექსტი

76125

შანი შანი ლარი